

**გრემოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი**  
**GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY**

**დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი**  
**THE CENTRE OF STUDY AND PREDICTION OF CRIME**

**კრიმინოლოგი**  
**CRIMINOLOGIST**  
**I (4)**

**სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**  
**SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL**

**ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან**  
**JOURNAL HAS BEEN ISSUED SINCE 2007**

**საქართველო. თბილისი**  
**GEORGIA. TBILISI**  
**2009**



**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი**

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**კრიმინოლოგი**

**I (4)**

ჟურნალი გამოდის 2007 წლიდან

**გამოცემას აფინანსებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო.**

ექვეყნება გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების დახმარებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს „ქალი და დანაშაულობა“.

**Университет имени Григола Робакидзе  
Центр Исследования и Прогнозирования Преступности**

Научно-практический журнал

**Криминолог**

**I (4)**

Журнал выходит с 2007 года

**Издание этого номера финансировано посольством США в Грузии.**

Посвящается проекту Центра Исследования и прогнозирования преступности и Университета имени Григола Робакидзе при помощи общества содействия гармоническому развитию человека и финансовой поддержке Евросоюза: «Женщина и преступность».

**Grigol Robakidze University**

**The Centre of Study and Prediction of Crime**

scientific-practical journal

**Criminologist**

**I (4)**

Journal has been issued since 2007

**The number was issued by the financial support of the U.S. Embassy in Georgia.**

The journal is dedicated to the project “Woman and Criminality”, carried out by the Centre of Study and Prediction of Crime and Grigol Robakidze University, with the support of People’s Harmonious Development Society and financial assistance of European Union.

თბილისი – Тбилиси – Tbilisi

2009

## წინასიტყვაობა ჟურნალ “კრიმინოლოგის“ მეოთხე გამოცემისთვის

ძვირფასო მკითხველო, 2009 წლის 28 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების დახმარებით ჩაატარა მრგვალი მაგიდა “ქალი და დანაშაულობა”.

მრგვალი მაგიდა განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. “ადამიანებითა და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში” პროექტის ფარგლებში.

პროექტში მონაწილეობდნენ: სკოლის მოსწავლეები, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები(ბაკალავრები, დოქტორანტი), პროფესორ – მასწავლებლები და სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნული პრობლემის კუთხით მუშაობენ.

მრგვალი მაგიდა გახსნეს და მონაწილეებს მიესალმნენ: მალხაზ ბაძაღვა – პროექტის ავტორი, ჟურნალ “კრიმინოლოგის” მთავარი რედაქტორი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი; წოვინარ ნაზაროვა – ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარე; მამუკა თავხელიძე – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი. მრგვალი მაგიდა მიყავდათ: ნინო ოკრიბელაშვილს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი და აკაკი ჩალათაშვილს – ქ.თბილისის 61-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, ქ.თბილისის ბავშვთა საკრებულოს წევრი;

მოსხენებები წარმოდგენილ იქნა შემდეგ მონაწილეთა მიერ: ნატალია მაისურაძე – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი; ნინო ჭუბაბრია – ასოციაცია “მეკურნალი”, ვიცე-პრეზიდენტი; ნინო ციხისთავი – “კავკასიის ქალთა ქსელი” თავმჯდომარე; რომან ჯახიაშვილი - გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი; თამარ აფრიაშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი; ნინო კიკალიშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი; ნინო ენდელაძე – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი; გიგა გიგაშვილი - გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი; მარკ ჰულსტი – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის პროგრამის ხელმძღვანელი; ზურაბ მხეიძე – “ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების” კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი; გურამ ბარათაშვილი – ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლე; რუსუდან ვარსიმაშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი; ნინო ნანიტაშვილი – ქ.თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლე, ქ.თბილისის ბავშვთა საკრებულოს წევრი; ქეთევან კვაჭანტირაძე – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი; მარინა შაქარაშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; ნათია ქააძე - გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი; ირმა მანჯავიძე – “უფლება ჯანმრთელობაზე“- პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი; ლიკა გრიშოკაშვილი – გრ. რობაქიძის

სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი; რუსუდან მეფარიშვილი – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი; სოფო ბარნაბიშვილი, – გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: მარინა თაბუკაშვილი – ფონდი “ტასო”; ბაია (თამარ) რომელაშვილი – სახალხო დამცველის ოფისი; ოთარ კვაჭაძე – დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებელი, გამგეობის წევრი; მარინე კვაჭაძე- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი, პროფესორი; მაია ბუჩუკური – ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი; ზაზა რუხაძე – ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დირექტორი; ქეთევან ჭელიძე - ასოციაცია "თანადგომა", თავმჯდომარე; ნატალია შავლაყაძე – ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე; მიხეილ ბაძაღუა - გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საერთაშორისო იურიდიული ცენტრის დირექტორი.

მრგვალი მაგიდა, იყო შემაჯამებელი ეტაპი კვლევებისა, რომელიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა მონაწილეთა მიერ, საქართველოში არსებული ქალთა პრობლემების შესწავლის ეტაპზე.

პროექტის მონაწილეებმა საკუთარ ნაშრომებსა და მრგვალი მაგიდის მიმდინარეობის პროცესში, წარმოადგინეს სხვადასხვა რეკომენდაციები ქალთა პრობლემების დარეგულირების თვალსაზრისით. პროექტის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

აღნიშნულ ჟურნალში გამოქვეყნებულია მრგვალი მაგიდის “ქალი და დანაშაულობა” მასალები. ასევე ია დადუნაშვილის, ალექსანდრე კვაშილაგას სტატიები კრიმინოლოგიასა და ქალთა დანაშაულობის პრობლემებზე. სათაურით ჩვენი იუბილარები ქვეყნდება ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრების ბატონ ოთარ კვაჭაძის 80 წელთან და ბატონ რამაზ ბერიძის 50 წელთან დაკავშირებული მისალოცი წერილები. ასევე ქვეყნდება შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის დანაშაულის სტატისტიკა.

### სარედაქციო კოლეგია:

|  |                                 |
|--|---------------------------------|
| მალხაზ ბაძაღუა – მთავარი რედაქტორი       | ჯემალ ჯანაშია<br>მარინა კვაჭაძე |
| მამუკა თავხელიძე                         | კრის ექსკრიჯი – აშშ             |
| რომან შენგელია                           | ცირა ჭანტურია                   |
| ოთარ კვაჭაძე                             | გიორგი ღლონტი                   |
| რამაზ ბერიძე – აშშ                       | გიორგი თოდრია                   |
| მიხეილ ბაძაღუა – აღმასრულებელი რედაქტორი |                                 |

© გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

© დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი

რედაქციის მისამართი : ქ.თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.

criminologist@cspc.org.ge

## Предисловие к четвертому номеру журнала «Криминолог»

Дорогие читатели, 28 мая 2009 года, университет имени Григола Робакидзе и центр исследования и прогнозирования преступности, при помощи общества содействия гармоническому развитию человека состоялся круглый стол: «Женщина и преступность».

Круглый стол был проведен при финансовой поддержке Евросоюза в рамках проекта «Сотрудничество неправительственных организаций и государственных структур на Южном Кавказе для совместной борьбы против торговли людьми и детьми»

В проекте участвовали: ученики школы, студенты юридического факультета (бакалавры, докторанты), профессора, а также представители различных правительственных и неправительственных организаций, которые работают в этом направлении.

Встречу открыли и поприветствовали участников: Малхаз Бадзагуа – автор проекта, главный редактор журнала «Криминолог», директор центра исследования и прогнозирования преступности, профессор; Цовинар Назарова – председатель общества содействия гармоническому развитию человека; Мамука Тавхелидзе – профессор, ректор университета им. Григола Робакидзе; Круглым столом руководили: Нино Окрибелашвили – Тбилисский государственный университет имени Иване Джавахишвили, профессор; Акаки Чалаташвили – ученик 61-й средней школы, член детского собрания г.Тбилиси;

Доклады были представлены следующими участниками: Наталия Маисурадзе – студент третьего курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Нино Чубабрия – ассоциация «Мкурнали», вице-президент; Нино Цихистави – сеть женщин Кавказа, председатель; Роман Джахиашвили – докторант юридического факультета университета имени Григола Робакидзе; Тамар Априамашвили – студент третьего курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Нино Кикалишвили – студент второго курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Нино Энделадзе – студент четвертого курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Марк Улст – руководитель программы миссии международной организации миграции в Грузии; Зураб Мхеидзе – руководитель исследовательской группы общества содействия гармоническому развитию человека; Гурам Бараташвили – ученик 42-й средней школы; Русудан Варсимашвили – докторант университета им. Григола Робакидзе; Нино Наниташвили – ученица 55-й средней школы, член детского собрания г.Тбилиси; Кетеван Квачантирадзе – студент третьего курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Марина Шакарашвили – профессор университета имени Григола Робакидзе, доктор медицинских наук; Натия Каадзе – студент второго курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Ирма Манджавидзе – президент ассоциации «право на здоровье», профессор тбилисского государственного медицинского университета; Лика Гришикашвили – студент второго курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Русудан Мепаришвили – студент второго курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе; Софио Барнабишвили – студент четвертого курса юридического факультета университета им. Григола Робакидзе.

На презентации со словом выступили: Марина Табукашвили – фонд «тасо»; Баиа (Тамар) Ромелашвили – офис народного защитника; Отар Квачадзе – сооснователь центра исследования и прогнозирования преступности, член правления; Марине Квачадзе – руководитель юридической клиники грузинско-американского университета; Майа Бучукури – агентство по социальным программам и здравоохранению, старший специалист; Заза Рухадзе – школа права грузинско-американского университета, директор; Кетеван Челидзе – ассоциация «танадгома», председатель; Наталия Шавлакадзе – национальная сеть защиты от

насилия, председатель, Микхеил Бадзагуа – докторант юридического факультета университета им. Григола Робакидзе, директор международного юридического центра.

Круглый стол был заключительным этапом исследования, которое в рамках указанного проекта было проведено участниками на этапе изучения проблем женщин в Грузии.

Участникам проекта были выданы сертификаты.

Участники проекта в своих работах и во время проведения круглого стола, представили различные рекомендации по вопросам урегулирования проблем женщин.

В данном журнале опубликованы материалы круглого стола «женщина и преступность», а также статьи Ии Дадунашвили и Александра Квашилавы о криминологии и проблемах женской преступности. С заголовком наши юбиляры публикуются поздравительные письма в связи с юбилеями членов редколлегии журнала Отара Квачадзе (80 лет) и Рамаза Беридзе (50 лет). Также публикуется статистика преступности 2008 года по данным МВД.

#### **Редакционный совет:**

Малхаз Бадзагуа – Главный редактор

Мамука Тавхелидзе

Роман Шенгелия

Отар Квачадзе

Рамаз Беридзе – США

Микхеил Бадзагуа — исполнительный редактор

Джемал Джанашия

Марина Квачадзе

Крис Эскридж – США

Цира Чантурия

Гиоргий Глonti

Гиоргий Тодрия

© Университет им. Григола Робакидзе

© Центр исследования и прогнозирования преступности

Адрес редакции: Тбилиси, ул. Джано Багратиони №6

criminologist@cspc.org.ge

## **The foreword to the fourth number of journal "Criminologist"**

Dear readers, On May 28, 2009 The Centre for Study and Prediction of Crime together with Grigol Robakidze University, with the assistance of "People's Harmonious Development Society" conducted round table "Woman and Criminality."

Round table was held by the financial support of European Union, Within the scope of project "NGO and Governmental Cooperation Across the South Caucasus to Develop a Joint Response to Trafficking in Women and Children."

In the project participated: school children, law school students (bachelors and doctorates), Professors and teachers, and members of diverse NGO's working on the problem along with government representatives.

Round table had been opened and participants were welcomed by: Malkhaz Badzagua - "Centre for Study and Prediction of Crime" Director, professor, The author of the project and Chief Editor of the journal ; Tsovinar Nazarova - "People's Harmonious Development Society" chairman; Mamuka Tavkheldidze - "Grigol Robakidze University" Rector; Round table had been administered by: Nino Okribelashvili – Professor of Javakhishvili Tbilisi State University and Akaki Chalataashvili –Pupil of the 61<sup>st</sup> public school, member of The Children City Council of Tbilisi;

Speeches were delivered by following authors: Natalia Maisuradze – Gr.Robakidze University, law school student; Nino Chubabria – association "Mkurnali" vice-president; Nino Cikhistavi – "Caucasus Women Network" chairman; Roman Jakhiaashvili - Gr.Robakidze University, law school doctorate; Tamar Afriamashvili - Gr.Robakidze University, law school student; Nino Kikalishvili - Gr.Robakidze University, law school student; Nino Endeladze - Gr.Robakidze University, law school student; Giga Gigashvili - Gr.Robakidze University, law school student; Mark Hulst – "International Organization For Migration" head of Georgian Mission Program; Zurab Mkheidze - "People's Harmonious Development Society" head of researchers group; Guram Baratashvili - Pupil of the 42<sup>th</sup> public school; Rusudan Varsimashvili - Gr.Robakidze University, law school doctorate; Nino Nanitashvili - Pupil of the 55<sup>th</sup> public school, member of The Children City Council of Tbilisi; Qetevan Kvachantiradze - Gr.Robakidze University, law school student; Marina Shaqarashvili – "Gr.Robakidze University, Professor, Doctor of Medicine; Natia Qaadze - Gr.Robakidze University, law school student; Irma Manjavidze – organization "Rights to Health" President; Lika Grishikashvili – Gr.Robakidze University, law school student; Rusudan Meparishvili - Gr.Robakidze University, law school student; Sopo Barnabishvili– Gr.Robakidze University, law school student.

In the discussion also participated: Marina Tabukashvili – Fund "Taso", Baia (Tamar) Romelashvili - Office of Ombucman, Otar Kvachadze – One of the founder of the "Centre for Study and Prediction of Crime", Marina Kvachadze – Head of the Juridical Clinic at the "Georgian-American University" Professor, Maia Buchukuri – Chief specialist at the "Health and Social programs Agency," Zaza Rukhadze – Head of law School at "Georgian-American University," Qetevan Chelidze – association "tanadgoma" Chairman, Natalia Shavlayadze – Chairman of the "National Anti-violence Network", Mikheil Badzagua – Head of "international Juridical Centre," Doctorate at the Gr.Robakidze University.

Round table was final stage of the research, done by the participants within the scope of the project, dedicated to the problem of women in Georgia.

Participants were awarded certificates.

Participants during their speeches and discussion delivered several recommendations regarding the fight against the problematic issue.

In the journal are published materials of a round table « the woman and criminality », also clauses by Ia Dadunashvili, Alexander Kvashilava about criminology and problems of female criminality. Under the headline “anniversaries” are published letters of congratulations to associate editors of the journal – Mr. Otar Kvachadze (80 years) and Mr. Ramaz Beridze (50 years). Also is published the statistics of criminality of year 2008 according to the Ministry of Internal Affairs.

**Editorial board:**

Malkhaz Badzagua – Chief Editor

Mamuka Tavxelidze

Roman Shengelia

Otar Kvachadze

Ramaz Beridze

Mikheil Badzagua – Executive Editor

Jemal Janashia

Marina Kvachadze

Chris Eskridge

Cira Chanturia

Georg Glonti

Georg Todria

© Grigol Robakidze University

© The Center of Study and Prediction of Crime

Address of the publication house : Tbilisi, 6 Jano Bagrationi street.

criminologist@cspc.org.ge



## სარჩევი

|  |     |
|--|-----|
| წინასიტყვაობა ჟურნალ “კრიმინოლოგის“ მეოთხე გამოცემისთვის -----   | 3   |
| <b>ია დადუნაშვილი</b><br>ქალთა და ქალებზე ძალადობის სოციალური მიზეზები -----   | 15  |
| <b>აკაკი ჩალათაშვილი</b><br>ქალთა დანაშაულობა და სოციალური ფონი საქართველოში -----   | 20  |
| <b>ნატალია მაისურაძე</b><br>ქალი და ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოში -----   | 26  |
| <b>ნინო ციხისთავი</b><br>საკანონმდებლო ხარვეზები – ქალთა პრობლემები საქართველოში -----   | 34  |
| <b>რომან ჯახიაშვილი</b><br>კიბერძალადობა ქალებზე -----   | 45  |
| <b>თამარ აფრიაშვილი</b><br>ქალი – ოჯახური ძალადობის მსხვერპლი -----  | 50  |
| <b>ნინო კიკალიშვილი</b><br>ქალი, ოჯახი, სამართალი -----  | 61  |
| <b>ნინო ენდელაძე</b><br>ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან<br>დაკავშირებით სარჩელების ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტა ----- | 72  |
| <b>გიგა გიგაშვილი</b><br>ქალი, როგორც დანაშაულის ობიექტი და ოჯახური<br>ძალადობის მსხვერპლი -----   | 80  |
| <b>რუსუდან ვარსიმაშვილი</b><br>არალეგალური მიგრაცია და ქალთა ტრეფიკინგი -----  | 86  |
| <b>ნინო ნანიტაშვილი</b><br>ქალის როლი საზოგადოებაში – მათი ქონებრივი, პოლიტიკური<br>და სამართლებრივი უფლებები საუკუნეების მანძილზე -----       | 97  |
| <b>ქეთევან კვაჭანტირაძე</b><br>ქრისტიანული რელიგია და ქალთა პრობლემები -----   | 104 |
| <b>მარინა შაქარაშვილი</b><br>გენდერული კრიმინოლოგია -----  | 112 |

|  |     |
|--|-----|
| <b>ნათია ქააძე</b><br>“აბორტი“ როგორც ქალთა დანაშაული  | 117 |
| <b>ირმა მანჯავიძე</b><br>სიუციდი მოზარდ გოგონებში  | 124 |
| <b>ლიკა გრიშიკაშვილი</b><br>კონფლიქტი ქალის თავისუფლებასა და ფეკუნდის სიცოცხლის უფლებას შორის                | 129 |
| <b>რუსუდან მეფარიშვილი</b><br>დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობის და მიტოვების კრიმინოლოგიური ასპექტები | 136 |
| <b>სოფიო ბარნაბიშვილი</b><br>აბორტი – დანაშაული თუ თავიდან აცილებული პრობლემა                                | 141 |
| <b>ალექსანდრე კვაშილავა</b><br>ქალი, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და დანაშაულის სუბიექტი       | 151 |
| <b>მარკ ჰულსტი</b><br>ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ქალის სტატუსი  | 160 |
| <b>გურამ ბარათაშვილი</b><br>მშვიდობა და განვითარება საქართველოში   | 166 |
| <b>მისეილ ბაძაღუა</b><br>თანამედროვე ტიპის მონობა – ტრეფიკინგი   | 168 |
| მრგვალი მაგიდის “ქალი და დანაშაულობა“ დასკვნითი რეკომენდაციები   | 172 |
| ჩვენი იუბილარები   | 178 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის დანაშაულის სტატისტიკა                                      | 179 |

## Содержание

|  |     |
|--|-----|
| Предисловие к четвертому номеру журнала “Криминолог” -----   | 5   |
| <b>Иа Дадунашвили</b><br>Социальные причины женского насилия и насилия над женщиной -----  | 15  |
| <b>Акаки Чалаташвили</b><br>Женская преступность и социальный фон в Грузии -----   | 20  |
| <b>Наталия Маисурадзе</b><br>Женщина и виктимологические проблемы в Грузии -----   | 26  |
| <b>Нино Цихистави</b><br>Недостатки законодательства – проблемы женщин в Грузии-----   | 34  |
| <b>Роман Джахиашвили</b><br>Кибернасилие над женщинами -----   | 45  |
| <b>Тамар Априамашвили</b><br>Женщина – жертва семейного насилия -----  | 50  |
| <b>Нино Кикалишвили</b><br>Женщина, семья, право -----   | 61  |
| <b>Нино Энделадзе</b><br>Решение дел по вопросам защите и помощи жертвам семейного насилия в административном порядке -----      | 72  |
| <b>Гига Гигашвили</b><br>Женщина, как объект преступления и семейного насилия -----  | 80  |
| <b>Русудан Варсимашвили</b><br>Нелегальная миграция и трэффикинг женщин -----  | 86  |
| <b>Нино Наниташвили</b><br>Роль женщины в обществе – ее имущественные, политические и юридические права на протяжении веков----- | 97  |
| <b>Кетеван Квачантирадзе</b><br>Христианская религия и проблемы женщин -----   | 104 |
| <b>Марина Шакаршвили</b><br>Гендерная криминология-----  | 112 |

|   |     |
|---|-----|
| <b>Натия Каадзе</b><br>Аборт как женское преступление-----  | 117 |
| <b>Ирма Манджавидзе</b><br>Суицид среди девочек-подростков -----  | 124 |
| <b>Лица Гришикашвили</b><br>Конфликт между свободой женщины и правом фетуса на жизнь -----                | 129 |
| <b>Русудан Мепаришвили</b><br>Криминологические аспекты убийства и оставления новорожденного матерью----- | 136 |
| <b>Софио Барнабишвили</b><br>Аборт – преступление или разрешенная проблема-----                           | 141 |
| <b>Александр Квашилава</b><br>Женщина, как защищенный уголовным правом объект и субъект преступления----- | 151 |
| <b>Марк Гулст</b><br>Торговля людьми (треффикинга) и статус женщин-----                                   | 160 |
| <b>Гурам Бараташвили</b><br>Мир и развитие в Грузии -----   | 166 |
| <b>Михаил Бадзагуа</b><br>Рабство современного типа – Трефикинг -----                                     | 168 |
| Рекомендации принятых в рамках круглого стола «Женщина и преступность»-----                               | 172 |
| Наши юбиляры -----  | 178 |
| Статиска преступности за 2008 год министерства внутренних дел Грузии -----                                | 179 |

## Content

|  |     |
|--|-----|
| The foreword to the fourth number of journal "Criminologist" -----                               | 7   |
| <b>Ia Dadunashvili</b>   |     |
| Social grounds of violence against women and women violence -----                                | 15  |
| <b>Akaki Chalataashvili</b>  |     |
| Crime committed by woman and social condition in Georgia -----                                   | 20  |
| <b>Natalia Maisuradze</b>  |     |
| Women and victimology problems in Georgia -----  | 26  |
| <b>Nino Tsikhistavi</b>  |     |
| Legislative blunder – problems of women in Georgia -----   | 34  |
| <b>Roman Jakhiashvili</b>  |     |
| Cyber-violence on women -----  | 45  |
| <b>Tamar Afriamashvili</b>   |     |
| Woman – victim of home violence -----  | 50  |
| <b>Nino Kikalishvili</b>   |     |
| Woman, family, law -----   | 61  |
| <b>Nino Endeladze</b>  |     |
| Decision of suits, regarding victims of home violence, with administrative order -----           | 72  |
| <b>Giga Gigashvili</b>   |     |
| Woman as an object of crime and victim of home violence -----                                    | 80  |
| <b>Rusudan Varsimashvili</b>   |     |
| Illegal migration and women trafficking -----  | 86  |
| <b>Nino Nanitashvili</b>   |     |
| Role of woman in society – their property, political and legal rights throughout centuries ----- | 97  |
| <b>Ketevan Kvachantiradze</b>  |     |
| Christian religion and woman -----   | 104 |
| <b>Marina Shaqarashvili</b>  |     |
| Criminology of Gender -----  | 112 |
| <b>Natia Kaadze</b>  |     |
| “ABORT”- as a crime committed by woman -----   | 117 |
| <b>Irma Manjavidze</b>   |     |
| Suicide among juvenile girls -----   | 124 |

|  |     |
|--|-----|
| <b>Lika Grishikashvili</b>   |     |
| The conflict between liberty of woman and fruits right of life-----                            | 129 |
| <b>Rusudan Mefarishvili</b>  |     |
| Criminal aspects of murder and rejection of newborn by the mother -----                        | 136 |
| <b>Sofio Barnabishvili</b>   |     |
| Abort – Crime or avoided problem-----  | 141 |
| <b>Aleksandre Kvashilava</b>   |     |
| The woman, as the object protected by criminal law and the subject of a crime -----            | 151 |
| <b>Mark Hulst</b>  |     |
| Trafficking and status of woman -----  | 160 |
| <b>Guram Baratashvili</b>  |     |
| Peace and development in Georgia -----   | 166 |
| <b>Mikheil Badzagua</b>  |     |
| Modern type of slavery – Trafficking-----  | 168 |
| Concluding recommendations of the Round Table “Woman and Criminality”-----                     | 172 |
| Our jubilees-----  | 178 |
| Statistical data of crimes committed in Georgia in 2008, by Ministry of internal affairs ----- | 179 |

## ქალთა და ქალებზე ძალადობის სოციალური მიზეზები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია – განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური, და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა<sup>1</sup>.

თუმცა თუ ვისაუბრებთ დანაშაულებრიობაზე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წინა წლებთან შედარებით მსჯავრდადებულ კაცთა რიცხოვნობა 13,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ქალთა რიცხოვნობა 6,6 პროცენტითაა შემცირებული. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი მონაცემებით, მსჯავრდადებულ კაცთა რიცხოვნობა დაახლოებით 12-ჯერ აღემატება მსჯავრდადებულ ქალთა რიცხოვნობას<sup>2</sup>.

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაციის თანახმად – ძალადობა ქალთა წინააღმდეგ წარმოადგენს ქალთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შელახვას. იგი არღვევს და აბათილებს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას, შესაბამისად ხანგრძლივად შეუძლებელს ქმნის ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევაში<sup>3</sup>.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1820-ე რეზოლუციის თანახმად – კონფლიქტის დროს ქალები და გოგონები ძირითადად სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან<sup>4</sup>.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებთ ქალთა მიერ და ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სოციალური მიზეზებზე და შესაძლო პრევენციულ ღონისძიებებზე.

აგრეთვე განვიხილავთ ისეთ საკითხებს, თუ რატომ ხდება ქალი მოძალადე, და რატომ არის ხშირი შემთხვევები, როდესაც ყოფილი მსხვერპლი შემდგომში მოძალადედ გვევლინება.

განვიხილავთ ორი სახის დანაშაულს, რომლებშიც ქალი შეიძლება წარდგეს როგორც დამნაშავე და როგორც მსხვერპლი – ოჯახური ძალადობა და ადამიანებით ვაჭრობა.

ოჯახური ძალადობა, ძალადობის გამოვლინების ყველაზე ფარული და საშიში ფორმაა. საზოგადოებას ხშირად არ სურს, თვალი გაუსწოროს ამ პრობლემის ჭეშმარიტ მასშტაბს.

საერთაშორისო დონეზე ოჯახური ძალადობა განიხილება, როგორც ქალის მიმართ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ნაწილი, რომელსაც გაერთიანებული ერების მიერ მიღებული დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ განსაზღვრავს, როგორც გენდერულ საფუძველზე ჩადენილ ნებისმიერ აქტს, რომელიც „ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტრამვას

1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14

2 შსს სტატისტიკა

3 ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაცია

4 გაეროს უშიშროების საბჭოს 1820-ე რეზოლუცია

აყენებს ან შეუძლია მიაყენოს მსხვერპლს, მათ შორის ასეთ ქმედებასთან დაკავშირებული მუქარა, თავისუფლების იძულებითი ან თვითნებური აღკვეთა, განურჩევლად იმისა, თუ სად ხდება, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

ოჯახური ძალადობის პრობლემა თავისი არსით საკმაოდ პირადულია, თუმცა საზოგადოებრივი დატვირთვაც გააჩნია. იგი შედგება მრავალი კომპონენტისგან და შეიძლება შეეხებოდეს ოჯახის ნებისმიერ წევრს – ბავშვებს, მოხუცებს, ქალებს და მამაკაცებს.

თუ არ შევისწავლით ოჯახური ძალადობის წარმოქმნის მიზეზებს, ვერასოდეს ვერ შევძლებთ ამ პრობლემის გადალახვას.

სამწუხაროდ, საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემას მასშტაბური ხასიათი გააჩნია. ეს იმაშიც აისახა, რომ სახელმწიფომ აღიარა ეს პრობლემა და მიიღო შესაბამისი კანონმდებლობა ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

წინა წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით აღირიცხა:

| მოძალადე |      | მსხვერპლი |      |
|----------|------|-----------|------|
| ქალი     | კაცი | ქალი      | კაცი |
| 37       | 320  | 313       | 45   |

იმისათვის რომ ეფექტურად ვებრძოდოდ ამ პრობლემას საჭიროა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავება, მათ შორის პრევენციის მექანიზმების ჩამოყალიბება და მათი განხორციელება. აგრეთვე, აუცილებელი შევისწავლოთ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისტორიები ქალებზე და დანაშაულზე. შეიძლება მოხდეს ისე, რომ ქალები გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი და არა ჩამდენნი. მშრალი სტატისტიკის მიღმა მიჩქმალულია ადამიანური ისტორიები.

ფლორიდის უნივერსიტეტის 2006 წლის კვლევის მიხედვით ქალები უფრო ხშირად ხდებიან მოძალადეებიც და მსხვერპლებიც. ამ კვლევის მიხედვით ქალები, უფრო ხშირად ვიდრე მამაკაცები, შეიმჩნევიან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობაში თავიანთი პარტნიორის მიმართ<sup>5</sup>.

მიუხედავად ამისა, მოცემული კვლევის მიხედვით ძალადობის დანაშაულის მსხვერპლების 70%-ს მაინც ქალები შეადგენდნენ<sup>6</sup>.

აგრეთვე მოყვანილი იყო არგუმენტი, რომ ქალების მიერ ძალადობა ხშირ შემთხვევაში თავდაცვის მიზნით იყო განხორციელებული.

ოჯახური ძალადობის შესახებ კვლევებმა გვაჩვენა, რომ თუ კი წარსულში მსხვერპლი ქალები გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ ძალადობის სიტუაციის შემთხვევაში, დღესდღეობით მათი ცნობიერება ამაღლებულია და ინფორმირებულები არიან შესაძლო გამოსავლის შესახებ.

<sup>5</sup> ფლორიდის უნივერსიტეტის 2006 წლის კვლევა ქალთა ძალადობაზე

<sup>6</sup> Ibid.



მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა პირადად იყო გოგონა ძალადობის მსხვერპლი თუ უბრალოდ ოჯახში ძალადობის მოწმე იყო, უფრო მეტი შანსია მომავალში იგი პირად ურთიერთობებში ძალადობის მსხვერპლი გახდეს.

კლევის მიხედვით ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს 43%-ით მეტი შანსი აქვთ თვითონ გახდნენ მოძალადეები და 51%-ით მეტი შანსი აქვთ მომავალში გახდნენ პირად ურთიერთობებში ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე ის ბავშვები ვისაც ოჯახური ძალადობა არ გამოუცდიათ<sup>7</sup>.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ქალები უფრო აგრესიულები არიან და უფრო ემოციურებიც, ვიდრე მამაკაცები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ ხშირ შემთხვევაში ქალი მოძალადე მაშინ ხდება, თუ იგი წარსულში ძალადობის მსხვერპლი იყო. ანუ ქალთა ძალადობის სოციალური მიზეზები მის წარსულში უნდა ვეძებოთ. თუკი ოჯახურ ძალადობის აღმოფხვრას დასაწყისშივე მოვახერხებთ, შესაძლებელია, რომ ამ ძალადობის პოტენციური მსხვერპლი მომავალში თვითონ აღარ გახდება მოძალადე, შესაბამისად აწმყოში პრევენციის მეშვეობით მომავალშიც დანაშაულის ნაწილობრივ პრევენციას შევძლებთ.

რაც შეეხება ადამიანებით ვაჭრობას – ტრეფიკინგს, განსაკუთრებით კი ტრეფიკინგს სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით, აქაც სტატისტიკური მონაცემებით მსხვერპლი უმეტესწილად ქალია. აგრეთვე თუ სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკას გავეცნობით, საქართველოში ამ მუხლით მსჯავრდებულების 90% ქალბატონები არიან.

ბოლო საუკუნის განმავლობაში მრავალი რეგიონალური და საერთაშორისო სტანდარტი ჩამოყალიბდა მონობასა და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის და ზოგადად დანაშაულის, განსაკუთრებით კი ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვის სფეროში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის<sup>8</sup> მიხედვით, ადამიანებით ვაჭრობა ათ წელზე მეტია რაც საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. საქართველო ძირითადად არის წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყანა, საიდანაც ქალები გაჰყავთ უმეტესწილად თურქეთში და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით<sup>9</sup>.

ქალები უკრაინიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეთიდან და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან გადიან საქართველოს გავლით თურქეთში, საბერძნეთში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და დასავლეთ ევროპაში<sup>10</sup>.

7 Ibid.

8 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა „ადამიანებით ვაჭრობის და იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი“

9 Ibid.

10 Ibid.

კაცები ხდებიან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლნი აგრარულ და ინდუსტრიულ სფეროებში როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოს მთიან (სვანეთი, სამეგრელო) და კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი)<sup>11</sup>.

საქართველოში გამოძიებული შემთხვევების უმრავლესობა დაკავშირებულია სექსუალურ ექსპლუატაციასთან, დანარჩენი ნაწილი კი შრომით ექსპლუატაციასთან. საქართველოში ჯერ არ დაფიქსირებულა ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შემთხვევა<sup>12</sup>.

უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკაში გვხვდება ქვეყნის გარეთ ტრეფიკინგის ფაქტები, მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანის გზით, თუმცა ამ ბოლო დროს გაიზარდა ქვეყნის შიდა ტრეფიკინგის შემთხვევების გამოვლენა<sup>13</sup>.

ქვეყნის გარეთ ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ, მაშინ როცა ქვეყნის შიგნით მამრობითი სქესის მსხვერპლები ღომინირებენ<sup>14</sup>.

განვიხილოთ ტრეფიკერის პროფილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს რეალობაში ტრეფიკერი ხშირ შემთხვევაში ქალია. ხშირ შემთხვევაში ეს ქალი წარსულში თვითონ ტრეფიკინგის მსხვერპლი გახლდათ. ეს სფერო მისთვის შესწავლილია, მან იცის რომ მას შემოსავალი მოაქვს, შესაბამისად ვინაიდან სხვა გამოცდილება არ აქვს, ყოფილი მსხვერპლი თვითონ ხდება დამნაშავე და თავისნაირ გულუბრყვილო ქალბატონების გადაბირებით კავდება.

ასეთ ფაქტებს, როდესაც ყოფილი მსხვერპლი თვითონ ხდება ტრეფიკერი, მეორე ტალღის ტრეფიკინგს ეძახიან. ამიტომ, ძლიერ მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული მსხვერპლების დაცვა, დახმარება, რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, მათი დასაქმება, რათა შემდგომში ისინი ან ხელახლა არ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი, და მითუმეტეს თვითონ არ ჩაერთონ დანაშაულში – არ გახდნენ ტრეფიკერები.

დასკვნის სახით, ნებისმიერი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზის დადგენა და პირველ რიგში ამ გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა, რათა მოხდეს ამ დანაშაულის პრევენცია. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევებში კი, როდესაც საქმე ქალების მიერ ჩადენილ და ქალების მიმართ ჩადენილ დანაშაულებს ეხება, რომლებიც ერთმანეთთან მიზეზშედევობრივ კავშირშია, და როგორც ზემოთ აღვნიშნა, ხშირად ყოფილი მსხვერპლი შემდგომში დამნაშავე ხდება, აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელება.

*ია დადუნაშვილი*

**“შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის”  
წარმომადგენელი საქართველოში**

---

11 Ibid.  
12 Ibid.  
13 Ibid.  
14 Ibid.

**ქალთა და ქალებზე ძალადობის სოციალური მიზეზები**

**რეზიუმე**

ნაშრომში საუბარია ქალთა ძალადობის სოციალური მიზეზების შესწავლისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავების შესახებ, აგრეთვე ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების შესახებ. განიხილულია ისეთი საკითხები, თუ რატომ ხდება ქალი მოძალადედ, და რატომ არის ხშირი შემთხვევები, როდესაც ყოფილი მსხვერპლი შემდგომში მოძალადედ გვევლინება.

*Ия Дадунашвили*

**Социальные причины насилия со стороны женщин и против женщин**

**Резюме**

В представленной статье будет рассказано об изучении социальных причин женского насилия и выработке превентивных мер против него, а также о выработке мероприятий по борьбе с насилием направленным против женщин. В статье также будут рассмотрены такие вопросы, как причины становления женщины насильницей, а также то, почему очень часто, бывшие жертвы в последующем сами становятся насильницами.

*Ia Dadunashvili*

**Social grounds of violence against women and women violence**

**Abstract**

The article talks about the understanding of a social grounds of the violence of women and the violence against women, as well as about elaboration of preventive activities and activities targeted to combating violence against women. It will cover issues such as why the woman becomes a victim or a perpetrator, and why do we have cases when the former victim later becomes a perpetrator.

**ქალთა დანაშაულობა და სოციალური ფონი საქართველოში**

ქალთა უფლებების დაცვა მრავალი სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ, არც ჩვენი ქვეყანა გამორჩევა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რეალურად ყურადღება თითქმის არ ეთმობა აღნიშნულ საკითხს. სამართალდამცავი სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება იწყება მთელი რიგი ჩადენილი დანაშაულებების შემდეგ, მანამდე კი ვერ ხდება მობილიზაცია. ფაქტია, რომ არ ხდება ამ პრობლემის პრევენცია ადრეულ ეტაპზე.

ქალი, როგორც დედა-ოდიტგანვე საქართველოში დედის კულტი მეფობდა. ქალს ბავშვობიდანვე ამზადებდნენ დედობისათვის, უფროსებისაგან ღებულობდა იმ ცოდნასა და გამოცდინებას, რომელიც საჭირო იქნებოდა ოჯახის გაძლიერებისათვის. ქალი მართლაც ოჯახის დედა-ბურჯი იყო. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა პატრიოტი, სულიერად მტკიცე და ვაჟკაცი შვილების აღზრდა და ხშირად მათ საკუთარ მაგალითებზე ზრდიდა.

ქართულ ენაში ხშირად შეხვედებით „დედისგან“ გამომდინარე სიტყვებს, როგორებიცაა- დედა-ენა, დედამიწა, დედაბოძი, დედა ისტორია და ა.შ. ეს აშკარა მაგალითია, რომ დედას მუდამ წამყვანი როლი ეკავა ქართველ საზოგადოებაში.

ქალი, როგორც მეუღლე-ქართველი ქალი ოდიტგანვე გამოირჩეოდა, როგორც შესანიშნავი მეუღლე. იგი ქმრისა და ოჯახის ერთგული იყო. ამ ერთგულებას იგი სიცოცხლის ბოლომდე იცავდა. ქმრის დაკარგვის შემდეგაც მის ერთგულად რჩებოდა. საქართველოში იშვიათობა იყო „ჯვრის აყრა“ (განქორწინება). მიუხედავად იმისა, რომ ქალს უდიდესი ფუნქცია ეკისრა ოჯახში, იგი მაინც საზოგადოების არასრუფასოვან წევრად რჩებოდა, რადგან იგი მთელ თავის გონებრივ და ფიზიკურ რესურსებს მხოლოდ ოჯახს ახმარდა. მას არ ჰქონდა უფლება საზოგადოებაში ხმამაღლა ეთქვა თავისი სათქმელი. ის იძულებული იყო ემოქმედა იმ ჩარჩოებში, რომელიც მას წილად ისტორიულად ერგო.

მოგვიანებით, განსაკუთრებით XX საუკუნიდან, როდესაც მთელს მსოფლიოში და საქართველოშიც ქალთა ემანსიპაცია გავცეღდა, ქალმა ახალი ფუნქციაც მიიღო. ეს არის სულ უფრო აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფრო და უფრო მეტი ქალი ხდება საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი. ეს კი თავისთავად ნიშნავს იმას, რომ გენდერული თანასწორობა მყარდება.

1992 წლის ათენის დეკლარაციის თანახმად, „ქალები ფლობენ კაცობრიობის ნიჭისა და უნარ-ჩვევების ნახევარს და მათი არასაკმარისი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დანაკარგია მთელი საზოგადოებისათვის“.

ამის შემდგომ, მიიღეს პეკინის პლატფორმა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქალთათვის ძალაუფლების მინიჭება და მათი კარიერული წინსვლა.

მიუხედავად პეკინის პლატფორმისა, რომელიც მთელს მსოფლიოს შეეხება, ვერ ხერხდება პრობლემის მოგვარება სრულად. მაგალითად, საქართველოში მომუშავე ქალთა უმეტესობას უკავიათ „მეორეხარისხოვანი“ თანამდებობები.

გენდერული თანასწორობა, ანუ სქესობრივი თანასწორობა დღემდე რჩება აქტუალურ პრობლემად მთელს მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ქვეყანაში შექმნილია ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც იბრძვიან ქალთა დისკრიმინაციის, ანუ ჩაგვრის წინააღმდეგ, პრობლემა მაინც

გადაულახავია. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავეა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, რაც გამოწვეულია ტრადიციებით, კულტურითა და რელიგიით. თუ დასავლეთში ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა დიდი ხნის წინათ დასრულდა იმით, რომ უმეტეს ქვეყნებში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს, აზიასა და აფრიკაში ამ საკითხზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ქალები აქ აღქმულნი არიან, როგორც მონები და მამაკაცთა მსახურნი.

საქართველოს ძალიან საინტერესო გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. აქ მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანსპორტო კვანძია და თავს იყრის ევროპული და აზიური კულტურები, მათი ფასეულობები, რელიგიური თავისებურებები და ა.შ. ამიტომაც, ქართველ ხალხს შეთავსებული ჰქონდა ორივე მხარის ღირებულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, ანუ კანონის შესაბამისად, საქართველოში ქალთა და მამაკაცთა უფლებები აბსოლუტურად თანაბარია, ცხოვრებაში სხვა სურათი იხატება. თუკი დიდ ქალაქებში, სადაც თავმოყრილია კულტურული ცენტრები, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, პერიფერიებში სულ სხვა სიტუაციაა. განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და აჭარაში. მაგალითად: აჭარია ვტონომიური მთავრობის აპარატში მუშაობს 18 ქალი და 37 მამაკაცი, ბათუმის საკრებულო: 0 ქალი და 15 მამაკაცი, შუახევის საკრებულო: 2 ქალი, 17 მამაკაცი. კვლევა ჩაატარა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, რომელმაც კიდევ ერთი საინტერესო სიტუაცია შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ უმეტესად ქონებას მაინც ვაჟებს უტოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით ქალი და კაცი თანასწორუფლებიანი არიან.

მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რაც ვფიქრობ, რომ მეტად საყურადღებოა, კერძოდ: ქალისთვის სამსახურის შოვნა უფრო რთულია, ვიდრე მამაკაცისთვის. მაგალითად: ერთი და იგივე განათლების, უნარისა და შესაძლებლობის მქონე პრეტენდენტ ქალსა და მამაკაცს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს ანიჭებენ, რადგანაც ფიქრობენ, რომ მამაკაცი მასზე დაკისრებულ მოვალეობას უფრო კარგად შეასრულებს, ზოგიც მიიჩნევენ, რომ მამაკაცი უფრო სანდოა და ა.შ. ვფიქრობ, რომ ასეთი მსჯელობა არასწორია. მაშ, რა საჭიროა ქალებისთვის განათლების მიცემა, თუ მომავალში კარგი სამსახური ვერ იშოვნეს? ასეთი მსჯელობა ქვეყნისთვის მეტად საზიანოა, ვინაიდან იკარგება უზომოდ დიდი ნიჭი.

### ქალთა დანაშაული და გამომწვევი მიზეზები

ამ ბოლო წლებში საქართველოში გამეფებულმა რთულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ თავისი ცუდი შედეგები მოიტანა. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მთავარია მძიმე კრიმინალური ფონი, რომელშიც, სამწუხაროდ, ქალებიც მონაწილეობენ. ქალთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა და სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება.

მიზეზები არაერთგვაროვანია, მათ შორის მთავარია მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ფენა მოიცვა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ოჯახების დიდი რაოდენობა აღმოჩნდა, იმატა უმუშევრობამ. სოციალური და სამედიცინო დახმარებები სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვნად შემცირდა. ასე მაგალითად: საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით გაუქმდა ახალშობილების დახმარების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამა იმ ოჯახებს ეხებოდა, რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100 000-ის ტოლი, ან ნაკლები ქულა ჰქონდათ დაგროვილი.

საქართველოში უახლესი 20 წლის განმავლობაში მოხდა 3 დიდი ომი: 1991 წლის სამოქალაქო ომი, 1993 წელს მომხდარი აფხაზეთის ომი, რომელიც საქართველოს მარცხით დამთავრდა და 2008 წლის სამაჩაბლოს ომი, სადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა და ქვეყანამ უდიდესი ზარალი ნახა, ამასთანავე დაიკარგა დიდი ტერიტორიები. გაიზარდა აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან ლტოლვილებისა და აჭარის ეკოლოგიელთა რიცხვი. ქვეყნის მთავრობამ გადაგდა ნაბიჯები, რათა ამ ტიპის მოქალაქეთა ყოფა შეემსუბუქებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, დახმარება არასაკმარისია.

ამ ვითარებაში ბევრმა მამაკაცმა დაკარგა მატერიალური უზრუნველყოფელის როლი, რომელიც ქალმა თავის თავზე აიღო. მისთვის ეს ახალი ფუნქციაა, რომლის ათვისებაც გაუჭირდა. ქალს მოუწია ფულის შეტანა ოჯახში. აქ რაღა თქმა უნდა იღვიძებს დედობრივი ინსტინქტი, რომელიც აიძულებს ქალს წავიდეს ყველანაირ სამუშაოზე, რათა შვილები და მთელი ოჯახი მშვიერი არ დარჩეს. რადგან სამუშაო ადგილები ქვეყანაში ცოტაა, ხოლო მათი უმეტესობა მოითხოვს უმძიმეს ფიზიკურ დატვირთვებს, ქალი იძულებულია სხვა გზა მონახოს, თუნდაც არაკანონიერი. ჩნდება ორი ვარიანტი-არ გავიდეს ქუჩაში და მოწყალება ითხოვოს, ან იქურდოს, ითაღლითოს და ა.შ.

სამწუხაროა, რომ ქვეყანაში იმატა ქალთა მიერ ჩადენილი ქურდობის რაოდენობამ. ქალს უწევს მოიპაროს საქონელი, ფული და ა.შ, რათა ოჯახი დააპუროს და ელემენტარული საარსებო პირობები შეინარჩუნოს.

არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ქალი თაღლითობით შოულობს ფულს. ქურდობისგან განსხვავებით, მას ეს საშუალება შედარებით უსაფრთხოდ და მომგებიანად ეჩვენება. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თაღლითობას ახასიათებს აზარტი. ქალი ხალხს სთავაზობს შუამდგომლობას ამა თუ იმ გარიგებასა და შეთანხმებაში. როდესაც მას ხელში ჩაუვარდება მატერიალური ღირებულების ნივთები, ცდილობს მართლმსაჯულებას თავი აარიდოს და დაიმალოს.

ოჯახური ძალადობა გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელსაც ოჯახის წევრი სხვა წევრებზე ასორციელებს. ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი, ხშირად ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური შეურაცხყოფა, რომელიც მოძალადის მიერ სხვა პირზე (მსხვერპლზე) კონტროლსა და ძალაუფლების მოპოვებას გულისხმობს. ფიზიკური შეურაცხყოფა მოიცავს ქმედებას ცემითა და გარე სამყაროსთან იზოლირებით დაწყებული, პარტნიორის საკუთრების ხელყოფით დამთავრებული. სექსუალური შეურაცხყოფა არის გაუპატიურება, ქალისადმი, როგორც საგნისადმი მოპყრობა, ცემის შემდეგ სექსუალური ურთიერთობის დამყარების მცდელობა. ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა-განუწყვეტელი კრიტიკა, აბუჩად აგდება, ეჭვიანობა, საზოგადოებრივი საქმიანობისა და ხალხში ერთად გასვლის აკრძალვა, ბავშვებით მანიპულირება, ფიზიკური ზიანის მიყენების მუქარა. ეკონომიკური ძალადობა- ეკონომიკური მონოპოლია საოჯახო ფინანსებზე, საკუთრებაზე, მუდმივი კონტროლი ეკონომიკური ზეგავლენის შენარჩუნების მიზნით. ოჯახურ ძალადობას ჩვენს საზოგადოებაში ტაბუ ადევს. იგი გენდერული ცენზურის და თვითცენზურის გამოხატულებაა. დასავლეთის ქვეყნების კანონმდებლობაში არსებობს მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოძალადის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას.

საქართველოში მრავალი ქალი ზარალდება ოჯახური ძალადობის შედეგად. საჭიროა ამ უსამართლობის შეჩერება, მაგრამ არის მზად საზოგადოება? ჩემი აზრით, ხალხს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული აღნიშნული პრობლემა და ზედაპირულად უყურებს მას. ჩნდება ერთი საინტერესო ნიუანსი- ე.წ. „ჩემი საქმე არაა“. ეს გამოწვეულია ტრადიციებითა და საზოგადოებაში გამეფებული მენტალიტეტით.

უკანასკნელი წლების მაგალითებიდან ჩანს, რომ ქალთა უფლებების შელახვას ხშირად სამწუხარო შედეგები მოყვება. ეს შეიძლება იყოს მკვლელობა, ქურდობა, სხეულის განზრახ დაზიანება და ა.შ.

სტატისტიკურად ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაული ასე გამოიხატება:

2001 წელს ქალთა მიერ ჩადენილი 680 დანაშაულებრივი შემთხვევა არის რეგისტრირებული. 2002 წელს აღინიშნება მზარდი ტენდენცია და მოცემული ნიშნული 731-ს აღწევს. 2003 წელს რეგისტრირებულია 738 შემთხვევა. დანაშაულის ნიშნული ვარდნას იწყებს 2004 წლიდან და 689 შემთხვევა ფიქსირდება. 2005 წელს დაფიქსირებულია 586 დანაშაულებრივი ქმედება, რაც წინა წლებს აშკარად ჩამოუვარდება. აქ შეგვიძლია ვიგულისხმოთ სამართალდამცავი სტრუქტურების გააქტიურება ან სიმშვიდე საზოგადოებაში. 2006 წელს იზრდება აქტივობა და ნიშნული 998-ს აღწევს, ხოლო 2007 წელს კი არნახულ რიცხვს უტოლდება-1375 შემთხვევა. 2008 წლის მონაცემებით, ქალთა მიერ ჩადენილი 1126 დანაშაულებრივი შემთხვევა არის რეგისტრირებული.

ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა თემაზე „ქალთა უფლებები“. გამოკითხვით 90 ადამიანი, მათ შორის 30 ქალბატონი, 30 მამაკაცი და 30 ახალგაზრდა. შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

ა) რამდენად დაცულია საქართველოში ქალთა უფლებები?

1. ქალთა უფლებები საესებით დაცულია


და პრობლემები თითქმის არ არის ამ სფეროში- 0

2. პრობლემები არის, მაგრამ მათი

მოგვარება რთული არ იქნება- 83

3. მდგომარეობა სავალალოა და მოითხოვს


საზოგადოების დიდ ყურადღებას- 7



ბ) თქვენი აზრით, ვინ უნდა აწერსიგებდეს ქალთა უფლებების მონიტორინგს?

1. სახელმწიფო- 3

2. სახალხო დამცველის აპარატი- 40



3. არასამთავრობო ორგანიზაციები- 6

4. საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებათა


დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები- 41

გ) რა უწყობს ხელს ქალთა უფლებების შელახვას?

1. არაჯანსაღი გარემო- 46

2. არასრულყოფილი კანონები- 3

3. ე.წ „ქართული მენტალიტეტი“- 41



დ) თქვენი აზრით, რა აუცილებელი ზომებია საჭირო, რათა ქალთა უფლებების დაცვა უფრო აქტუალური გახდეს?

1. საჭიროა ხელისუფლებამ გადაგდას

ნაბიჯები, რათა პრობლემა აღმოიფხვრას- 53

2. შეიქმნას ქალთა უფლებების დაცვის ახალი ცენტრები- 14

3. საერთაშორისო ორგანიზაციებმა აწარმოონ

რეგულარული დაკვირვება ამ სფეროში და

გაჩენილი პრობლემები თვითონვე აღმოფხვრან- 20

4. შეიცვალოს საზოგადოების


დამოკიდებულებულია ქალთა მიმართ- 3

ე) თქვენი აზრით, როგორი ტენდენციით შეიძლება დავახასიათოთ ქალთა უფლებების დაცვა მომავალში?

1. უფრო გაიზრდება ამ საკითხის მიმართ ყურადღება და პრობლემის მასშტაბები შემცირდება- 40

2. უფრო დაუცველები იქნებიან საქართველოში ქალები- 0

3. არ ვიცი- 50



*აკაკი ჩალათაშვილი*



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)
2. <http://statistics.ge/>
3. გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი = Краткий словарь гендерных терминов / მერკვილაძე ია; [რედ.:ნაირა პოპიაშვილი;თარგმანი ჰამლეტ ზუკაკიშვილი] - თბ. : კავკას.სახლი, 2003 – 112გვ. ; 20სმ. - Iშ 99928-71-46-6 : [ფ.ა.]  
*აკაკი ჩალათაშვილი*

### ქალთა დანაშაულობა და სოციალური ფონი საქართველოში

#### რეზიუმე

თემა შეეხება საქართველოში არსებულ სოციალურ ფონს ქალთან მიმართებაში. აღწერილია ქალის სტატუსი ძველი დროიდან დღემდე, განხილულია გენდერული თანასწორობის პრობლემები. ასევე ნათქვამია, თუ რა ფაქტორებს შეუძლია გამოიწვიონ ქალთა დანაშაული. განხილულია ოჯახური ძალადობა. თემის ბოლოს მოყვანილია ქალის მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა და აგრეთვე სოციოლოგიური გამოკითხვა. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პრობლემები მალე აღმოიფხვრება. ამას ჩვენ ერთად უნდა მივაღწიოთ.

*Акакий Чалаташвили*

### Женская преступность и социальный фон в Грузии

#### Резюме

Тема касается социального фона сложившейся в Грузии. Описан статус женщины с древних времен по сей день, обсуждаются проблемы гендерного равноправия, насилия в семье. Также рассматриваются факторы, которые способствуют образованию и развитию женской преступности. В конце темы дана статистика женской преступности, а также социальный опрос.

Надеемся, что проблема в скором будущем будет решена. Мы должны добиться этого вместе.

*Akaki Chalatashvili*

### Crimes committed by woman and social condition in Georgia

#### Abstract

The work describes social background related to the women in Georgia from ancient time, to the real-time, describes gender equity problems and violence in family. It is also told what kind of factors can make women do criminal. At the end you can see statistic data and results of the research. We hope that those problems will disappear. We must make our joint efforts to address this problem.

## ქალი და ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოში

ქალის როლის მკვეთრმა ზრდამ საზოგადოებაში, გარკვეულწილად გაზარდა რისკ – ფაქტორები და პროცენტული მაჩვენებელი ქალის მიმართ დანაშაულის ჩადენისა. მიუხედავად მრავალი საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორუფლებიანობას შეეხება, ქართული რეალობა ჯერ კიდევ შორსაა მათი სათანადო დაცვისა და განხორციელებისგან.

სწორედ ამიტომ ქალი, როგორც დანაშაულის მსხვერპლი, ქართული საზოგადოების მხრიდან უფრო და უფრო მეტი ყურადღების მიქცევას საჭიროებს.

ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, სადაც გამოკვეთილია ურთიერთმიმართება დამნაშავესა და მსხვერპლს შორის. ეს არის პროცესი რომლის წარმართვაშიც ორივე მხარე იღებს გარკვეულ მონაწილეობას და დანაშაული წარმოგვიდგება, როგორც წყვილთა თანახიარი მოქმედება<sup>15</sup>. ვიქტიმოლოგიის არსი გულისხმობს, ორივე სუბიექტის ქმედებათა გაანალიზებასა და შესწავლას.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც დანაშაული განპირობებულია მომავალი მსხვერპლის ქცევით. მაპროვოცირებელი ფაქტორების კვლევა იძლევა საფუძველს, რომ მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს დანაშაულის ჩადენის მიზანი, მოტივი, დამნაშავე პიროვნების ფსიქო – სოციალური მახასიათებლები, დაზარალებულის აქტიური როლი ჩადენილ ქმედებაში და სხვა მსგავსი სპეციფიური დეტალები, რომლებიც არსებით კავშირშია დანაშაულის ჩადენისა და გახსნის კრიმინოლოგიურ და სისხლის სამართლებრივ პრობლემატიკასთან.

ვიქტიმოლოგიის განვითარების კვლადაკვალ წარმოიშვა ტერმინი ვიქტიმიზაცია, რომელიც ასახავს ადამიანის მსხვერპლად გადაქცევის პროცესს. იმ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ინდივიდს, როგორც პოტენციურ მსხვერპლს, განაპირობებს ინდივიდის ვიქტიმურობას.<sup>16</sup> ვიქტიმურია ადამიანთა ის კატეგორია, რომელსაც ნაკლებად შესწევს ძალა დაიცვას თავი და წინ აღუდგეს დანაშაულებრივ ქმედებას.

ქალი როგორც პოტენციური მსხვერპლი, ქალი როგორც დანაშაულის მაპროვოცირებელი სუბიექტი, ქალის “ბრალი” ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, ქალი და მის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულები, ეს ის საკითხებია, რომელიც აერთიანებს ქალის ვიქტიმურობასა და მისი ვიქტიმიზაციის პროცესს.

ქალის ვიქტიმურობის პრობლემა კრიმინოლოგიაში მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც მსხვერპლის მომავალ კრინიმალიზაციას უწყობენ ხელს, და წარსულში დაზარალებულს, მომავალში პოტენციურ დამნაშავედ აყალიბებენ. დადგენილია, რომ იმ ადამიანის დამნაშავედ გახდომის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მეტია ვინც თავად იყო ადრე მსხვერპლი, ვიდრე იმისა, ვისაც მსგავსი რამ არ გადახდენია თავს.

<sup>15</sup> კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), ზაურ წულაია, თბილისი 2003წ. გვ 130.

<sup>16</sup> Франк А.В. Выктимология и Виктимность. Душанбе 1972. с. 73

დაზარალებულის პირვანდელი უმწეობის განცდა, შეიძლება საზოგადოების მიმართ აგრესიაში გადაიზარდოს, და წარმოქმნას დანაშაულის ჩადენის ფსიქოლოგიური საფუძველი.<sup>17</sup> დაზარალებულის სულიერი დეგრადაცია საკმაოდ ხშირად მისი ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, თუნდაც დანაშაულებრივ სამყაროში ჩაბმის ერთერთი მთავარი მიზეზია.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, გაუპატიურებულთა, თუ სხვა ფიზიკური და მორალური ძალადობის მსხვერპლთა კატეგორია. საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ პრიორიტეტულია ქალიშვილობის ინსტიტუტი, გაუპატიურებული ქალების მდგომარეობა უფრო სავალალოა და თანაგრძნობას საჭიროებს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც სრული სექსუალური თავისუფლებაა. ქართველი ქალი ორმაგ ტკივილს განიცდის ამ დროს, ვინაიდან მას მარტო თავისი თავი კი არ ადარდებს, არამედ საზოგადოებრივი აზრიც. პრიორიტეტი კი სწორედ ამ უკანასკნელს ენიჭება, ვინაიდან ხშირად სწორედ საზოგადოების არასწორი და გულგრილი დამოკიდებულება უბიძგებს ქალს, რომ დანაშაულებრივ სამყაროს შეუერთდეს. ფიზიკურად თუ ფსიქიკურად დაზარალებულ ქალს აქვს დაუცველობისა და მის მიმართ მოსალოდნელი ცინიზმის განცდები, გვხვდება ასევე სუიციდის შემთხვევებიც. ასეთ ფსიქოლოგიურ ფონზე რა თქმა უნდა ქალი გაუაზრებლად და ადვილად ებმევა სხვა დანაშაულებათა ქსელში. მათი გარკვეული ნაწილი ტრეფიკორების სამიზნე ხდება. არცთუ იშვიათია ე.წ. “წამალზე შეჯდომის” - ნარკომანიის მორევში ჩათრევის ფაქტებიც, ჯერ მომხმარებლის,<sup>18</sup> მერე გამსაღებლის სახით. ამას კი შედეგად მოსდევს ადამიანის, როგორც პიროვნების განადგურება, ხოლო რიგ შემთხვევებში ცხოვრების გისოსებს მიღმა გაგრძელება.

ყოველივე აღნიშნულში დიდია საზოგადოების ბრალეული ქმედება და პასუხისმგებლობის ნაწილი სწორედ მასზე გადმოდის. თითოეული არაჯანსაღი დამოკიდებულება პიროვნების, განსაკუთრებით კი ქალი მიმართ, საზოგადოებას როგორც მინიმუმ კიდევ ერთ მსხვერპლსა და კიდევ ერთ დამნაშავეს მატებს.

ვიქტიმიზაციის პროცესისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვიქტიმოგენურ სიტუაციებს, ანუ ისეთი სიტუაციებს რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას.

ქალის ვიქტიმოგენურ სიტუაციაში მოხვედრის ალბათობა გარკვეულწილად უფრო დიდია, ვიდრე მამაკაცისა, ვინაიდან იგი უფრო დაუცველი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალის მარტო სიარული სადამო ხანს უკვე ქმნის გარკვეულ ვიქტიმურ სიტუაციას, ამას ემატება სხვა ფაქტორებიც: ასაკი, გარეგნობა, ჩაცმულობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დანაშაულის მსხვერპლად გახდომის რისკი კონკრეტული ასაკითაა განპირობებული. მაგალითად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი ძირითადად 16-დან 35-წლამდე ხდება. რაც შეეხება სხვა დანაშაულებებს (მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა, ოჯახური ძალადობა და ა.შ.) აქ ასაკს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია.

საგულისხმოა რომ, ვიქტიმოლოგიურ მიმართულებებში გვხვდება თეორია “დაზარალებულის ბრალის” შესახებ. ამ თეორიის ამოსავალი წერტილი

<sup>17</sup> კრიმინოლოგია, ირაკლი გომიაშვილი, თბილისი 1998წ. გვ 83.

<sup>18</sup> Criminology, articles – volume 46, number 4, November 2008, The victimization – termination link 1017

დაზარალებულის ქცევაა. ქცევა, რომლითაც მან დანაშაულის პროვოცირება მოახდინა და თავადვე დაზარალდა.<sup>19</sup>

ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაული ქალის მიერაა პროვოცირებული. მაგალითად სექსუალური ძალადობის განხორციელების ალბათობა უფრო დიდია იმ ქალის მიმართ, რომელიც გამომწვევად იქცევა, გამომწვევად აცვია, მთვრალია ან სხვა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშაა ანდა კონკრეტულ მომენტში ასეთი ადამიანების გარემოცვაში იმყოფება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალს ჯერ თანხმობა გამოუთქვამს სექსუალური კონტაქტის დამყარებაზე, შემდეგ კი უარი განუცხადებია. ასეთ დროს გამოთქმული უარი დიდ აგრესიას იწვევს საპირისპირო სექსში და მას შედეგად ქალის გაუპატიურება მოსდევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის პროცესში დაზარალებულის ქცევას. ვიქტიმოლოგიაში მსხვერპლთა ქცევა მათი აქტიურობის მიხედვით შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- ნეგატიური ქცევა – მეტწილად მაპროვოცირებელი ან სხვაგვარად ხელისშემწყობი სიტუაციის შემქნაში გამოიხატება;
- დადებითი ქცევით, მსხვერპლი წინააღმდეგობას უწევს დამნაშავეს;
- ნეიტრალურია ქცევა, რომელიც საერთოდ არ უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას.<sup>20</sup>

როგორც უკვე აღნიშნა, ქალი შესაძლოა ნებისმიერი სახის ძალადობის მსხვერპლი გახდეს, მაგრამ ძირითადად გამოიყოფა ფიზიკური და მორალური (ფსიქოლოგიური) ზემოქმედების შემთხვევები.

როგორც წესი, ქალის ფიზიკური შეურაცხყოფა ხორციელდება ცემის, ან სექსუალური ძალადობის განხორციელების მიზნით. ფსიქოლოგიური კი – შანტაჟის, დაშინებისა და მუქარის გზით. სამწუხაროდ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში დაფიქსირდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა პროცენტული მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა.<sup>21</sup>

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, ეს მეტად ფართო საკითხია და სათანადო ყურადღების მიქცევას საჭიროებს. გაერთიანებული ერების ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე (პეკინი 1995წ.) მიღებული დეფინიციის თანახმად, სექსუალურ ძალადობად ითვლება: სექსუალური ხასიათის ნებისმიერი მოქმედება – დაცინვისა და ხუმრობის ჩათვლით; არასასურველი სექსუალური შეთავაზება, პორნოგრაფიული სცენების ყურების, ან მასში მონაწილეობის იძულება, არასასურველი შეხება, სექსუალური მოქმედების შესრულების იძულება, გაუპატიურება და საერთოდ ნებისმიერი ისეთი ხასიათის ქმედება, რომელიც ქალს

<sup>19</sup> კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), ზაურ წულაია, თბილისი 2003წ. გვ 122.

<sup>20</sup> კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), ზაურ წულაია, თბილისი 2003წ. გვ 134.

<sup>21</sup> კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2008, გვ 122.

აყენებს ფიზიკურ ან სულიერ ტკივილს და დამამცირებელია მისთვის (ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლოატაციის ჩათვლით).<sup>22</sup>

ჩამოთვლილ ქმედებათაგან გაუპატიურება, როგორც სექსუალური ძალადობის ერთერთი სახე, განსაკუთრებით ხშირად გვევლინება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მისი მთავარი სუბიექტი კი – ქალია.

გაუპატიურება - არის ქალის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ დიდი ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა. მსოფლიო მასშტაბით იგი სექსუალური ხასიათის დანაშაულობების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ზოგ ქვეყანაში მეტად ხდება ქალზე ძალადობის ასეთი ფაქტები, ზოგან – ნაკლებად. არაერთ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, შექმნილია სპეციალურად ქალთა დახმარებისა და რეაბილიტაციის როგორც იურიდიული, ასევე სამედიცინო და ფსიქოლოგიური, ადგილობრივი ცენტრები, რომლებიც უფასო ანონიმურ დახმარებას უწევენ დამაშაულის მსხვერპლთ.<sup>23</sup> აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ ევროსასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე, არაერთი გაუპატიურების ფაქტი განუხილავს და მისთვის წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის კვალიფიკაცია მიუნიჭებია.<sup>24</sup>

საქართველოში გაუპატიურების შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან ხდება არა მხოლოდ მოძალადის, არამედ მსხვერპლის გააკიცხვა, (ამ უკანასკნელისა კი განსაკუთრებით), ვინაიდან ქართულ რეალობაში და არა მხოლოდ, დამკვიდრებულია სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც: “წესიერ ქალიშვილებს არ აუპატიურებენ, გაუპატიურება ქალის მიერაა პროვოცირებული”, ამ და სხვა მსგავსი სახის არაჯანსაღი აზრები ქმნის ილუზიას, რომ შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ ქალია დამნაშავე და თუ იგი წესიერად მოიქცეოდა არ შეემთხვეოდა მსგავსი რამ, მაგრამ ეს რეალობაა, რეალობა რომელშიც ნებისმიერი ქალი, ნებისმიერ წამს შეიძლება აღმოჩნდეს. მნიშვნელობა არ აქვს რამდენი წლის ხარ, რა გაცვია, როგორ იქცევი ან რა მიმართულებით მიდიხარ.<sup>25</sup> ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს მოძალადე მამაკაცი, რომელიც შენზე თავდასხმას შეეცდება. ამიტომ ყველა ქალი უნდა შეეცადოს, რომ შეძლებისდაგვარად ყოველთვის დაიცვას მისი, როგორც ქალის უფლებები და თავისუფლებები. ამისთვის კი საჭიროა დამნაშავე საკადრისად იქნეს დასჯილი. დანაშაულის ინტიმური ხასიათის გამო, მსხვერპლი ძირითადად ერიდება მომხდარი ფაქტის გახმაურებას და თავისი საქციელით ხელს უწყობს “დაუსჯელობის სინდრომის” განვითარებას. ასეთი შემთხვევები მრავლადაა ქართულ საზოგადოებაში. აღნიშნულს კი განაპირობებს ისევე და ისევე მოსალოდნელი გააკიცხვისა და ე.წ. “გაუპატიურებული ქალის” იარღილის სამუდამოდ მიკერის შიში.

<sup>22</sup> კანონპროექტი “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების” შესახებ.

<sup>23</sup> <http://www.ncvc.org/ncvc/main.aspx?dbName=DocumentViewer&DocumentID=32369#7> (2009/05/10)

<sup>24</sup> ინტერაითისი, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, ტრეინინგის მასალათა კრებული “კონსტიტუციის 42-ე მუხლი”; გვ.16

<sup>25</sup> <http://www.ncvc.org/ncvc/main.aspx?dbName=DocumentViewer&DocumentID=32369#7> (2009/05/10)

ქალზე, როგორც მსხვერპლზე საუბრისას, აუცილებელია ვახსენოთ ქალის მოტაცების ტრადიციული ინსტიტუტი, რომელიც ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს.

საქართველოში ამჟამად სისხლის სამართლებრივი ნორმა: ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით, გაუქმებულია და ასეთი შემთხვევა განიხილება როგორც ქალისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა. (სსკ-ს 143-3 მუხ.)<sup>26</sup>

ამ კუთხით, ასევე აღსანიშნავია კონვენცია “ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, რომლის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის “ბ” პუნქტის თანახმად: “ქორწინება მოიცავს მეუღლის თავისუფლად არჩევისა და მხოლოდ თავისუფალი და სრული თანხმობით ქორწინების თანაბარ უფლებებს.”<sup>27</sup>

მოტაცების ინსტიტუტი მეტად მწვავე საკითხია ქართული რეალობისთვის. ამავდროულად აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს მოტაცებისა და ე.წ. “გაპარვის” შემთხვევები. ასეთი ქმედება დანაშაულის ცრუ შემადგენლობას ქმნის და ამ შემთხვევაში უკვე მამაკაცი გამოდის ქმედების მსხვერპლი. საქართველოში მოტაცებული ქალებისა და მათი ოჯახების დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვაა. მათი ნაწილი თვლის, რომ რაც უფრო არ გახმაურდება სიტუაცია, მით უმჯობესია ქალის რეპუტაციისთვის და იმიჯისთვის. თუმცა დახარალებულთა უმეტესობა მაინც ასაჩივრებს მომხდარს და დამნაშავის დასჯით ღებულობს მორალურ კომპენსაციას.

საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკითხული იქნა 30 მდედრობითი და 30 მამრობითი სქესის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი. მათთვის დასმული იქნა შემდეგი შეკითხვა: უნდა უჩივლოს თუ არა საპატარძლოდ მოტაცებულმა ქალმა გამტაცებელს?

|          | უნდა უჩივლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სექსუალურ ძალადობას ჰქონდა ადგილი (პროცენტებში) | არ უნდა უჩივლოს (პროცენტებში) | ყველა შემთხვევაში უნდა უჩივლოს (პროცენტებში) |
|----------|--|-------------------------------|--|
| ქალი     | 35   | 25                            | 40   |
| მამაკაცი | 28   | 54                            | 18   |

როგორც შედეგებიდან ირკვევა, გამოკითხულ ქალთა უმეტესობა თვლის, რომ საჭიროა მოხდეს მოტაცების ფაქტის გასაჩივრება, მაშინ როცა მამაკაცთა უმრავლესობის აზრით საჭირო არ არის ჩივილი. მამრობითი სქესის წარმომადგენლები შედარებით მსუბუქად უყურებენ ამ ქმედებას და მიიჩნევენ, რომ ქალის მოტაცების გამო არ უნდა ხდებოდეს მამაკაცის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.

რაც შეეხება ოფიციალურ სტატისტიკას ამ და ქალის მიმართ განხორციელებული სხვა დანაშაულობათა მიმართ, შემდეგია:

<sup>26</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 143-ე მუხ. (ბოლო ცვლილებებით)

<sup>27</sup> კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი მე-16

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში 2008 წელს რეგისტრირებული იყო ქალების მიმართ ჩადენილი სულ 309 დანაშაული.

მათ შორის:

- მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე – 1 დანაშაული
- მკვლელობის მცდელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე – 3 დანაშაული
- გაუპატიურება – 100 დანაშაული
- სექსუალური ხასიათის ძალადობასთან დაკავშირებით – 52 დანაშაული
- ტრეფიკინგი – 6 დანაშაული
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მასთან ქორწინების მიზნით) – 111 დანაშაული

ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით ქალების მიმართ სამწუხაროდ სწორედ მათი მოტაცების ფაქტები ფიქსირდება, შემდეგ კი მოღის სექსუალური ძალადობის შემთხვევები - გაუპატიურება და სხვა ქმედებანი.

ამ კუთხით განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საქართველოს რეგიონებსა და სოფლებში. ქალის მოტაცება იქ ჯერ კიდევ ჩვეულებრივ, ტრადიციულ მოვლენად ითვლება და არ განიხილება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ყოველივე აღნიშნულში ტრადიციული გადმონაშთი დიდ როლს ასრულებს, რაც სამწუხაროდ არაერთ თანამედროვე ქართველს ქალს დღესაც უმახინჯებს ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მრავალი სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ქალთა პრობლემებზე, მაგრამ ისინი უშუალოდ დაზარალებულებს და ამა თუ იმ დანაშაულის მსხვერპლთ უწევენ დახმარებას. ზოგადად საზოგადოების მართლშეგნების ამაღლების პროცესზე კი ნაკლებად ხდება ყურადღების გამახვილება.

საყურადღებოა, რომ მსგავსი ტიპის აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები პიროვნების ფორმირების კვალდაკვალ უნდა განხორციელდეს, ამიტომ სახელმწიფო დაწესებულებებმა თავის თავზე უნდა აიღონ საზოგადოების ჯანსაღი წევრების აღზრდის საკითხი.

ამ მხრივ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებს, სადაც მოხდება სქესთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის ასპექტებზე მოსწავლეების ყურადღების გამახვილება. (განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამ მხრივ რეგიონებსა და სოფლებში არსებული სკოლების მუშაობა უნდა იყოს.)

ეფექტური სიახლე იქნება ასევე ქალთა უფლებებზე ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარება შედარებით ნაკლებად განვითარებულ რაიონებში, საქართველოს მასშტაბით. ვინაიდან მსგავსი სახის ღონისძიებები მხოლოდ დიდ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი) ტარდება, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ყურამდე კი ვერ აღწევს და ამიტომ უმოქმედოა.

შესაბამისად ქალთა უფლებები და მათი პრობლემები სახელმწიფო დონეზე, სხვადასხვა სტრუქტურების მეშვეობით უნდა დარეგულირდეს. მხოლოდ

საკანონმდებლო ბაზის (და ისიც არასრული სახით) შექმნით ქალთა უფლებები დაცული ვერ იქნება. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება და მათ შესრულებაზე მუდმივი კონტროლი.

საქართველოში, სადაც ყოველთვის სპეციფიკურია ქალის მიმართ დამოკიდებულება, ძნელია უცებ შეიცვალოს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული, ტრადიციული მიდგომები და ქალთა უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დაცვა განხორციელდეს, მაგრამ ეს პროცესი დღეს თუ არ დაიწყო, ხვალ იგივე პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით! სწორედ ამიტომ, თითოეული გამოთქმული აზრი თუ მოქმედება, რომელიც საქართველოში ქალთა პრობლემებს შეეხება დასაფასებელია და საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირებას საჭიროებს.

*ნატალია მაისურაძე*

**ერივლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი**

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ბოლო ცვლილებებით);
2. კრიმინოლოგია – ზოგადი ნაწილი, ზაურ წულაია, თბილისი 2003;
3. კრიმინოლოგია – თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი 2008;
4. კრიმინოლოგია – ირაკლი გოძიაშვილი, თბილისი 1998;
5. ინტერაითსი, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, ტრეინინგის მასალათა კრებული “კონსტიტუციის 42-ე მუხლი”;
6. კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ;
7. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
8. საქართველოს კანონი “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების” შესახებ, 2006 წელი;
9. კანონპროექტი “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების” შესახებ;
10. Франк А.В. Виктимология и Виктимность. Душанбе 1972.
11. Criminology, articles – volume 46, number 4, November 2008, The victimization – termination link
12. [http://www.allacademic.com/one/www/research/index.php?click\\_key=1&PHPSESSID=0177cee43220aa5a63202f028d287f00](http://www.allacademic.com/one/www/research/index.php?click_key=1&PHPSESSID=0177cee43220aa5a63202f028d287f00)
13. <http://www.news-medical.net/?id=22564>
14. <http://www.sciencedaily.com>
15. <http://www.ncvc.org/ncvc/main.aspx?dbName=DocumentViewer&DocumentID=32369#7>



## **ქალი და ვიქტიმოლოგიური პრობლემები საქართველოში**

### **რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომი ასახავს ქალის ვიქტიმოლოგიურ პრობლემებს საქართველოში. ქალის, როგორც დანაშაულის მსხვერპლის მიმართ საზოგადოების სოციალურ და სამართლებრივ მიდგომებს, ქვეყანაში არსებული ვითარების მოკლე მიმოხილვას ქალის მოტაცებასა და გაუპატიურების კუთხით და აღნიშნულ დანაშაულობათა ფსიქოლოგიურ - სისხლისსამართლებრივ დახასიათებას.

ნაშრომში ასევე მოიცემულია რეკომენდაციები, რომელიც მოიცავს საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ამაღლებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური მუშაობის განხორციელების საკითხებს.

*Наталья Маисурадзе*

## **Женщина и виктимологические проблемы в Грузии**

### **Резюме**

Представленная работа охватывает виктимологические проблемы женщин в Грузии. В ней затронуты вопросы социально–правового подхода к женщине, как к жертве преступлений, дается краткая характеристика существующего положения в отношении похищения и изнасилования женщин, а также уголовно–психологическая характеристика данных преступлений.

В работе предложены конкретные рекомендации, касающиеся вопросов повышения правового сознания общества и эффективного осуществления государственными структурами надлежащих мер по борьбе с преступностью относительно женщин.

*Natalia Maisuradze*

## **Women and victimology problems in Georgia**

### **Abstract**

The present work describes the women victimology problems in Georgia. It reviews the social and legal status towards the women who became victims of crime and provides for brief overview of the women kidnapping and rape occurrences in the country. The work also characterizes the psychological and criminal nature of such crimes.

This paper provides recommendations which aim for enhanced understanding of the legal aspect of such crimes in the society and it discusses the measures for the avoidance of such crimes to be implemented by state bodies in charge of such issues.

**საკანონმდებლო ხარვეზები – ქალთა პრობლემები საქართველოში**

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების რეალიზაციისაკენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მიმართულებით პირველადი მნიშვნელობისაა, რომ საქართველოს საზოგადოება და ხელისუფლება თანაბრად იზიარებდეს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას, როგორც აუცილებელ პირობას დემოკრატიული ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ადამიანის პოტენციალის მრავალმხრივი რეალიზაციისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალთა მდგომარეობას, პრიორიტეტულად კი იმ სფეროებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ფარული წინააღმდეგობა და ღიად დარჩენილი პრობლემები, საკანონმდებლო ხარვეზები, იქნება ეს ქალთა თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თუ ქალთა უფლებების დაცვის რეალური მექანიზმების შექმნა.

როცა ვსაუბრობთ ქალთა პრობლემებზე, უპირველესად მათი გამომწვევი მიზეზები და ამ მიზეზთა ‘წამახალისებელი’ მექანიზმებია გამოსავლენი. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს კანონმდებლობაზე, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან და ძალიან ხშირად გვევლინება როგორც ყველაზე დიდი და დაუძლეველი ბარიერი თანასწორობისა და ადამიანის უფლებების განხორციელებისას. საქართველოში დღემდე არ არის მიღებული კანონი “ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების” შესახებ, რაც მნიშვნელოვან წილად ხელს შეუწყობდა საქართველოში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ შესაძლებლობებს, მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ რგოლებში.

2006 წელს საქართველოში მიღებული კანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, ვერ უზრუნველყოფს ქალის, როგორც ძალადობის მსხვერპლის დაცვას და, ასევე ოჯახური ძალადობის დაშაულობის პრევენციას – მოსამზადებელია ცვლილებათა პაკეტი, რაც უზრუნველყოფს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რეალურ დაცვასა და ძალადობის პრევენციას.

სერიოზული ცვლილებებია შესატანი 2006 წელს მიღებულ შრომის კანონთა ახალ კოდექსში, რაც ასევე ხელს შეუწყობს ქალთა უფლებების ეფექტურ დაცვას შრომით ურთიერთობებში.

მნიშვნელოვანია უკვე მიღებულ კანონთა იმპლემენტაცია და სათანადო აღსრულება.

2003 წლის - საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის მე-3 მუხლში სამართლებრივად გაფორმდა “სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით”. ამ ფორმულირებით სახელმწიფომ თითქოს და აღიარა საეკლესიო ქორწინება და მიანიჭა მას სამართლებრივი სტატუსი, თუმცა ამ მუხლმა ვერავითარი განვრცობა ვერ ჰპოვა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში და

შესაბამისად, საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში. ამდენად, არსებული მდგომარეობით, ჯვრისწერა თავისთავად არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს. ხოლო ჯვრისწერის აღიარების “კანონმდებლობით დაგეგნილი წესი”, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღემდე დაუდგენელია.

არსებული გაუთვალისწინებლობა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ორგანულ კანონთან “ნორმატიული აქტების შესახებ”, რომელშიც ნათქვამია – “თითოეული ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც მასთან შედარებით აქვთ უპირატესი ძალა”.<sup>28</sup> საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქიის მიხედვით კი, კონსტიტუციური შეთანხმება არის ფაქტიურად კონსტიტუციის გაგრძელება. იგი იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ორგანული კანონი ან ასეთ კანონთა კრებული. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებულ საკონსტიტუციო შეთანხმებაში მოცემულ ნორმებს აუცილებლად უნდა გამოეწვია შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილში სადაც ქორწინების წარმოშობისა და შეწყვეტის პირობები და ასევე მისი შეწყვეტის შემდეგ დამდგარი სამართლებრივი შედეგებია არის გადმოცემული.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით იმატა იმ ბავშვთა რიცხვმა, რომლებიც დაიბადნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რაც თვითონ დეპარტამენტის კომენტარით, ნაწილობრივ აიხსნა იმით, რომ ქორწინებათა ნაწილის რეგისტრირება ხდება მხოლოდ კონფესიური წესით.

პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ დღეისათვის საქართველოში სასამართლო სისტემა შორს არის სრულყოფისაგან, ხოლო მოსამართლეთა უმრავლესობა ოჯახური დავების საქმეთა არსებითი განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ხშირად სარგებლობს მხოლოდ მშრალი ნორმებითა და არა ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებების შესწავლით.

ამ მიმართულებით, უპრიანი იქნებოდა თუ გაავითვალისწინებდით ევროპული სასამართლოებში არსებულ პრაქტიკას, ასევე სტრასბურგის სასამართლოს მიერ გაცემულ ოჯახის განმარტებებს, რომელიც ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და მოიცვა ასევე ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის. ამდენად, თუ პარტნიორებს არა აქვთ ფორმალური ურთიერთობა, შეადგენს თუ არა ასეთი ურთიერთობა ოჯახურ ცხოვრებას დამოკიდებულია იქნება ფაქტობრივ მდგომარეობაზე. ევროპულმა კომისიამ აღნიშნა, რომ ოჯახური ცხოვრების არსებობის საკითხი დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობების რეალურ არსებობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული “ოჯახური ცხოვრების” ცნება და უფლება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს დე-ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების რეგისტრაციის გარეშე.

<sup>28</sup> საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ. მუხ. 24.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვისას მიღებული დადგენილების საფუძველზე დაუქორწინებელ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობის ნორმალური განვითარება მოითხოვს, მათი შვილები იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომელშიც არიან დაქორწინებული მშობლების შვილები. მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული მდგომარეობის გამო, შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება იკრძალება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ადამიანი უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, დისკრიმინაციის აკრძალვის მე-14 მუხლთან ერთად.

შედეგად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ

- სახელმწიფოს მიერ არ ხორციელდება კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის იმპლიმენტაცია მოქმედ კანონმდებლობაში;
- ირღვევა კანონის “ნორმატიული აქტების შესახებ” 24-ე მუხლი;
- ხდება ეკლესიური წესით შექმნილი ოჯახების ფაქტობრივი დისკრიმინაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოებში დარეგისტრირებულ ოჯახებთან მიმართებაში;
- ირღვევა კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი პრინციპები ადამიანთა თანასწორობისა და თავისუფლებების შესახებ;
- სახელმწიფოს სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარეშე რჩებიან საზოგადოების წარმომადგენლები - ქალები და ბავშვები;
- ქალები და ბავშვები ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მაღალი რისკ ჯგუფის წარმომადგენლები;
- სასამართლო სისტემაში ხდება მშრალი ნორმებით ხელმძღვანელობა და არ ხდება საქმის განხილვა ყოველი კონკრეტული შემთხვევის ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს სასამართლოებში არ ხდება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დადგენილებებისა და ევროპული სასამართლოების გამოცდილებათა გაზიარება;

რეკომენდაციები

- განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი პროცედურა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჯვრისწერის შემდგომი რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში, რის საფუძველზეც დაქორწინების მსურველი პირების მიერ ჯვრისწერის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში გამარტივებული პროცედურით მოხდება მათი ქორწინების რეგისტრაცია.
- სახელმწიფომ, თავის მხრივ, საეკლესიო ფორმით ჩატარებულ ქორწინებაზე გაავრცელოს სამოქალაქო შედეგები ჯვრისწერის მომენტიდან (თუნდაც სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანომ რაიმე მიზეზის გამო ვერ განახორციელოს რეგისტრაცია მითითებულ ვადაში).
- შეიქმნას ოჯახის დახმარებისა და გადარჩენის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სახელმწიფო ცენტრები, სადაც შეიძლება მიმართონ ნებისმიერმა პიროვნებამ კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაციისათვის როგორც ოჯახში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე ოჯახის დარღვევის შემთხვევაში ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენის მიზნით. ხელი შეეწყოს ასეთ ცენტრებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეკლესიის წარმომადგენლის მონაწილეობის უზრუნველყოფას.
- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ეკლესიისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა.
- საკანონმდებლო ხარვეზი სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლთან მიმართებაში

1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ ისეთ მძიმე დანაშაული, როგორც არის არასრულწლოვანით ვაჭრობა (მუხ.172). წინამდებარე მუხლი განიხილავდა შემდეგ დანაშაულებრივ ქმედებებს:

- არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შეილად აყვანის მიზნით;
- არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, ანდა მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება;
- ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი: არაერთგზის, ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ, ჯგუფურად,

სამსხურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის მიზნით, დანაშაულებრივ ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმის მიზნით, დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის, ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

- ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია არასრულწლოვანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს განიხილავდა არასრულწლოვანით ყიდვას შვილად აყვანის მიზნით, დანარჩენ ნაწილებში გადმოცემულია არასრულწლოვანით ვაჭრობა კონკრეტული რაიმე მიზნის გარეშე თავისი დამამძიმებელი გარემოებებითა და მათთვის გათვალისწინებული შესაბამისი სანქციებით. რაკი დანაშაულის უშუალო ობიექტი იყო არასრულწლოვანის პირადი უფლებები და თავისუფლებები, მისი პიროვნების შეუვალობა, მისი უფლება, იზრდებოდეს მშობლიურ გარემოში, შესაბამისი მუხლი მოთავსებული იყო სსკ-ს 'ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში' (თავი 24-ე).

ჯერ კიდევ 1999 წლიდან მოყოლებული, 172-ე მუხლში კანონმდებელმა ნათლად განსაზღვრა, თუ ვინ არის დანაშაულის სუბიექტი. ეს იყო პირი, რომელიც ყიდულობდა არასრულწლოვანს შვილად აყვანის მიზნით, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებაში შედიოდა (ჩუქება და ა.შ.).

ამ მუხლის მიხედვით დანაშაულის სუბიექტი ისჯებოდა იმის გამო, რომ მან შესაბამისი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების უგელებელყოფით, და საზოგადოებისათვის მიუღებელი ფორმით გარკვეული ფულადი თანხის საფასურად, მოახდინა არასრულწლოვანის შვილება.

თუმცა, იმ პერიოდში განსაკუთრებით, საქართველოში შვილად აყვანის კანონიერ პროცედურაში საკმაოდ ბევრი ბიუროკრატიული ელემენტი იყო და მრავალი ხელოვნურად დამაბრკოლებელი გარემოება არსებობდა. ამის გამო უფრო გასაგებია, ზოგჯერ რატომ არიდებდნენ თავს თუნდაც საკმაოდ კეთილი მისიით განწყობილი ადამიანები სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობას. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიზანს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა კეთილშობილური სურვილი – შვილად აყვანათ და მიეცათ თავშესაფარი არასრულწლოვნისათვის, შეექმნათ აღზრდისა და განვითარებისათვის, ასევე საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის შესაფერისი პირობები, შეექმნათ მზრუნველი გარემო.

ასეა თუ ისე, იმ პიროვნების ბედი, ვინც ყიდულობდა არასრულწლოვანს, გასაგებია - იგი იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით ისჯებოდა (სსკ 172-ე მუხლი). მაგრამ გაურკვეველი იყო, თუ რა ბედი ეწეოდა მას, ვინც ამ გარიგების მეორე მხარეს წარმოადგენდა. ეი იმ პირს (მშობელი, მზრუნველი), ვინც მოახდინა არასრულწლოვანის გაყიდვა. კანონმდებლობაში მაშინ არ იყო ასახული, თუ რომელი მუხლით კვალიფიცირდებოდა კონკრეტული შემთხვევის დროს ყიდვა-გაყიდვის მეორე მხარე.

პარალელის გასაგებებად, ასეთივე გაუგებარობა შეიქმნებოდა, რომ სსკ-ის თანამდებობრივ დანაშაულში მარტო გათვალისწინებული ყოფილიყო ქრთამის ამღები და ყურადღება არ მიექციათ ქრთამის მიმცემისათვის. (ასევე შეიძლება სხვა მაგალითების მოტანაც).

არის თუ არა არასრულწლოვნის გამყიდველი დამნაშავე?

რადგან იმ დროს საკანონმდებლო სივრცეში შეიღად აყვანის მიზნით არასრულწლოვნის გამყიდველის ქმედების მაკვალიფიცირებელი მუხლი არ არსებობდა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეთი ქმედება დასჯადი არ უნდა იყოს?

თუ:

- არასრულწლოვნის გამყიდველი, თუნდაც გაუსაძლისი მატერიალური და სოციალური, ასევე სხვა ოჯახური პირობების გამოისობით, ფულადი ან სხვა ანაზღაურების სანაცვლოდ მაინც მზადაა გაასხვისოს ადამიანი;
- არასრულწლოვნის გამყიდველი, ახდენს არასრულწლოვნის პირადი უფლებებისა და კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებების უგულებელყოფას;
- არასრულწლოვნის გამყიდველი, ფაქტიურად თავიდან იცილებს მშობლის მოვალეობას, იტვირთოს შვილის აღზრდა;
- შედეგად ბავშვს ან მოზარდს ესპობა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ (თუნდაც თავისივე სურვილით) მშობლიურ გარემოში არსებობის უფლება;

თუ მორალურად და ზნეობრივად ჩვენი საზოგადოებისათვის ყოველად მიუღებელ ასეთ მოქმედებას კანონმდებელი ამართლებდა, მაშინ, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დაისაჯოს მხოლოდ ის პიროვნება, ვინც უანგაროდ, მხოლოდ შეიღად აყვანის მიზნით მიიღო, შეიფარა არასრულწლოვანი და ვინც მხოლოდ იმის გულისთვის რომ იგი (არასრულწლოვანი) გადასულიყო მისი აღზრდისა და განვითარებისათვის უფრო შესაფერის პირობებში - გარკვეული თანხაც კი გადაიხადა, თუნდაც უკანონოდ, მაგრამ მაინც არასრულწლოვნის საკეთილდღეოდ.

ცნობილია, რომ სასამართლო პრაქტიკაში, როდესაც საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან, ე.ი. არ არსებობს კონკრეტული ქმედების მაკვალიფიცირებელი ან მარეგულირებელი ნორმა, ძალაში შედის კანონის ანალოგია ან სამართლის ანალოგია, ე.ი. საქმის განხილვის დროს, ეს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მსგავსი ქმედების მარეგულირებელი ნორმით. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში არსად არ არის მითითებული იმ პერიოდის არსებულ სიტუაციაში კანონის ანალოგიის გამოყენების შესახებ.

უფრო სავარაუდოა, რომ სასამართლო 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულში მონაწილე გამყიდველს ან საერთოდ არ სჯიდა,

ან მის მოქმედებას აკვალიფიცირებდა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, სადაც პირდაპირ არის ხსენებული არასრულწლოვანის გაყიდვა.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანით ვაჭრობა, როგორც ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი ფორმა, დიდი ხანია რაც უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოსათვის.

საქართველომ, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სამწუხაროდ გვერდი ვერ აუარა ამ ტრანსნაციონალურ დანაშაულს. ინსტიტუციონალური რეფორმებისა და სამართლებრივი გარდაქმნების პროცესში მყოფი და ტერიტორიული კონფლიქტების წინაშე მდგარი ქვეყანა მოუშზადებელი აღმოჩნდა ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის განსახორციელებლად. მომხდარმა, რა თქმა უნდა, საკმაოდ ნეგატიურად იმოქმედა საქართველოს საგარეო იმიჯზე. 2003 წლის 11 ივნისის აშშ-ს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის თანახმად, საქართველო მოხვდა ტრეფიკინგთან ბრძოლის მიხედვით (პრევენციის, სასამართლო დევნისა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმების) ქვეყანათა მე-3 ყველაზე დაბალ კატეგორიაში, ისეთ ქვეყნებს შორის როგორებიცაა ყაზახეთი, საბერძნეთი, ჰაიტი, ბირმა, კუბა, ნიგერია, ჩრდილო კორეა, სუდანი და ა.შ. (სულ 15 ქვეყანა).

ამის შემდგომ, საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა დაიწყო და სამი თვის შემდეგ საქართველომ მე-3 კატეგორიაში არსებულ 10 ქვეყანასთან ერთად სწრაფადვე გადაინაცვლა ტრეფიკინგთან მებრძოლი ქვეყნების მე-2 კატეგორიაში (2003 წლის 10 სექტემბერი). აღნიშნულმა პროცესმა ასახვა ჰპოვა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაშიც.

2006 წლის აპრილში მიღებულ იქნა კანონი 'ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ', რომელმაც განსაზღვრა საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ორგანიზაციული საფუძვლები. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებები, ვალდებულებები და საქმიანობის კოორდინაციის წესი, აგრეთვე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

2006 წლის ივლისში სსკ-ის თავში 'დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ' შეტანილი იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები. კოდექსში ფართოდ განსაზღვრა ადამიანით ვაჭრობის, ტრეფიკინგის ცნება (მუხ 143<sup>1</sup>), მუხლის მიხედვით ტრეფიკინგად ითვლება –

'ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწყო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირთა თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანების გადაბირება, გადაყვანა, შეფარება ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით'.

არასრულწლოვანებთან მიმართებაში კოდექსში ცალკე გამოიყო მუხლი 'არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)' (143<sup>2</sup> მუხ.), რომელშიც ფაქტობრივად



აისახა ზემოთხსენებული 172-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები. 172-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ზემოთხსენებული პუნქტები და ამიტომაც მასში დარჩა მხოლოდ პირველი ნაწილი - 'არასრულწლოვნის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით'.

დღევანდელი სსკ-ს მიხედვით 172-ე მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

'არასრულწლოვანის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით,

- ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე'.

არის თუ არა არასრულწლოვნის გაყიდვა შვილად აყვანის მიზნით ტრეფიკინგი?

სამწუხაროდ, ქართველი კანონმდებელი იმდენად ჩქარობდა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, რათა:

- საკანონმდებლო დონეზე მოცემულ ვადაში ეჩვენებინა ტრეფიკინგთან ბრძოლაში პროგრესის ნიშნები;
- დაეკმაყოფილებინა მონიტორინგის ჯგუფის მოთხოვნები;
- შეესრულებინა საქართველოს მე-2 კატეგორიაში ადგილის შესანარჩუნებელი პირობების მაქსიმუმი;

რომ დაავიწყდა არსებული სს კანონმდებლობაში გარკვეული კანონზომიერებების დაცვის აუცილებლობა და ყურადღების გარეშე დატოვა ის ხარვეზი, რომელიც უკვე არსებობდა 172 მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებაში.

დღემდე ღიად რჩება კითხვა: როგორ ისჯება არასრულწლოვანის გამყიდველი შვილად აყვანის მიზნით?

სისხლის სამართლის კოდექსისი 172-ე მუხლის მე-2, მე-3, და მე-4 ნაწილების გაუქმების შემდეგ (რომლებიც აისახა ტრეფიკინგის მუხლში), საქართველოს სსკ-ში ერთადერთი მუხლი, სადაც საუბარია არასრულწლოვანით უკანონო ვაჭრობაზე არის 143<sup>2</sup> – მუხლი არასრულწლოვანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ, რომ არასრულწლოვანის გამყიდველი ზემოთხსენებულ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს ტრეფიკინგის მუხლით. ვარაუდის დასამტკიცებლად ბუნებრივია, ჩნდება კითხვა - არის თუ არა არასრულწლოვანით უკანონო ვაჭრობა შვილად აყვანის მიზნით ტრეფიკინგი?

აქ ჩვენი კანონმდებლობის წყალობით, გამოიკვეთა ასეთი საკანონმდებლო ხარვეზი:

- მიუხედავად რიგი მსგავსებისა, ტრეფიკინგსა და მოცემულ დანაშაულს შორის, ტრეფიკინგს ახასიათებს გამოკვეთილი ექსპლოატაციის მიზანი, რაც

ძირითადია ამ დანაშაულის კვალიფიკაციისას.

- მეორე დანაშაულის შემთხვევაში (არასრულწლოვანის გაყიდვა შვილად აყვანის მიზნით, 172-ე მუხლი), არასრულწლოვანის გაყიდვის ასეთ ფორმას აქვს აშკარად გამოკვეთილი ტრეფიკინგისაგან განსხვავებული მიზანი, რომელიც შვილად აყვანაში გამოიხატება.

კიდევ ერთი შეუსაბამობა, რასაც შეიძლება შევხვდეთ ზემოთხსენებული დანაშაულის ტრეფიკინგად ჩასათვლელად:

ახლანდელი მდგომარეობით ერთი და იგივე დანაშაულის სხვადასხვა სუბიექტი, იმავდროულად გამოდის ორი სხვადასხვა დანაშაულის სუბიექტი, რომლებიც შესაბამისად, დაისჯებიან სხვადასხვა დანაშაულებისათვის:

- თუ პირი, რომელიც არის უშუალო გამყიდველი, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება 143<sup>ე</sup> მუხლით და დაისჯება როგორც მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი.
- ხოლო მყიდველის ქმედება დაკვალიფიცირდება 172 მუხლით და შესაბამისად დაისჯება, როგორც მსუბუქი დანაშაულის ჩამდენი პირი.

აქ ვაწყდებით საკმაოდ აბსურდულ სურათს დანაშაულის ძირითად სუბიექტებთან მიმართებაში.

ასეთ სიტუაციაში ასევე საინტერესო გასარკვევი იქნება, ამ დანაშაულის თანამონაწილეების ბედი, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ ან სხვადასხვა ფორმით ხელს უწყობდნენ დანაშაულს. როგორ დაისჯებიან ისინი, როგორც გაყიდვაში თანამონაწილეები (ე.ი. 143<sup>ე</sup> მუხლით), თუ ყიდვაში თანამონაწილეები (172-ე მუხლით).

გშიშობთ, ამ სიტუაციაში მოსამართლე ამოუხსნელი დილემის წინაშე აღმოჩნდება, ან 'ამოხსნის დილემას' კანონის წინაშე თანასწორობის აშკარა დარღვევით და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის აშკარა უგულებელყოფით.

დასასრულს დავძენთ, მსჯელობის მიზანს არ წარმოადგენს არასრულწლოვანის უკანონოდ გამყიდველის რაიმე გზით გამართლება, ან მისი უდანაშაულობის მტკიცება, ჩვენი მიზანია, დამნაშავე დაისაჯოს მის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედების ადეკვატურად. არ შეიძლება პიროვნებას პასუხი ვაგებინოთ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

რეკომენდაციები:

- დაუშვებელია ერთი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ყურადღების მიღმა დავტოვოთ სხვა დანაშაულებრივი ქმედებები; ყველა დანაშაული უნდა სათანადოდ აღნუსხული და დაკვალიფიცირებული იყოს საქართველოს მოქმედ სს კანონმდებლობაში;

- არასრულწლოვანის უკანონო გაყიდვა შვილად აყვანის მიზნით არ არის ტრეფიკინგი, არამედ დამოუკიდებელი და იგი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ში;
- არასრულწლოვანის უკანონოდ ყიდვა-გაყიდვის სუბიექტთა დანაშაულებრიობის ხარისხის განსხვავების გათვალისწინებით, სსკ-ში ჩამოყალიბდეს ორი დამოუკიდებელი მუხლი, რომელიც ცალ-ცალკე განსაზღვრავს როგორც არასრულწლოვანის გამყიდველის, ასევე მყიდველის დანაშაულის ხარისხსა და შესაბამისი სასჯელის ზომას.

*ნინო ციხისთავი*

**“კავკასიის ქალთა ქსელი” თავმჯდომარე**

*ნინო ციხისთავი*

### **საკანონმდებლო ხარვეზები – ქალთა პრობლემები საქართველოში**

#### **რეზიუმე**

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის დახასიათება, აღნიშნულია, რომ იგი მიმართული უნდა იყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების რეალიზაციისაკენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საუბარია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არსებულ ხარვეზებზე, რომელიც შეეხება გენდერულ პრობლემებს და რომელიც ხელის შემშლელი ფაქტორია მათი დარეგულირების საკითხში.

ყურადღება გამახვილებულია ჯვრისწერის სამართლებრივ რეგულირებაზე, რომელიც არ წარმოშობს იურიდიულ უფლებამოვალეობებსა და ეს განხილულია, როგორც კონსტიტუციური შეთანხმების პირდაპირი დარღვევა.

ნაშრომი ასევე შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლთა და არასრულწლოვანთა პრობლემებს საქართველოში.

დასკვნის სახით კი მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც ავტორის აზრით, დაეხმარება ქვეყანას დღეს არსებული პრობლემების დარეგულირებასა და მათ პრევენციაში.

## **Недостатки законодательства – проблемы женщин в Грузии**

### **Резюме**

В представленной работе дана характеристика современной государственной политики Грузии. Указано, что она должна быть направлена на равенство женщины и мужчины, устранение дискриминации, улучшение социальных условий и реализацию возможностей женщин и мужчин в общественной и политической жизни.

Разговор идет о существующих недостатках в законодательстве, которые касаются гендерных проблем и которые являются мешающим фактором в их урегулировании.

Особое внимание уделено правовому регулированию венчания, которое не порождает юридических прав и обязанностей, что рассматривается как прямое нарушение конституционного договора.

Статья также касается жертв траффинга и проблем несовершеннолетних в Грузии.

В виде заключения даны рекомендации, которые по мнению автора, помогут стране в урегулировании и превенции сегодняшних проблем.

*Nino Tsikhistavi*

## **Legislative blunder – problems of women in Georgia**

### **Abstract**

In the presented work is given characteristic of Georgian modern state policy. It is specified, that it should be directed on equality of the woman and the man, elimination of discrimination, improvement of social conditions and realization of opportunities of women and men in a public and political life.

Discussion goes about existing lacks in legislation concerning gender problems that are the disturbing factor in their settlement.

The special attention is given to legal regulation of wedding which does not generate the legal rights and duties, so is considered as direct infringement of the concordat.

Clause also concerns victims of trafficking and problems of juveniles in Georgia.

In the form of the conclusion are given recommendations that, in opinion of the author, will help the country with settlement and prevention today's problems.

### კიბერძალადობა ქალებზე

XX საუკუნის 40-იანი წლები ინფორმაციული საზოგადოების დასაბამი გახდა. ინფორმაციული საზოგადოებისათვის, როგორც ცივილიზაციის განვითარების ახალი ეტაპისათვის, წარმოების მთავარ პროდუქტად გამოდის ცოდნა და ინფორმაცია. კაცობრიობას, ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით, მიეცა ინფორმაციის მიღების, გაცვლის თუ წარმოების აქამდე არნახული შესაძლებლობები. ასეთმა ფართო შესაძლებლობებმა, რაღა თქმა უნდა გულგრილი არც კრიმინალები დატოვეს. ინფორმაციულმა საზოგადოებამ დადებითი შედეგების გარდა, წარმოშვა ახალი ტიპის დანაშაულები ან უკვე ცნობილი დანაშაულები ახალ ჭრილში წარმოაჩინა, რომელთათვის საერთო სახელწოდებაა “კომპიუტერული დანაშაული” ან “კიბერდანაშაული”.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ კომპიუტერულ დანაშაულზე, პირველი რაც მოგვდის თავში – და რაც ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაშია ჩადებული - არის თაღლითობები, საკრედიტო ბარათების მონაცემების მოპარვა, ჰაკერობა და ა.შ. კომპიუტერული დანაშაულები, როგორც წესი სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: ესენი არიან 1) კიბერდანაშაულები, მიმართული ადამიანების წინააღმდეგ (როგორცაა, მაგალითად მეძიებლობა სქესობრივ ნიადაგზე - ჰარასმენტი), 2) საკუთრების წინააღმდეგ (სხვა დასხვა ტიპის ფინანსური ინფორმაციის მოპარვა), 3) სახელმწიფოს წინააღმდეგ (კიბერტერორიზმი).<sup>29</sup>

ქალების პროცენტული წილი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული კიბერდანაშაულების მსხვერპლებს შორის ძალზედ დიდია. ინტერნეტში ჰარასმენტების, აგრესიული ყოფაცხევის, მიკვლევის, ბილწსიტყვაობის თუ დადებული ცილისწამებლური სურათების 95% არის ქალების წინააღმდეგ მიმართული და მომდინარეობს მათი ამჟამინდელი თუ ყოფილი პარტნიორებისაგან. საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებში ხშირია ქალების საჩივრები იმის თაობაზე, რომ ვიღაცამ გადააკეთა მათი სურათები და რეალურ ტელეფონის ნომერთან ერთად დადო სხვადასხვა ტიპის პორნო პორტალებზე, რის შედეგაც დაიწყო შეურაცხმყოფელი ხასიათის ზარების ან მოკლე ტექსტური შეტყობინებების შემოსვლა მსხვერპლის ტელეფონზე. გარდა ამისა ხშირია სხვადასხვა საიტზე, ყველაზე ხშირად სოციალური ქსელების საიტებზე, ქალების ანგარიშების გატეხვა მათზე შეურაცხმყოფელი თუ სახელის გამტეხი სურათების ანდა ინფორმაციის დადების მიზნით. ბევრი სხვა ტექნოლოგიაც, როგორცაა “შპიონი პროგრამები, “ვებკამერები და ა.შ. გამოიყენება ქალზე ძალადობის განსახორციელებლად.<sup>30</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სრულყოფის სპეციალურმა კომიტეტმა, ადამიანთა არალეგალური გადაყვანის პროფილაქტიკის, მისი აღკვეთისა და შესაბამისი სასჯელის შესახებ ოქმში განიმარტა, რომ ტრეფიკინგის განხორციელების ერთ-ერთი მიზანია პროსტიტუცია და ქალის ან ბავშვის

<sup>29</sup> Flavia Fascendini. Cybercrime legislations and gender. [www.genderit.org](http://www.genderit.org)

<sup>30</sup> Rodríguez Calderón, Mirta: “Las TIC: Nuevos escenarios de violencia contra la mujer”, SEMlac, Cuba, Octubre de 2007.

სექსუალური ექსპლოატაციის სხვადასხვა ფორმები, თუნდაც მათი თანხმობის შემთხვევაში.<sup>31</sup>

სექსუალური ექსპლოატაციის ფორმებად შეიძლება მოგვევლინოს აგრეთვე ეროტიკა და პორნოგრაფია.<sup>32</sup> ის ტრეფიკორები, რომელთა საქმიანობის საბოლოო მიზანია ქალთა სექსუალური ექსპლოატაცია, შეუძლიათ ძალიან ფართოდ გამოიყენონ ინტერნეტი, როგორც პორნოგრაფიის გასავრცელებლად, ისე კიბერსექსის ორგანიზაციისათვის. ექსპლუატატორს შეუძლია მოიძიოს კლიენტები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და საკმარისია მაუსის რამდენიმე კლიკი ან რამოდენიმე კლავიშის დაჭერა დანაშაულებრივი გარიგების დასადგებად. საერთოდ პორნოგრაფიის მესვეურნი ყოველთვის პირველნი არიან ახალი ტექნოლოგიების ათვისებისას (ფოტოგრაფია, ვიდეო, ინტერნეტი და ა.შ.). რიგი სპეციალისტების აზრით, პორნოგრაფიის ინდუსტრია ინტერნეტში XX საუკუნის ბოლოსთვის უკვე 1 ბილიონ დოლარს აღწევდა.<sup>33</sup>

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც კიბერდამნაშავეები ქალებს უქმნიან ეს არის კიბერ-მიკვლევა (cyberstalking – კიბერსტალკინგი).<sup>34</sup> მართალია კიბერმიკვლევისათვის არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ცნება, მაგრამ როგორც წესი ამ ტერმინს უწოდებენ ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებას სხვა პიროვნების მიკვლევისათვის, მისი შეწუხების და შეშინებისათვის. ზოგადად, მიკვლევა გულისხმობს მუდმივ ჰარასმენტს ან დამუქრებას, რაც გამოიხატება პირის მიდევნებაში, მის სახლში ან სამსახურში გამოჩენაში, შეურაცხყოფელი და შემაწუხებელი სატელეფონო ზარების გაკეთებაში, ამავე ხასიათის წერილების თუ საგნების დატოვებაში, პიროვნების საკუთრების განდაღურად დაზიანებაში.

მართალია ინტერნეტში არსებულ საფრთხეებს მრავალი ფორმა აქვს, მაგრამ კიბერ-მიკვლევას ბევრი საერთო გააჩნია ჩვეულებრივ მიკვლევასთან. ამ ტიპის დამნაშავეებს (მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი რეალობაში თუ ვირტუალ რეალობაში) ამოძრავებთ ერთი და იგივე მოთხოვნილება: განამტკიცონ საკუთარი კონტროლი მსხვერპლზე. ისევ როგორც რეალურ ცხოვრებაში, ვირტუალურ რეალობაშიც მიმკვლევეების უდიდესი უმრავლესობა არიან მამაკაცები, ხოლო მათი მსხვერპლნი კი ქალები. თუმცა ცნობილია შემთხვევები როდესაც ამ ტიპის ძალადობა განუხორციელებია ქალს მამაკაცზე ან ერთი სქესის წარმომადგენლებს ერთმანეთზე. უმეტეს შემთხვევაში კიბერმიკვლევა წარმოიშობა ძველ ნაცნობებს შორის, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ცდილობს ურთიერთობების შეწყვეტას. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამგვარ ძალადობას ახორციელებს მსხვერპლისათვის სრულიად უცნობი პიროვნება.

კიბერმიკვლევის განხორციელება შედარებით ადვილია, არ არის აუცილებელი ფიზიკური კონტაქტი მსხვერპლთან. ინტერნეტი შეიცავს საკმაოდ ინფორმაციას, მათ შორის დამნაშავის მომავალ მსხვერპლზეც, და ეს ინფორმაცია რამოდენიმე წამში იქნება ბოროტმოქმედთან. ის ფაქტი, რომ კიბერმიკვლევისათვის არ არის საჭირო ფიზიკური კონტაქტი არ ნიშნავს იმას, რომ კიბერმიკვლევა ჩვეულებრივ

<sup>31</sup> Draft protocol to suppress and punish trafficking in persons especially women and children supp. Vienna. October 1999

<sup>32</sup> გიორგი ღლონტი. ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში. თბილისი. 2005 გვ. 91

<sup>33</sup> Sex on the Internet: Observations and Implications for Internet Sex Addiction. Mark Griffiths. Nottingham Trent University, United Kingdom

<sup>34</sup> Cyberstalking: A New Challenge for Law Enforcement and Industry. A Report from the Attorney General to the Vice President. August 1999

მიკვლევაზე ნაკლები საშიშროების შემცველი დანაშაულია. ეს ყოველთვის ასე არ არის. ვინაიდან ინტერნეტი და სხვა კომპიუტერული ტექნოლოგიები დროთა განმავლობაში უფრო მეტ ადგილს იკავებენ ადამიანის პირად ცხოვრებაში თუ პროფესიულ საქმიანობაში. მიმკვლევეებს შეუძლიათ გამოიყენონ კომუნიკაციის სიადვილის და პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომის გაზრდილი შესაძლებლობა, რაც საბოლოო ჯამში კიბერმიკვლევას წარმოშობს. გარდა ამისა პოტენციურ დამნაშავეს შეიძლება არ სურდეს ან არ შეეძლოს პირადად დაუპირისპირდეს თავის მსხვერპლს, მაგრამ ინტერნეტს გააჩნია იმპერსონალიზაციის თვისება და ამიტომ ბოროტმოქმედი უფრო თავისუფლად გააგზავნის შემავსებელ და მუქარის შემცველ შეტყობინებებს თავის მსხვერპლთან. და ბოლოს კიბერმიკვლევა, როგორც ჩვეულებრივი მიკვლევა, შეიძლება გახდეს ბევრად უფრო საშიში ქცევის წინამორბედიც, მაგალითად ფიზიკური ანგარიშსწორების.

ჩვეულებრივ და კიბერმიკვლევას შორის ბევრი საერთოა:

- უმრავლეს შემთხვევაში მიკვლევა ხდება ნაცნობებს შორის, თუმცა უცხოებს შორის ასეთი სიტუაცია წარმოიშობა, როგორც რეალურ ისე კიბერსამყაროში.
- მსხვერპლთა უმრავლესობა არიან ქალები, ხოლო მიმკვლევეების – მამაკაცები.
- მიმკვლევეები მოტივირებული არიან მსხვერპლზე თავიათნი კონტროლის დაწესებით

ძირითადი განასხვავება კი შემდეგში მდგომარეობს: ჩვეულებრივი მიკვლევა საჭიროებს ბოროტმოქმედის და მსხვერპლის ერთ გეოგრაფიულ არეალში ყოფნას, როდესაც კიბერმიკვლევის დროს ისინი შეიძლება იმყოფებოდნენ დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რაც რა თქმა უნდა უადვილებს ბოროტმოქმედს დანაშაულებრივ საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ და კიბერმიკვლევას შორის ძალიან ბევრი საერთოა, ინტერნეტი და სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კიბერდამნაშავეებს ახალ გზებს უხსნიან საკუთარი მსხვერპლის დევნისათვის. კიბერდამნაშავეს შეუძლია ჩართოს მესამე მხარე თავისი მსხვერპლის მიკვლევაში, ჩატებში თუ ფორუმებზე მსხვერპლის სახელით პროვოკაციული შეტყობინებების დატოვებით. ასეთი შეტყობინებები კეთდება მსხვერპლის რეალური ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის თუ სხვა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, რაც იწვევს სხვა მომხმარებლების მხრიდან საპასუხო რეაქციას, ოღონდ მიმართულს კიბერმიკვლევის მსხვერპლისადმი. კიბერმიკვლევს შეუძლია მეძიებლური თუ მუქარის შემცველი შეტყობინებების განმეორებით გაგზავნა ღილაკზე მარტივი დაჭერით, უფრო დახვეწილი დამნაშავეები იყენებენ სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას ამდაგვარი შეტყობინებების გასაგზავნად, რაც უზრუნველყოფს მსხვერპლის რეგულარულ შეწუხებას, მაშინაც კი როცა ბოროტმოქმედი არც კი იმყოფება კომპიუტერთან ან სხვა ელექტრონულ მოწყობილობასთან. თითოეული შეტყობინება, მიუხედავად იმისა მომდინარეობს ის საკუთრივ კიბერმიკვლევის თუ მის ხელში ბრმა იარაღად ქცეული სხვა პირებისაგან – განზრახულ გავლენას ახდენს მსხვერპლზე, მაგრამ ბოროტმოქმედის შრომა მინიმალური იქნება. ხოლო ბოროტმოქმედსა და მსხვერპლს შორის ფიზიკური კონტაქტის არარსებობა ხელს უშლის სამართალდამცველებს დამრღვევის იდენტიფიკაციაში, აღმოჩენაში და დაკავებაში.

სუსტი სქესის წარმომადგენლები აგრეთვე ინტერნეტ-თადლითების ყველაზე ხშირი სამი ნეები არიან. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ “Affinion Security Center”-ის სპეციალისტებმა, მასშტაბური სოციალური გამოკვლევის შედეგების გაანალიზების

შემდეგ. მკვლევარებმა, აგრეთვე გაარკვიეს, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტ დროს ხარჯავენ კომპიუტერულ სფეროში აღმოცენებული პრობლემის გადასაწყვეტად, თუმცა შემდგომში უსაფრთხოების ზომების დაცვას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ.

2009 წლის გაზაფხულზე ტელეფონით ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 800-ზე მეტმა ამერიკულმა სახლის მეურნეობამ. აღმოჩნდა, რომ ქალების 28%-ს და მამაკაცების 21%-ს უკვე ჰქონდა კიბერდამნაშავეებთან შეხება. ეს ციფრები ემთხვევა 2009 წლის თებერვალში კალიფორნიელი კომპანია Javelin Research-ის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგებს. Affinion Security Center-ის ანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ ქალ-მსხვერპლთა 17%-მა კიბერ თაღლითობების შედეგად მატერიალურად იზარაღეს არანაკლებ 1000 ამერიკული დოლარის ოდენობით, და მათმა უმეტესობამ ვერც შეძლო ამ თანხების დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევის თანახმად კიბერთაღლითების მსხვერპლი მამაკაცთა მხოლოდ 10% გახდა. ქალების უმრავლესობისათვის საიდენტიფიკაციო მონაცემების დაკარგვა ან ამ დაკარგვის შესაძლებლობაც კი სერიოზული შეშფოთების საფუძველი ხდება. გამოკითხვაში მონაწილე ქალბატონების 80%-მა განაცხადა, რომ მათ ხაკერების ეშინიათ უფრო მეტად ვიდრე ბინის ქურდების ან მანქანის გამტაცებლების. ამავე დროს, ანალოგიური შიში მამაკაცების მხოლოდ 60% გააჩნია. მკვლევარებმა ასევე სთხოვეს რესპოდენტებს განმარტონ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ინფორმაციის მოპარვამ ქსელში მათ შემდგომ ქცევაზე. ქალების უმრავლესობამ, განაცხადა, რომ ინფორმაციის მოპარვამ ისინი უფრო ფრთხილნი გახადეს. გამოკითხული ქალების 7% უარი თქვეს ინტერნეტ-მაღაზიების გამოყენებაზე, როდესაც მამაკაცებს შორის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2% შეადგენს.<sup>35</sup>

კიბერძალადობასთან, ისევე როგორც, კიბერდამნაშაულობის ნებისმიერ სხვა სახეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელია კიბერდამნაშაულობაზე საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება.

*რომან ჯახიაშვილი*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი**

**იურიდიული ფაკულტეტი, დოქტორანტი**

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. გიორგი ღლონტი. ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში. თბილისი. 2005
3. კრიმინოლოგია და სამართალდამცავი სისტემა საქართველოში. თბილისი. 2008
4. Flavia Fascendini. Cybercrime legislations and gender
5. Draft protocol to suppress and punish trafficking in persons especially women and children supp. Vienna. October 1999

<sup>35</sup> [http://www.affinionsecuritycenter.com/resource\\_center/](http://www.affinionsecuritycenter.com/resource_center/)



6. Sex on the Internet: Observations and Implications for Internet Sex Addiction. Mark Griffiths. Nottingham Trent University, United Kingdom.
7. Cyberstalking: A New Challenge for Law Enforcement and Industry. A Report from the Attorney General to the Vice President. August 1999
8. <http://www.usdoj.gov/criminal/cybercrime/>
9. <http://www.apc.org/en/news/gender/all/>
10. <http://www.securitylab.ru>
11. <http://www.genderit.org>
12. <http://www.cyberstalked.org>

*რომან ჯახიაშვილი*

## კიბერძალადობა ქალებზე

### რეზიუმე

მოცემულ სტატიაში ავტორი ჩამოთვლის და ანალიზებს ქალებზე ძალადობის ახალ ფორმებს, რომლებიც გაჩნდნენ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად.

ავტორის აზრით, კიბერძალადობასთან, ისევე როგორც, კიბერდანაშაულობის ნებისმიერ სხვა სახეობასთან ბრძოლისათვის აუცილებელია კიბერდანაშაულობაზე საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება.

*რომან ჯახიაშვილი*

## Кибернасилие над женщинами

### Резюме

В данной статье автор перечисляет и анализирует новые формы насилия над женщинами, которые появились в результате развития информационных технологий.

По мнению автора, для успешной борьбы с кибернасилием, как и с любой другим видом киберпреступности, необходимо повысить уровень информированности общества о киберпреступности, совершенствовать законодательную базу, а также повышать квалификацию сотрудников правоохранительных органов.

*Roman Jakhiaashvili*

## Cyber-violence on women

### Abstract

In the above mentioned article author speaks about and analyses several new forms of violence that are conducted against women that emerged due to the evolution of IT technologies.

According to the author, in the fight against cyber-violence, as to against any other form of cyber crime it is vital to raise awareness in the society about this kind of crime, to develop legislative base and to elevate qualification of law enforcement agencies.

### ქალი – ოჯახური ძალადობის მსხვერპლი

ოჯახური ძალადობა საზოგადოების ცხოვრების არაჯანსაღ და მანკიერ მხარეს წარმოადგენს. ოჯახი, როგორც სახელმწიფოს დასაყრდენი ძირითადი უჯრედი, გვევლინება ამ უკანასკნელის სიძლიერის გამომხატველად, ამიტომ ძალადობა ოჯახში უნდა განიხილებოდეს არამარტო კონკრეტული ოჯახის პრობლემად, არამედ მთლიანად საზოგადოების.

მრავალი წლის მანძილზე ოჯახური ძალადობა ტაბუდადებული თემა იყო. მასზე საუბარი და მის წინააღმდეგ ბრძოლა კი განიხილებოდა როგორც ადამიანთა პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევა. ასევე მიიჩნეოდა, რომ ოჯახის პრობლემების (მათ შორის ძალადობის) დღის სინათლეზე გამოტანა და განხილვა წარმოადგენდა ამ ოჯახის წევრთა პირადი ცხოვრებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარღვევას.

ოჯახური ძალადობა არ არის მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების პრობლემა, მას საკმაოდ ღრმა ფესვები გააჩნია წარსულში. ძველი ხელნაწერების გადახედვისას (ძველი რომის იმპერიიდან, ან შუა საუკუნეების ჩანაწერებიდან) შევხვდებით ოჯახური ძალადობის ფაქტებს.

ზოგადად, ოჯახური ძალადობა არ ცნობს კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ საზღვრებს. იგი ნებისმიერ საზოგადოებაში გვხვდება, თუმცა საზოგადოება ხშირად ამ პრობლემის რეალურ მასშტაბებს თვალს არიდებს და მათთვის ბევრად ადვილია ჩათვალოს, რომ ოჯახში მხოლოდ ღოთი, ნარკომანი ან ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანები ძალადობენ, თუმცა ნიშანდობლივია, ყველამ გაითავისოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა საზოგადოების ყველა ფენაში ვლინდება, თანაბრად ეხება როგორც განათლებულ, ასევე შედარებით განათლების დაბალ საფეხურზე მყოფთ.

როგორც აღვნიშნე, ოჯახური ძალადობა თავისი შინაარსითა და სიღრმით საკმაოდ რთული პრობლემაა, ამიტომ მისი ზუსტი დეფინიციის ჩამოყალიბება შეუძლებელია. თუმცა მისი ძირითადი მახასიათებლებიდან გამომდინარე შეიძლება განვმარტოთ, რომ ოჯახური ძალადობა წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით,<sup>36</sup> რომელსაც ახასიათებს განმეორებადი ციკლი.

კვლევებით დადგინდა, რომ მრავალ დანაშაულთა შორის ოჯახურ ძალადობას ყველაზე განმეორებადი ხასიათი გააჩნია და ხშირად მოძალადედ მამაკაცი გვევლინება, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი თავად მამაკაცი გახდეს. მსხვერპლთა ჩამონათვალი ამით არ ამოიწურება და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ასევე შეიძლება იყვნენ ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები და შედარებით ნაკლებად დაცული პირები. ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს ქმრის ძალადობა მეუღლეზე და მშობლების შვილებზე.

<sup>36</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“, მუხლი მე-3, 2006 წლის 25 მაისი;

საზოგადოების მიდგომა აღნიშნული პრობლემის მიმართ არაერთგვაროვანია. ხშირად მოძალადის ქმედებას უმუშევრობით, ეკონომიკური კრიზისით, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედებით, მძიმე ბავშვობით და მრავალი სხვა კრიტერიუმებით „ამართლებენ“. სწორედაც რომ ასეთი მიდგომა და მოძალადის ერთგვარი „გამართლება,“ უარყოფითად მოქმედებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხშირად საზოგადოება ირიბად, მაგრამ მაინც გვევლინება მოძალადედ ქალების მიმართ. ამას მარტივი მაგალითითაც დავადასტურებთ: განქორწინებულ ქალებს საზოგადოება ითვალწუნებს, ამიტომ ქალები ხშირ შემთხვევაში იძულებულნი არიან ბედს შეეგუონ და დარჩნენ მოძალადე მეუღლის გვერდით. აქედან გამომდინარე ქალი არამართო მეუღლის მსხვერპლია, არამედ მენტალურად მოძალადე საზოგადოებისაც.

ძალადობა მოიცავს სამ ძირითად ასპექტს: მოძალადე, მსხვერპლი და ქმედება. თავად ქმედებას გააჩნია ციკლური ხასიათი, რომელსაც ახასიათებს შემდეგი ფაზები: I ფაზა – მზარდი დაძაბულობა. ამ დროს მამაკაცი აგრესიულია, მისი აგრესია ნივთებთან დამოკიდებულებაში გამოიხატება, მაგალითად: კარების მიჯახუნება, ნივთების მტვრევა და ა.შ. შემდგომში დაძაბულობა იზრდება და აგრესიის ობიექტი ნივთებიდან ქალზე გადადის. ეს ეტაპი რამოდენიმე დღეს ან კვირას მოიცავს. ქალი საწყის ეტაპზე ახერხებს მდგომარეობის შერბილებას, მაგრამ დაძაბულობის ზრდასთან ერთად მას აღარ ძალუძს ამ მდგომარეობის გაწონასწორება. სწორედ ამ ეტაპზეა საჭირო ქალის დახმარება და თანადგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადობა შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს. II ფაზა – უმწვავესი ძალადობის ფაქტი – აფეთქების ფაზა. ეს ფაზა იმდენად ძლიერი და არაკონტროლირებადია, რომ მისი შეჩერება საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ფსიქოლოგთა დახასიათებით მსხვერპლი ამ დროს განიცდის შიშს და დეპრესიას. ამ ეტაპზე აუცილებელია შოკირებულმა მსხვერპლმა არ დაადანაშაულოს მომხდარში საკუთარი თავი, გააცნობიეროს, რომ იგი მსხვერპლია და მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს დახმარების მიზნით. თუმცა ხშირად დასახმარებლად მოსულ სამართალდამცავებს მოძალადე უკვე დამშვიდებული და დაწყნარებული ხვდებათ. ამიტომ ის თავის დაცვასაც მშვენივრად ახერხებს. უმეტეს შემთხვევაში მოძალადე უარყოფს მომხდარს. ამ ფაზას ერთგვარი სპეციფიკური მახასიათებელი გააჩნია, გამოვლენილმა აგრესიამ მსხვერპლი შეიძლება მოძალადედ აქციოს, მაგალითად: მოძალადე მეუღლისაგან თავს იცავს ქალი, ამ დროს კი თვითონ ხდება ძალადობის სუბიექტი და თავდაცვას ფატალურ შედეგამდე მიყვავართ (მაგალითად: მამაკაცის მკვლელობით). ასეთი ქმედება აღიქმება, როგორც მეუღლის მკვლელობად, საზოგადოება ქალს მკვლელს უწოდებს და არავინ არ ცდილობს ჩასწვდეს ამ დანაშაული მიზეზებს. იურიდიულად აღნიშნული ფაქტი კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის მიხედვით „განზრახი მკვლელობა“ და არა 111-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ამ მუხლის მიხედვით, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლობლის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგვაროვანი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ.<sup>37</sup> შესაბამისადაც სასჯელი არაერთგვაროვანია. თუ 108-ე მუხლით

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 111-ე მუხლი;

გასამართლებულ პირს თავისუფლება აღეკვეთება 7-15 წლამდე, 111-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების შზღუდვას 3 წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთას 1-3 წლამდე. ცხადია, სანქციებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა, ამიტომ არ უნდა მოხდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლის (რომელიც შემდგომ ძალადობის სუბიექტად გადაიქცევა) მიმართ არაპროპორციული სანქციის შეფარდება. III ფაზა – ე.წ. თავლობის თვე. თუ აფეთქების ეტაპს ქალი გადაურჩება და ზოგადად ფატალური შედეგი არ დადგება ოჯახში იწვება ე.წ. სიმშვიდისა და თავლობის ხანა. მოძალადე „ინანიებს“ თავის ქმედებას, მშვიდდება და ხშირ შემთხვევაში საოცრად ალერსიანი ხდება. ამ დროს უნდა განხორციელდეს მოძალადის ფსიქოლოგიური დახმარება სტრესთან და სიძულვილთან ბრძოლის წინააღმდეგ, თუმცა სამწუხაროდ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სარეაბილიტაციო ცენტრები, სადაც მოხდება მოძალადის დროებითი განთავსება და ფსიქოლოგიური დახმარება არ არსებობს. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება და მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს შექმნას აღნიშნული ტიპის სარეაბილიტაციო ცენტრები. თუ არ მოხდა მოძალადის ფსიქოლოგიური დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხანმოკლე „დათბობას“ მოყვება „ავდარი“ და მოძალადის მიერ განხორციელებული ძალადობა უფრო სასტიკ ფორმებს მიიღებს. კვლევებმა დაადასტურა, რომ 6 თვის განმავლობაში ნაცემ ქალთა 32% კვლავ ძალადობის მსხვერპლი ხდება. ასევე ქმრების 47%, რომლებიც ცოლებს სცემენ, წელიწადში სამჯერ ან მეტჯერ იმეორებენ ამ ფაქტს.

ძალადობის ფაზების დახასიათების შემდეგ უშუალოდ გადავიდეთ თავად ფაქტის დახასიათებაზე: ძალადობა, ეს არის მამაკაცის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ქალზე კონტროლის დაწესებას. ძალადობას რამოდენიმე გამოვლინება აქვს, ესენია: ფიზიკური ძალადობა, რომელიც მოიცავს ცემას, წამებას, ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას ან სხვა ისეთ ქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.<sup>38</sup>

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. აღნიშნული ტიპის ძალადობა მსხვერპლში იწვევს საკუთარი თავის რწმენის დაკარგვას და არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სექსუალურ ძალადობაში მოიაზრება იძულებითი ფეხმძიმობა, ინცესტი, პორნოგრაფიული ხასიათის მოქმედებებში მონაწილეობა და ა.შ.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული

---

<sup>38</sup> საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“, მუხლი მე-4;

ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვის უფლებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის გამოვლინებები არის ძირითადი, თუმცა ასევე გვხვდება ინტელექტუალური (სულიერი) ძალადობა, რომლის დროსაც ხდება ქალის სულიერი და კულტურული წარმოდგენების დამცირება, მისი ინტელექტის დაკნინება, ასევე ქალის იძულება უარი თქვას რელიგიურ და კულტურულ შეხედულებებზე ან საერთოდ უარყოს ისინი. ასევე გვხვდება სტრუქტურული ძალადობაც, რომლის დროსაც მოძალადე ახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომელიც აბრკოლებს თავისი პოტენციური შესაძლებლობებისა და უფლებების განხორციელებას. სწორედ აღნიშნული ქმედებები აყალიბებს სქესთა შორის უთანასწორობას საზოგადოებაში.

ოჯახური ძალადობის დახასიათებისას საინტერესოა ფსიქოლოგიური პორტრეტების დახატვა. ძალადობისას მსხვერპლნი განიცდიან დიდ ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რომლებიც თავიანთი მასშტაბებითა და სიღრმით ხშირად ძალადობით მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებებზეც მაღლა დგანან. სწორედ ამიტომ 1996 წელს, უენევაში მიღებულ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეზოლუციაში ძალადობა მსოფლიოში ნომერ პირველ პრობლემად გამოცხადდა. მსხვერპლ ქალებმა კარგად იციან თუ რას ნიშნავს გეპყრობოდნენ როგორც ნივთს, მათში თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები, როგორცაა: უძილობა, ღამის კოშმარები, მეხსიერების დარღვევა, შიში. ისინი შეიძლება გახდნენ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მომხმარებელნი. ამ საშუალებებით ქალები ცდილობენ ჩაახშონ ტკივილი, ხშირია მათ მიერ სუიციდის განხორციელებაც. მსხვერპლთ ხშირად უჩნდებათ არასწორი აზრი იმის შესახებ, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, „აჯილდოვებს“ მას კარგი და „სჯის“ ცუდი საქციელისთვის, ამიტომ მსხვერპლი ხშირად ცდილობს ამოიციოს თუ რა ესიამოვნება მოძალადეს ან რა გააღიზიანებს მას. ამ ყველაფერს კი მიყვაროთ მოძალადისადმი ერთგვარი სოლიდარობის გამოცხადებამდე და ქალის მარიონეტად გადაქცევამდე.

მსხვერპლის გარშემო არსებული სოციალური გარემო როგორც წესი არაეფექტურად გამოხატავს მის მიმართ გულწრფელ თანაგრძნობას, რაც პრობლემის გადაჭრას ართულებს. ამის გამო ძალადობის მსხვერპლი, როდესაც ცდილობს თავისი პრობლემები სხვას გაუზიაროს და დახმარება იპოვოს, აწყდება საზოგადოების გულგრილობას და იმედგაცრუებულ რჩება. საზოგადოება კი თავისი სისუსტისა და მანკიერების დასამალად ყველაფერს ქალს აბრალებს და თვლის, რომ სწორედ მისი ბრალია მეუღლის მიერ განხორციელებული აგრესია, ასე ვთქვათ, ქალმა დაიმსახურა მსხვერპლად ყოფნა.

ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, რაც აიძულებს ქალს აიტანოს ძალადობაზე აგებული ურთიერთობა, წარმოადგენს ეკონომიკური დამოკიდებულება მეუღლეზე. ქალს უჩნდება შიში, რომ ვერ შეძლებს თავისი და შვილების რჩენას. როდესაც ქალი თავისუფალია ყველა ჩემს მიერ განხილულ დამაბრკოლებელ გარემოებათაგან, ის შედარებით ადვილად თავისუფლდება მოძალადე მეუღლისაგან.

დღესდღეობით ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ იბრძვის განათლებული მსოფლიო, თუმცა 70-იან-80-იან წლებამდე ამ თემაზე ღიად არავინ საუბრობდა. ამის დამამტკიცებელია თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვაში ისეთი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორცაა „ადამიანის უფლებათა ევროპული

კონვენცია”, მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს. აღნიშნული კონვენცია ქალის მიმართ ძალადობაზე პირდაპირ არ მიუთითებს. მოგვიანებით საერთაშორისო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძალადობა საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს, ამიტომ გაეროს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდის (UNICEF) 1997 წლის საგამომცემლო სტატიებში აღინიშნა, რომ მსოფლიო ქალების მეოთხედი იჩაგრება ძალადობისაგან მათი პარტნიორის მხრიდან.

გადავხედოთ საერთაშორისო დოკუმენტებს, თუმცა ბევრ მათგანში შესაძლოა კონკრეტულად არ იყოს ნახსენები ოჯახური ძალადობა, მაგრამ მაინც ეხებოდეს აღნიშნულ საკითხებს. „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია”

მუხლი №2 – „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით”,

მუხლი №3 – „არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსებისშემლახავ მოპყრობას ან დასჯას”

მუხლი №5 – „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება”

მუხლი №8 – „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება”

მუხლი №12 – „ქორწინების უფლება”

მუხლი №13 – „სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები”

მუხლი №14 – „დისკრიმინაციის აკრძალვა”

კონვენცია ევროსასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებას ნებისმიერ პირს, პირთა ჯგუფს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს ანიჭებს. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლოში საქართველოდან არასამთავრობო ორგანიზაციამ – „კონსტიტუციის 42-ე მუხლი” წარადგინა სარჩელი. კონვენციის მე-3, მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევის ფაქტზე. საქმე ეხებოდა ოჯახურ ძალადობას, რომელსაც მამა ახორციელებდა არასრულწლოვანი შვილების მიმართ. ძალადობას კონკრეტული გამოხატულება არ ჰქონია, მამა ერთგვარად არაჯანსაღ დამოკიდებულებას გამოხატავდა შვილების მიმართ. სამწუხაროდ საქართველოში არ მოხდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის განხორციელება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ამიტომ ქალმა მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას დახმარებისათვის. სამწუხაროდ სასამართლომ საქმე არსებით განხილვაში არ მიიღო, იმ საფუძველით, რომ არ მიიჩნია კონვენციის მუხლები დარღვეულად, თუმცა აღნიშნულმა ორგანიზაციამ არ შეაჩერა ბრძოლა და მიმართა გაეროს „ქალთა მიმართ ყველა ფორმით დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს”. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თუ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო იქნებოდა სახელმწიფოსთვის და მას სანქციებს დააკისრებდა, გაეროს აღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია, თუმცა თითოეული ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟზეა დამოკიდებული, რამდენად გაითვალისწინებს ზემოაღნიშნული კომიტეტის გადაწყვეტილებას.

საერთაშორისო დოკუმენტებიდან ასევე აღსანიშნავია გაეროს დეკლარაცია „ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ” მიღებული 1993 წლის 20 დეკემბერს. მასში განსაზღვრულია, რომ „ქალის მიმართ ძალადობა გულისხმობს სქესობრივ განსხვავებზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალდობრივ ქმედებას, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას აყენებს ან შეიძლება მიაყენოს

ქალს, მათ შორის ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მიუხედავად იმისა, ასეთ ქმედებას ადგილი აქვს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში”. დეკლარაცია წარმოადგენს პირველ დოკუმენტს, სადაც განხილული იქნა ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებები. ესენია: ცემა, მდებრობითი სქესის ბავშვებზე სექსუალური ძალადობა ოჯახში, საცოლის გამოსყიდვის ტრადიციასთან დაკავშირებული ძალადობა, მეუღლის მიერ გაუპატიურება, პარტნიორებს შორის ძალადობა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ძალადობა. დეკლარაციამ სახელმწიფოებს მოუწოდა, რომ მათ აქტიურად უნდა ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობენ; აღმოუჩინონ მსხვერპლთ სათანადო დახმარება, ეს შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი დაწესებულებების, როგორებიცაა სარეაბილიტაციო, საკონსულტაციო, ბავშვების აღზრდაში და რჩენაში დახმარების, სოციალური, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარების, ასევე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამხმარე დაწესებულებების შექმნაში. ასევე სახელმწიფოები ვალდებული არიან შექმნან ადგილობრივი სამართლებრივი დაცვის ბაზა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი აქტების გადახედვის შემდეგ ყურადღება გადავიტანოთ საქართველოს კანონმდებლობაზე. საქართველოს სსკ-ს 126-ე მუხლი მართალია ეხება ძალადობას, მაგრამ სსკ-ს არცერთი მუხლი უშუალოდ არ განიხილავს ოჯახურ ძალადობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის მიხედვით „ოჯახი წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც დარეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში”. ამავე კოდექსის 1152-ე მუხლით აღიარებულია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა და მიუთითებს, რომ საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. სამოქალაქო კოდექსის გადახედვისას ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს, რომ მეუღლეებს გააჩნიათ საოჯახო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის, საქმიანობისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება, ასევე თანასაკუთრებაში არსებული ქონების ურთიერთშეთანხმებით მართვისა და განკარგვის უფლება. საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გადახედვისას, რომელიც ეხება ოჯახურ ძალადობას, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წლის 25 მაისს მიღებული კანონი: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლის 9 ივნისს.

აღნიშნულ კანონში საუბარია დამცავ და შემაკავებელ ორდერებზე, რომლებიც გამოიცემა ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედების შეძღუდვის უზრუნველსაყოფად – დროებითი ღონისძიებების სახით. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. აღნიშნული ორდერი წარმოადგენს ძალადობისაგან მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს, თუმცა კანონმდებლობა ამ ორდერის დარღვევისათვის არ ითვალისწინებს არანაირ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება დამცავ ორდერს, მას გამოცემს პირველი ინსტანციის სასამართლო ადმინისტრაციული

სამართალწარმოების წესით, რომლითაც განისაზღვრება თუ რა ეკრძალება მოძალადეს მსხვერპლთან მიმართებაში. ამ ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ: მსხვერპლი, მისი ოჯახის წევრი ან მსხვერპლის თანხმობით პირი, რომელიც უწევს მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას. კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „მოძალადის მიერ დამცავი ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას“. სამწუხაროდ გამოცემაზე, დამცავ და შემაკავებელ ორდერებზე აღსრულების ზედამხედველობა არ ხორციელდება, რაც ართულებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის 26 დეკემბრის – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№625) შეიქმნა საქართველოში ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათშორისო საბჭო, რომლის ძირითადი ამოცანებია: ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მისი თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან და ამ პრობლემაზე მომუშავე ადილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივად წინადადებების შემუშავება.

დასრულდა მუშაობა ახალი 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმაზე, რომლის შემუშავებაში მიიღეს მონაწილეობა როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ტრენინგ-ცენტრის მიერ შემუშავდა ოჯახში ძალადობის თემასთან დაკავშირებული ტრენინგ-პროგრამა, რომელიც გათვლილია და ჩატარდა ყველა რაიონის პროკურატურის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება მსხვერპლთა დაცვასა და რეაბილიტაციას, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმების დანერგვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 24სთ-ს სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებს უფასო ცხელი ხაზი 022, სადაც ხდება დატრენინგებული პოლიციელების მიერ შესაბამისი რეაგირება. ამავე სამსახურში ხდება შემოსული ზარების კომპიუტერიზაცია მათი შემდგომი დამუშავების მიზნით. აღნიშნული ინფორმაცია თავს იყრის შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტში, სადაც ხდება მათი აღრიცხვა და ანალიზი.<sup>39</sup>

ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს მოითხოვოს სამართალდამცავი ორგანოებისაგან მისი თავშესაფარში გადაყვანა. აღნიშნული თავშესაფრები შექმნილია შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში. თავშესაფრები უნდა აკმაყოფილებდნენ საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მსხვერპლის პირველად

<sup>39</sup> <http://ombudsman.ge/index.php?m=332>



და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას. თავშესაფარი ასევე შეიძლება შექმნილი იყოს არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ. მათში მსხვერპლის მოთავსება ხდება 2 თვის ვადით, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს. ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ არსებობს მსხვერპლის მიმართ საფრთხე, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

|                     | VII | VIII | IX | X | XI | XII | სულ |
|---------------------|-----|------|----|---|----|-----|-----|
| თბილისი             | 11  | 8    | 12 | 2 | 7  | 8   | 48  |
| იმერეთი             | 1   | 0    | 0  | 0 | 0  | 0   | 1   |
| კახეთი              | 0   | 0    | 0  | 0 | 0  | 0   | 0   |
| შიდა ქართლი         | 0   | 0    | 0  | 0 | 0  | 0   | 0   |
| ქვემო ქართლი        | 2   | 2    | 1  | 2 | 2  | 2   | 11  |
| აჭარა               | 0   | 1    | 0  | 0 | 1  | 2   | 4   |
| სამეგ.-ზემო სვანეთი | 0   | 0    | 0  | 0 | 0  | 0   | 0   |
| რაჭა-ლეჩხუმი        | 0   | 0    | 0  | 0 | 0  | 0   | 0   |
| სულ                 | 14  | 11   | 13 | 4 | 10 | 12  | 64  |

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის მეორე ნახევრის საქმეების სტატისტიკური მონაცემები:

| შუამდგომლობა<br>შემაკავებელი<br>ორდერის დამტკიცების<br>მოთხოვნის შესახებ<br>36 |           | შუამდგომლობა<br>დამცავი ორდერის<br>გამოცემის შესახებ |           | შემაკავებელი ორდერი |                   |
|--|-----------|--|-----------|---------------------|-------------------|
| არ<br>დამტკიცდა  | დამტკიცდა | არ<br>დამტკიცდა                                      | დამტკიცდა | მსხვერპლი<br>ქალი   | მსხვერპლი<br>კაცი |
| 1  | 36        | 0  | 2         | 36                  | 1                 |

| შემაკავებელი ორდერი: ძალადობის ფორმები |                               |         | დამცავი ორდერი               |
|--|-------------------------------|---------|------------------------------|
| ფიზიკური ძალადობა                      | ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ძალადობა | იძულება | ფიზიკურ-ეკონომიკური ძალადობა |
| 4                                      | 32                            | 1       | 2                            |

თბილისის საქალაქო სასამართლოში 2008 წლის მეორე ნახევარში შევიდა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული 35 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის 33 მოძალადე კაცია, 2 ქალი. მათი უმრავლესობა მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ვერბალურ ძალადობას ქალის მიმართ კაცის მხრიდან, მათ შორის მძიმე დაზიანება, ჭრილობა და მკვლელობა.<sup>40</sup>

და ბოლოს, ყველაზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ბევრმა ქალმა არც კი იცის რომ ის მსხვერპლია და რომ მასზე ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, ეკონომიკურად და სექსუალურად ძალადობენ, ამიტომ მიმჩნია, რომ საჭიროა საგანმანათლებლო ღონის ამღლება სხვადასხვა სახის ტრენინგების, კურსების, სარეკლამო აქციებისა და სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება. ამით ქალებს მიეცემათ სრული ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ და იმ შემთხვევაში თუ თავად გახდებიან ძალადობის მსხვერპლნი – ეცოდინებათ თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისვის და რა ტიპის დახმარების მიღება შეეძლება.

ასევე მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობის ინფორმირება, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ მომავალ ოჯახს.

მნიშვნელოვანია, პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი და კოორდინირებული საქმიანობა, ასევე ურთიერთდახმარება მსხვერპლთა დაცვის მიმართ.

ოჯახური ძალადობის აღმოსაფხვრელად საჭიროა შეიცვალოს საზოგადოების მიდოგმა ქალების მიმართ, რათა აღარ მოხდეს მათი განხილვა მხოლოდ ახალი თაობის კვლავწარმოებისა და საოჯახო შრომისათვის.

*თამარ აფრიაშაშვილი,*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი**

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ოჯახური ძალადობა და ადამიანთა ტრეფიკინგი, ნინო ბაქაქაური, თბილისი, 2004 წელი;

<sup>40</sup> <http://ombudsman.ge/index.php?m=332>

2. ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას, სემინარი პოლიციელებისათვის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიურო, თბილისი, 2003 წელი;
3. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, ასბორნ ვიდუ, კატერინა კრაუზე, ალან როსა;
4. ადამიანის საერთაშორისო უფლებები, რონ კ. მ. სმიტი, სახელმძღვანელო ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
5. ადამიანის უფლებები საქართველოში, სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიში, 2008 წელი;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მიღებული რომი 1950 წელი 4 ნომბერი;
7. საქართველოს კანონი–„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 2006 წლის 25 მაისი;
8. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №625, 2008 წელი, 26 დეკემბერი;
9. სისხლის სამართლის კოდექსი;
10. სამოქალაქო სამართლის კოდექსი;
11. ინტერვიუ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ის იურისტთან ელენა ფილევასთან;
12. <http://ombudsman.ge/index.php?m=332>
13. <http://avng.ge/gamocemebi.htm>

*თამარ აფრიაშაშვილი*

## **ქალი – ოჯახური ძალადობის მსხვერპლი**

### **რეზიუმე:**

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ოჯახური ძალადობის თემას და განხილულია ქალი, როგორც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. თემაში მოცემულია ოჯახური ძალადობის ფაზები, საზოგადოების მიდგომა ამ პრობლემასთან მიმართებაში, ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადის ფსიქოლოგიური პორტრეტები. ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო დოკუმენტების მიმოხილვას ადამიანთა უფლებებისა და კერძოდ ქალთა უფლებების დაცვის მხრივ, ასევე საქართველოს საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვას ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით.

ნაშრომი იძლევა რამოდენიმე რეკომენდაციას, რომელთა გათვალისწინებაც დაგვეხმარება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში: 1. შემაკავებელი ორდერის დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესებას; 2. სხვადასხვა სახის სემინარების, ტრენინგების, სარეკლამო აქციების და მსგავსი ტიპის ღონისძიებების

ჩატარებას, რათა მოხდეს საგანმანათლებლო დონის ამაღლება ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით; 3. ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად; 4. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

*Тамар Априамашвили*

### **Женщина – жертва семейного насилия**

Данная статья посвящена семейному насилию и женщина рассмотрена как жертва домашнего насилия. В статье даны фазы домашнего насилия, отношение общества к данной проблеме, психологические портреты жертв и злоумышленников составленные экспертами. Также здесь рассмотрены международные документы по защите прав человека, в частности по прав женщин, наряду с Грузинским законодательством касающихся этих вопросов.

В статье даны некоторые рекомендации, которые помогли бы нам в борьбе с домашним насилием, а именно: 1. установить соответствующую ответственность за нарушение сдерживающего ордера; 2. поднимать уровень знаний в обществе о семейном насилии путем проведения обучения, семинаров, рекламных кампаний и других мероприятий. 3. вовлекать молодежь в борьбу с этой проблемой. 4. требуется более глубокое сотрудничество в этой области между правительством и неправительственными организациями.

*Tamar Afriamashvili*

### **Woman – victim of home violence**

#### **Abstract**

This article is about home violence, particularly here is discussed woman as a victim, phases of home violence, attitude of society toward this issue, psychological pictures of victims and abusers drawn by experts. Also here are discussed international documents regarding human rights and specially rights of women, along with Georgian legislature regarding this issue.

This work gives us some recommendations that would help as combating home violence, namely: 1. to establish legal actions if violated special binding paper. 2. To raise knowledge about home violence in society by means of conducting trainings, seminars, advertisement campaigns and other events. 3. To involve younger generation in combating this problem. 4. to deeper cooperation among government and nongovernmental organizations in this field.

**ქალი, ოჯახი, სამართალი**

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უფლებების დაცვა საერთაშორისო აღიარებულ პრიორიტეტად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შედეგად და ადამიანის უფლებების დასაცავად შეიქმნა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი, ქალები ადამიანურობა არ აღმოჩნდა საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ მათაც ეფექტურად ესარგებლათ ამ საერთაშორისო ადამიანთა დამცავი ინსტრუმენტებით. სწორედ ამიტომ გაეროს სტრუქტურაში საჭირო გახდა ისეთი სპეციალური საერთაშორისო სტრუქტურის შექმნა, რომელიც ქალების ადამიანური უფლებების დაცვას მოემსახურებოდა. ნათლად ჩანს, რომ ტერმინი “ქალთა ადამიანის უფლებები” აქცენტს სვამს ერთის მხრივ, იმ ისტორიულ დისკრიმინაციაზე, რომელიც ქალების მიმართ ხორციელდება და ასევე ხაზს უსვამს ისეთი სპეციალური დანიშნულების კანონის არსებობას, რომელიც უშუალოდ ქალთა სხვადასხვა ჯგუფის უფლებებს იცავს.

დროთა განმავლობაში თითქოს ხდება ქალთა უფლებების გაფართოება და უფრო ზედმიწევნით დაცვა, მაგრამ ეს საკითხიც საკმაოდ სადაოა. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში ქალებისთვის მხოლოდ ის სამუშაო ადგილებია განკუთვნილი, რომლებიც ყველაზე დაბალანაზღაურებადია, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მომუშავე ქალის უფლებები ყოველ წუთს ირღვევა და მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდამ საფრთხის ქვეშაა.

უახლეს ისტორიას რომ გადავაგლოთ თვალი, ნათლად ჩანს, რომ ქალთა უფლებების შეზღუდვას ყოველთვის ჰქონდა ადგილი და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღემდე როცა საზოგადოების მართლშეგნება გაიზარდა, ხდება ქალთა უფლებების დაუსჯელად დაღმვევა და მათი ინტერესების ხელყოფა. თუნდაც მაგალითად მოვიყვანოთ ისეთი “ტრადიციები” როგორცაა “სატი”, რომლის მიხედვითაც ქვრივმა ქალმა თავი უნდა დაიწვას კოცონზე და ამით შეუერთდეს გარდაცვლილ ქმარს. აღსანიშნავია, ასევე ქალთა ფექტიციდე, იგივე “პატარძლის დაწვა”, “სიკვდილი მზითვის გამო”. ეს ჩვეულებები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი მსოფლიოს ცალკეულ კულტურებში და, რა თქმა უნდა, ხელყოფს ქალთა უფლებებს. გენდერული ძალადობის შესწავლისას სასარგებლო ხერხია იმ სფეროს დადგენა, თუ სად ხდება ქალთა მიმართ ძალადობის განხორციელება. ძირითადად ძალადობა ხდება სამ კონტექსტში – ოჯახში, რომელიც თავის წევრებს უთანასწორო იერარქიული ურთიერთობისთვის ამზადებს, რაც სქესთა შორის შრომის განაწილებასა და რესურსების განკარგვის უფლებაში გამოიხატება; საზოგადოებაში (ე.ი. სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ინსტიტუტები) ისეთ მექანიზმებს უზრუნველყოფს, რომელიც მამაკაცთა კონტროლს აწესებს ქალთა სექსუალობაზე, მობილურობასა და შრომაზე; სახელმწიფო აკანონებს მამაკაცთა მესაკუთრულ უფლებებს ქალებზე, ოჯახსა და საზოგადოებას იურიდიულ საფუძველს უქმნის სამუდამოდ არსებობდეს ასეთი ურთიერთობები. სახელმწიფო ამას დისკრიმინაციული კანონების და პოლიტიკის შემოღებით ან კანონის დისკრიმინაციული გამოყენებით ასრულებს. მთლიანობაში ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო არა მარტო ყოველისმომცველ და ინტერაქტიულ სისტემას წარმოადგენს ძალადობის ლეგიტიმაციისათვის, არამედ ადგილს, სადაც ძალადობა ხდება. რაკი ცხადი გახდა, ქალთა მიმართ ძალადობის გლობალურობა, გამძაფრდა ძალადობის საწინააღმდეგო საშუალებების პოვნის

აუცილებლობის შეგრძნებაც. გენდერულ ძალადობათა წინააღმდეგ ბრძოლის სხვა კულტურათა და წყობათა გამოცდილებამ დიდი წვლილი შეიტანა გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სამუშაო სქემის ჩამოყალიბებასა და სტრატეგიათა შემუშავებაში.

საქართველოს კანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”, რომელიც მიღებულია 2006 წლის 25 მაისს იძლევა ოჯახური ძალადობის დეფინიციას: “ოჯახში ძალადობა გულისხმობს, ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.”

ოჯახი ხშირად გაიგივებულია წმინდა თავშესაფართან, სადაც ხალხი ეძებს სიყვარულს, სიმშვიდეს და უსაფრთხო ნაცვაყუდელს. თუმცა, რეალურად უფრო მძიმე სურათსაც ვხვდებით, როცა ეს წმინდა ადგილი ბევრს სიცოცხლეს უნგრევს და წარმოშობს ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ფორმას: ძალადობას ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ.

ოჯახში, როგორც წესი, მოძალადეები მამაკაცები არიან, მამამთილები, ძმები, ბიძები, შვილები, სხვა ნათესავები, ისინი ვინც ყველაზე უფრო უნდა იწვეოდნენ ქალებში დაცულობას და ნდობის შეგრძნებას. ამდენად, ოჯახური ძალადობა, უმეტეს შემთხვევაში, გულისხმობს მამაკაცების ძალადობას ქალებზე. ძალადობის გამოვლინებას ქალების მხრიდანაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუმცა, ეს პროცენტულად ძალიან მცირე მაჩვენებელია.

ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. ჩამოვთვალოთ ის ფაქტორები, რომლებიც წარმოშობს ოჯახურ ძალადობას.

კულტურული:

- გენდერზე დაფუძნებული სოციალიზაცია;
- კულტურული ფორმულირებები, რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი სქესის როლს;
- ურთიერთობებში წინასწარ განსაზღვრული როლები;
- მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე;
- ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალსა და გოგონაზე მესაკუთრის უფლებებს სძენს;
- მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო;
- ქორწინების ჩვეულებები (პატარძალზე დაწესებული ფასი);
- ძალადობა – კონფლიქტის გადაჭრის მიღებული მეთოდი.

ეკონომიკური:

- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე;
- ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;

- დისკრიმინაციული ხასიათის კანონები, რომლებიც არეგულირებს მემკვიდრეობის, საკუთრების უფლების, მიწით სარგებლობის, განქორწინების და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხებს;

- სახელმწიფო თუ კერძო სექტორებში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა;

- განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივა.

#### სამართლებრივი:

-დაწერილი თუ დაუწერიელი კანონებით აღიარებული ქალების უფრო ნაკლები სამართლებრივი სტატუსი;

-განქორწინების, ბავშვებზე მეურვეობის, მათზე მზრუნველობისა და მეურვეობის საკითხების მარებულებელი დისკრიმინაციული სახის კანონმდებლობა;

-გაუპატიურების და ოჯახური ძალადობის სამართლებრივი განმარტება;

-ქალებში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე;

#### პოლიტიკა:

-ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, მედიაში, სამართალდამცავ ორგანოებში და სამედიცინო სფეროებში;

-ოჯახური ძალადობის მიმართ არასერიოზული მიდგომა;

-მოსაზრება, რომ ოჯახი არის სახელმწიფო კონტროლის გარეთ არსებული კერძო სფერო;

-ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი როგორც პოლიტიკური ძალა;

ქალების მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობა შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს. 1. ფიზიკური ძალადობა: ხელის კვრა, თმის მოქაჩვა, დარტყმა, ცემა, ფეხის კვრა, დაწვა, კბენა, დახრჩობა, ბასრი იარაღით ჭრილობის მიყენება, გენიტალების მოკვეთა, წამება, მკვლელობა.

2. სექსუალურ ძალადობად ითვლება: სექსუალური ხასიათის ნებისმიერი

მოქმედება დაცინვისა და ხუმრობის ჩათვლით, დაჟინებული ან მაღული მზერა, უსიამოვნო რეპლიკები, სხეულის ნაწილების უღირსი დემონსტრირება, შეურაცხმყოფელი სატელეფონო ზარები, არასასურველი სექსუალური შეთავაზება, პორნოგრაფიული სცენების ყურების ან მასში მონაწილეობის იძულება, არასასურველი შეხება, სქესობრივი აქტის იძულება, გაუპატიურება, ისეთი სექსუალური ხასიათის მოქმედების შესრულება, რომელიც ქალს აყენებს ტკივილს ან დამამცირებელია მისთვის, იძულებითი ფეხმძიმობა, ქალთა ტრეფიკინგი და მათი ექსპლუატაცია სექს-ინდუსტრიაში.

3. ფსიქოლოგიურ ძალადობად ითვლება: დაცინვა, ირონიული რეპლიკები, ცინიკური ან დამამცირებელი შენიშვნები, მუქარა, იზოლირება, ზიზღი, დაშინება, საჯარო შეურაცხყოფა. ზემოაღნიშნული მოქმედებები ამცირებს ადამიანის თვითშეფასებას და საკუთარი თავის რწმენას, განსაკუთრებით, თუ მათ სისტემატური ხასიათი აქვთ.

4. ეკონომიკურ ძალადობად ითვლება: არასამართლიანი კონტროლი თანაზიარი რესურსების გამოყენებაზე, მაგალითად, საერთო ფულადი თანხების გამოყენების აკრძალვა/კონტროლი, პარტნიორისათვის მუშაობის ან სწავლის გაგრძელების აკრძალვა, საკუთრებაზე ცოლის უფლებების უარყოფა.

5. სტრუქტურული ძალადობა თავისი შინაარსით ახლოს დგას ეკონომიკურ ძალადობასთან და გულისხმობს თვალთ უხილავი, შეუმჩნეველი დაბრკოლებების შექმნას ქალის პოტენციური შესაძლებლობებისა და ძირითადი უფლებების განხორციელებისადმი. ეს დაბრკოლებები ფესვგადგმულია და ყოველდღიურად აღმოცენდება თვით საზოგადოების არსიდან, ე.ი. იმ ძალთა გადანაწილებიდან და ურთიერთდამოკიდებულებიდან, რომელიც დასაბამს აძლევს და აკანონებს სქესთა შორის უთანასწორობას საზოგადოებაში.

6. ინტელექტუალურ (სულიერ) ძალადობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც დაცინვითა და დასჯით შეურაცხყოფს და ანგრევს ქალის კულტურულ და რელიგიურ წარმოდგენებს ან აიძულებს მას შეიცვალოს ისინი.

პარალელურად თუ გავავლებთ ქალის დამნაშავედ ჩამოყალიბების მიზეზებს XIX საუკუნის და დღევანდელ მანქანებელს, რა თქმა უნდა, მკვეთრ განსხვავებას ვიპოვით. მაგალითად, ა. კეტლეს მიანხნდა, რომ ქალთა დანაშაულობას იწვევს მათი გარიყვა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ოჯახური ვალდებულებების მორევში ჩაძირვა, ხოლო ჩ. ლამბროზო ამბობდა, რომ ქალთა დანაშაულობა გაცილებით მცირე მამაკაცთა დანაშაულობაზე იმიტომ რომ ქალი ნაკლებად არის გონებრივად განვითარებული მამაკაცთად შედარებით და სწორედ ამით ხსნიდნენ ქალების კონსერვატიულობას, ოჯახური საფუძვლების უცვლელად შენარჩუნებისკენ სწრაფვით. ჩეზარე და ლასკი წერდნენ, რომ “ქალი ბავშვის მსგავსია, იგი ცდილობს შეინარჩუნოს რელიგია, ზნეობა, წინაპართა ტრადიციები და ჩვევები მაშინ, როცა კაცებმა მათზე უკვე უარი თქვეს.” აქვე აღვნიშნოთ, ქალთა დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების და გარემოებების ნუსხა, რომელსაც გვაწოდებს “ბეიჯინგის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისთვის”. ბეიჯინგის მოქმედებათა პლატფორმა აღწერს ქალთა მდგომარეობას გლობალურად, და აქედან გამომდინარე, გამოკვეთს ზრუნვის, წუხილის 12 კრიტიკულ სფეროს:

- სიღარიბე;
- განათლება;
- ჯანდაცვა;
- ძალადობა ქალების წინააღმდეგ;
- შეიარაღებული კონფლიქტები;
- ეკონომიკა;
- ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების დონეები;
- ინსტიტუციური მექანიზმები;
- ადამიანის უფლებები;
- მედია;
- გარემოს დაცვა;
- გოგონათა მდგომარეობა.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ოჯახურ პრობლემებთან დაკავშირებულ გარემოებას წარმოადგენს პრობლემათა სხვადასხვა კატეგორიები, როგორცაა: სხვადასხვა სახის ოჯახური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ქალებს არ ძალუძთ და ვერც ოჯახის წევრები გადაუწყვეტენ; ე.წ. “ოჯახური ტრადიციები”, რადგანაც ბევრ



მათგანს ოჯახის წევრებიდან ჰყავს ნასამართლევი პირი; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მძაფრი კატალიზატორის როლს ქალის დანაშაულებრივი ქმედების წარმოადგენს ოჯახური ძალადობა. ხშირად ქალი ხდება ოჯახის მარჩენალი, რაც მას აკისრებ რიგი მნიშვნელოვანი და საკმაოდ რთული საკითხების გადაწყვეტას, რასაც ემატება ოჯახის წევრებიდან ძალადობის განხორციელება, ამას ემატება ქართული მენტალობისთვის დამახასიათებელი დეტალი – ოჯახი ტაბუდადებული ინსტიტუტია და ყველა ქალი ვალდებულია ნებისმიერი გზით და ყველა ტანჯვის მოთმენის გზით, შეინარჩუნოს იგი.

საინტერესოა, როგორ რეაგირებს სახელმწიფო ოჯახურ ძალადობაზე? როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ხელისუფლებამ ოჯახში ძალადობის პრობლემა აღიარა, რაც გამოიხატა 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ„ კანონის მიღებით. კანონი განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია, ოჯახში ძალადობისათვის.

მოცემული კანონის მესამე თავის მე-6 მუხლის მეორე და მესამე პუნქტი ნათლად გვიჩვენებს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმს.

სახელმწიფო თავისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას.

მე-3 პუნქტი. ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს:

ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზია;

ბ) ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად;

გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას;

დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ჩადენილი აქვთ ძალადობა;

ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების თაობაზე, მათ შორის, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს;

ვ) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას;

ზ) ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის- რეაბილიტაციის მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო კურსების ორგანიზებას;

თ) ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას.

კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილ ორგანოს, მსხვერპლის დაცვის მიზნით, დროებითი დონისძიებების სახით, შეუძლია გამოსცეს დამცავი და შემაკავებელი ორდერი.

- დამცავ ორდერს გამოსცემს პირველი ინსტანციის სასამართლო (მოსამართლე ) ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით; დამცავი ორდერი გამოიცემა სამ თვემდე ვადით და მისი მოქმედების კონკრეტული ვადას განსაზღვრავს სასამართლო. აღსანიშნავია, რომ დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამატებით არაუმეტეს 3 თვისა (საერთო ჯამში 6 თვისა ).
- შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი უშუალოდ ძალადობის ფაქტზე გამოძახების შემთხვევაში. შემაკავებელი ორდერი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

აღნიშნული ორდერების გამოყენების შემთხვევაში უკვე ხელთ გვექნება ოფიციალური სტატისტიკა, ოჯახური ძალადობის შემთხვევებში, პოლიციაში მიმართვის, დაზარალებულთა და მიღებული ზომების (გაცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების) რაოდენობის შესახებ. ეს კარგი მასალაა შემდგომი ანალიზისათვის, ამ სფეროში ცვლილებების მონიტორინგისა და დაცვის სისტემის შემდგომი დახვეწისათვის. სოციალური დახმარების სამსახურის ეფექტურად მუშაობის შემთხვევაში, შევძლებთ კანონის მოქმედება არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ისეთი თვისობრივი მაჩვენებლებითაც შევაფასოთ, როგორცაა ორდერების მოქმედებისა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის დონისძიებების ეფექტურობა. სრულყოფილი სტატისტიკა ხელს შეუწყობს პოლიტიკოსთა, სამართალდამცავთა, მედიის წარმომადგენელთა და ზოგადად საზოგადოების მიერ პრობლემის სწორ აღქმასა და არსებული სტერეოტიპების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას.

კანონი ასევე ითვალისწინებს როგორც მსხვერპლთა თავშესაფრის, ისე მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობას.

ოჯახურ ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, საქართველოში ოჯახური ძალადობა მწვავე პრობლემაა. არასამთავრობო ორგანიზაცია “სახლი”, რომელიც უფასო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალებს, წელიწადში 300-350 ქალს ემსახურება თბილისში . 2004 წელს საქართველოში გაიხსნა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა პირველი თავშესაფარი, რომელმაც 5 თვის განმავლობაში 15 ოჯახური ძალადობის მსხვერპლი შეიფარა. მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს რომ ჰყოფნიდეთ სახსრები თავიანთი საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის გასავრცელებლად და მოზიდული კონტიგენტის მოსამსახურებლად.

საერთაშორისო დონეზე ოჯახური ძალადობა განიხილება, როგორ ქალის მიმართ გენდერულ საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ნაწილი, რომელსაც გაერთიანებული ერების მიერ მიღებული დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ განსაზღვრავს, როგორც გენდერულ საფუძველზე ჩადენილ ნებისმიერ აქტს, რომელიც „ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ტრამვას აყენებს ან შეუძლია მიაყენოს მსხვერპლს, მათ შორის ასეთ ქმედებასთან დაკავშირებული მუქარა, თავისუფლების იძულებითი ან თვითნებური აღკვეთა,

განურჩევლად იმისა, თუ სად ხდება, საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში,, არსებობს კულტურული ღირებულებები და პრაქტიკა, რომელიც არღვევს ქალის გამოსატვის უფლებას და ასევე, ლახავს თანასწორობისა და ღირსების პრინციპებს. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში გაწერილია ადამიანთა უფლებები მოქმედების ფარგლები, მათ შორის ძალადობის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას იმისათვის, რომ შეცვალონ მამაკაცისა და ქალის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენების, ადატ-წესებისა და სხვა ისეთი პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით, რომელიც ეფუძვნება ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან მამაკაცისა და ქალის როლების სტერეოტიპული გააზრებას (მუხლი 5)

კონვენცია ნათლად აყალიბებს სახელმწიფოს ვალდებულებებს ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ქალის დისკრიმინაციის ყველანაირ გამოვლინებას, თანახმა არიან, ყველა შესატყვისი საშუალებით, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის პოლიტიკა და ამ მიზნით, კისრულობენ ვალდებულებებს „

დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ, ასევე ამბობს- მუხლი-4 : „სახელმწიფომ უნდა დაგმოს ქალის მიმართ ძალადობა და არ უნდა დაუჭიროს მხარი რაიმე ადათს, ტრადიციას ან რელიგიურ მოსაზრებას, რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა ძალადობის აღმოფხვრის თვალსაზრისით...“

დეკლარაცია ასევე განმარტვას, რომ „კეთილსინდისიერი დამოკიდებულება უნდა იყოს გამოვლენილი ქალის მიმართ ძალადობის პრევენციის, გამოძიების და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით დასჯის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, ეს დანაშაული ჩადენილია სახელმწიფოს, თუ კერძო პირის მიერ.

საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლისას საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების დეკლარაციებსა და კონვენციებს ემყარება ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ადამიანთა თუ უფრო კონკრეტულად ქალთა უფლებების დამცავი კანონები. მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ორგანოების მუშაობა. რაც უფრო აქტიურად დაიწყეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა მუშაობა ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად, ნათლად გამოჩნდა, რომ მსხვერპლთა რიცხვი ბევრად მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. სწორედ ამიტომ შვედეთის ოჯახურ ძალადობის მსხვერპ ქალთა სიკვდილიანობის მონაცემებში თვალში საცემი და შემაშფოთებელი, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტების აღრიცხვიანობა, პრობლემასთან ბრძოლა, ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო ჩვენს ქვეყანაში ეს პრობლემა მთლიანად არასამთავრობო ორგანიზაციების მხრებზე წევს, მიუხედავად მოქმედი კანონისა, რომელმაც თითქოს უნდა შეამციროს ძალადის რაოდენობა ან დაზარალებულებს მაინც გაუწიოს შესაბამისი სახის დახმარება.

არსებობს საერთაშორისო სამართლისა და ნორმების განმარტებათა და კონსენსუსის ავტორიტეტული გამოსატვლებანი, რომლებიც სპეციალურად ოჯახურ ძალადობას ეხება და ამ პრობლემისადმი მიდგომას უზრუნველყოფილს: დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის თაობაზე და

გაერთიანებული ორგანიზაციის ქალთა მიმართ ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრის ზოგადი რეკომენდაცია № 19. გარდა ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ დაიწყო ოჯახური ძალადობის საკითხის სამხრეთ დონეზე გადაჭრა, რაზედაც მოწმობს ინტერაქტიული კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის, დასჯისა და აღმოფხვრის თაობაზე. მართალია ეს დოკუმენტები აშკარად არ ავალდებულებს ყველა ქვეყანას, მაგრამ ისინი მზარდ საერთაშორისო კონსენსუსს გამოხატავს, რომ სახელმწიფო მოვალეა, არ მიიღოს თანამონაწილეობა ოჯახური ძალადობის ჩადენაში და გააფართოვოს ქვეყნის კანონმდებლობა ოჯახური ძალადობისგან ქალთა დასაცავად.

| ზოგადი რეკ. № 19   | დქმმა   | ინტერ-ამერიკული კონვენცია  |
|--|---|--|
| <p>ქალთა მიმართ ძალადობა არღვევს ქალთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.</p> <p>სახელმწიფონი ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობას ჩვეულებებისა და ტრადიციების მოხმობის გარეშე;</li> <li>-შეიმუშაონ კანონმდებლობა ძალადობის დასასჯელად და ზარალის ასანაზღაურებლად.</li> <li>-ქალთა ძალადობისგან დასაცავად აღმკვეთი ზომების შემუშავება;</li> <li>-ძალადობის მსხვერპლთა დახმარება;</li> <li>-სამართალდამცველთა აღზრდა და თვითშეგნების ამაღლება;</li> <li>-ცვლილებების მოხდენა სოციალურ და კულტურულ ჩვევებში;</li> <li>-ცნობების შედგენა და სტატისტიკის წარმოება.</li> </ul> | <p>გენდერულ საფუძველზე მომხდარი ძალადობა არის ადამიანის უფლებათა დარღვევა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-სახელმწიფო პასუხს აგებს ძალადობის პირად ცხოვრებისეული აქტის შედეგად მიღებული ზარალის ანაზღაურებაზე;</li> <li>-საშუალებებში შედის: -სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა;</li> <li>-ღირსების დაცვის აუცილებლობა;</li> <li>-ოჯახურ ძალადობათა რაოდენობის მონიტორინგი;</li> <li>-გაფართოებული სამართლებრივი ნორმები ქალთა ყველა სახის შეურაცხყოფისაგან დასაცავად.</li> </ul> | <p>ქალებს საზოგადოებრივი და პირადი ძალადობისგან იცავს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-მოუწოდებს წევრ ქვეყნებს ებრძოლონ ქალთა მიმართ ძალადობას</li> <li>- ყველა ზომებს დებულობს ძალადობის აღსაკვეთად, დასასჯელად და აღმოსაფხვრელად;</li> <li>-ცალკეულ არასამთავრობო ორ ნიზაციებს შეუძლიათ საჩივარი შეიტანონ ინტერ-ამერიკულ კომისიაში ადამიანის უფლებების დარღვევისთვის;</li> <li>-სახელმწიფოებს, კომისიებს შეუძლიათ კონსულტაციები მიიღონ ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკულ სასამართლოში;</li> <li>სახელმწიფოები ვალდებული არიან კონვენციის დასანერგად გატარებულ ღონისძიებათა სია წარადგინონ ქალთა ინტერ-ამერიკული კომისიისადმი წარმოდგენილ ანგარიშში</li> </ul> |

მნიშვნელოვანია, რომ ოჯახური ძალადობის თავიდან ასაცილებლად ზრუნავდეს არამხოლოდ საერთაშორისო კანონმდებლობა, არამედ ეროვნული კანონმდებლობა და სამართალდამცავი ორგანოები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ პირველი ნაბიჯი ოჯახურ ძალადობასთან გასამკლავებლად 2006 წელს გადადგა, როცა მიიღო კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ. ასევე სპეციალური კანონების გარდა აუცილებელია ქვეყანაში არსებული კონსტიტუცია და სისხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქო კოდექსები ზრუნავდეს საკუთარი მოსახლეობის ინტერესებზე და უფლებების დაცვაზე. სწორედ ამიტომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს ისეთი

დანაშაულებისთვის როგორცაა: განზრახ მკვლელობა (108 მუხლი); თვითმკვლელობამდე მიყვანა (115 მუხლი); სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (118 მუხლი); ცემა (125 მუხლი); ძალადობა (126 მუხლი); გაუპატიურება (137 მუხლი); თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143 მუხლი); წამება (144 მუხლი); დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144-3 მუხლი); იძულება (150 მუხლი); მუქარა (151 მუხლი).

როგორც ვხედავთ, ჩვენი კანონმდებლობა ცდილობს ყველა რაკურსიდან შეაფასოს პრობლემა და ოპტიმალური გზები იპოვოს ამ პრობლემის გადასაჭრელად. თუმცა მხოლოდ კანონების არსებობა არ არის საკმარისი, რადგან მოსახლეობის შეგნება უნდა იქნეს ამაღლებული და დაზარალებულთა უმრავლესობას არ უნდა მიაჩნდეს, რომ ძალადობა დაიმსახურეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალები ვალდებულნი არიან აიტანონ ნებისმიერი მოპყრობა მამაკაცისგან. ამ ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება ძალადობაზე და მისგან დაცვის საშუალებებზე და როგორც რიგ ქვეყნებში, საქართველოშიც გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც თუ არ აღკვეთს, შეამცირებს მაინც არსებულ ვითარებას, რადგან დღეისათვის, საქართველოში მცხოვრები ყველა მეხუთე ქალი ოჯახური ძალადობის პოტენციური მსხვერპლია.

*ნინო კიკალიშვილი*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი**

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. “ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო”, State responses to domestic violence; women, law & development International. თბილისი 2002;
2. “ოჯახური ძალადობა და ადამიანები ტრეფიკინგი, როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები”. ნინო ბაქაქური, თბილისი 2004;
3. მსჯავრდებულთა სოციალური რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები”. მაია (ზოია) ხასია. თბილისი 2005;
4. “ქალთა უფლებები ისტორიული ასპექტები”. თამარ საბედაშვილი. თბილისი 2006
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
6. “კრიმინოლოგია”. თ.წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი 2008
7. საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი – “ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”.
8. Рекомендация Rec(2002)5 / Комитета министров государствам-членам о защите женщин от насилия, принятая 30 апреля 2002 года, и Пояснительная записка/ Совет Европы [http://www.coe.int/T/r/Human\\_rights/%5Brus\\_docs%5D/%5BEquality\\_docs%5D/Rec\(2002\)5.asp](http://www.coe.int/T/r/Human_rights/%5Brus_docs%5D/%5BEquality_docs%5D/Rec(2002)5.asp)

9. Права человека ДИСКРИМИНАЦИЯ В ОТНОШЕНИИ ЖЕНЩИН: КОНВЕНЦИЯ И КОМИТЕТ/Изложение фактов № 22/Всемирная кампания за права человека [http://www.unhchr.ch/pdf/fs22\\_r.pdf](http://www.unhchr.ch/pdf/fs22_r.pdf)

*ნინო კიკალიშვილი*

## **ქალი, ოჯახი, სამართალი**

### **რეზიუმე**

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ჩვენს ირგვლივ არსებული სამყარო ( ოჯახი, საზოგადოება, სახელმწიფო) ხელს უწყობს ოჯახური ძალადობის არსებობას და განვითარებას. რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ოჯახი, რომელიც სიყვარულსა და ურთიერთდაცვას ქადაგებს, საზოგადოება, რომელიც თითქოს ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული და სახელმწიფო რომელიც სამართლებრივად ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი ხალხის უსაფრთხოება და კეთილდღეობა, ძალადობის განვითარების ხელშემწყობი სფეროები იყვნენ?

ამ კითხვაზე პასუხი ნათელია – საზოგადოებაში საფუძვლიანად აქვს ფეხი მოკიდებული აზრს, რომ მამაკაცი უფრო მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე ქალი. ასევე მოქმედებს ქალისთვის დამამცირებელი ადათ-წესები (როგორცაა პატარძლის გამოსყიდვა, მკვლელობა მზითვის გამო და ა.შ.) და სახელმწიფოც მიღებული კანონებით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მამაკაცთა “ლიდერობას” ტოვებს რა ქალებს საერთოდ უფლებების გარეშე ან ანიჭებს მოქმედების ძალიან მცირე ჩარჩოებს.

რა თქმა უნდა, არსებობს კანონი, რომელიც იცავს ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ასევე მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პრობლემის აღმოსაფხვრელად მანამ, სანამ ქალის მიმართ განხორციელებულ ეკონომიკურ, კულტურულ, სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ძალადობას თავს აარიდებს სახელმწიფო, რადგან დამკვიდრებულია სტერეოტიპი, რომ ოჯახი სახელმწიფოს გარეთ არსებული სფეროა.

შესაბამისად, თუ ჩვენი მიზანია შევამციროთ ოჯახური ძალადობის რაოდენობა და იდეალისტური გეგმის მიხედვით საერთოდ აღმოვფხვრათ ეს პრობლემა, აუცილებელია საზოგადოების შეგნების ამადლება, მისი ინფორმირება ამ პრობლემასთან დაკავშირებით და აუცილებლად დამცავი მექანიზმების მუშაობის რეალურობის დამტკიცება, რადგან მსხვერპლს არ ჰქონდეს შიში იმისა, რომ დღეს მიღებულ დახმარების ხელს, ხვალ მოძალადის შურისძიებით და ბრაზით აღსაყვს ხელი შეცვლის.

*ნინო კიკალიშვილი*

## **Женщина, семья, право**

### **Резюме**

К сожалению нужно признать, что мир вокруг нас (семья, общество, государство) способствует существованию и развитию насилия в семье. Естественно возникает вопрос как могут семья - которая является пристанью любви и защищенности, общество - которое основано на взаимоуважении и государство - которое с помощью законодательство

обеспечивает безопасность и благополучие своего народа, быть факторами, которые способствуют насилию в семье.

Ответ на этот вопрос очевиден - в обществе очень закрепилось понятие, что мужчина более весомая фигура чем женщина. Также нужно отметить существование таких традиции, которые унижительные для женщин (выкуп невесты, убийство из-за приданого) и государство со своей стороны еще раз акцентирует свое внимание на лидерство мужчины оставляя женщин совсем без каких нибудь прав, или создавая для них узкую среду для действия.

Безусловно существует закон охраняющий жертв насилия в семье, кроме этого работают специальные организации но этого не достаточно до тех пор пока экономическое, политическое, культурное насилие против женщин остается без реакции со стороны государство и общество потому что существует стереотип - семья не сфера действия государство.

Соответственно, если наш интерес сократить количество насилия в семье или следуя идеалистическому плану и вовсе решить этот вопрос навсегда, обязательно повысить осведомленность общество, обеспечить ее информирование и обязательно представить реальные доказательства действия механизмов защиты, поскольку жертву насилия не должен пугать тот факт, что сегодня протянутую руку помощи завтра может заменить рука возмездия и злобы.

*Nino Kikalishvili*

## **Woman, family, law**

### **Abstract**

Unfortunately it is necessary to recognize, that the world around us (family, a society, the state) promotes existence and development of violence in the family. Naturally there is a question - as how can family - which is quay of love and security, the society - which is based on respect and the state - which by means of legislation provides safety and well-being of people, to become factors which promote violence in family.

The answer to this question is obvious - in a society the concept, that the man is a more powerful figure than the woman became very much fixed. Also it is necessary to mention about the existence of traditions which are humiliating for women (the repayment of the bride, murder because of dowry) and the state from its part once again brings to a focus the leadership of the man leaving women absolutely without any rights, or creating for them narrow environment for action.

Certainly there is a law protecting victims of family violence, except for it special organizations work over the matter, but it is not enough until economic, political and cultural violence over women remains without reaction from the state and a society, since there is a stereotype – family is not in the sphere of action from the state.

Accordingly, if our interest is to reduce quantity of family violence, or following the idealistic plan - to at all solve this problem for ever, it is obligatory to raise awareness of the society, to provide it with up to date information and it is obligatory to present real proof about success of mechanisms of protection. A victim of violence should not be frightened by the fact, that the stretched hand of help today can be replaced by the hand of punishment and rage tomorrow.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით  
სარჩელების ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტა.**

ოჯახში ძალადობა სამართლებრივად რეგულირებად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ოჯახში ძალადობის ფაქტის ფიქსირება ავტომატურად გულისხმობს მისი აღკვეთის გზების ძიებას და სწორედ აღნიშნულ ფაქტთა სიმრავლემ საქართველოში განაპირობა კანონის—“ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”— მიღება. მაინც რა არის ოჯახში ძალადობა?

კანონის თანახმად ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

თუ დავაკვირდებით ოჯახში ძალადობის ფაქტებს ჩვენთვის ნათელი გახდება თუ რა წარმოადგენს მის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ მანამდე სწორად უნდა იქნას გაგებული ვინ შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

ყოველთვის ოჯახური ძალადობა, რატომღაც გაიგივებული იყო კაცის მიერ ქალის ჩაგვრასთან და უმეტესობა დღემდე თვლის რომ ეს ასეა მაგრამ არა, ოჯახში ძალადობის დროს მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი: ქალი, ბავშვი, ხანდაზმული და ა.შ, რომელიც განიცდის სხვა პირის ჩაგვრას. ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს ხშირად საშიშროება ელით იქ, სადაც წესით თავს დაცულად უნდა გრძნობდნენ- მათი ოჯახის წევრების გვერდით მათ საკუთარ სახლებში და იმ ადამიანების ხელში, ვინც უნდა იცავდეს მათ უსაფრთხოებას ეს რა თქმა უნდა მეტად მტკივნეული და პრობლემატური საკითხია საზოგადოებისათვის. ოჯახში ძალადობა ჯერ კიდევ ისტორიულად არსებობდა საქართველოში, მაგრამ ის ტრადიციული შეხედულებების გამო, რატომღაც არ აღიქმებოდა როგორც ძალადობა. მაგალითად: თუ დავაკვირდებით ქალის როლს გუშინ და დღეს ჩვენ აუცილებლად დავინახავთ განსხვავებას, ადრე ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო ქალი, მაგრამ ისე რომ ეს მასში პროტესტის გრძნობას არ იწვევდა. საყოველთაო და ტრადიციული შეხედულებისამებრ ქალი გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგა ვიდრე კაცი. კაცი ყოველთვის აღიქმებოდა ისეთ სტერეოტიპად, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ქალი დაეჩაგრა რადგან მასზე გაცილებით ბევრი უფლებები ჰქონდა.

ამრიგად ოჯახში ძალადობის მიზეზს წარმოადგენდა გენდერული უთანასწორობის ის ტრადიციები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდა მამაკაცს და იღებდა სისტემურ ფორმას არა მხოლოდ ძალადობაში არამედ ეკონომიკური მდგომარეობით სარგებლობის ან სუბორდინაციის, იზოლაციის, მუქარის და კონტროლის განხორციელების სხვა ფორმებში.

ოჯახური ძალადობა საქართველოში გავრცელებულ და ამავე დროს ნაკლებად შესწავლილ პრობლემას წარმოადგენს. ამის მიზეზი კი არის ოჯახური ძალადობის, როგორც დანაშაულის ლატენტურობა ეს გამოწვეულია იმით, რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს არ სურს ამის შესახებ რაიმე ინფორმაციის გაცემა და უფრო მეტიც, ძალადობის შემთხვევაში თავს იკავებს შესაბამისი სამსახურების მიმართვისათვის რასაც განაპირობებს შემდეგი:



- მოძალადის მიმართ შიში;
- ოჯახის დანგრევის შიში;
- ეკონომიკური დამოკიდებულება;
- იურიდიული განათლების დაბალი დონე

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მოძალადის მიმართ შიში არის მიზეზი იმისა რომ მსხვერპლი ხშირად თავს იკავებს და საერთოდ არ სურს პრობლემაზე საუბარი, რადგან მას არ მიაჩნია, რომ ვინმეს შეუძლია დაიცვას ის მოძალადისაგან და ისევე ამჯობინებს, რომ მდგომარეობას შეეგუოს, რაც იძულებულს ხდის მსხვერპლს, რომ კვლავ ითმინოს მოძალადისაგან ძალადობა. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად დაახლოებით ქალების 1/3 ვინც ოჯახურ ძალადობრივ ურთიერთდამოკიდებულებაში იყო ამტკიცებდნენ, რომ ისინი რჩებოდნენ აღნიშნულ სიტუაციაში შიშის გამო, რადგან არ იცოდნენ თუ რას მოიმოქმედებდა მათი მოძალადე პარტნიორი იმ შემთხვევაში თუ ისინი მიატოვებდნენ მათ. საზოგადოება ხშირად სწორად ვერ აფასებს იმ ქალების მოქმედებას, რომლებსაც სურთ ძალადობრივი ურთიერთობისგან თავის დაღწევა.

მეორე ფაქტორად შეგვიძლია ჩავთვალოთ ოჯახის დანგრევის შიში. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი ქალია, ასეთ დროს ქალი ხშირად მარტო რჩება მასზე დამოკიდებულ ბავშვებთან ერთად, მოძალადეს შეუძლია მათი იზოლაცია გარე სამყაროსგან. ბევრი მსხვერპლი ფიქრობს, რომ დაიმალოს სახლში სირცხვილის, დაზიანების დამაღვის შიშით ან იდანაშაულებენ თავს, რადგან ოჯახი არ დაინგრეს და საზოგადოებამ არ გააკიცხოს ისინი. ხშირად საზოგადოების არასწორი შეხედულებების შედეგია ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც ოჯახებში ძალადობის სახით არსებობს და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია საზოგადოებრივი პრინციპებიდან გამომდინარე.

ეკონომიკურ ძალადობასთან გვაქვს საქმე როდესაც, მსხვერპლს არ გააჩნია დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი და ფინანსურად დამოკიდებულია აგრესორზე. ამ შემთხვევაში როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია და ძალადობას განიცდის აგრესორისაგან სახეზე გვაქვს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მსხვერპლის შიში, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის ნაკლები უნარი გააჩნია, ხშირ შემთხვევაში ხდება ისე, რომ ის ეჩვევა მდგომარეობას რაც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნების ფსიქიკა ზიანდება.

ხანდაზმულებს რაც შეეხება, ამ შემთხვევაში ისინი გათანაბრებული არიან არასრულწლოვან ბავშვებთან და წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ გააჩნიათ, ამიტომ ეგუებიან აღნიშნულ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასთან. იშვიათად მაგრამ აგრესიის მსხვერპლს წარმოადგენს მამაკაცი, რომელიც ხშირ შემთხვევაში განიცდის ეკონომიკურ ძალადობას, რაც გამოიხატება მის მიმართ საკვების, საცხოვრებელი ადგილის, ნორმალური განვითარების პირობების, საკუთრების და შრომის უფლებების განხორციელების შეზღუდვაში.

მეოთხე ფაქტორი, რომლის გამოც მსხვერპლი იკავებს თავს ძალადობის ფაქტის გამჟღავნებისაგან არის იურიდიული განვითარების დაბალი დონე.

სამართლის ნორმების არცოდნა, რაც მსხვერპლის კანონისადმი გულგრილობას იწვევს. ხშირად პირმა არ იცის ვის უნდა მიმართოს დახმარებისთვის და რა უფლება მოვალეობები გააჩნია მას. რაც ხელისშემშლელი ფაქტორია ოჯახური ძალადობის პრევენციაში.

ოჯახური ძალადობა მოიცავს ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს, აქედან გამომდინარე ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზებიც სხვადასხვაგვარია. იმისათვის, რომ მოვახდინოთ ძალადობის აღკვეთა და ფაქტთა შემცირება სწორად უნდა განვსაზღვროთ მისი გამომწვევი მიზეზები. ამით საშუალება გვქვია იოლად გადავჭრათ პრობლემა.

ოჯახური ძალადობის ფაქტები უმეტეს შემთხვევაში შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული:

- მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- მოძალადე პიროვნებები არიან გონებრივად დაავადებულნი, ფსიქოპათიურები;
- ძალადობის პროვოცირებას ახდენს მსხვერპლი;
- გენდერული უთანასწორობა;
- ალკოჰოლი;

როლების განსაზღვრა ურთიერთკავშირისას; ეს იმ მიზეზთა ჩამონათვალია, რის საფუძველზეც ფაქტობრივად ოჯახური ძალადობის შემთხვევები ხდება.

ახლა უშუალოდ გადავიდეთ სამართლებრივი რეგულირების მექანიზმზე, რომელიც შემუშავებულია აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით. კანონი “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” – განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის გზებს.

კანონის მიზანს წარმოადგენს:

- ოჯახის წევრების უფლებრივი თანასწორობის აღიარებით ძალადობისგან დაცვის გარანტიების შექმნა;
- საკანონმდებლო მექანიზმის ჩამოყალიბება;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;
- ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა.
- ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები.

ამრიგად კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ძალადობის აღკვეთისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართლის სამი წამყვანი დარგის სამართლებრივი ნორმები. ისმება კითხვა: “რამდენად არის ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული სარჩელები ადმინისტრაციული წესით გადამწყვეტი დავები?”

თუ დავაკვირდებით ოჯახში ძალადობის ფაქტს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ იგი ხშირ შემთხვევაში რეგულირებით გარდამავალი საკითხია ადმინისტრაციულ

და სისხლის სამართლის დარგს შორის, იმდენად რამდენადაც ოჯახური ძალადობა ეხება პირის უფლებებს და თავისუფლებებს, გულისხმობს ფიზიკურ ძალადობას, ამდენად ის საჯარო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება.

ოჯახური ძალადობის ფაქტი შეიძლება ადმინისტრაციული გადაცდომიდან გადაიზარდოს სისხლის სამართლებრივ დანაშაულში, მაშინ როდესაც გამოვლინდება, რომ ის შეიცავს დანაშაულებრივ ნიშნებს. საწყის ეტაპზე კი ოჯახში ძალადობა ვთვლი, რომ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების საგანს კერძოდ, კი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით უნდა დარეგულირდეს. ოჯახური ძალადობიდან წარმოშობილი ურთიერთობების დარეგულირება ხდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით და მასში ჩართულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს ასეთი დავების ადმინისტრაციულ სამართლებრივი წესით გადაწყვეტის გზებზე.

ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით კანონის თანახმად უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფასდ, დროებითი ღონისძიებების სახით შემაკავებელი და დამცავი ორდერი გამოიცემა.

დამცავი ორდერი - ეს არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. აქედან ნათლად ჩანს, რომ ადმინისტრაციულ სამართლებრივი ნორმებით ხდება პირველადი ღონისძიებების გატარება ძალადობის ფაქტების მიმართ, რაც თავითავად გულისხმობს იმას, რომ ოჯახში ძალადობა, მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართლით რეგულირებადი არ არის. ეს იმიტომ, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერის გაცემა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული არ აქვს პატიმრობა. აქედან იკვეთება შემდეგი: ოჯახში ძალადობის ფაქტების რეგულირება სხვადასხვა დარგების მიერ დამოკიდებულია იმაზე თუ რა სტადიაზეა ძალადობა.

დამცავი ორდერის გაცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით სხვა პირს, ბავშვის მიმართ ძალადობის დროს— მზრუნველობის და მეურვეობის ორგანოს.

დამცავი ორდერის გაცემის მოთხოვნაზე როდესაცაა ლაპარაკი, აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი, რომ ხშირ შემთხვევაში პრაქტიკიდან გამომდინარე იქმნება პრობლემები, მსხვერპლი უარს ამბობს ორდერის გაცემაზე და აქაც საქმე გვაქვს შიშის ფაქტორთან. შიში არის იმისა, რომ მსხვერპლი არ არის დაცული, არ არის დარწმუნებული იმაში რომ მოძალადისაგან საფრთხე არ ემუქრება. ეს ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ სამართალდამცავი ორგანოები დღეს არ წარმოადგენენ მყარი დაცვის გარანტიის მქონე ორგანოებს, რაც თავის მხრივ მოსაწესრიგებელია. მსხვერპლს ხშირ შემთხვევაში ურჩევნია მხარეთა შერიგებით მოახდინოს დამცავი ორდერის მოქმედების გაუქმება, რაც თავის მხრივ შეიძლება ითქვას, რომ შედეგის მომტანი არ არის, რადგან ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ აგრესიასთან, რომლის გამოსწორება დამცავი ორდერის გაუქმებით და მხარეთა შერიგებით თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც აუცილებელია და საჭიროა, რომ მოხდეს

მოსახლეობის ინფორმირება და ტრენინგებისა და პროგრამების განხორციელებით ძალადობის აღკვეთა, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რათა საზოგადოების ნებისმიერმა წარმომადგენელმა ძალადობის ფაქტის შემთხვევაში იცოდეს რა უფლება-მოვალეობები აქვს, ვის უნდა მიმართოს და რა გზით უნდა მიიღოს დახმარება. ამით ჩვენ ხელს შევეუწყობთ არა მხოლოდ ძალადობის ფაქტების გამოვლენას და აღმოფხვრას, არამედ შეგვეძლება თვალყური ვადევნოთ საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების განვითარების ტენდენციებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შევძლოთ მათი შემცირება. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოებას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომელიც მოიცავს ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში პოლიციის უფლება-მოვალეობების სისტემატიზაციაში მოყვანას, ეს იმიტომ რომ ძალადობის ფაქტის დადგომის შემთხვევაში პოლიციელს პირველს უწევს შეხება მოძალადესა და მსხვერპლთან, ამიტომ, არის პოლიციის თანამშრომელთა ქმედების ზუსტი განსაზღვრა აუცილებელი რათა, არ მივიღოთ შემდგომში სავალალო შედეგი.

აშშ-ში არსებული ოჯახური ძალადობის ფაქტების შემთხვევაში, პოლიციელს თანამშრომელთა რეაგირება გაცილებით მაღალპროფესიულ დონეზე ხორციელდება. აშშ-ში ძალადობასთან ბრძოლის მეთოდების განხილვაზე სანამ გადავიდოდეთ, მანამდე განვიხილოთ ოჯახური ძალადობის მხრივ როგორი სიტუაციაა ამ ქვეყანაში. აშშ-ში ოჯახური ძალადობის ფაქტები ხშირია და შესაბამისად ამ ქვეყნის გამოცდილებაც დიდია ამგვარი ფაქტების არა მხოლოდ თავიდან აცილების ხერხების გამოყენებაში, არამედ მის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაშიც.

აშშ-ში არსებულ სიტუაციას თუ განვიხილავთ, ფაქტობრივად დავინახავთ რომ ოჯახური ძალადობის ფაქტები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება იქნება ეს ფიზიკური, ეკონომიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა.

აშშ-ში სტატისტიკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ ხშირია ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტები ეს რა თქმა უნდა არ გულისხმობს იმას, რომ ამ ქვეყნებში ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის პრეცედენტები არ დაფიქსირებულა რა თქმა უნდა ხდება ასეთი შემთხვევები, მაგრამ სტატისტიკურად უფრო მცირე რაოდენობით ვიდრე ფიზიკური და სექსუალური.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები გაცილებით დახვეწილია და შეიძლება ითქვას ეფექტური. სწორედ ევროპის ქვეყნებში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით შეგვეძლება საქართველოში არსებული სიტუაციის დარეგულირება. აშშ-ში გამოიყენება ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი მეთოდები:

მკაცრად ჩამოყალიბებული და განსაზღვრული კანონმდებლობა:

ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სპეციალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. მაღალკვალიფიციურ დონეზე მომზადებული პოლიციის თანამშრომელთა კონტინგენტი:

სამართლებრივი დონის ამაღლება საზოგადოებაში:

და რაც მთავარია:

სწორად ინფორმირებული საზოგადოების აქტიური თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრის საკითხში.

სწორად განსაზღვრული მიდგომა შეიძლება ითქვას, ეფექტურ შედეგს გვაძლევს არა მარტო ოჯახური ძალადობის, არამედ სხვა დანაშაულის აღმოფხვრის გზების ძიებაში.

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომელზე ბევრია დამოკიდებული თანაც გასათავლისწინებელია ის ფაქტი, რომ პოლიციის გამოჩენა აგრესორზე ძალიან ცუდად მოქმედებს და ხშირ შემთხვევაში ახდენს სიტუაციის დაძაბვას.

ამიტომ ჩემი რეკომენდაციაა ოჯახური ძალადობის ფაქტების პრევენციასთან დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში: ძალადობის ფაქტის ფიქსირების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელს თან უნდა ახლდეს კვალიფიციური სპეციალისტი ექიმში ფსიქოლოგი, რომელიც თავისი პროფესიული გამოცდილებით შეძლებს სიტუაციის მართვას და მოძალადის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილებას.

კანონი – "ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". – განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით არასრულწლოვანთა დაცვის ღონისძიებებს. დამცავი ორდერის გაცემით შეიძლება მოხდეს ბავშვის მოძალადე მშობლისგან განცალკევება. სასამართლო განიხილავს ბავშვთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის საკითხს. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საოჯახო ურთიერთობები, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივი გზით რეგულირდება. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობა ზოგიერთ შემთხვევაში დარეგულირებულია სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით.

სახელწიფო მმართველობის ორგანოები: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისა და მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნას, რომელთა საქმიანობა რეგულირდება წესდებით და ამრიგად, ის წარმოადგენს სახელწიფო სისტემაში შექმნილ ორგანიზაციულ წარმონაქმნს. ამასთან კანონიდან გამომდინარე, ასეთ ცენტრებში პირთა დარღვეული უფლებების აღდგენა ხდება ადმინისტრაციულ სამართლებრივი წესით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ოჯახური ძალადობის, ადმინისტრაციული სამართლით დარეგულირების აუცილებლობას.

ფაქტობრივად ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ პრობლემათა აღმოფხვრა ადმინისტრაციული ნორმებით უნდა მოხდეს, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე ოჯახური ძალადობის გამოვლინების როგორ ფაქტორთან და რა სტადიაზე გვექნება საქმე, რადგან როგორც პრობლემიდან ჩანს ოჯახური ძალადობა ფართო სპექტრს მოიცავს.

სამართლებრივი ღონის ამაღლება:

სამართლებრივი ნორმის ზუსტი გამოყენება:

პრობლემისადმი სწორი მიდგომა:

საზოგადოების აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან;  
ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ტრენინგების კურსის შემუშავება;  
მსხვერპლთა დაცვის მყარი გარანტიების ჩამოყალიბება.

ყველაფერი ეს საჭიროა იმისათვის რომ ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა XXI საუკუნეში აღარ არსებობდეს.

*ნინო ენდელაძე*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი**

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი: –”ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”
2. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოში.
3. [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

*ნინო ენდელაძე*

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით  
სარჩელების ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტა.**

### **რეზიუმე**

ოჯახური ძალადობა დღესდღეობით საქართველოში მეტად გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს. საზოგადოება ხშირად დგება ოჯახური ძალადობის ფაქტების მომსწრე, რაც მათ დიდ საშიშროებას უქმნის. სწორედ ამან განაპირობა საქართველოში 2006 წელს კანონის: ”ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” მიღება. ამასთან ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებული სარჩელების სამართლებრივი რეგულირების საკითხი მეტად პრობლემატურია რაც ოჯახური ძალადობის როგორც დანაშაულის, დინამიური ბუნებით არის გამოწვეული. ამ საკითხის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ყველა ბერკეტი იმისა, რომ ებრძოდეს ოჯახურ ძალადობას.

**Решение дел по вопросам защите и помощи жертвам семейного насилия в административном порядке**

**Резюме**

Насилие в семье на сегодняшний день является очень распространенной проблемой в Грузии. Общество очень часто становится очевидцем фактов семейного насилия, что создает большую опасность для него. Именно это стало причиной принятия в 2006 году закона «о защите и помощи жертв насилия в семье». К тому же вопросы правового регулирования исков по фактам семейного насилия очень проблематичны, что вызвано динамической природой семейного насилия, как преступления. Решение этих вопросов очень важно, так как государство должно иметь все рычаги для борьбы с семейным насилием.

*Nino Endeladze*

**Decision of suits, regarding victims of home violence, with administrative order**

**Abstract**

For today, violence in a family is a very widespread problem in Georgia. The society becomes frequently the witness of violence in a family, what puts them in a big danger. This fact has pushed Government to pass the law on violence in a family in 2006, namely: “Law about protection and assistance for the victims of home violence”. Besides to find decision of suits, regarding victims of home violence is very problematic because of dynamism of the given crime. To find solution for this issue is extremely important as the state should possess all possibilities for combating home violence.

**ქალი, როგორც დანაშაულის ობიექტი და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი**

ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი ხშირი და მზარდი პრობლემაა არამარტო საქართველოში, არამედ ზოგადად მსოფლიოში. მასთან საბრძოლველად უამრავი ორგანიზაცია მუშაობს. საქართველოში მომუშავე ერთ-ერთი მათგანია არასამთავრობო ორგანიზაცია “ძღეკი” (ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი).

საქართველოში ძალადობის საკითხს ამწვავებს ერთი გარემოება, რომელიც კანონში ვერ აისახა. ეს ქონების უფლებებს ეხება. მსხვერპლს არ შეუძლია მოძალადესთან ცხოვრება, მაგრამ წასასვლელი არსად აქვს და ამიტომ ითმენს. მას არ იღებს საკუთარი ოჯახი, რომელსაც ასევე საკმარისი საცხოვრებელი ფართი არ გააჩნია. ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია თავმესაფარი, მაგრამ არც ესაა გამოსავალი, რადგან თავმესაფარში მუდმივად ვერავინ დარჩება. მე მაინც ყველას მოვუწოდებდი, რომ ეფექტათ საქორწინო ხელშეკრულებებზე. ეს ერთადერთი რამაა, რაც ქალს ქუჩაში დარჩენისაგან იხსნის, მხოლოდ მას შეუძლია იხსნას მსხვერპლი.

რას ითვალისწინებს კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში? - უკვე ერთ წელზე მეტია მიღებულია კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. რომელიც მართალია დასახვეწია, მაგრამ უკვე დიდი როლი შეასრულა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში. ძირითადი მექანიზმები, რაც ჩადებულია კანონში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, არის დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღებამ ძალიან შეუწყო ხელი პოლიციელებს მუშაობაში. ადრეულ წლებთან შედარებით პოლიციის მუშაობა ამ კუთხით გაცილებით ეფექტური გახდა.

კანონის მიზანი მოძალადის ციხეში ჩასმა არ არის. ასევე არც ის მიგვაჩნია სწორად რომ ყოველი ძალადობის ფაქტს გაყრა მოყვეს. ამისათვის უნდა გააცნობიერო, რომ მოძალადეც ადამიანია და მასთანაც ისე უნდა იმუშაო, როგორც მსხვერპლთან. სწორედ მოძალადემ უნდა გაიაროს ისეთი პროგრამა, რომლის შედეგადაც იგი ნაკლებად გახდება.”

რაც შეეხება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებას, როგორც მათი პოზიცია მკვეთრად კრიტიკულია: „მათთან რეგულარულად ვთანამშრომლობთ და ინფორმაციას ვცვლით. მათი რეკომენდაციები პირველ რიგში იმ ოფიციალური ვალდებულებების შესრულებას ითვალისწინებს, რასაც საქართველომ ხელი სხვადასხვა წლებში მოაწერა. ეს არის ეუთოს, ევროსაბჭოს რეკომენდაციები და სხვა. ერთ-ერთი ბოლო რეკომენდაცია კონკრეტულად საქართველომ გასული წლის 13 აგვისტოს მიიღო, როდესაც ნიუ იორკში ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საქართველოს ანგარიში განიხილეს.“ აღსანიშნავია ისიც რომ ამ პრობლემას არეგულირებს სისხლის სამართლის კოდექსი და ამ საკითხის მომწესრიგებელ მუხლებს ვხვდებით როგორც ზოგადად ოჯახურ დანაშაულთა თავში, ასევე ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშიც.

“ოჯახში ძალადობის დაძლევისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების” კანონი საქართველოში 2006 წელს მიიღეს. ერთი წლის შემდეგ 2007 წლის 30 ივლისს ქვეყნის ხელისუფლებამ დაამტკიცა მოქმედების სახელმწიფო



გეგმა იმ ღონისძიებების ჩასატარებლად, რომლებიც 2007-2008 წლებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად უნდა ჩატარებინათ. მართალია, ეს ნორმატიული აქტები აუცილებლად უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ პრობლემის მოსაგვარებლად მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა იქნეს განხილული გენდერულობის პრობლემა თუ რამდენად არის იგი დაცული საქართველოში და რას გვეუბნება ამის შესახებ კანონმდებლობა.

ისმის კითხვა შეიძლება ჩაითვალოს თუ არა, რომ საქართველოში გენდერული ბალანსი დაცულია? ეს ასე ნამდვილად არ არის და არც უნდა იყოს. საქართველო ტრადიციების მატარებელი ქვეყანაა და მათი მიხედვით, მთავარი სიტყვა შინ და გარეთ მამაკაცს ეთქმის. გენდერული თანასწორობის მომხრე ნამდვილად არ ვარ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალი მონა უნდა იყოს, ან უწიგნური, ან გაუნათლებელი და ასე შემდეგ.

- სიტყვა „მონა“ რატომ ახსენეთ, ქართველი ქალები ამ პრობლემის წინაშე დგანან?

- ბუნებრივია, გენდერული პრობლემები სააშკარაოზე არ გამოდის, თუმცა, ქალების დიდი ნაწილი სწორედ ამ პრობლემას უჩივის. პირად მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ მე ჩემი ოჯახის მონა ვარ, თუმცა, სხვა გამოსავალი არ მაქვს.

2007 წლის 26 სექტემბრის №211 ბრძანებულებით საქართველოში შეიქმნა გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია, რაც სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია. ამ ბრძანებულების შესაბამისად კომისია ვალდებული იყო უზრუნველყო „იმ საკითხების განხილვა, რომლებიც გენდერულ პრობლემატიკას უკავშირდება (ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა). მას ამ სფეროებში არსებული სიტუაცია უნდა შეესწავლა, ხელი შეეწყო სახელმწიფო პოლიტიკისა და მონიტორინგის შექმნისთვის, მოქმედებისა და ღონისძიებების სახელმწიფო გეგმის შესრულებისთვის და ამ დოკუმენტებთან შესაბამისი სახელმწიფო ღონისძიებები ჩატარებინა“.

რაც შეეხება კანონმდებლობას, არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი თუ ნორმატიული აქტი არსებობს, რომელიც გენდერულ ბალანს იცავს და ყოველგვარ ძალადობას გმობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით: „ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“

იმავე დეკლარაციის მე-5 მუხლით: „არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაჰუმანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს“.

გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტით: „არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა თუ სასჯელს“ (მე-7 მუხლი).

„თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და წესისა“ (9.1 მუხლი).

რაც შეეხება სტატისტიკას გენდერული ბალანსის შესახებ, მსგავსი ციფრები საქართველოში არ არსებობს. 2005 წლის მონაცემებით კი 15 წლის ზევით ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობაში მამაკაცთა ოდენობა 1461.0 ათასს შეადგენდა, ქალთა - 1699.0-სს; სამუშაო ძალა 1074.0 ათასი იყო კაცი, 945.5 ათასი - ქალი; დასაქმებული იყო 915.2 კაცი, 829.4 ქალი; თვითდასაქმებული - 600.5 კაცი, 542.8 ქალი; დასაქმების დონე პროცენტულად შემდეგნაირად გადაანაწილდა - 62.6% კაცი, 48,8% ქალი.

პრაქტიკამ გამოავლინა, რომ მათი უმრავლესობა ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებული პირები არიან,

თუმცა, მოძალადეობად სავსებით ჯანმრთელი ადამიანებიც გვევლინებიან. საქართველოში მოძალადე მამაკაცთა უმეტესი ნაწილი არ თანხმდება ტრენინგების გაველას და მათი მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ ისინი ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას, რადგან პერიოდულად, მათ არ შესწევთ უნარი მართონ საკუთარი თავი. ეს პრობლემა როგორც აღვნიშნეთ, საყოველთაოა და ის მარტო საქართველოში არ არის აქტუალური, თუმცა პრობლემის სიმწვავეს ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში, ალბათ, საზოგადოების შინაგანი ინტელექტის დონესა და ზნეობის ხარისხზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ოჯახური ძალადობის ფაქტების სტატისტიკას, შსს-ს მონაცემებით 2007-2008 წლებში 358 შემთხვევა დაფიქსირდა (საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა საქმეში პოლიცია ჩაერთო). აქედან 313 მსხვერპლი ქალბატონი იყო, 45 კი მამაკაცი. როგორც ქალთა საკონსულტაციო ცენტრი - “სახლის” ხელმძღვანელი რუსუდან ფხაკაძე “ადამიანის უფლებათა ცენტრთან” საუბრისას აცხადებს, რეალობასთან მიხედვით სტატისტიკა იმიტომ არ არსებობს, რომ ქალები ამ საკითხზე საუბრს თავს სხვადასხვა მიზეზების გამო არიდებენ.

ახლა განვიხილოთ მსოფლიოს მასშტაბით სტატისტიკა რათა შევადაროთ საქართველოს სტატისტიკას.

გაეროს მონაცემების თანახმად მსოფლიოს მასშტაბით ყოველი მესამე ქალი პარტნიორი მამაკაცის მიერ ფიზიკურის შეურაცხყოფის, ხოლო ქალთა 40 პროცენტი კი უცნობი პირის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ხდება.

ოჯახური ძალადობა განსაკუთრებით შეინიშნება განვითარებად ქვეყნებში, როგორც გაეროს ოფიციალური პირები იტყობინებიან ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის ყველაზე ბევრი შემთხვევა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაფიქსირდა. გასულ წელს ქვეყანაში სექსუალური ძალადობის 27 ათას ინციდენტს ჰქონდა ადგილი. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით 2007 წლიდან 2008 წლის პირველ ივნისამდე საქართველოში ოჯახში ძალადობის, მოძალადეთა და მსხვერპლთა სტატისტიკა ასეთია:

| მამაკაცი |           | ქალი     |           |
|----------|-----------|----------|-----------|
| მოძალადე | მსხვერპლი | მოძალადე | მსხვერპლი |
| 320      | 45        | 37       | 313       |

მოძალადეთა ყველაზე დიდი რაოდენობაა 25-დან 44 წლამდე ასაკში - 182;

მსხვერპლთა უდიდესი ნაწილიც ამ ასაკისაა: 25-დან 44 წლამდე - 183;

მოძალადეთა და მსხვერპლთა დიდი ნაწილი დაფიქსირებულია თბილისში -184-184;

ყველაზე ცოტა ძალადობის ფაქტი დაფიქსირებულია სამეგრელოსა და ზემო სვანეთში - (4-4);

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველს ყოველთვიურად გადაეცემა ოჯახში ძალადობის ფაქტები, რაც შემდეგ ნახევარწელიწადში ერთხელ სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისადმი წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში აისახება.

სტატისტიკა 2007 წლის პირველ ნახევარში წარდგენილ ანგარიშში ასეთია: თბილისსა და რეგიონებში სულ 87 დაპატიმრების ორდერი იქნა გაცემული

| მამაკაცი |           | ქალი     |           |
|----------|-----------|----------|-----------|
| მოძალადე | მსხვერპლი | მოძალადე | მსხვერპლი |
| 78       | 6         | 9        | 81        |

|  |        |   |  |
|--|--------|---|--|
| ოჯახში ძალადობის ფაქტზე აღძრულ იქნა 17 სისხლის სამართლის საქმე |        |   |  |
| გაირჩა 16  |        | ხელახლა გამოსაძიებლად დაბრუნდა 1                                      |  |
| განაჩენი გამოუტანეს  |        | ცოლისგან ქმრის მკვლელობა, რომელიც წლების განმავლობაში მასზე ძალადობდა |  |
| 15 მამაკაცს  | 1 ქალს |   |  |

პრობლემასთან დაკავშირებით მომუშავე პრაქტიკოსების დაკვირვებით, საკითხი ასე ფასდება: ოჯახური ძალადობა როგორც პრობლემა, საქართველოში კვლავაც ინტენსიური და მწვავეა. ძალადობის მსხვერპლნი კვლავინდებურად სუსტი სქესის წარმომადგენელნი რჩებიან, ხოლო მოძალადეები საკუთარ ქცევას აღიქვამენ როგორც წესს, როგორც ოჯახის მართვის ტრადიციულ მეთოდს, სადაც მამაკაცი უნდა ბატონობდეს ქალზე.

სპეციალისტების აზრით ეს არის მცდარი შეხედულება, რადგან აქ არ იგულისხმება ერთმანეთის ურთიერთპატივისცემა, რაც აუცილებელია სრულფასოვანი ურთიერთობისათვის. ანუ ეს არის ქართული ტრადიციების დამახინჯებული ფორმა, რადგან ტრადიცია არ შეიძლება იყოს ძალადობაზე დაფუძნებული. მოძალადე ადამიანები, სამწუხაროდ, ხშირად ვერ აცნობიერებენ საკუთარ შეცდომებს, რაც ხშირ შემთხვევაში საბედისწერო შეცდომებია, ამიტომ არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც ნებაყოფლობით მისულ მოძალადე ადამიანებზე სპეციალურად მათთვის შემუშავებული პროგრამით იმუშავენ. ასევე ყურადსაღებია იურისტების შეხებულება არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში. იმ იურისტების განცხადებით, რომლებიც ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობენ, კანონში არსებული შეცდომები ხელს უშლის სასამართლო

გადაწყვეტილებით კანონის აღსრულებას, რაც გულისხმობს დამცველი და დაკავების(შემაკავებელი) ორდერების გაცემას.

*გიგა გიგაშვილი*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი**

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კრიმინოლოგია -ავტორთა კრებული
2. საქართველოს სისხლის სამართლის კომენტარები,კოდექსი.
3. გაეროს დეკლარაციები;
4. ეუთოს დეკლარაცია;
5. [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

*გიგა გიგაშვილი*

**ქალი, როგორც დანაშაულის ობიექტი და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი**

### **რეზიუმე**

როგორც დავინახეთ ეს პრობლემა ძალზე აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის და არა მარტო მისთვის, მის აღმოსავლურელად მსოფლიოს ქვეყნები უამრავ ფულს ხარჯავენ რათა ბოლოს მაინც იქნეს ნაპოვნი გზა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ჩემი აზრით ამის ერთ-ერთი წინაპირობაა იმ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა რომლებსაც ოჯახური ძალადობის სფეროში სოციალური მუშაკების მომზადების გამოცდილება აქვთ. ასევე არ უნდა დავივიწყოთ კანონმდებლობა რომელიც საკმაოდ არის დასახვეწი ამ კანონის დახვეწაც და შეცდომების გათვალისწინება ჩემი აზრით ძალზედ კარგ შედეგს მოიტანს. ასევე არამარტო ჩემი არამედ ექსპერტების აზრითაც ამ პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ დაიწყოს დიალოგი საკუთარ მოსახლეობასთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

და ბოლოს ის რაც ზემოთ არის განხილული არავინ იფიქროს რომ მხოლოდ სახელმწიფოს, ძალოვანი სტრუქტურების და სამთავრობო თუ არსამთავრობო ორგანიზაციის საქმეა, ამ საერთო პრობლემის აღმოსავლურელად საჭიროა ჩვენ, თითოეულმა მოქალაქემ გავითავისოდ თუ რა არის დემოკრატია გენდერული თანასწორობა და ადამიანის პირადი უფლებები და თავისუფლებები და ვიზრუნოთ მათ დაცვაზე რადგან იგივე პრობლემა ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება საკუთარ თავზე გამოვცადოთ.

**Женщина, как объект преступления и семейного насилия**

**Резюме**

Как мы увидели, эта проблема очень актуальна не только в нашей стране, но также и за границей. Для решения данной проблемы много стран тратят значительное количество денег дабы в конечном счете найти способ устранить эту проблему. Я полагаю, что одним из главных условий для решения этой проблемы является сотрудничество между государством и не государственными организациями, которые имеют большой опыт в этой сфере.

Также важно улучшить законодательство, так как если мы учтем и исправим ошибки, которые были сделаны в прошлом, мы получим хороший результат. Я разделяю мнение экспертов, которые полагают, что нужно начать диалог между государством и населением для решения этого вопроса.

И в заключении нужно отметить, что эти проблемы не касаются только неправительственных организаций, государства и силовых структур. Для их решения нужно, чтобы мы, каждый наш гражданин усвоил бы то, что является демократией, гендерным равноправием, личными правами и свободами человека и заботились бы об их защите, так как в один прекрасный день возможно мы лично ощутим эти проблемы.

**Woman as an object of crime and victim of home violence**

**Abstract**

As we see this problem is very actual not only in our country, but also abroad. For the decision of the given problem many countries endow a considerable quantity of money and eventually should find a way to eliminate this problem. I consider that one of the major factors for the decision of this problem is to co-operate between the state and not state organizations which have a wide experience in this sphere.

Also it is important to improve the legislation and if we will consider errors which were made in the past, we will receive good result. I share opinion of experts which consider that it is important to begin dialogue between the state and the population for the decision of this question.

And on final it is necessary to note, that this problem concerns not only the state and NGO's , but also it is important that each of us has acquired what is democracy, gender equality, human rights and has tracked that they did not break rules, because one fine day we can test this horror for ourselves.

**არალეგალური მიგრაცია და ქალთა ტრეფიკინგი**

ტრეფიკინგი, ანუ ადამიანით ვაჭრობა, თავისი შემადგენლობით საკმაოდ რთული დანაშაულია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ტრეფიკინგი გულისხმობს „ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას გადამალვას ანდა მიღებას ექსპლოატაციის მიზნით. ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით.

ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.”

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში, 2007-2008 წლებში ტრეფიკინგის მუხლით რეგისტრირებულია 39 დანაშაული, მათ შორის ქალების მიმართ ჩადენილია 20 დანაშაული, აქედან გასხნილია მხოლოდ 10 დანაშაული.

ტრეფიკინგის მსხვერპლნი უმთავრესად ქალები ხდებიან. ამიტომ ქალთა ტრეფიკინგის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, იმდენად მწვავეა, რომ ზოგი ავტორი იმასაც კი ამტკიცებს, რომ „არაქალთა” ტრეფიკინგი საერთოდ არ არსებობს და ნებისმიერი ტრეფიკინგი – ქალთა ტრეფიკინგია. ასეთი თვალსაზრისი, ალბათ, გაზვიადებულია, მაგალითად, რა უნდა ეწოდოს თუ არა ტრეფიკინგი, ინგლისში მომხდარ შემზარავ შემთხვევას, როცა ჩინეთიდან ჩამოსულ გემში აღმოაჩინეს უპაერობითა და შიმშილ-წყურვილით დახოცილი უამრავი ადამიანი - არალეგალური მიგრანტები. იქ მხოლოდ ქალები არ ყოფილან. მაგრამ ფაქტია რომ ქალთა მდგომარეობა სხვებთან შედარებით გაცილებით უფრო მძიმეა.

1980 წელს გამოქვეყნებული გაეროს ანგარიშის მიხედვით, ქალები წარმოადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარს, მაგრამ ასრულებენ მთელი სამუშაოს ორ მესამედს, ხოლო ღებულობენ მსოფლიო შემოსავლის მეათედს და ფლობენ მსოფლიო ქონების მხოლოდ ერთ მეასედს. არაფორმალურ სექტორში ქალთა მუშაობის წილი ძალიან მაღალია ყველა განვითარებად ქვეყანაში, რადგან ქალები იღებენ ოჯახის რჩენის ძირითად პასუხისმგებლობას. ეს ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია, რომელიც იწვევს მიგრაციის ფემინიზაციას. ტრეფიკინგი უნდა გავიგოთ, როგორც ქალთა სამუშაო მიგრაციის ერთი ასპექტი „ქალთა ტრეფიკინგი ეფუძნება არა მხოლოდ იმას, რომ ქალები იძულებულნი არიან ეძიონ სიცოცხლის გადარჩენის სტრატეგიები, არამედ, აგრეთვე იმასაც, რომ „პირველი სამყაროს” მიერ იაფი მუშა ხელის და ეგზოტიკური სექს-ობიექტების მოთხოვნილებას, რომელთაც ეპყრობიან ისე, როგორც საქონელს. იგი, ასევე,

ეფუძნება გამგზავნი ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს, რომელთათვის ეს ბიზნესი უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერებას ემსახურება და ამასთანავე ეს უმუშევარი მოსახლეობის ნაწილის დასაქმების და ქვეყანაში შემოტანილი თანხით საკუთარი მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის ერთგვარი შესაძლებლობაა.”

ქალთა ტრეფიკინგს ხშირად აიგივებენ მათ პროსტიტუციაში ექსპლუატაციასთან, მაგრამ ტრეფიკინგი უფრო ფართო ცნებაა. ტრეფიკინგი გულისხმობს, აგრეთვე, მიგრანტ ქალთა ანაზღაურების გარეშე, ან იაფი მუშა ხელის სახით გამოყენებას, მათთვის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას და საერთოდ, მათი უფლებების ყველანაირ შელახვას.

ქალთა ტრეფიკინგი გულისხმობს მუშაობის ნებისმიერ ტიპს, რაც აქცევს ქალებს საკუთრების ობიექტად, დაქორწინებისა და სექს-ტურიზმის ჩათვლით. ასეთი განმარტება მოიცავს მიგრანტ ქალთა ყველანაირ ექსპლუატაციას და არა მხოლოდ ექსპლუატაციას პროსტიტუციის გზით. ტრეფიკინგი ყოველთვის შეიცავს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან შელახვას. ტრეფიკინგი მსოფლიო პრობლემაა და საქართველო მისგან ნამდვილად ვერ იქნება დაზღვეული. უკვე პირველი შეხებისას, პრობლემაში ჩადრმაგებამდეც ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანაში ტრეფიკინგის ყველა წინაპირობა არსებობს. ეს, არის პირველ რიგში, მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება და ამ საფუძველზე გაჩენილი ეკონომიკური მიგრაცია. ასევე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზღვრების გახსნის ფონზე, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს გადაადგილებას და მათ შორის, ტრეფიკინგსაც. სავარაუდოა აგრეთვე, რომ მიგრანტთა უმრავლესობა ქალებია, რადგან ძირითადად სწორედ მათ კისერზე გადადის ოჯახის რჩენის პრობლემა, როგორც ეს თვალნათლივ შეიძლება დაინახოთ, მაგალითად, ბაზრობებზე, სადაც „გარე მოვაჭრეები” ანუ ყველაზე მძიმე პირობებში მყოფები ძირითადად ქალები არიან.

ტრეფიკინგი (ინგ. თრაფიკი- ტრანსპორტირება, მოძრაობა) – ეს მონებით ვაჭრობის თანამედროვე ფორმაა. ადამიანთა, უფრო ხშირად ქალთა დაქირავება სამსახურისა თუ მომსახურებისათვის, მათი საზღვარგარეთ გაყვანა მუქარით, მოტყუებით ან ძალადობით. გაეროს შეფასებით, ყოველწლიურად მთელს მსოფლიოში 4 მლნ.-ზე მეტი ადამიანი გადააჰყავთ სხვადასხვა ქვეყნის საზღვარზე იძულებითი შრომისათვის. მიგრაციული პროცესების (შრომითი მიგრაცია) ინტენსივობა, ეკონომიკური კრიზისი, ქვეყნის კანონმდებლობის ნაკლოვანებები განიხილება ტრეფიკინგის ხელშემწყობ პირობად. ადამიანებით ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად, მომგებიან და უკონტროლო სახეს „სექს-ვაჭრობა” წარმოადგენს. ქალის როგორც სავაჭრო საგნის იმიჯს ამყარებს მასკულტურაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები და ქალის დაქვემდებარებული სტატუსი. ტრეფიკინგი გენდერულ ძალადობად განიხილება. ძირითადად იგი დამახასიათებელია ეკონომიკური კრიზისის კერებისათვის. სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, პოსტსაბჭოური სივრცის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და კარიბის აუზის მოქალაქეები ბედის საძებნელად უფრო მდიდარ ქვეყნებში მიემგზავრებიან. მოდის სააგენტოები, ტურისტული ბიუროები, საცეკვაო კლუბები ქალებს მაღალანაზღაურებად და პრესტიჟულ სამუშაოს სთავაზობენ, ტრეფიკიორთა მაფია კი მათ იძულებით პროსტიტუციაში, შინამოსამსახურებად და ა.შ. ამწესებს. ტრეფიკიორები, ფაქტობრივად ერთსა და იმავე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას მიმართავენ: მსხვერპლისათვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის

წართმევას, ფიზიკურ ძალადობას (ცემა, მუქარა, გაუპატიურება და ა.შ), კრიმინალურ ქმედებაზე დათანხმებას, იზოლირებას, ოჯახის წევრებისათვის ზიანის მიყენების მუქარას და ა.შ. ჯერ კიდევ 1904, 1910, 1921 და 1933 წლებში დასავლეთის ქვეყნებში დაიღო ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო შეთანხმებები, აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ უკვე დიდი ხანია დაიწყო ბრძოლა ამ უდიდესი პრობლემის წინააღმდეგ.

„ე.წ. ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესმა“, რომელიც „პირველი სამყაროს“ მიერ არის შემოთავაზებული, შედეგად მოიტანა ხისტი ნეოლიბერული ეკონომიკური პოლიტიკა, რაც მოიცავს სტრუქტურულ შეგუება-მორგებას, პრივატიზაციას და მთელი ინდუსტრიის ჩაშლას. გარდუვალი შედეგები არის უმუშევრობის გაზრდა და სიღარიბე, რადგან მხოლოდ ზოგი ერი და სოციალური კლასია მორგებული ინტერნაციონალურ ეკონომიკას, უთანასწორობის დონე კიდევ უფრო მაღლდება.

ნიუ-იორკში ქალთა უფლებების დაცვის განყოფილების დირექტორი შილა დოერი თვლის, რომ ნებისმიერი სახის ძალადობა გლობალური პრობლემის ამსახველია. ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის, საერთაშორისო ამინისტრის მიერ გაკეთებული მოხსენების თანახმად სიერა ლეონეში, 1990 წელს სამოქალაქო ომის დროს ქალების ერთი მესამედი, ზუსტად კი 250 000 ქალი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. პრობლემა იმაშია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ქალს როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეს ისე აღიქვამენ. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ძალადობისა და დისკრიმინაციის ხელშეწყობა. გამოკვლევები ადასტურებს, რომ ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა სახელმწიფოებს მილიარდობით დოლარი უჯდება. მსოფლიომ უნდა გადაახარისხოს ღირებულებები და ერთხელ და სამუდამოდ, ფარატინა ფურცლების მაგივრად ხმა აღიმადლოს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და იმ გლობალური დაავადების წინააღმდეგ, რომელსაც გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მონმა „პანდემია“ უწოდა.

მომგებიანი პოლიტიკის ზეწოლა აზარალებს ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც დარიბი და მარგინალიზებული არიან, ხოლო მათ შორის, ვინც ყველაზე უფრო იზარება, ქალებია. ქალები, აგრეთვე, იღებენ უმთავრეს პასუხისმგებლობას თავიანთი ოჯახების გადარჩენაზე. ეკონომიკური მორგების პოლიტიკა ხელს უწყობს რა ქალთა გადარიბებას, იმავდროულად იწვევს ემიგრაციის მთავარ იმპულსს.

ქალთა ტრეფიკინგი ძალიან ძველი ფენომენია. ევროპაში მისი ფესვები ანტიკურობაში მიდის, ძველბერძნულ და რომაულ ცივილიზაციებთან, ის აგრეთვე, შუა საუკუნეებშიც არსებობდა. ისტორიის მანძილზე ქალთა ტრეფიკინგი იკვებებოდა სხვადასხვა ფესვებით და მრავალნაირად ვითარდებოდა. მას ადგილი ჰქონდა ლათინურ ამერიკაში და აზიაში, აგრეთვე არაბულ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით, საქართველო არათუ ვინმეს ჩამორჩება, არამედ უდიდესი ტრადიციით შეიძლება დაიკვეხოს, ისტორიის მანძილზე ქალთა სისტემატური გაყვანა ან გაყიდვა, ძირითადად, ისლამურ სახელმწიფოებში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ტრეფიკინგის ისტორიული ტრადიციების არსებობა ტრეფიკინგის რისკის დამამძიმებელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. დღევანდელი საერთაშორისო ვითარების კონტექსტში, საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის პრობლემა ახალ აქტუალობას იძენს.



ტრეფიკინგის მიმართულება ყოველთვის არ ემთხვეოდა მიმართულებას “მესამე სამყაროდან,, - “პირველ სამყაროში,,. ეს მიმართულება ტრეფიკინგმა ბოლო ორ ათწლეულში შეიძინა. დღეს ტრეფიკინგი ხშირია ისე გამგზავნ რეგიონებში, როგორცაა აზია, აფრიკა, ლათინური ამერიკა და ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნები, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპა წარმოადგენს ძირითად მიმღებ რეგიონს. საერთოდ, მთავარი მიმღები ქვეყნები არიან აშშ, იაპონია და დასავლეთ ევროპა. ამრიგად, ეს ქვეყნები აღიარებულია ე.წ. ”გამგზავნ,, ქვეყნებს შორის. ეს კიდევ ერთი საბუთია იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომ საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის პრობლემა მწვავედ დგას. მაგრამ როგორ უნდა დავადგინოთ ეს დაზუსტებით? როგორც ცნობილია, ასეთი სახის ბიზნესი არ ჩქარობს დღის შუქზე გამოჩენას და ინფორმაციის გაცემას. მის შესწავლას ამნელებს თვით ტრეფიკინგის მსხვერპლთა მიერ ინფორმაციის დაფარვა, რამე თუ მსხვერპლნი (ტრეფიკორებისაგან განსხვავებით) თავს დამნაშავეთ და დაუცველად გრძნობენ, საზოგადოებისაგან გარიყვასა და გაკიცხვას უფროსიან.

ეს მძიმე სტიგმატიზაციას ახდენს, რადგან ასოცირებულია პროსტიტუციასთან და არალეგალურ საქმიანობასთან. „დატრეფიკინგებული” ქალები ავტომატურად განიხილებიან როგორც “ცუდი” ქალები, რომლებიც იზიარებენ დანაშაულს.

თუმცა საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის შესახებ ზუსტი, პირდაპირი, მით უმეტეს სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება ან ისინი მეტად მწირია, არაპირდაპირი მონაცემებით – ტრეფიკინგის სოციალ-ეკონომიკური წინაპირობები არსებობს, აგრეთვე არსებობს ფსიქოლოგიური წინაპირობებიც, როგორცაა: დაუცველობა, ამასთან, რიგი აღწერილი კონკრეტული შემთხვევებისა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის პრობლემა მწვავედ დგას და საზოგადოების მეტ ყურადღებას იმსახურებს. ისევე, როგორც უყურადღებოდ მიტოვებულ მიწაზე, თუკი ნიადაგი არსებობს, აუცილებლად ეკლიანი სარეველა ამოვა ან ბინის მიგდებულ, ბნელ კუნჭულში, თუკი არ გავანათებთ და არ დავალაგებთ აუცილებლად მტვერი, აბლაბუდა და სიბინძურე დაისადგურებს, ასევე დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებისაგან ყურადღებამოკლებული, ბნელი, უგულბებელყოფილი სფეროები ათასგვარ საბინძურესა და ძალადობას შეიცავს და რა უნდა იყოს უფრო ბნელი, სამარცხვინო, ვიდრე ადამიანებით - ქალებით ვაჭრობა ოცდამეერთე საუკუნეში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად, მთელს მსოფლიოში 4 მილიონზე მეტი ადამიანი გადალახავს სახელმწიფოთა საზღვრებს იძულებითი შრომის გასაწევად, რაც დამნაშავე სინდიკატებს 7 მილიარდზე მეტ ყოველწლიურ უკანონო მოგებას აძლევს. ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან და სწრაფად განვითარებად ადამიანებით ვაჭრობის ფორმას სექს-ვაჭრობა წარმოადგენს. ფაქტები ადასტურებს, რომ ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევაში, ყველაზე მეტად ქალები და გოგონები ზარალდებიან. საქართველოში მიგრაციული ნაკადების შესახებ სარწმუნო სტატისტიკა არ არსებობს. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად 1990 წლიდან საქართველო 194 600-მა ადამიანმა დატოვა. დამოუკიდებელი ექსპერტების გამოთვლით კი, იმავე პერიოდში საქართველოდან 1 638 000 ადამიანი წავიდა.

ამჟამად საქართველო გარდამავალ პერიოდში იმყოფება და სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემები მთელი

სიმწვავეთ დგას ჩვენს წინაშე. საზოგადოებრივ - პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის ტრანსფორმაციის პროცესი მიმდინარეობს მდორედ. გარდაქმნების პროცესში ყველაზე მეტად ზარალდება საზოგადოების ნაკლებად დაცული ფენები - ქალები, ბავშვები, მოხუცები.

თუ გავანალიზებთ ქალთა მდგომარეობას თანამედროვე საქართველოში, დავინახავთ ყველა პოსტ-ტოტალიტარული ქვეყნების საერთო მახასიათებლებს. ეს არის: სიღარიბის ფემინიზაცია, ქალთა დისკრიმინაცია დასაქმების ბაზარზე, მათი მცირე წარმომადგენლობა სამთავრობო სტრუქტურებში, საზოგადოებაში ქალის და მამაკაცის სოციალური როლების განაწილების ჩამოყალიბებული სტერეოტიპები, ქალთა მიმართ ძალადობის ზრდა. ამასთან, დიდ როლს ასრულებს ფსიქოლოგიური ფაქტორებიც. კრიზისულმა მდგომარეობამ, რომელშიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იმყოფებიან, გამოიწვია თავდაცვის შესუსტება, ქალთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. პრინციპით ამაზე უარესი არ იქნება, ქალები თანხმდებიან ყველანაირ ავანტურულ წინადადებას და არ ფიქრობენ მათ შედეგებზე.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში ქალთა დაახლოებით 46%-მა დაკარგა სამუშაო ადგილი. მრავალი მათგანი საზღვარგარეთ გაემგზავრა ან აპირებს გაემგზავრებას დროებით ან მუდმივი სამუშაოს საძებნელად. 2000 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა 70% გამოთქვამს საზღვარგარეთ სამოშაოდ წასვლის სურვილს. ყველაზე ხშირად მიემგზავრებიან თურქეთში, საბერძნეთში, ისრაელში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ძალიან ხშირად საქართველოს მოქალაქეები საზღვარგარეთ მიემგზავრებიან საეჭვო დოკუმენტებით და სამუშაო, რომლის შოვნასაც ახერხებენ, უმეტეს შემთხვევაში, არალეგალურია. შესაბამისად არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ადამიანები ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ. საქართველოდან ქალთა უკანონო გადაყვანის შესახებ ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია. ტრეფიკინგი დაფარული დანაშაულია. მსხვერპლი იშვიათად ასახელებს დამპირავებელს და გამოდის მის წინააღმდეგ სასამართლოში. ტრეფიკიორებისაგან განსხვავებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი თავს დამნაშავედ და დაუცველად გრძნობს, მას არ სურს თავის უიღბლო თავგადასავალზე საუბარი, ის საზოგადოებისაგან გარიყვასა და გაკიცხვას უფრთხის. ეს ფაქტორები კიდევ უფრო აძნელებენ ამ პრობლემის შესწავლას.

პრაქტიკულად ტრეფიკინგი დაახლოებით შემდეგნაირად ხორციელდება: მასმედიის საშუალებით, ან ნაცნობების ქსელით ვრცელდება ინფორმაცია მდიდარ - განვითარებულ ქვეყანაში ამა თუ იმ სახის სამუშაოსათვის ქალთა ან გოგონათა დასაქმების შესახებ. აღნიშნულ ქვეყანაში ჩასვლისას “დაქირავებულს” ართმევენ საბუთებს და აიძულებენ ძალიან მცირე ანაზღაურებით ან სულაც ანაზღაურების გარეშე იმუშაოს, ხშირად, სულ სხვა სახის სამუშაოზე – მათ შორის მეძაგადაც. მსხვერპლს არა აქვს საშუალება დაუკავშირდეს თავის ახლობლებს სამშობლოში, ძალიან ხშირად მან არ იცის იმ ქვეყნის ენა, სადაც იმყოფება, არ აქვს საბუთები და ფული, ამის გამო იგი ექცევა სრულ იზოლაციაში.

ხშირია შემთხვეები, როდესაც უცხო ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ დამპირავებელი ტრეფიკინგის მსხვერპლს სთხოვს დამატებითი თანხის გადახდას მგზავრობის, სამგზავრო დოკუმენტაციის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მსგავსი ხარჯების ასანაზღაურებლად. ეს თანხები, როგორც წესი, ხელოვნურად გაზრდილია და არ შეესაბამება რეალურ ხარჯებს. ტრეფიკინგის

მსხვერპლი არ არის ბოლომდე ინფორმირებული თუ რა რაოდენობის თანხა აქვს მას ვალად დადებული და რამდენი ხანი მოუწევს მუშაობა ამ თანხის გასასტუმრებლად. მან შეიძლება წლების მანძილზე იმუშაოს და მაინც ვალებში ჩაფლული აღმოჩნდეს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ უმეტეს შემთხვევაში “მსხვერპლი” ქვეყანაში არალეგალურად იმყოფება. ოფიციალური დოკუმენტები, რითაც ის ქვეყანაში შევიდა, ვადაგასულია. მას არწმუნებენ, რომ მისი არალეგალური სტატუსის გამჟღავნებას ნეგატიური შედეგი ექნება. შესაბამისად, იგი არ მიმართავს სამართალდამცავი ან სხვა ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლებს, რადგან ეშინია – თავად იგი არ სცნონ დამნაშავედ.

საქართველო შეუერთდა რიგ კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, კეძოდ, ადამიანთა ტრეფიკინგთან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 4. „არავინ არ უნდა იყოს დამონებული და ეწეოდეს მონურ შრომას. ნებისმიერი ფორმის მონობა და მონებით ვაჭრობა აკრძალული უნდა იყოს”

კონვენცია, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

მუხლი 6. „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას, საკანონმდებლოს ჩათვლით, ქალებით ყოველგვარი ვაჭრობისა და ქალის პროსტიტუციის ექსპლუატაციის აღსაკვეთად”.

ასევე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის კონვენციის ოქმი „ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ”

საქართველომ ხელი მოაწერა “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური დანაშაულის და კორუფციის ნებაყოფლობით ოქმს ტრეფიკინგის შესახებ” და მის ორ დამატებით პროტოკოლს – “ადამიანით, განსაკუთრებით ქალებით და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის და სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო გზებით მიგრანტების კონტრაბანდის წინააღმდეგ”.

ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 მაისის ბრძანებულება “საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ”, სადაც საქართველოს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს ევალებათ განახორციელონ ეფექტური ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ქალებით ვაჭრობის ფაქტების, აღნიშნული მოქმედებების ჩამდენ პირთა სრულად გამოვლენისა და მათი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად და 2003 წლის იანვრის ბრძანებულება „ ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა (2003-2005 წლებისათვის) “. სადაც საქართველოს პარლამენტს და მთელ რიგ სამინისტროებსა და დეპარტამენტებს ევალებათ ტრეფიკინგთან ბრძოლის და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით მთელი რიგი საქმიანობების განხორციელება.

საქართველოში ტრეფიკინგთან ბრძოლის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ტრეფიკინგთან ბრძოლის სპეციალური განყოფილების შექმნა. საქართველოს კონსტიტუციის

თანახმად, ადამიანის პატივი, ღირსება და თავისუფლება ხელშეუვალია, დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, შრომა თავისუფალია და სახელმწიფო იცავს საქართველოს მოქალაქეთა შრომის უფლებებს საზღვარგარეთ.

2003 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, კერძოდ, კოდექსს დაემატა 143-ე პრიმა მუხლები: ადამიანის ტრეფიკინგი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს აღნიშნულ ქმედებას, კერძოდ, 143-ე I პრიმა მუხლი, 1, 2, 3 და 4 ნაწილი ანუ დამამძიმებელი გარემოებები: ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) ითვლება ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, ასევე ის დამამძიმებელი გარემოებები რომელიც შეიძლება ახლდეს აღნიშნულ ქმედებას, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე. ასევე საქართველოს კანონმდებლობით დასჯადად გამოცხადდა არასრულწლოვნით ვაჭრობა მუხლი 143-ი II პრიმა, აღნიშნული ითვალისწინებს პატიმრობას ჩვიდმეტიდან ოც წლამდე და ასევე მუხლი 143-ი III პრიმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა, თავისუფლების აღკვეთის ვადით თორმეტიდან თხუთმეტი წლამდე, ხოლო 171-ე მუხლი კი კრძალავს არასრულწლოვანთა ჩაბმას პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე – ეს ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ამ მუხლების თანახმად ძირითადად საჯელი მერყეობს ორიდან ოც წლამდე, ქართველი ექსპერტები ამ ვადებს განიხილავენ როგორც კანონის გამკაცრებასა და მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფას.

საქართველო არის როგორც „წყარო“ ქვეყანა ასევე სატრანზიტო ქვეყანა, რომლიდანაც ქალები და მამაკაცები სქესობრივი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის მიზნით გადაჰყავთ ისეთ ქვეყნებში როგორცაა საბერძნეთი, ისრაელი, თურქეთი და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საქართველოზე გავლით ადგილი ჰქონდა უკრაინელ და რუს ქალთა ტრეფიკინგს თურქეთში, ტრეფიკინგის პრობლემის სრულ მაშტაბებთან დაკავშირებით არ არსებობს არანაერი ანგარიში; გარდა ამისა უკვე დღეს დღეისობით გაჩნდა ინფორმაცია მამაკაცთა ტრეფიკინგის შესახებაც, ასევე გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თანახმად, ბავშვთა სქესობრივი კომერციული ექსპლუატაციის ფაქტები საგრძნობლად მატულობს, განსაკუთრებით, გოგონებს შორის.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს მოქალაქეები ცდილობენ სამსახურის საძებნელად გაემგზავრონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მაგრამ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის შრომითი მოწყობის სამსახურები და პროფკავშირები ცდილობენ რა შეამცირონ უმუშევრობა და უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების შრომითი მოწყობა, ზღუდავენ ამ მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრანტების შესვლას.

იმის გამო, რომ საზღვარგარეთ არ ითვალისწინებენ საქართველოში მიღებულ კვალიფიკაციას, ბევრი მიგრანტი მუშაობს დაბალანაზღაურებად სამუშაოზე. ვროუული თანამეგობრობის ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკა შეადგენს საერთო მოცულობის 10% და მოცავს შემდეგ ძირითად სექტორებს – სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სექსუალური ექსპლუატაცია.

არალეგალური მიგრანტი ვერ მიმართავს საკანონმდებლო ორგანოებს ვინაიდან მისი დაქირავება უკანონოა, ვიზის მოქმედების ვადა გასულია და მას ემუქრება დეპორტაცია. ერთ კრიმინალურ სიტუაციას მოსდევს მეორე... არალეგალური მიგრანტები არ არიან მზად იმ ფსიქოლოგიური დატვირთვისა და კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობისათვის, რომელშიც როგორც წესი აღმოჩნდებიან ხოლმე თავისი არალეგალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ თუ მაინც პოულობენ სამუშაოს, დამქირავებელი მათთან კონტრაქტს არ აფორმებს (რადგან შრომითი მოწყობის უფლება არა აქვთ) და უხდის გაცილებით ნაკლებს ვიდრე მათ ვინც კანონის საფუძველზე მუშაობენ.

ყოველწლიურად 2 მილიონი ადამიანი ხდება ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი მათ შორის ნახევარზე მეტი ქალები და ბავშვები არიან. არალეგალური შრომითი მიგრანტები იოლი ნადავლია ტრეფიკორების, ცოცხალი საქონლით მოვაჭრეთათვის. ისინი სარგებლობენ არალეგალური მიგრანტების გაუთვითცნობიერებით, გულუბრყვილობით და გამოუვალი მდგომარეობით.

საქართველო დემოკრატიული რეფორმების გზას ადგას, ეკონომიკური განვითარების სირთულეებიც ბუნებრივად აქტუალურია და თვალი უნდა გავუსწოროთ ფაქტს, რომ ამ პრობლემატიკისგან განუყოფელია არალეგალური მიგრაცია. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ემიგრაციის მოსურნეთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე მათი, ვისაც “გაუმართლა” და უკვე იქაა.

საქართველოს ყველა რეგიონიდან მოსახლეობის ერთი ნაწილი საზღვარგარეთ სამუშაოს საშოვნელადაა წასული. ზოგიერთ რეგიონში ეს რაოდენობა 60 პროცენტსაც აღწევს, ერთი-ორმა გზა გაუკვალა მესამე –მეოთხეს და ა.შ. მათი უდიდესი ნაწილი, ამა თუ იმ ფორმით, სამუშაოს არაადეკვატური ხელფასითა და შრომის პირობებით, ტრეფიკინგის მსხვერპლი თუ არა ექსპლუატირებული მაინც ხდება.

უკვე რამდენიმე წელია სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ამ პროცესს “პრიორიტეტულად” ებრძვიან: მოქმედებს სპეციალური კანონი, ყოველი გამოაშკარავებულ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოძიება და შესაბამის ორგანოებს გადაეცემა ტრეფიკინგისათვის ბრალდებული საქართველოში თუ საზღვარგარეთ.

ტრეფიკინგი ეს გამოსავლის ძიებაში უკიდურესი ვარიანტია, ეს ის მდგომარეობაა, როცა ერთი ადამიანი მეორე, არაკეთილსინდისიერი ადამიანის კონტროლის ქვეშაა და სამუშაო ადგილზე ძალით ან მოტყუებითაა მიჯაჭვული. ასეთ შემთხვევაში ადამიანები არა მარტო ექსპლუატაციის, არამედ პირდაპირი ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, თვების, წლების განმავლობაში, მათი თავისუფლად მოძრაობის უფლება შეზღუდულია.

სახელმწიფოში ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია, პირველ რიგში, სწორი სამართლებრივი სივრცის შექმნით, ასევე ინსტიტუციური მექანიზმებითა და ამ სისტემის განვითარებაში საერთაშორისო

ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ მხრივ დიდია ეუთო-ს როლი, ასევე, საერთაშორისო მიგრაციისა და გააქტიურებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წვლილი.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება არა მხოლოდ სოციალურად შეჭირვებული ადამიანი, არამედ, ეს, ძალიან ხშირად, საგანმანათლებლო და ზოგადად საინფორმაციო დეფიციტის მიზეზითაა გამოწვეული. წავალ და რამე გზას როგორ ვერ ვიპოვი – ამბობს ადამიანი და უკვე წლების შემდეგ აღმოაჩენს, რომ უფრო ინფორმირებული რომ ყოფილიყო, სხვაგვარად მოიქცეოდა, ხელბორკილს, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით, არ გაიკეთებდა. ამიტომაცაა არის ამოსავალი ქმედება განათლება და ინფორმირებულობა.

ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები:

კანონმდებლობა: ქალებს, რომლებიც მიმღებ ქვეყანაში გაყალბებული საბუთებით შევიდნენ, ან ვადაგასული ვიზა აქვთ და არაღებულად მუშაობენ, ემუქრებათ საფრთხე მიგრაციისა და შრომითი კანონმდებლობის დარღვევისათვის გასამართლდნენ. მსხვერპლი ქალები აცნობიერებენ ამ საშიშროებას, ისევე როგორც ტრეფიკინგის მესვეურები, რომლებიც დაკავების და დეპორტაციის საფრთხეს ქალის დასაშინებლად და შესაბამისად მისი ქცევის გასაკონტროლებლად იყენებენ.

კომუნიკაცია: ქალები, რომლებიც არ ფლობენ იმ ქვეყნის ენას, სადაც იმყოფებიან, როგორც წესი იზოლაციაში ექცევიან და არ ეძლევათ საშუალება დახმარების თხოვნით მიმართონ შესაბამის სტრუქტურებს. ხშირ შემთხვევაში, მათ სიახლოვეს არ იმყოფებიან ადამიანები, რომლებიც მათ მშობლიური ენაზე საუბრობენ. მეგობრებთან და ოჯახთან კონტაქტი, როგორც წესი, გართულებულია, უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც კია.

ჯანმრთელობა: ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები ხშირად ღებებიან ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების წინაშე, რაც გამოწვეულია ცუდი საცხოვრებელი პირობებით, არასრულფასოვანი კვებით, ფიზიკური ძალადობის შედეგად მიღებული სტრესითა და ტრამვებით. ასევე ხშირია სექსუალური გზით გადამდები დაავადებები. როგორც წესი მსხვერპლთ არ გააჩნიათ არანაირი საშუალება მიმართონ სამედიცინო დახმარებას.

ფინანსები: ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები, როგორც წესი, იხდიან საკმაოდ დიდ თანხას უცხო ქვეყანაში გამგზავრებისა და შესაბამისი საბუთების მომზადებისთვის. ამ თანხის გასასტუმრებლად ისინი, ან მათი ოჯახები სესხულობენ ფულს, ან ყიდნიან საკუთრებას. გარდა ამისა, ხშირად, მიმღებ ქვეყანაში ჩასვლისთანავე მათ სთხოვენ დამატებითი თანხის გადახდას. გაწეული საშუალოსათვის კი უხდიან დაპირებულ თანხაზე ნაკლებს ან საერთოდ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ამუშავენ. ფინანსური პრობლემების გამო ტრეფიკინგის მსხვერპლი, როგორც წესი, თავს ვერ აღწევს იმ გაუსაძლის პირობებს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება და მუშაობა და ვერც სახლში დაბრუნებას ახერხებს

*რუსუდან ვარსიმაშვილი*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დოქტორანტი**

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
4. კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის შესახებ
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 2002 წლის 17 მაისის „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“
6. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის იანვრის ბრძანებულება „ტრეფიკინგთან ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
7. ევროპის საბჭო, კამპანია „ადამიანი ვაჭრობის საგანი არ არის“
8. პარლამენტის სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
9. აშშ-შ სახელმწიფო დეპარტამენტის 2008 წლის ანგარიში ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ;
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს 2007-2008 წლის სტატისტიკური მონაცემები.

## *რუსუდან ვარსიმა შვილი*

### **არალეგალური მიგრაცია და ქალთა ტრეფიკინგი**

#### **რეზიუმე**

არამარტო მსოფლიოს, არამედ საქართველოს დიდ პრობლემასაც წარმოადგენს როგორც არალეგალური მიგრაცია, ასევე ქალთა ტრეფიკინგიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს არამარტო აწმყო, არამედ დიდი წარსულიც გააჩნია.

ეს არის XXI საუკუნეში ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, იგი გულისხმობს პიროვნებისათვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ანდა ყოველგვარი ანაზღაურების ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

„ეკონომიკური მოდერნიზაციის პროცესმა“, რომელიც „პირველი სამყაროს“ მიერ არის შემოთავაზებული, შედეგად მოიტანა ხისტი ნეოლიბერალული ეკონომიკური პოლიტიკა, რაც მოიცავს სტრუქტურულ შეგუება-მორგებას, პრივატიზაციას და მთელი ინდუსტრიის ჩაშლას. გარდაუვალი შედეგები არის უმუშევრობის გაზრდა და სიღარიბე, რადგან მხოლოდ ზოგი ერი და სოციალური კლასია მორგებული ინტერნაციონალურ ეკონომიკას, ყოველივე აღნიშნულმა გამოიწვია არალეგალ მიგრანტთა მასობრივი გადინება, შესაბამისად არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ეს ადამიანები ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ. მიუხედავად იმისა,

რომ საქართველოში ამ დროისათვის უკვე გადაღებულია პირველი ნაბიჯები, საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს მთელ რიგ დახვეწასა და მოდერნიზაციას. ასევე საჭიროა არსებითი ნაბიჯების გადადგმა ამ პრობლემასთან საბრძოლველად.

*რუსუდან ვარსიმაშვილი*

## **Нелегальная миграция и трэффикинг женщин**

### **Резюме**

Большой проблемой не только всего мира но и Грузии тоже, является как нелегальная миграция , так и женский трэффикинг. В этом вопросе Грузия имеет не только настоящее, но и большое прошлое.

Даже в XXI веке встречаются случаи, когда людей ставят в рабское положение. Это подразумевает лишение человека идентификационных документов, ограничение права свободного передвижения, связи с семьей (в том числе право на переписку) запрет телефонного контакта, культурной изоляции, принуждение к работе в оскорбляющих честь и достоинство условиях или без всякой компенсации или с неадекватной компенсацией.

“Процесс экономической модернизации”, который был предложен “странами первого мира”, в итоге принес жесткую неолиберальную экономическую политику, которая включает структурную адаптацию, приватизацию и провал всей индустрии. Увеличение уровня безработицы и нищеты неизбежный результат, т.к. только некоторые нации и социальные классы приспособились к интернациональной экономике. Все это вызвало массивный поток нелегальных эмигрантов, Соответственно существует большая вероятность того, что эти люди встанут жертвами трэффикинга.

Несмотря на то, что в Грузии к этому времени уже сделаны первые шаги, законодательная база требует всякого рода модернизации и отшлифовки. Также необходимо сделать реальные шаги в борьбе с этой проблемой.

*Rusudan Varsimashvili*

## **Illegal migration and women trafficking**

### **Abstract**

The great problem not only for world so for Georgia is illegal migration, trafficking. Georgia has connection with this subject not only in present, so in past too.

This is the XXI century's modern slavery, it means to take documents, to prevent from free moving, connection with family among them telephone and writing prevention, cultural isolation, they compel them to work.

“The economical modernization process”, which is offered by “The first world caused strong neoliberal economical politics, which concludes structural adaption-agreement, privatization and put up of the whole industry. The inevitable results are the raising of unemployment and poverty, because only some nation and social class adapted to the international economy. All of these caused migrants and they become the sacrifices of trafficking.

In spite of this in Georgia is taken the first step, the legislation base needs improvement and modernization. The steps must be taken for fight against this problem.



**ქალის როლი საზოგადოებაში - მათი ქონებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებები საუკუნეების მანძილზე**

საუკუნის მანძილზე ქალები მიჩნეულნი იყვნენ როგორც არასრულფასოვანი არსებები, რომლებიც მამაკაცე იყვნენ დამოკიდებულნი და მხოლოდ უმნიშვნელოდ სასარგებლო საქმის გაკეთება თუ შეეძლოთ. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ქალების შესახებ უამრავი მითი არსებობდა. ქალები მოიხსენიებოდნენ როგორც ალქაჯები და ველურები, შესაბამისად შელახული იყო მათი უფლებებიც.

შუა საუკუნეების ინკვიზიციის დროს გავრცელებული იყო მითი, კუდიან ქალებზე, რამაც რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს უამრავი ქალის სიცოცხლე შეიწირა. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში დამოკიდებულება ქალის მიმართ შეიცვალა, შერბილდა. თუმცა ეს არ იყო ქალის სრულფასოვან არსებად აღიარება. XIX საუკუნის მწერლების შემოქმედებაში ქალი მოგვევლინა როგორც საბედისწერო, შეუბრალებელი და მაცდური არსება. მოგვიანებით, XIX საუკუნეში ყოფილ საბჭოთა კავშირში ბატონობდა მითი „სუპერქალი“-ს შესახებ, რომელიც ერთდროულად იყო ქალი – დედა, ქალი – მოსამსახურე და ქალი – საზოგადო მოღვაწე.

აღსანიშნავია ერთი პარადოქსიც: რაც უფრო აღმერთებდნენ ქალს და თაყვანს სცემდნენ მას ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში, მით უფრო დამორჩილებულ მდგომარეობაში იყო იგი სინამდვილეში. ამერიკელი მკვლევარი ბეტი ფრიდანი აღნიშნულ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: „რაც უფრო ნაკლებია რეალური ფუნქციები ქალის როლისათვის, მით უფრო რთავენ და ალამაზებენ მას უაზრო დეტალებით, რათა სიცარიელე შეავსონ“.

ქალებს, სახლში მიჯაჭვულ არსებებს, არ შეეძლოთ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩარევა, ქალაქის მართვაში მონაწილეობის მიღება, ქონების განკარგვა ან ფლობა. მათ რაიმეს ყიდვაც კი არ შეეძლოთ, თუ მისი ღირებულება განსაზღვრულ თანხას აღემატებოდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ისინი ოჯახის წევრ მამაკაცებს, ჯერ მამას, მერე ქმარს, ძმას თუ შვილს ემორჩილებოდნენ.

ზოგადად ქალების ბუნების შესახებ ბერძენ ფილოსოფოს გარკვეული მოსაზრებები გააჩნდათ. ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე ამბობდა: “სამი რამ შეიძლება ჩავთვალოთ ბედნიერებად: ის, რომ შენ არ ხარ ველური ცხოველი, არ ხარ ბარბაროსი, და ხარ კაცი და არა ქალი”. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ “ქალი იმიტომ არის ქალი, რომ მას არა აქვს კაცური თვისებები, ამიტომ მასში უნდა ვხედავდეთ ისეთ არსებას, რომელიც ბუნებრივ არასრულყოფილებას განიცდის.” პიპოკრატე კი ამბობდა, რომ "ცოლი კაცს მხოლოდ ორჯერ ახარებს: ქორწინების და დაკრძალვის დღეს".

ებრაელები, ისევე როგორც ბერძნები, თავს რჩეულ ხალხად მიიჩნევდნენ. ებრაელი მამაკაცები ყოველთვის შემდეგ ლოცვას იმეორებდნენ: “მადლობელი ვარ, ღმერთო, რომ არ შემქმენი მე წარმართად, გაუნათლებლად და ქალად.”

აღბათ ეს დამამცირებელი გამონათქვამები არაფერია იმასთან შედარებით, რაც 585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრების სპეციალური განხილვის საგანი გახდა. ადამის ნეკნისგან ევას შექმნის საკითხი ქალზე სერიოზული თავდასხმის საფუძველი აღმოჩნდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ რაც ღმერთმა შექმნა ადამი, მას უკვდავი სული შთაბერა, ევას შესახებ კი ბიბლიაში რაიმე მსგავსი

ჩანაწერი არ არსებობს. სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა - აქვს თუ არა ქალს სული, ბევრი ეჭვსაც კი გამოთქვამდა, არის თუ არა ქალი საერთოდ ადამიანი. დღეს ეს ცინიკურ მოსაზრებად და აბსურდად გვეჩვენება. მაშინ კი მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით, ფორმალურად ცნეს, რომ ქალს აქვს სული. ეს „გმირული“ და „დიდებული“ აღიარების მიზეზი იყო საღმრთო წერილი, სადაც მითითებულია, რომ ძე ღვთისა, ისეო ქრისტე, იმავდროულად იყო ადამიანის შვილი, ვიდაინად მისი დედა იყო ადამიანი.

მიუხედავად ამისა, ამ გადაწყვეტილებას შემდგომშიც ეჭვქვეშ აყენებდნენ და საუკუნეთა შემდეგ ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ. 1690 წელს ფრანკფურტში გამოვიდა წიგნი “ქალი ადამიანი არ არის”, 1750 წელს კი ლაიფციგში გამოჩნდა წიგნი “საყურადღებო საბუთი იმისა, რომ ქალი ადამიანთა მოდგმას არ მიეკუთვნება” და ა.შ.

უკვე XIX საუკუნეში ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამამთავრად ითვლება, აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა განისაზღვრება “ქალის ორგანიზმის ბუნებრივი სისუსტით. არ შეიძლება არსებობდეს კაცისა და ქალის სოციალური თანასწორობა. ქალის განსაკუთრებული მოწოდება ოჯახური მოვალეობებია.”

მოგვიანებით, 1943 წელს, ევროპაში გამოიცა წიგნი “ცოლ-ქმრული ცხოვრების შესახებ”, რომელიც ამტკიცებდა, რომ: “ქალის მოვალეობა ქმრის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ემსახუროს მორჩილად, იყოს მოკრძალებული საუბარში და ჩაცმა-დახურვაში. ყურადღება მიაქციოს წესრიგს სახლში და აწარმოოს საოჯახო საქმეები.”

საქართველო ისტორიულად მრავალსაუკუნოვანი ქვეყანაა. ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რა უფლებებით სარგებლობდნენ ქართველი ქალები სხვადასხვა ეპოქაში.

ქალის, როგორც სხვადასხვა უფლებების მქონე ინდივიდის აღქმა, დაიწყო VIII – IX საუკუნეებიდან. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, ქალს შეეძლო უძრავი და მოძრავი ქონების შექმნა-გასხვისება, სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილეობა. იყო შემთხვევები, როდესაც ქალები მეპატრონეთა როლში გვევლინებოდნენ. დოკუმენტურად დამოწმებულია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ქალი, ქმრის სიცოცხლეში, თავისი საკუთარი სახსრებით, იძენდა მოძრავ და ზოგჯერ უძრავ ქონებასაც. ამავე დროს, მას შეეძინა ქონების დაუბრკოლებლად გასხვისების უფლებაც ქონდა. ქალი დებდა ისეთ გარიგებებს. როგორცაა სესხის, გირავნობის და სხვა.

შუა საუკუნეების საქართველოში ქალი შეზღუდული იყო სამოხელეო ასპარეზზე მოღვაწეობაში. ქმრები არ თანხმდებოდნენ, რომ მათ ცოლებს სახელმწიფო თანამდებობები დაეკავებინათ, რადგან აღნიშნული ფაქტი ქართულ ფეოდალურ-ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგებოდა. თუმცა, შუა ფეოდალური და გვიანი შუა საუკუნეების ბარის საქართველოში, ქალი არ იყო მოკლებული ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებას. XII საუკუნეში პოლიტიკურ პარტიებს შორის უთანხმოებათა მომგვარებლად ქალები გამოდიოდნენ.

ქალის მეფობაც არ არის უცხო საქართველოში. მართალია თავდაპირველად იყო დიდი წინააღმდეგობები და შიში თამარის გამეფებასთან დაკავშირებით, რადგან არ იცოდნენ სუსტი სქესის წარმომადგენელი მოახერხებდა თუ არა ქვეყნის

მართვას. თუმცა შიში არ გამართლდა, და ვქიფრობ, ეჭვი არავის ეპარება, რომ თამარის მეფობის პერიოდი ნამდვილად ოქროს ხანა იყო საქართველოს ისტორიაში.

ცხადია, გარკვეული პოლიტიკური უფლებების მქონე ქალები არც პროცესუალურ უფლებაუნარიანობას იყენებდნენ მოკლებულნი. XVII საუკუნიდან, ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან, ქალი ხშირად არ ჩანს შეზღუდული სასამართლო პროცესში. ქალის მოწმედ გამოსვლა სასამართლოში შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე ამბის თუ მოვლენის მოწმეებად მხოლოდ ქალები იყვნენ. ამავე დროს ორი ქალის, როგორც მოწმის, ჩვენება ერთი მამაკაცის ჩვენებას ეთანაბრებოდა თავისი პროცესუალური ღირებულებით. ქალები ჩიოდნენ ყველა სახის სასამართლოში, თვით მეფესთან და დედოფალთანაც კი და მათ ისევე უსმენდნენ როგორც მამაკაცებს. გვიანი შუა საუკუნეების ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში პროცესუალური უფლებაუნარიანობა აღიარებულია, თუმცა რიგ შემთხვევებში შეზღუდული.

XVIII საუკუნემდე ქალის პროცესუალური უფლება და ქმედუნარიანობის სფერო უფრო ფართო იყო, ვიდრე XVIII საუკუნეში. ვახტანგის სამართალმა ქალს აუკრძალა ფიცის მიცემა. როგორც კანონმდებელი ამბობს: „დედაკაცს არ ეფიცების“ და ამიტომაც იგი ურჩევს მოსამართლეს გამოძებნოს ქალის ახლობელი ადამიანი, ძმა, შვილი ან სიძე და მას დააკისროს ფიცი.

ძალიან საინტერესოა, შუა და გვიანი საუკუნეების საქართველოში, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების მდგომარეობა. დოკუმენტები მიუთითებს ისეთ ფაქტებზეც, როდესაც ქალები უჩიოდნენ საკუთარ მეუღლეებს. გლეხი ქალის საჩივარსაც კი დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ და მამაკაცს იძულებულს ხდიდნენ პირობა დაედო, რომ იგი ცოლს ცუდად არ მოექცეოდა. ზოგადად, ნათლად ჩანს, რომ საჯარო ხელისუფლება ერეოდა მეუღლეთა პირად ურთიერთობაში თუ ქმარი ცოლს არაადამიანურად ეპყრობოდა. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტში „ღიაცის გინება“ მძიმე დანაშაულად ითვლება (მ.130) . ცოლის ფიზიკური შეურაცყოფისა და უკანონო ქმედებისათვის ქმარი „დაბმით“, დატუსაღებით ისჯებოდა საერო ხელისუფლების მხრივ, ხოლო სასულიერო ხელისუფლება, კათალიკოსის სახით, დამატებით სასჯელსაც უფარდებდა დამნაშავეს. უფრო მცირე მნიშვნელობის მოქმედებისათვის ქმარს მხოლოდ კათალიკოსი სჯიდა.

ქმრის მხრიდან ცოლის მეკვლელობა მძიმე დანაშაულად ითვლებოდა საქართველოში. მაგრამ აქ ერთი გამონაკლისი მაინც იყო დაშვებული. ვახტანგის სამართლის წიგნის 42-მუხლის მიხედვით იმ გარემოებათა შორის, რომლებიც პასუხისმგებლობას გამორიცხავდნენ დასახელებულია აშკარად მრუში ცოლის მოკვლა. „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დაახელოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“. ამავე მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით, თუ ყმის ცოლს ბატონი ეარშიყებოდა და ამ ფაქტის მომსწრე გახდებოდა ყმა, მას გააჩნდა კანონით ბატონის მოკვლის უფლება.

თუ მაღალი წოდების ქალი სინამდვილეში დაჩაგრულად გრძნობდა თავს მამაკაცთან შედარებით საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების სფეროში, არც დაბალი ფენების შიგნით შეიძლება ვეძებოთ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა. რა თქმა უნდა ბარის საქართველოსაგან შედარებით მთაში, ქალის უფლებები ბევრად შეზღუდული იყო. აღნიშნული ფაქტი, სავარაუდოდ იქიდან

გამომდინარეობს, რომ მთიან რეგიონებში მეტადაა უფრო მეტად იზოლირებული და ჩაკეტილია საზოგადოება და ტრადიციებიც მეტად არის შემორჩენილი.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის თემა ქართული საზოგადოების აქტიური განხილვის საგანი გახდა. იმ დროიდან მოყოლებული, ამ საკითხს პრესაში პერიოდულად საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა. ქალი, დახასიათებული იყო ორგვარად: ქალი, როგორც „ოჯახის ბურჯი“, დედა და სამშობლოსათვის შეილთა აღმზრდელი, და ქალი, როგორც მშობლიური ენის სიწმინდის მცველი. ქალთა საკითხი უკავშირებოდა ეროვნულ ასპექტებს, მაშინაც კი, როცა ქალის საოჯახო როლზე იყო საუბარი: „შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს. დედამ ოჯახი სკოლად უნდა აქციოს, შვილს ქართული სული შთაბეროს, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა, იხსნას ნივთიერი სიღატაკისაგან და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ბედნიერებას“<sup>41</sup>.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის. უფროს ქალაქს - „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს - „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს - „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი - „გუთნის-დედას“.<sup>42</sup>

ქალთა საზოგადოებრივ როლზე მსჯელობისასაც, ხშირად სწორედ სამშობლოს სამსახურის იდეა იყო ქალთა გააქტიურების საფუძველი. ისეთ მხირერიცხოვან ერს, როგორც ქართველებია, არ ეპატიება მთელი ერის ნახევრის უმოქმედობა საზოგადო ასპარეზზე და რადგანაც ქვეყნის გამოღვიძება და მოღონიერება იყო მთავარი ღოზუნგი ამ საქმეში ყველა რესურსის სრული გამოყენებისათვის ქალთა საზოგადოებრივი აქტიურობა იყო საჭირო.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი არ იყო მხოლოდ ქალთათვის მნიშვნელოვანი თემა, ის საკმაოდ დიდი კულტურული და სოციალური მნიშვნელობის საკითხად ჩანს მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის. ძნელად მოიძებნებოდა, მოღვაწე, რომელსაც თავისი აზრი არ გამოეთქვას ქალთა საკითხზე და ქალთა განათლების იდეის განვითარებისათვის მხარი არ დაეჭირა. მათ შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ.

1873 წელს ქალთა პირველი, მცირე ჯგუფი გაემგზავრა შვეიცარიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. ქალთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ეტაპია მათი უფლებების დამკვიდრებისათვის. უმეცარი ადამიანის უფლებების შელახვა ბევრად ადვილია, ვიდრე განათლებულისა და საკუთარ უფლებებში გარკვეულის. ამიტომ განათლება დღესაც აქტუალური საკითხი უნდა იყოს როდესაც ვსაუბრობთ არა მხოლოდ ქალთა უფლებების აღმოფხვრაზე.

ქალებმა დიდი მხნეობა გამოიჩინეს საზოგადოებრივ ასპარეზზე. არ წამოწყებულა არცერთი ეროვნული საქმე, რაშიც ქალებს მონაწილეობა არ მიეღოთ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის გაშლასა და ქართული თეატრის განვითარებაში. პირველი ფორმალური ქალთა

<sup>41</sup> პოეტი - დომინიკა ერისთავი.(ფსედონიმით დომინიკა განდგილი)

<sup>42</sup> ილ. ჭავჭავაძე, პატარა საუბარი, თხზულებანი ტ IX.

საზოგადოება საქართველოში, წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებაა, რომელიც 1846 წელს დაარსდა.

70-80 იანი წლებში იწყება ნამდვილ საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა. 90-იანი წლებიდან ქალთა ორგანიზაციების რიცხვი იზრდება. ქალთა საზოგადოებები იქმნება არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელ საქართველოში. ეს იყო საქართველოს ქალთა მოძრაობის „პირველი ტალღა“, რომელიც ლიბერალურ ხასიათს ატარებდა. მისი წევრები ძირითადად მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ, რომელთაც იმ დროისათვის საუკეთესო ქალთა სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული, ბევრს უცხოეთში უმაღლესი განათლებაც ჰქონდა მიღებული, რაც იმ დროისათვის იშვიათად იყო. ქალთა მოძრაობის ამ მიმართულებამ აირჩია „ჩუმი ბრძოლა, ბრძოლა კულტურული და ეკონომიკური“. მათი საქმიანობის საკვანძო საკითხები იყო: ქალთა განათლების განვითარება, მათი საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა, პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება, ეროვნული სკოლის აღორძინება, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზე წარიმართებოდა, ბავშვთა აღზრდის საქმეში ახალი მიდგომების დანერგვა და სხვ.

ქალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა ასმაგად დასაფასებელია, თუ არ დავივიწყებთ, იმავდროულად რა მძიმე საოჯახო ტვირთის გაწევა უხდებოდათ, როგორც მეუღლეებსა, ხშირ შემთხვევაში, მრავალშვილიანი ოჯახების დედებს. მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა, ქალები სრული პასუხისმგებლობით იღებდნენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის ტვირთსაც და მედგრად ეწეოდნენ თავიანთ „ჩუმ ბრძოლას“

მიუხედავად ქალის მიმართ მსოფლიოში არსებული დამოკიდებულებებისა და მათი ხანგრძლივი დისკრიმინაციისა, საქართველოში ყოველთვის იყო ქალის კულტი. ქართველი ქალის სახე მამაკაცების მხრიდან იყო დაფასებული და ამადღებული იდეალებამდე. ქალის როლი საზოგადოებაში მხოლოდ მეუღლის მორჩილებასა და საოჯახო საქმეებში არ გამოიხატებოდა. ქალები საკუთარ თავზე იღებდნენ დიდ პასუხისმგებლობას, ისინი ზრდიდნენ შვილებს საქართველოს სიყვარულით და პატრიოტიზმით, რომელებიც მტერს უდრეკად ებრძოდნენ. არსებობს ისტორიული ფაქტები სადაც, ქალი ბრძოლის ველზეც კი გადიოდა და თავისი ღოცვითა და თანადგომით აძლიერებდა მეომრებს (მაგ; ცხრა ძმა ხერხეულიძის დედა). ოჯახურ ცხოვრებაში ქალს ჭკუა ყოველთვის მოეკითხებოდა და მათი აზრი დიდი როლს თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში.

საქართველოს ისტორიულ წარსულში საპატიო ადგილი უჭირავთ გმირ ქალებს, ქალებს რომელთაც ტანჯვა და წამება აიტანეს, შეუპოვრად იბრძოდნენ საქართველოს კეთილდღეობისათვის, ქართველი ერის, ენის მამულისა და სარწმუნოებისათვის. ამ სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ძალიან ბევრი რამ გააკეთეს საქართველოს ძლიერებისათვის. მათგან მხოლოდ სამს დავასახლებენ: წმინდა ნინო, თამარ მეფე და ქეთევან დედოფალი, თითოეულმა მათგანმა, თავდადებული მოღვაწეობით უდიდესი ამაგი დადო ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურულ განვითარებას. წმინდა ნინომ ქართველები მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და ამ გზით საქართველო დაუახლოვდა იმდროინდელ დაწინაურებული ხალხების კულტურულ იდეოლოგიურ სამყაროს. თამარმა საქართველოს მოუპოვა დიდი პოლიტიკური ძლიერება და გავლენა, ქეთევანმა გვიჩვენა ხალხისა და რწმენისათვის თავგანწირვის დიადი მაგალითი. ამის გამო ეს სამივე გმირი მანდილოსანი ისტორიაში ცნობილია ღირსეული

სახელწოდებით: ნინო ქართველთა განმანთლებელი, დედა ქართლისა თამარ და ქეთევან წამებული.

*ნინო ნანიტაშვილი*

**ქ. თბილისი 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლე  
ქ. თბილისის ბავშვთა საკრებულოს დეპუტატი**

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გიორგი ნადარეიშვილი – „ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან“ (1965)
2. ლელა ხომერიკი, მანანა ჯავახიშვილი – „ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი“ ( 2005 )
3. თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე - „გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ (2006)
4. ილ. ჭავჭავაძე, პატარა საუბარი, თხზულებანი ტ IX.
5. <http://www.nplg.gov.ge/>

*ნინო ნანიტაშვილი*

**ქალის როლი საზოგადოებაში - მათი ქონებრივი, პოლიტიკური და  
სამართლებრივი უფლებები საუკუნეების მანძილზე**

### **რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია ქალის სახე ისტორიული რაკურსით. ერთის მხრივ, დაკნინებული თავისი ბუნებით, საზოგადოებრივი მდგომარეობითა და უფლებებით, ხოლო მეორეს მხრივ, ქალის სახე ამადლებული იდეალამდე. საქართველოს ისტორიაში ქალის როლი განუხრელად დიდია სოციალური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მნიშვნელოვანია საკუთარი უფლებების შესახებ ქალთა განათლების გაუმჯობესება სასკოლო ასაკიდან, ხელშეწყობა მათი საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდისა და უფლებების დაცვისათვის.

*Нино Наниташвили*

**Роль женщины в обществе – ее имущественные, политические и юридические права на протяжении веков**

### **Резюме**

В работе показан портрет женщины с исторической точки зрения, где она, так или иначе была понижена в правах и социальном положении, но с другой стороны представляла собой идеал. В Грузинской истории роль женщины огромна на различных уровнях социального развития. Важно повышать знания женщин об их правах начиная со школьной скамьи, а также содействовать повышению уровня их социальной деятельности и защите их прав.

**Role of woman in society – their property, political and legal rights throughout centuries**

**Abstract**

In the work is shown face of woman from the historical point of view, where she was somehow shrank in nature, social position and rights, but on the other hand risen to ideal. Here is mentioned that in Georgian history the role of woman was tremendous during different level of social development. It's important to rise among women knowledge about their rights beginning from school age, also to promote their social activity and protection of rights.

### ქრისტიანული რელიგია და ქალთა პრობლემები

XXI საუკუნე სხვა წინამორბედთაგან გამორჩეულია იმით, რომ ჩვენს დროში გავრცელებული სახე მიიღო იდოლოგიურმა ბრძოლამ. დღეს არავინ გვივარდება სახლებში და არავინ დაგვსჯის სიკვდილით რელიგიური მრწამსის გამო, მაგრამ საკმაოდ ორგანიზებულად პროპაგანდა ეწევა სხვადასხვა სექტებს და მიმართულებებს, ვინაიდან უკვე იდოლოგიური ბრძოლის ერაში გადავედით და შეფარული სახით გვათმობინებენ წინაპართა სისხლით დაცულ სარწმუნოებას, რომლის განუხრელმა დაცვამ და უდიდესმა სიყვარულმა შემოგვინახა ესოდენ მცირე ერი.

ისტორია გვამცნობს, რომ სადაც ზნეობა, უმეტესად კი ქალის ზნეობა დაიხშავს თავსა, იქ ბიწიერება მრავლდება ვრცელდება, სამოქალაქო წესი ირღვევა და იშლება. იქ გონების ხასიათი და სიმტკიცე სუსტდება, ღვთის და მამულის სიყვარული აღმოიფხვრება. სხვა მიზეზი არ ჰქონია აყვავებული სახელმწიფოს დამხობას და სხვა მიზეზი არა აქვს რა ახალ დროში ზოგიერთის დაუძღვრებასა და განადგურებას. („ქართველი ქალები” - დ. ბაქრაძე, თბილისი, 1891წ.) თუ რატომ აკისრია ქალს ესოდენ საპასუხისმგებლო როლი საზოგადოებაში და რა მისია აკისრია მას უფლის წინაშე, ამის გასარკვევად სულ თავიდან, ქალის შექმნიდან დავიწყეთ.

მას შემდეგ, რაც ღმერთმა ხილული და უხილავი სამყარო შექმნა, გააშენა ედემის ბაღი და აქ დაუდო ბინა სამყაროს გვირგვინს - ადამიანს. ადამს უნდა დაემუშავებინა და დაეცვა ბაღი, მაგრამ არ გამოუჩნდა შემწე შესაფერი. აქ ჩანს მიწაზე სრული სიმარტოვით გამოწვეული პირველი ადამიანური ჩუმი სევდა და უკმარისობის შევსების ძლიერი სურვილი, რაც მოწყალე უფალმა შეუსრულა ადამს. („ქრისტიანული ოჯახი” - დავით კვანჭიანი, თბილისი, 2008წ) ამ მომენტიდან იწყებს ქალი არსებობას და ენიჭება უფლებები მოვალეობებთან ერთად, რომელთა შესრულებითაც იგი უნდა ამართლებდეს მისი შექმნის მიზანს, რასაც კაცის შემწეობა წარმოადგენს...

გადის საუკუნეები, თითქოსდა ვითარდება საზოგადოება, მაგრამ რატომღაც იმაზე ღირებულს ვერასდროს ქმნის, რაც უფალმა შექმნა და დააკანონა. და რამდენადაც ქალი გაურბის უფლის მიერ კურთხეული მოვალეობების შესრულებას, იმდენად მეტად იტანჯება და ეხვევა გაუგებრობების ქსელში. პრაქტიკული მაგალითებიდანაც ჩანს, რელიგიური ნორმების დამრღვევი და სულიერად გაუნათლებელი ადამიანი ჩადის ყველაზე ხშირად მძიმე კატეგორიის დანაშაულებს. ვერცერთ წმინდა მამათა და დედათა შორის ვერ ნახავთ ბოროტმოქმედთ. პირიქით, თუ მანამდე იყვნენ დამნაშავენი, სარწმუნოებაში გაძლიერების შემდეგ მათ უკუაგდეს წარსული ცხოვრება და ქრისტესმიერი ნათელით გაბრწყინება შეძლეს. მოცემული მაგალითიდან ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას და მის სწორ გაგებას ადამიანი მაღალი ზნეობის საფეხურზე აჭყავს, მის გმობას და უარყოფას კი პირიქით.



სწორედ საზოგადოების დაბალი სულიერი მდგომარეობა უდევს საფუძვლად ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენას. ხომ ყველას გეჭონია შეხება სასულიერო პირებთან, დავუკვირდეთ, როგორი მშვიდები, გაწონასწორებულები და სასიამოვნო თანამოსაუბრენი არიან. რატომ ფლობენ უფლის სიახლოვეს მყოფი ადამიანები ასეთ ღირებულ თვისებებს, ამაზე გვიფიქრია? იმიტომ რომ მათთან უფლის მადლია, მათ საკუთარი თავი გამოიძიეს, დაუკვირდნენ საკუთარ მანკიერებებს და ძლიერი ნებისყოფით, ღვთის მადლით, უმრავლესი მათგანი დათრგუნეს. საკუთარ გულებში ჩავიხედოთ და იქ აღმოჩენილი ყოველი სისუსტე, იცოდეთ რომ მანკიერებაა და მისზე დამოკიდებულებამ შეიძლება ადრე თუ გვიან ჩვენც ბოროტმოქმედებად გვაქციოს. ამიტომ კარგად გავიაზროთ უფლისგან კურთხეული მოვალეობები და სულიერ განათლებას დავუწაფოთ რომ ჩვენივე სისუსტეების მონობამ არ მიგვიყვანოს ბოროტმოქმედებამდე. კონკრეტულად ქალებთან მიმართებაშიც იგივე პრინციპით შეიძლება ავაგოთ მსჯელობა, რომ ქალი—როგორც დამნაშავე და როგორც მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში რელიგიურ განათლებას მოკლებულია და სულიერად სუსტია, ვინაიდან მას არ ესმის მისი ჭეშმარიტი მისია ერში და დანიშნულება ოჯახში. ბევრი შეცდომა მოსდის, იბნევა, იჩაგრება, სულიერი ძალებისგანაც იფიტება ხდება ან დანაშაულის ჩამდენი, ან მსხვერპლი.

თუ ყურადღებით გადავხედავთ ქრისტიანული რელიგიის განვითარებას, დავინახავთ რომ ქალის როლი უზარმაზარი და მეტად პატივსაცემი იყო. ქართველი ერის ისტორიაში კი ქალისადმი პატივისცემა უმაღლეს ხარისხში იყო აყვანილი. ქრისტიანობამ ქალებს მიანიჭა უფლება, რომ ისინი იმსახურებენ დაიკავონ ღირსეული ადგილი ღვთის ეკლესიის წიაღში. იმ დღეს, როდესაც გოლგოთათაზე უფალს აჰქონდა თავისი ჯვარი, ყველა მეგობარმა და მოწაფემ მიატოვა, მხოლოდ ქალებმა არ დატოვეს იგი, უდიდესი თანაგრძნობით აღესილნი ცრემლითა და გოდებით აცილებდნენ მაცხოვარს. ჯვართანაც მამაცურად იდგნენ, არ უშინდებოდნენ მტრების უკმეხობას და დაცინვას. დღესაც ასე ხდება... როდესაც საჭირო იყო ბრძოლა ეკლესიის თავისუფლებისა და დიდებისათვის, ქალები ყოველთვის პირველნი სწირავდნენ თავს თავიანთი მხურვალე რწმენით. გამბედაობითა და თავგანწირვის უნარით ისინი ხშირად არცხვენდნენ მამაკაცებს და სადაც სუსტდება ძალა და მოთმინება ამ უკანასკნელთა, იქ ქალებს შეუვალი სიმტკიცე და შეუვალი ნება აღმოაჩნდებათ ხოლმე. ქალები, იმედი გვაქვს, ნებისმიერი მღვლვარებისას დარჩებიან რწმენის ერთგულნი და მტკიცენი ღოცვაში, ჯვრის ქვეშაც შეინარჩუნებენ სიყვარულსა და სასოებას მაცხოვრისადმი („მონიკა—დედა ნეტარი ავგუსტინესი. მისაბაძი მაგალითი ჩვენი დროის მანდილოსნებისათვის“. თბილისი, 2004წ.), ვინაიდან ისინი არიან ჩვენი გამზრდელი დედები, თქვენი ძვირფასი მეუღლეები და მათ ზნეობრიობას, უდიდესი როლი აქვს საზოგადოების სიჯანსაღეში..

დღევანდელი მდგომარეობა კი მეტად სავალალოა, ქალს ბევრი პრობლემა აქვს და სულიერი განათლების, სულიერი შემეცნების გარეშე ძალზედ უჭირს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას რომ, დღევანდელობაში ქალს ერის მხრიდანაც დაეკარგა პატივისცემის ძველებური აღმატებული ხარისხი და უფლის წინაშეც

დამდაბლდნენ როგორც დაბალი სულიერი მდგომარეობით, ისევე საკუთარი შინაგანი ფასეულობების და ღირსებების გადაფასებით. ქალი პატივს იმსახურებდა ზნეობით, გონებით, ჩაცმულობით, კდემამოსილებით, ქცევით და უპირატესად კი მაღალი სულიერი მდგომარეობით. ქართველ დედოფლებს წმინდანებად რაცხავდნენ და მათი ღოცვა მსხნელად ევლინებოდა მთელს ერს. ამან მოგვიყვანა დღევანდელობამდე და შეგვინარჩუნა როგორც მამული, ისე ენაც და სარწმუნოებაც. თანამედროვე ქალბატონებმა საკუთარ გულებში ჩავიხედოთ და თუნდაც მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე ვაღიაროთ, ვასრულებთ თუ არა უფლისგან კურთხეული მოვალეობების შესრულებას. თუ ფიქრობთ, რაშია მათი შესრულება საჭირო. უბრალო ცხოვრებისეულ მაგალითს დავუკვირდეთ: აიყვანეთ პატარა ლეკვი და გულითადად გამოზარდეთ და ერთ დღესაც ამ ზადლმა დაკბინა, სეროზულად დააშავა თქვენთვის ძვირფასი ადამიანები. როგორ მოიქცევით? სავარაუდოდ, იმწუთშივე გალანძლავთ, ცემას დაუწყებთ და შეიძლება სახლიდანაც გააგდოთ. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვაყენებთ უფალს. იმის სანაცვლოდ რომ მისი წყალობისთვის, სიყვარულისთვის და შემწეობისთვის ერთგული მსახურებით ვუპასუხოთ, აქეთ კიდევ ვეურჩებით. ანალოგიურ მდგომარეობაშია ქალიც. თუ რა გვევალება, რისთვის ვართ მოწოდებული და რა შეცდომებს, რა პრობლემებს ვაწყდებით, კონკრეტულად განვიხილოთ.

ქრისტიანულ სამყაროში ქალს ერგო უდიდესი პატივი— განკაცებული ღვთის მშობელი, ყოფილიყო უბიწოების და სისპეტაკის გამოხატულება, მთელი კაცობრიობის დედად წოდებულიყო და ანგელოზთ ზედა მდგომარეობა მოეხვეჭა. სხვა რომელიმე მიწიერ არსებას არ ღირსებია არც ესოდენი პატივი და არც ამხელა ღვაწლის თავს დება. თუ რომელიმეს მოგეპოვებათ უკეთესი საკვები, უკეთესი შესამოსელი და უკეთესი გვირგვინი, ვიდრე უფლის მადლია, რომელიც მარიამს განსაკუთრებულად ერგო, დიდად შევცდებით და თუკი ჩვენი თავისთვის მართლაც საუკეთესო გვინდა, ვესწრაფოთ მართლაც ღირებულს და გამოუღვებულს — ღმერთს! მარიამმა ყოველივე მიწიერი საზრუნავი უფალს გადააბარა, თავად კი საზრდოობდა, იმოსებოდა და იკვებებოდა ღვთის სიყვარულით. ბევრი ჩვენგანი გაიკვირვებს, როგორ შეგვედართ მარიამსო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მან ადამიანური მანკიერებები თავისივე ძალისხმევით დათრგუნა, მასაც ჩვენნაირი დაცემული ბუნება ჰქონდა, მაგრამ სამუდამოდ დაიმკვიდრა მარადიულ სიხარულსა და ბედნიერებაში— ღმერთში. აქედან გამომდინარე, ღვთისმშობელი მისაბაძი მაგალითია ყველა ქალისთვის თავისი დედობრივი უბიწოებით და თავდანწირვით, ქცევით, აზროვნებით, საქმიანობით და ჩაცმულობითაც კი. წმინდა მამათა ერთ-ერთ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე გადაწყდა, რომ ვინც აურიოს დედაკაცისა და მამაკაცის ტანსაცმელი, ის შეჩვენებულ იქნესო. დღევანდელი ჩაცმულობით კი ქალთა აბსოლიტური უმრავლესობა ყოველდღიურად ვიმსახურებთ ამ ნეტარ მამათა მხრიდან უარყოფას და წარმოიდგინეთ, როგორ ვჩანვართ უფლის თვალში... ბავშვის აღზრახვაც მოქმედებს დედის ჩაცმულობა. ბერი პაისი გვეუბნება, რომ პირველი სურდო ბავშვს მშობლების გაშიშვლებული გრძნობების წყალობით ემართება. ყველაზე ადვილად ავადმყოფობა კი დედისგან გადაედებათ: როცა დედა მოკრძალებულად არ იცვამს და თავისი ქცევით

სულიერად აღატაკებს ბავშვს. მშობლების წმინდა ცხოვრება გააღვინას ახდენს ბავშვებზე და ისიც ბუნებრივია, გონიერი, მოკრძალებული და წესიერი იზრდება. ასეთი ბავშვი ახარებს მშობლების გულს აქაც და იქაც, მარადიულ ცხოვრებაში, სადაც კვლავ ერთად იქნებიან. (მამა პაისი მთაწმინდელი, „ოჯახური ცხოვრება“. თბილისი, 2006წ.). ალბათ გაგიკვირდებათ, რა კავშირშია ეს დანაშაულთანო. გაიხსენეთ, რამდენი გაუპატიურების მიზეზად ყოფილა დასახელებული თავად ქალის ქცევა და ჩაცმულობა. აქ ქალი გამოდის როგორც მსხვერპლი, მაგრამ თავადვეა დამნაშავე, რადგან უფალი ყოველთვის მფარველობს და მამაკაცთა აუცილებელი გულისთვის განაცხადებს იცავს მოკრძალებულ მანდილოსანს. თუკი უარყოფთ მოკრძალებულობას ჩაცმაში, მაშინ უარყოფთ უფლის მფარველობასაც და ყურადღებით დადარაჯებული ბოროტი არ აყოვნებს და...

როგორც უკვე აღინიშნა, ქალი არის მეუღლე და დედა. ორივე მოვალეობის შესრულებისას იჩენს თავს დარღვევები. „თავმდაბლობა ადამიანმა უპირველეს ყოვლისა, ოჯახში უნდა გამოიჩინოს. უთანხმოება, რომელიც დღევანდელ ოჯახთა საერთო სენს წარმოადგენს, იმ მატერიალური და სულიერი სიღატაკის შედეგია, რომელსაც თანამედროვე ადამიანები განიცდიან და მხოლოდ თავმდაბლობით მოიხსობა.“ („მშვიდობა ოჯახიდან იწყება“-უწმინდესის ქადაგება შენდობის კვირას ნათქვამი, 23 თებერვალი, 1993წ.) წმინდა მამები იკვლევდნენ და სულიწმინდის შთაგონებით განაწესებდნენ მეუღლეთა შორის უფლება მოვალეობებს: „ცოლს ქმრის მოწიწება ჰქონდეს“ (ეფ. 5, 33) „ამავდროულად ქმარს უნდა უყვარდეს თავისი ცოლი, როგორც საკუთარი თავი.“ (ეფ. 5, 33) გაჭირვების უამრავი ქმარი უნდა ანუგეშებდეს ცოლს, აგრეთვე ცოლიც ვალდებულია უყვარდეს ქმარი და პატივს სცემდეს მას, იყოს მისი მორჩილი, რადგან ქმარი თავია ცოლისა. პავლე მოციქული წერს: „ვითარცა ეკლესია და მორჩილებულ არს ქრისტესა, ეგრეცა ცოლნი თვისთა ქმართა ყოველთავე.“ თუ ოჯახში სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნება გვინდა, აუცილებელია უფროს-უმცროსობისა და იერარქიის დაცვა. ვინაიდან ორი თავით არსებობა შეუძლებელია, ასევე ოჯახში ორი უფოსიც ვერ იქნება. მამაკაცის ეს მდგომარეობა უფლის მიერაა დაკანონებული და ამას ვერაფერი აღუდგება წინ. ეს იერარქია შენარჩუნებულ უნდა იქნეს მაშინაც კი, როცა კაცი სულიერად და ფიზიკურად სუსტია. თუ ქალი გონიერია და მორწმუნეა, ის ყოველნაირად შეეცდება აამაღლოს მეუღლის ავტორიტეტს და ერთგული სიყვარულით შეეწიოს მას. უფალი მორჩილების მოთხოვნით გვიმსუბუქებს ქალებს განკითხვის ტვირთს, ვინაიდან რამდენადაც მამაკაცია თავია ოჯახისა, მას მეტს მოსთხოვს უფალი და რამდენადაც მორჩილია ქალი, იმდენად მსუბუქია მისი ტვირთიც. ეს რომ კარგად შეგნებული გვქონდეს, არ გვექნებოდა ოჯახური ძალადობის ესოდენ შემადრწუნებელი შედეგები სახეზე.

შემდეგი პრობლემატური საკითხი ესაა, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აბორტის უმძიმესი ცოდვა და ტენდენცია, იყოლიონ იმდენი შვილი, რამდენიც თავადვე სურთ და მეორე ესაა, როცა დედა მცირეწლოვან ბავშვს დროზე ადრე აბარებს ან ბაღს ან ძიძას, თავად კი სამუშაოზე გადის. წყვილთა უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ისინი არიან დაბადების პირველ მიზეზნი და ბავშვიც მათი საკუთრებაა, რაც დიდი

შეცდომაა, რადგან ქალის სხეულში ჩასახული სიცოცხლე ეკუთვნის თავად შემოქმედს და არა ჩვენ-უბრალო ადამიანებს. არავინ, გარდა უფლისა არ იცის რას გრძნობს ნაყოფი დედის მუცელში ყოფნისას, როგორ გაიზრდება, რა თვისებები ჩამოუყალიბდება. მეცნიერებს და ექიმებს მხოლოდ ვარაუდი შეუძლიათ. უფალი კი ჩასახვის მომენტიდანვე ზრუნავს მასზე, რადგან ეს პატარა პირმშო, თავად უფლის ნაწილია, რომელიც მშობლებს უდიდეს სიხარულად მიეცათ და მათი გონივრული აღზრდით ისევ უფალთან უნდა მივიდეს. („დედა, დედიკო, მე შენთან მინდა!“- ტატიანა კოსტენკო, თბილისი, 2006წ) როცა დედა თავისი ნებით კლავს შვილს, რომელიც მის სხეულში ცოცხლობს, ეს უდიდესი ცოდვაა. ზოგი ამ საქციელს ზერელედ უყურებს და შეგნებულად კი არ აქვს, რას სჩადის. სინამდვილეში კი ეს მკვლელობათა შორის ყველაზე საშინელია, რადგან ამ დროს შვილი მშობლების დასტურითაა მოკლული. ახლა წარმოიდგინეთ, რა სასჯელი ელით ამ ცოდვის ჩამდენთ („ოჯახი რომ მტკიცე იყოს“- უწმინდესის ქადაგება, 23 ივნისი, 1983წ). წმინდა ბასილი დიდი აღგენს, რომ “წინასწარი განზრახვით მუცელში ჩვილის მკვლელს კაცის მკვლელის სასჯელი ედება” (წმინდა ბასილი დიდის ეპისტოლე პირველ კანონთა შესახებ. II კანონი) ნუ ჩავიგდებთ თავს მძიმე და მტკივნეულ განსაცდელეებში და ნუ დავარდვევთ უფლის კურთხევას. დავფიქრდეთ, როგორ ვზრუნავთ მიწიერი მშობლები ჩვენი შვილების განვითარებისთვის, განათლებისთვის, კვებისთვის და წარმოიდგინეთ როგორ იზრუნებს ზეციური მამა თავისი ნაწლისთვის. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ვიწუწუნოთ გაჭირვებაზე, დავერიდოთ გარჯას, შრომას და ჩასახული შვილების მკვლელობა ამით გაგამართლოთ?! მიენდეთ მშობლებო უფალს, მიანდეთ თქვენი პირმშო მათ კეთილ ნებას და ამით მოიპოვებთ ცხონების უდიდეს საშუალებას, რადგან თავად უფალი გიგზავნით მას პატარის სახით.

არის კიდევ მეორე მიზეზი აბორტისთვის, როგორცაა ექიმთა დასკვნები, რომ თითქოს ბავშვი მახინჯი უნდა დაიბადოს და ეძლევა რეკომენდაცია აბორტზე. ასეთ შემთხვევაშიც კი არ უნდა გაიკეთოს ქალმა აბორტი, რადგან ღიაგნოში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს და მერე, გახსოვდეთ, რომ ბავშვი ღვთის საჩუქარია. მან დაგაკისრათ პასუხისმგებლობა და გაკურთხათ აღზარდოთ სწორედ ეს ბავშვი, თუ თქვენ მორჩილებით მიიღებთ ამ შეგონებას, როგორც ცხოვრების მძიმე ჯვრის თქვენეულ წილს, დარწმუნებული იყავით, დედობის სიხარული, პატარაზე ზრუნვისას განცდილი სიხარული, თქვენი შვილის მადლიერი თვალები, რომ არ მოკალით იგი, შეავსებს მისი სხვა ბავშვებისგან განსხვავებულობის ნაკლს და კიდევ, პედიატრიაში ცნობილია, რომ სიცოცხლის ადრეულ პერიოდში ამა თუ იმ ფუნქციის განვითარების შეფერხება შეიძლება მოგვიანებით გამოსწორდეს („დედა, დედიკო, მე შენთან მინდა!“- ტატიანა კოსტენკო, თბილისი, 2006წ).

ხშირად ჩვენი ქალები თავს იმით იმართლებენ, რომ იმდენი შვილის აღსაზრდელად, რამდენსაც უფალი უბოძებს, პირობები არ აქვთ, მაგრამ ეს მიზეზი მკვლელობას ვერ გაამართლებს. ჩვენს წინაპრებს ჩვენზე ცუდი პირობები ჰქონდათ, მაგრამ შვილების აღზრდას ახერხებდნენ. ეს ცოდვა ჩვენთან ევროპიდან შემოვიდა, სადაც ქალმა საზოგადოებაში თავისი მდგომარეობა დედობრივ მოვალეობაზე მაღლა დააყენა. რა თქმა უნდა, კარგია ცოდნის მიღება და სამსახური, მაგრამ ის შვილების აღზრდას

ვერ შეედრება.თუ ქალი სამსახურს ოჯახზე მაღლა აყენებს,ე.ი. მას დედობრივი სიყვარული აკლია,თუ მას ოჯახიდან განთავისუფლება სურს, ე.ი. ის მეუღლე აღარაა.აუცილებელია დედა განათლებული იყოს,მაგრამ ეს ცოდნა და განათლება,პირველ რიგში თავის შვილებს უნდა მოახმაროს.დედამ უნდა ასწავლოს შვილებს წერა-კითხვა,პირჯვრის გადაწერა,ლოცვები,შთაუნერგოს მოყვასისა და ღვთის სიყვარული.რა შეიძლება ამაზე უფრო დიდი და საპატიო მოვალეობა?

დღეს კი სულ სხვა სურათს ვხედავთ, დედა, ისევე როგორც მამა, მთელი დღე სამსახურშია, ბავშვები კი ბაღში ან ძიძასთან.არ ვამბობ, რომ იქ ბავშვებს ცუდად ზრდიან, მაგრამ განა აღმზრდელი, რაც გინდა კარგი იყოს იგი,დედას შეცვლის? ჩვენ არ შეგვიძლია, უცხო ადამიანებს, აღმზრდელებსა და მომვლელებს მოვთხოვოთ ის,რაც დედას მოეთხოვება.ამიტომაც იზრდებიან ჩვენი შვილები ცივ, მკაცრ და მცირედმორწმუნე, ან საერთოდ ურწმუნო ადამიანებად ,ამიტომ ტირიან მერე დედები-მთელი სიცოცხლე მათთვის ვშრომობდი და რატომ გამომივიდა ასეთი შვილებიო.რატომ და იმიტომ,რომ მისი სიყვარული,დედობრივი სითბო და ყურადღება აკლდათ(„ოჯახი რომ მტკიცე იყოს“-უწმინდესის ქადაგება,23 ივნისი,1983წ).ამასთან უნდა ითქვას,რომ 3წლამდე ნებისმიერ საზოგადოებაში შეყვანა ბავშვისთვის ყოველთვის სტრესთანაა დაკავშირებული,რადგან რაც უფრო პატარაა ბავშვი,მით უფრო სუსტია მისი დამცავი სისტემები,მით ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმები. ბავშვის დროზე ადრე ბაღში მიბარებით კი ეს ტრავმები გარდაუვალი ხდება („დედა,დედიკო,მე შენთან მინდა!“-ტატინა კოსტენკო, თბილისი,2006წ). ასეთ დედას კი ჰგონია,ბავშვი დაცულ გარემოში და საიმედო ხელში დატოვა ,როცა თავად მოაკლო ყველაზე მნიშვნელოვანი საკუთარ პირმშოს-დედის სითბო და სიყვარული. სინამდვილეში თავის გატანა იმიტომ უჭირთ, რომ უნდათ ყველაფერი ჰქონდეთ. საბოლოო ჯამში კი ისე გამოდის, რომ ისინი ვერ აბედნიერებენ საკუთარ შვილებს და კარგავენ მათ. თუ ოჯახში მხოლოდ მამა მუშაობს და მცირედითაც კმაყოფილდებიან, ასეთი პრობლემები იქ აღარ იქმნება. ხოლო როდესაც ცოლიც მუშაობს და ქმარიც, ვითომდა იმიტომ რომ მათ ფული არ ჰყოფნით, ოჯახი იბნევა და თავის ჭეშმარიტ აზრს კარგავს. დედები მეტი უბრალოებით რომ ცხოვრობდნენ, არც თავად გაუწყდებათ ქანცი და მათი შვილებიც ძალიან ბედნიერები იქნებოდნენ („ოჯახური ცხოვრება“-მამა პაისი მთაწმინდელი ,თბილისი,2006წ).გამუდმებული ფიქრის პირობებში თუ რა ვჭამოთ, როგორ ჩავიცვათ სხვებზე უკეთესად,იზრდილება ყველაზე მთავარი— ცხონდებიან კი ჩვენი შვილები, ვცხონდებით კი ჩვენ? პატარები დედისგან იღებენ იმ სითბოს,იმ ძალებს, რომელთა დახმარებითაც მათ ძლიერი სული უყალიბდებათ. დედის აღერსი და მზრუნველობა კი სუსტ და დაუცველ ბუნებას უმტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვები დანაშაულებრივი სამყაროსადმი ადვილად მისადრეკები, გაუწონასწორებლები, არასწორი ფასეულობების მატარებელნი ხდებიან, რაც იწვევს მასობრივ დონეზე საზოგადოების შეგნების დამდაბლებას უწყობს ხელს და როდესაც აღმოჩნდება,რომ ასეთი დედის შვილი გისოსებს მიღმა აღმოჩნდება კაცისმკვლელის და მხაგრელის სახელით,მოთქვამენ და უკვირთ,რომ არაფერს აკლებდნენ მათ.ყველაფერს ყიდულობდნენ და როგორ მოხდა

ასეო.სინამდვილეში კი მათ შვილს სულიერება და ზნეობა ვერ უყიდეს...დღეს ბავშვები დედობრივი სიყვარულის „შიმშილს“ განიცდიან და მშობლიურ დედაენას ვერ სწავლობენ იმიტომ, რომ მათი დედა მთელ დღეებს სამსახურში ატარებს, ხოლო ბავშვები უცხო ადამიანის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს დატოვებული („ოჯახური ცხოვრება“-მამა პაისი მთაწმინდელი. თბილისი 2006წ). უნდა იცოდეთ, დედებო, რომ მატერიალურზე საკითხებზე ზრუნვა, აჯობებს, უფალს მივანდოთ და შვილების აღზრდას მთელი გულითა და სიხარულით მივდიოთ, ვინაიდან არ არსებობს დედამიწის ზურგზე არცერთი ქმნილება თუ არსება, რომელსაც თქვენს შვილზე მეტად დასჭირდებით. აღზარდეთ სასახელო და ქრისტეს სიყვარულით აღსავსე მამული შვილები თქვენს ერს, სთხოვეთ უფალს მოგცეთ ძალა და სიბრძნე, აღზარდოთ თქვენი შვილები ისე, რომ მათ ყოველთვის სიხარული მოგიტანოთ.

დასასრულს, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ქალი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ამასთანავე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვენი სულიერი გაუნათლებლობით დაშვებული შეცდომების მძიმედ ასახვა საზოგადოების კრიმინოგენულ მდგომარეობაზე. შეცდომების უფლება არ გვაქვს და მეტი პასუხისმგებლობა აწევს. შევეცადოთ, რომ არც ჩვენი დაუდევრობით აღზრდილი შვილები გახდნენ დნაშაულის ჩამდენნი, არც ჩვენი უკრძალველობით გავხდეთ მსხვერპლნი, არც ჩვენი ქედმაღლობით დავანგრიოთ ოჯახები და არც ჩვენი უნდობლობით დვთის ნებისადმი არ გავხდეთ მკვლელობის ჩამდენნი. ეს ყოველივე მოითხოვს დაბეჯითებით სწვლას, წარმატებას სულიერ ცხოვრებაში და მოთმინებას, რადგან ვინც ისწავლა მოთმინება, იმან ისწავლა ყველაფერი!

*ქეთევან კვაჭანტირაძე*

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი**

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საღვთო წერილი
2. „ოჯახი რომ მტკიცე იყოს“-უწმინდესის ქადაგება, 23 ივნისი, 1983წ.
3. „მშვიდობა ოჯახიდან იწყება“-უწმინდესის ქადაგება შენდობის კვირას, 23 თებერვალი, 1993წ.
4. წმ.ბასილი დიდის ეპისტოლე I კანონთა შესახებ, II კანონი
5. ამონაწერი დიდი სჯული კანონიდან. ღანგარში შეკრებილ წმინდა მამათა განწესებანი. XV კანონი.
6. „ქრისტიანული ოჯახი“-ერეკლე კვანჭიანი, თბილისი, 2008წ.

7. „ოჯახური ცხოვრება“-მამა პაისი მთაწმინდელი, თბილისი,2006წ.
8. „დედა,დედიკო,მე შენთან მინდა!“-ტატიანა კოსტენკო, თბილისი,2006წ.
9. „ქართველი ქალები“-დ.ბაქრაძე, თბილისი,1891წ.
10. „მონიკა-დედა ნეტარი ავგუსტინესი.მისაბაძი მაგალითი ჩვენი დროის მანდილოსნებისათვის” თბილისი,2004

*ქეთევან კვაჭანტირაძე*

## **ქრისტიანული რელიგია და ქალთა პრობლემები**

### **რეზიუმე**

აღნიშნული სტატიაში გაანალიზებულია ქალის როლი ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით, სადაც ქალის როგორც მეუღლისა და როგორც დედის როლი საზოგადოებაში უზარმაზარი ზეგავლენის მქონეა ერის განვითარებასა და გამრავლებაში. აღნიშნულია რომ ქალი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და ამასთანავე განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათი სულიერი გაუნათლებლობით დაშვებული შეცდომების მიმედ ასახვა საზოგადოების კრიმინოგენულ მდგომარეობაზე.

*Кетеван Квачантирадзе*

## **Христианская религия и проблемы женщин**

### **Резюме**

В статье проанализирован статус женщины в рамках христианской религии, где роль женщины как супруги и матери имеет огромное влияние на развитие и размножение нации. Отмечено, что женщина является важнейшим элементом общества и то, что допущенные женщинами из-за духовной необразованности ошибки имеют особо явное негативное влияние на криминогенную ситуации в обществе.

*Ketevan Kvachantiradze*

## **Christian religion and woman**

### **Abstract**

In the given article author has analyzed function of woman according Christian religion, where she has enormous influence on development and prosperity of society as a mother and as a wife. Here is noted that woman is pivotal element in society, so the deviations produced due to a leak of the religious knowledge have extremely visible negative influence on societies legal order.

### გენდერული კრიმინოლოგია

თანამედროვე სოციალური მეცნიერებები განასხვავებენ სქესისა და გენდერის ცნებას. სქესი – ადამიანის ბიოლოგიური თავისებურებაა. ითვლებოდა, რომ ის ქალის და მამაკაცის ფსიქოლოგიურ და სოციალურ განსხვავებას უდევს საფუძვლად. აღნიშნულის შესწავლის დროს აუცილებელია იყოს გათვალისწინებული ის, რომ ბიოლოგიური განსხვავების გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების, მოღვაწეობის ფორმების, ემოციური მახასიათებლების და ქცევის თავისებურებებს.

გენდერი სოციალური და კულტურული ნორმების ერთობლიობაა, რომელსაც საზოგადოება მისი ბიოლოგიური სქესის გათვალისწინებით მიაწერს ადამიანს. იყო ქალი ან მამაკაცი ნიშნავს არა მარტო ანატომიური თავისებურებების ფლობას, არამედ განსხვავებული გენდერული როლების შესრულებას ოჯახში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სტრუქტურებში და კულტურულ ცხოვრებაში სწორედ სოციოპოლოგიური ნორმები განაპირობებენ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ქცევის მოდელებს, მოღვაწეობის სფეროს, პროფესიას.

ქალთა დანაშაული ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რომელიც მრავალი მკვლევარის ინტერესების სფეროს წარმოადგენს. აღნიშნული განპირობებულია ქალის განსაკუთრებული როლით და ფუნქციით, რომელსაც ის ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამედროვე საზოგადოებაში ქალის როლი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამიტომ მრავალი მეცნიერული და პრაქტიკული პრობლემის შესწავლის დროს უნდა იყოს გამოყენებული გენდერული მიდგომა. ბოლო დრომდე კრიმინოლოგია ძირითადად იყო “ანდროცენტრული”. შეისწავლიდა “მამაკაცური” დანაშაულის ფორმებს და კანონზომიერებებს. ქალთა დანაშაული განიხილებოდა როგორც გამონაკლისი, ბოლო წლებში ხდება ქალთა ისეთი დანაშაულებების რიცხვის მკვეთრი ზრდა, რომელიც ტრადიციულად მამაკაცებისათვის არის დამახასიათებელი.

არსებული გენდერული სტერეოტიპები:

1. ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ქცევის თავისებურებები.

მამაკაცი – აქტიური, აგრესიული, კომპეტენტური, დამოუკიდებელი.

ქალი – პასიური, დამოკიდებული, ემოციური, ნაზი, მზრუნველი.

2. დასაქმების სფერო

მამაკაცი – ინსტრუმენტული, ორგანიზატორული, შემოქმედებითი სფერო.

ქალი – მომსახურეობა, შემსრულებელი.

3. რეალიზაცია პროფესიული, ოჯახში.

მამაკაცი – პროფესიული მოღვაწეობის რეალიზაცია.

ქალი – გათხოვება, შვილების გაჩენა, აღზრდა, შრომა ოჯახში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ზღვარი ქალის და მამაკაცის გენდერულ როლებს შორის იშლება, რამაც მეტად პოზიციური ეფექტი განაპირობა. მაგრამ



აღნიშნულს ამავდროულად მოჰყვა შეუქცევადი უარყოფითი შედეგი - მკვეთრად გაიზარდა ქალების რიცხვი დანაშაულ ქმედებებში.

ქალების დანაშაულის მიზეზები:

მთავარი მიზეზია, ქვეყანაში მკვეთრი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები, არასტაბილობა, რაც განაპირობებს ცხოვრების დაბალ დონეს, მრავალი ქალი ასრულებს არაკვალიფიციურ მძიმე სამუშაოს, ღებულობს დაბალ ანაზღაურებას, ამიტომ ისინი არ ცდილობენ შეინარჩუნონ სამუშაო ადგილი, ხშირად ამბობენ უარს სამსახურზე, რჩებიან უსახსრებოდ. შემდეგ კი იძულებულები ხდებიან ჩაიდინონ დანაშაული – იჭურდონ, გახდენ მეძავეები. განსაკუთრებით მატულობს სოფლებიდან ქალაქში სამუშაო ადგილის საძებნელად ჩამოსული ქალების რიცხვი. ისინი ტოვებენ სოფელს ვინაიდან ვერ უძლებენ მძიმე ფიზიკურ შრომას. ბევრ რეგიონში სათანადოდ არ ფუნქციონირებს სამედიცინო და ვაჭრობის ობიექტები, კულტურული დაწესებულებები.

ქალთა დანაშაულის მეორე მიზეზი პირველის შედეგია. ქალები იძულებულნი არიან იზრუნონ ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე, მთელი სამუშაო დღე მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებებში და ამავდროულად დაკავებულნი არიან ოჯახში.

აღნიშნული მძიმე სამუშაო და არასტაბილურობის შეგრძნება აუხეშებს, აგრესიულს და გაუწონასწორებელს ხდის ქალს. პროფესიული მოღვაწეობის განხორციელება, შრომა ოჯახში და დედის ფუნქციის შერწყმა იწვევს ქალის ადაპტაციური უნარის დაქვეითებას და დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დიდ ალბათობას, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელი მუშაკების, მაღალი რანგის საზოგადოებრივი მუშაკების და მეცნიერ ქალებში დანაშაულის ხვედრითი წონა ბევრად დაბალია, ვიდრე არაპროფესიული პროფესიების და დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებს შორის. ეს განაპირობებს ქალების ორიენტაციას ერთ შვილზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, პროფესიულ კარიერაზე, ხშირია კონფლიქტები ოჯახებში, განქორწინებები. ქალები გახდნენ აგრესიულები, ანტისოციალურები.

მესამე მიზეზია ისეთი სოციალური ინსტიტუტების დარღვევა, როგორცაა ოჯახი, ოჯახში – ბავშვებსა და მშობლებს შორის სულიერი ერთობის დარღვევა. ძალადობის 40% ოჯახში ხდება. ძალიან მაღალია ბავშვების და ქალების სხეულის დაზიანების შემთხვევათა რიცხვი, რაც ხშირად სიკვდილის მიზეზია. შემზარავია “მთვრალი პედაგოგიკის” შედეგებიც, გაუპატიურება. მსხვერპლი ძირითადად ქალები და ბავშვები არიან, რომლებიც არ მიმართავენ პოლიციას, რადგანაც აქვთ მარტოობის და მოძალადეს შიში, არ იციან საკუთარი უფლებები. ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობაც - ბავშვების და ქალების მოთხოვნების უგულველყოფა. ზემოთაღნიშნული იწვევს მძიმე ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებს: ირღვევა ძილის პროცესი, აღინიშნება დეპრესია, არასრულფასოვნების კომპლექსი, თვითიზოლაციის სურვილი, კონფლიქტები, თანატოლებთან პრობლემების გადაჭრის უუნარობა, საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციის დარღვევა.

მეოთხე მიზეზია ძირითადი ფასეულობების მნიშვნელობის რღვევა. უარყოფით სოციალურ გარემოში ხშირად ფორმირდება ქალის განსაკუთრებული ტიპი, მასიური ინფორმაციის მეთოდები, რეკლამა არის არა მარტო ინფორმაციის წყარო, არამედ იდეალების, ფასეულობების საფუძველი. დიდი მნიშვნელობა აქვს

ქალიშვილების და ქალების ცხოვრების წესს და მათ ალტერნატივების და სოციალური კონტროლის შესუსტებას, ქალის სოციალური მობილობა, ხელს უწყობს ქალების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ნეგატიური დამოკიდებულებების და სტერეოტიპების ათვისების და ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესის ათვისებას. ქალთა ბუნების სოციალური გარდაქმნა იწვევს მძიმე მორალურ-ფსიქოლოგიურ შედეგს – ნორმად მიიჩნევა თამბაქოს მოწევა, მრავალი სექსუალური პარტნიორის ყოლა. დამახასიათებელია შრომის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, სექსუალური თავისუფლება, ავადმყოფური თავმოყვარეობა, საზოგადოების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ქალი განიცდის რეალურ და არარეალურ საშიშროებებს, გრძნობს თავს დაუცველად და ყველა ღონეს ხმარობს რომ მზად იყოს გაუწიოს წინააღმდეგობა, თავდასხმას თვლის თავდაცვას საუკეთესო საშუალებად, რაც გამოიხატება სხვადასხვა ანტისოციალური ქცევის ფორმებში - ძალადობაში და რეალური და არარეალური მოწინააღმდეგის დაუნდობლობაში.

მესუთე მიზეზია ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების გავრცელება როგორცაა ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, მათხოვრობა და სხვა. აღნიშნული იწვევს ქალებში შინაგანი აგრესიის გამოთავისუფლებას, სისასტიკეს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბოლო დროს ქალები მონაწილეობენ ისეთ მძიმე დანაშაულებში როგორცაა ტერორისტული აქტები, მძევლის შეპყრობა, ადამიანის გატაცება და ის, რომ ქალთა დანაშაული ორგანიზებულ ფორმებს ღებულობს. ეს განსაკუთრებით მოზარდებს ეხება, ვინაიდან ამ პერიოდში ღრმავდება როგორც ანატომიურ-ფიზიოლოგიური ისე გენდერული თავისებურებები.

მიზეზების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია.

დანაშაულის აღმოფხვრა შეუძლებელია, მაგრამ ეფექტურია მისი პროფილაქტიკა ანუ იმ მიზეზების აღმოფხვრა რომლებიც იწვევენ დანაშაულს. ქალებთან მუშაობის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული კვლევის შედეგები პედაგოგიაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და კრიმინოლოგიაში.

აუცილებელია, რომ ყოველი ადამიანი იყოს დაცული. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მასზე

ოჯახი უნდა იყოს დაცული მატერიალურად. აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში და განათლებაში. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალურ თვისებებზე: ქალობა სინაზე, ზრუნვა ახლობლებზე, კეთილგანწყობა.

მეტად მნიშვნელოვანია ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების ეფექტური მუშაობა და სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის გააქტივება და სრულყოფა.

ოჯახში მნიშვნელოვანია მშობლების მაგალითი, მათი ურთიერთობა, პასუხისმგებლობის გადანაწილება. ქალის სამუშაო გრაფიკის მოწესრიგება, მამაკაცების მონაწილეობა ბავშვთა აღზრდაში.

ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, სექსუალური დამოკიდებულების აღმოფხვრა. განსაკუთრებულ როლს აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ასრულებს ეკლესია.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მიუხედავად ერთიანი სასკოლო სისტემის არსებობაზე და ერთიან მოთხოვნებზე

ცოდნის და ქცევის მიმართ, არსებობს სტერეოტიპები სხვადასხვა სქესის მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში.

უნდა იყოს გათვალისწინებული თანატოლების ფაქტორიც, ვინაიდან უარყოფითი ოჯახური პირობები, აღზრდის პროცესის რღვევამ სკოლაში, შეიძლება განაპირობოს კავშირები ანტისაზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და სოციოლიზაციის პროცესის დეფექტები.

*მარინა შაქარაშვილი*

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი  
გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის  
სრული პროფესორი

*მარინა შაქარაშვილი*

### **გენდერული კრიმინოლოგია**

#### **რეზიუმე**

წარმოდგენილ სტატიაში დეტალურად არის განხილული გენდერული კრიმინოლოგიის საკითხები. ავტორი განმარტავს და ერთმანეთისაგან განასხვავებს ისეთ ცნებებს, როგორცაა გენდერი და სქესი, ჩამოთვლის არსებულ გენდერულ სტერეოტიპებს, და ქალთა დანაშაულობების მიზეზებს. ავტორის აზრით ქალთა დანაშაულობასთან ეფექტური ბრძოლისათვის აუცილებელია პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და კრიმინოლოგიაში გენდერული კვლევის შედეგების გათვალისწინება, ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების ეფექტური მუშაობა და სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის გააქტიურება და სრულყოფა. ავტორი თვლის, რომ ეკლესიას და სკოლას განსაკუთრებული როლი აკისრიათ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში.

*Марина Шакарашвили*

### **Гендерная криминология**

#### **Резюме**

В представленной статье детально рассмотрены вопросы гендерной криминологии. Автор разъясняет и различает такие термины как гендер и пол, перечисляет существующие гендерные стереотипы и причины женской преступности. По мнению автора, для успешной борьбы с женской преступностью необходимо учитывать результаты гендерных исследований в криминологии, социологии, педагогики и психологии, эффективная работа организаций по защите прав женщин, активизация и совершенствование профилактической работы правоохранительных органов. Автор считает, что церковь и школа играют особую роль в решении этих проблем.

## **Criminology of Gender**

### **Abstract**

In the given article are discussed in details aspects of criminology of gender. Author describes and differs notions of Sex and Gender, lists existing stereotypes around gender and causes of crimes committed by women. According author, for effective fight against crimes committed by women, it is necessary, to exercise results of gender research in pedagogy, psychology, sociology and in criminology, to higher effectiveness of NGOs in the field of protection of women's rights and to promote prophylactic activity of law enforcement agencies. Author says that school and the church have special roles in settling this problem.

**”აბორტი” როგორც ქალთა დანაშაული**

21-ე საუკუნეში არალეგალური აბორტები ისევ პრობლემაა. აღნიშნულის გამო, მსოფლიო მასშტაბით, 67 900 ქალი იღუპება. ეს თემა აქტუალურია საქართველოშიც, მით უფრო, რომ აბორტების ასაკი გაახალგაზრდავდა და მუცლის მოსაშლელად 14-19 წლის გოგონები ექიმებს ხშირად მიმართავენ.

განვიხილოთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მუხლები აღნიშნულ საკითხზე. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 136-ე მუხლის მიხედვით - საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და დაბადების დრო. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა ქალის ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით (მ 139.3.1). ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას და ბ) ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან გასულია 3 დღის მოსაფიქრებელი ვადა. ამასთან გასაუბრების დროს ექიმი ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას და ყველანაირად შეეცადოს დაარწმუნოს ქალი ნაყოფის შენარჩუნების აუცილებლობაში. თუმცა ყველა შემთხვევაში “არჩევანი დედის პრეროგატივაა.”

ასევე აღნიშნის ღირსია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133 მუხლი ”უკანონო აბორტი” რაც ითვალისწინებს აბორტის ორ შემთხვევას: 1. მარტივი უკანონო აბორტი (ფორმალური შემადგენლობა პ.1) 2. აბორტი დამამძიმებელ გარემოებებში (მატერიალური შემადგენლობა) 3.2 და 3) დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. თუმცა უმეტეს შემთხვევაში დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს მედიცინის მუშაკი. ამდენად, საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან. სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. რაც გამოიხატება მოქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებასა და ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სურვილში. დანაშაულის მოტივი ე.ი. მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს ანგარება, სიბრალული, შურისძიება (შურისძიების მოტივით ჩადენილ დანაშაულს ცალკე შევეხებით). მიზანი ანუ დამნაშავისათვის სასურველი შედეგი, შეიძლება იყოს მაგალითად ქორწინებაში არ მყოფი დედის შერცხვენის არიდება. ნებისმიერ შემთხვევაში მოტივი და მიზანი ზეგავლენას არ მოახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე. კვალიფიციური შემადგენლობისას, რაც გულისხმობს უკანონო აბორტის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას, შვილოსნობის სამუდამო მოშლას ან სიცოცხლის მოსპობას, რამდენადაც ეს მატერიალური დანაშაულია, სახეზე უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

აღნიშული კანონი ასევე ითვალისწინებს გამონაკლისს ამ ზოგადი წესისგან. აბორტი ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა სამედიცინო ან სოციალური ჩვენებები. სამედიცინო ჩვენებები გულისხმობს, რომ ორსულობის შეწყვეტა აუცილებელია ქალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სოციალური ჩვენებების მიხედვით კი, ნაყოფის მშობლები ისეთ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც შეუძლებელს ხდის ბავშვის სათანადო პირობებში გაზრდას და ჯანმრთელობის


უზრუნველყოფას. სოციალური ჩვენებები უდაოდ მეტად აფართოვებს აბორტების რიცხვს. საქართველოში მისი კანონით გათვალისწინება არ შეესაბამება სახელმწიფოს “პრიორიტეტულ ამოცანას – ქალის ჯანმრთელობის დაცვას აბორტების შემცირების გზით”. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ფონს.

მინდა შევეხო არალეგალური აბორტების თემასაც. არცერთი გინეკოლოგი აღიარებს, იმას, რომ მას პაციენტისთვის არალეგალური აბორტი გაუკეთებია, თუმცა სხვების მისამართით ამბობენ, რომ უსინდისო კოლეგები ფულის გამო ამაზე მიდიან.

სასაცილოა, რომ 21-ე საუკუნეში არალეგალურ აბორტებზე გვიწევს საუბარი, მაგრამ ეს რეალობაა. აღნიშნულის შესახებ სტატისტიკა არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგან ასეთი აბორტები სახლებში და არასამედიცინო პუნქტებში კეთდება. სწორედ ამიტომაც არის ის საშიში, რადგან ქალი არასტერილური გარემოდან ათასნაირ ინფექციას იკიდებს, რაც შემდეგ რთულდება, სხვადასხვა დაავადებებში გადადის და იღუპება ან მთელი ცხოვრება იტანჯება. ყურადსაღებია კიდევ ერთი პრობლემა - არალეგალური აბორტების მოთხოვნილება საკმაოდ გაზრდილია თინეიჯერებში, 14-19 წლის გოგონებში. ისინი არალეგალურ და რისიკიან აბორტებს იმიტომ იკეთებენ, რომ ეშინიათ მათი ფეხმძიმობა ოჯახის წევრებმა არ გაიგონ, თუმცა ამით ისინი უფრო მეტ საფრთხეს უქმნიან საკუთარ ჯანმრთელობას.

1987 წელს ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა (ანონიმური გამოკითხვა) რომლის მიზანი არალეგალური აბორტების რიცხვის გამორკვევა იყო. მაშინ რეგისტრირებული იყო 100 000 ლეგალური აბორტი. არალეგალური აბორტების რიცხვი კი 200 000 აღმოჩნდა, ანუ 2-ჯერ მეტი. ჩვენთან ქალები 5, 10, 15, 30 აბორტს ისე იკეთებდნენ, თითქოს არაფერი. მაშინ კონტრაცეფცია არ არსებობდა და აბორტებით ჯანმრთელობას ინადგურებდნენ. დღეს კი სხვა რეალობაა და ვფიქრობ, აბორტები პრობლემა არ უნდა იყოს. დღესდღეობით საქართველოში კონტრაცეპტივებს დაახლოებით 50% ხმარობს.

აუცილებლად და საჭიროდ ვთვლი, განვიხილო აბორტების სტატისტიკა, რადგან მას საკმაოდ სავალალო შედეგებამდე მივყავართ, რაც მეტად სამწუხაროა. თუ 90-იანი წლების ბოლოს დაფიქსირებული აბორტების რიცხვი 11 ათასს შეადგენდა, 2004 წლისათვის ოფიციალურად სამედიცინო სტაციონარებში 13 ათასზე მეტი აბორტი იქნა დაფიქსირებული. არაოფიციალურად კი ეს რიცხვი შედარებით მაღალია, წელიწადში დაახლოებით 25-დან 27 ათასამდე მერყეობს.



სტატისტიკა - მსოფლიოში წელიწადში 46 მილიონი აბორტი კეთდება. აქედან, 19 მილიონი რისკიანი და საშიშია, რადგან არაკვალიფიციური ადამიანის მიერ ისეთ ჭუჭყიან და არაჰიგიენურ გარემოში კეთდება, რომელიც მინიმალურ სამედიცინო სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. მსოფლიო მასშტაბით, 5 ფეხმძიმობიდან ყოველი 1 შემთხვევა აბორტით მთავრდება. 10 შემთხვევიდან კი 1 რისკიანი და საშიში აბორტია. ყოველი 5 რისკიანი აბორტიდან 2 შემთხვევა არის 15 წლამდე გოგონებში, 7-დან ერთი შემთხვევა კი არის 20 წლამდე ასაკის გოგონებში. რისკიანი აბორტების შედეგად, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემდეგია: მსოფლიო მასშტაბით – 67 900, განვითარებულ ქვეყნებში – 300, განვითარებადში – 67 500. რაც შეეხება საფრთხიანი აბორტების ასაკობრივ ზღვარს, განვითარებად ქვეყნებში 26%-ს 20-24 წლის გოგონები შეადგენენ, 25%-ს 25-29 წლის ქალბატონები, 19%-ს 30-34 წლის ქალები, 17%-ს 35-44 წლის, 14%-ს - 15-19 წლის ახალგაზრდები. განვითარებად ქვეყნებში დაახლოებით 6 ქორწინებიდან ერთი ქალი არასასურველი ფეხმძიმობის წინაშე დგას. მათ ურჩევნიათ არ დაფეხმძიმდნენ, მაგრამ კონტრაცეპტივებს არ იყენებენ. იმ ქვეყნებში, სადაც აბორტები ლეგალურია, ქალები უფრო დაცულები არიან, რადგან აბორტებს სპეციალისტები აკეთებენ. რაც შეეხება კონტრაცეპტივების მოხმარებას, საქართველოში არსებული სტატისტიკით, 2007 წელს 2005 წელთან შედარებით მისი მოხმარება 11,5%-ით შემცირდა.

მინდა აგრეთვე მოგახსენოთ, გაერთიანებული ერების მიერ მოწოდებული აბორტთა რიცხვის სტატისტიკა, რომელიც ჩატარებული იქნა 2007 წლის 8 ოქტომბერს. ამ სტატისტიკის მიხედვით, რუსეთში აბორტს იკეთებს ქალთა 53.7%, ა.შ.შ - 20.8%, მაღალია უკრაინის მაჩვენებელიც -27.5%, საქართველოში კი ეს რიცხვი -19.1%-ია (<http://larussophobe.wordpress.com/2008/10/06/editorial-russia-and-its-abortion-apocalypse/>)

დამეთანხმებით, ყველსათვის მეტად საინტერესოა ექსპერტთა აზრი ზემოთ აღნიშნულ საკითხზე. ექსპერტები აბორტების გაახალგაზრდავებისა და არალეგალური აბორტების ერთ-ერთ მიზანად ახალგაზრდების უცოდინრობას ასახელებენ, კერძოდ იმას, რომ თინეიჯერები კონტრაცეპტივებისა და უსაფრთხო კავშირების შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ. როგორც “ქალთა ცენტრის” პრეზიდენტი, პროფესორი ია ვერულაშვილი “ადამიანის უფლებათა ცენტრთან” საუბრისას აცხადებს, ეს ის საკითხია, რომელიც საქართველოში ტაბუდადებულია და არსად ისწავლება: „სამწუხაროდ, აბორტების საკითხი ჩვენთან ტაბუდადებულია და ვერ ილაპარაკებ. საკითხი რომ დააყენო, საგანმანათლებლო მუშაობა სკოლებში უნდა ჩაატარო. მოგცემს ეკლესია ამის უფლებას? არადა, აუცილებელია, ახალგაზრდას, ასწავლო რატომ უნდა თქვას აბორტზე და მით უმეტეს არალეგალურ აბორტზე უარი. იმიტომ, რომ ეს მანება მისი ჯანმრთელობისთვის. მას უნდა ასწავლო, რომ ახალგაზრდა არ უნდა ქმნიდეს ოჯახს დატვირთული და სექსუალური გზით გადამდები უამრავი დაავადებებით, რაც უშვილობის ერთ-ერთი მიზეზია. სამწუხაროდ, საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკა არ ხორციელდება, რატომ არ უნდა გაიკეთოს ქალმა აბორტი და რატომ უნდა იხმაროს კონტრაცეფტივი. ასევე პრობლემაა ისიც, რომ ჩვენთან ორსულობის დაგეგმვის შინაგანი კულტურა არ არსებობს.” მეტად მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური აბორტი.

კრიმინალური აბორტი სახეზეა თუ დარღვეულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის ზემოთ მითითებული მოთხოვნები. ამის შემდეგ უკვე დადგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ორსულობის შეწყვეტის საფუძვლად ასევე მიჩნეულია ე.წ.

ეთიკური (როცა ორსულობა გამოიწვეულია გაუპატიურებით) და ევგენური ჩვენებები (არსებობს დიდი ალბათობა, რომ ბავშვი დაიბადება ავადმყოფი) კრიმინალური აბორტის შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად 70,000-ზე მეტი ქალი იღუპება. აბორტის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა და არამარტო მისი ტენდენციური ხასიათის გამო. სისხლისსამართლებრივი საკითხების გარდა იგი ასევე მოიცავს რელიგიასა და მორალთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც არსებითად ართულებს აბორტთან დაკავშირებულ ერთიანი შეხედულების ჩამოყალიბებას.

კრიმინალური აბორტი - საქართველოს კანონმდებლობით დასჯადია მხოლოდ აბორტი, რომელიც განხორციელდა კანონით დადგენილი წესების დარღვევით: არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, სამედიცინო საქმიანობის არმქონე ექიმის მიერ, ორსულთან წინასწარი გასაუბრების გარეშე და ამ გასაუბრებიდან დადგენილი აუცილებელი ვადის გასვლის დარღვევით ან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით. ამდენად, დაცულია მხოლოდ დედის სიცოცხლე და ჯანმრთელობა და არაა დასჯადი ემბრიონის მკვლელობა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კრიმინალური აბორტი საფრთხის შემქმნელ დელიქტებს განეკუთნება, ამდენად ამ დანაშაულისას უმთავრესია ქმედების შემადგენლობის განხორციელება, დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მომენტიდან. ობიექტური შემადგენლობის მიხედვით ორსულობის შეწყვეტის ხერხი გავლენას არ ახდენს ქმედების მართლწინააღმდეგობაზე. ორსულობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით.

და მაინც, როდის იწყება სიცოცხლე. გენეტიკის თვალსაზრისით სიცოცხლე იწყება ორი უჯრედის განაყოფიერების მომენტიდან. ასეთ უჯრედში უკვე დევს ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის სქესს, სისხლის ჯგუფს, თვალის ფერს, ინტელექტს. ეს ყოველივე ჩაწერილია 46 ქრომოსომის გენეტიკურ კოდში. ფორმალურად ის უკვე ადამიანია, რომლის იდენტური არსება აქამდე არასდროს არსებულა და არც არასდროს იარსებებს. ამის შემდეგი ეტაპია ემბრიონის ზრდა და განვითარება. ჩასახვიდან უკვე მერვე დღეს ფეხმძიმობის მთელი პერიოდის დამთავრებამდე ჩანასახი გარკვეული თვალსაზრისით აკონტროლებს დედის ორგანიზმს. სამედიცინო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, ჩასახვის მომენტიდან ემბრიონს მხოლოდ საკვები და ჟანგბადი სჭირდება, რაც ასევე დაბადების შემდეგაცაა აუცილებელი. მას სიცოცხლის გაგრძელება საშვილოსნოს გარეთაც შეუძლია. სიცოცხლისუნარიანობა საშვილოსნოს გარეთ იწყება 19 კვირის ასკიდან.

როგორც ცნობილია, იურიდიულად პირი გარდაცვლილად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო დაბადებულად კი დედის საშოდან გამოყოფის მომენტიდან. უფრო კონკრეტულად კი, ბავშვი დაბადებულად ჩაითვლება საშოდან ნაწილობრივად გამოყოფის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ემბრიონის სამართლებრივი დაცვაც ამ დროიდან იწყება. სამედიცინო ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ ემბრიონის თავის ტვინის იმპულსები ფიქსირდება უკვე ექვსი კვირის ასაკიდან. მაშინ რატომ არ შეიძლება, რომ ამ დროიდან იქცეს მისი სიცოცხლე სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი. ანუ ემბრიონის დაცვის მომენტის წარმოშობის საფუძველად იგივე ფაქტი (ოღონდ ამ შემთხვევაში ტვინის ფუნქციონირების დაწყება) ავიღოთ, რასაც უკვე ადამიანის სამართლებრივი დაცვის შეწყვეტისას მივიჩნევთ? კრიმინალური აბორტის კვალიფიკაციისას ეს ბევრს შეცვლიდა, რაც, ალბათ, უფრო სამართლიანიც იქნებოდა.



ასეთ დროს, თუ დამდგარ მძიმე შედეგს არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, სახეზე იქნება თანამდგომელი შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული და შესაბამისად გამოყენებული უნდა იყოს სსსკ-ს მე-11-ე მუხლი. მაგრამ როგორ მოხდება კვალიფიკაცია, როდესაც ექიმი შურისძიების მოტივით (შურისძიება შეიძლება გამოიწვიოს თუნდაც დედის მიერ აბორტის გაკეთების სურვილის ფაქტმა) ერთ შემთხვევაში განზრახ მძიმედ დაუზიანებს დედას ჯანმრთელობას და მეორე შემთხვევაში განზრახ მოუსპობს სიცოცხლეს? პირველის კვალიფიკაცია მოხდება მე-117-ე მუხლის პირველი პუნქტით. არსებული მოსაზრებით, მეორე შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს 108-ე მუხლით, როგორც მარტივი მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ 109-ე მუხლი ორსული ქალის წინასწარი შეცნობით განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. მაგრამ რატომ, როცა ორივე მაგალითში ხელყოფის ობიექტია ორი სიცოცხლე? კანონმდებლობით ერთნაირად არაა დაცული ორსული ქალისა და ქალის სიცოცხლე, ეს იმის დასტურია, რომ კანონმდებელი აღიარებს ემბრიონს ცოცხალ არსებად. მაგრამ საკმარისია კი ეს, თუ სრული პასუხისმგებლობისთვის საჭიროა ემბრიონის არა ცოცხალ არსებად, არამედ ადამიანად აღიარება? ცოცხალი არსებად ასეთივე წარმატებით შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად ცხოველები, თუნდაც იმიტომ, რომ უცემთ გული, სუნთქავენ და აწარმოებენ შთამომავლობას. 108-ე და 109-ე მუხლით კი ადამიანი დაცულია თავისთავად იმიტომ, რომ ცოცხალი არსებაა, მაგრამ მნიშვნელოვნად იმიტომაც, რომ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილეს, რომელსაც ცხოველისგან განსხვავებით გააჩნია ცნობიერება. ამის უტყუარ დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ უკაცრიელ კუნძულზე მცხოვრები რობინზონ კრუზოს მაგალითი, რომელზეც არ ვრცელდება არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქცია და თუ მას მოკლავს ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა, მაშინ მას არც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება. თუ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულია და თუ არ გვაქვს სახეზე პასუხისმგებლობა, გამოდის, რომ არც დანაშაული გვაქვს. ამდენად, ნათელია, რომ სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია ადამიანი, არა როგორც ცოცხალი არსება, არამედ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილე. მიუხედავად ამისა, სსკ-ს 109-ე მუხლიდან გამომდინარე ჯერ არდაბადებული ბავშვი მაინც წარმოადგენს დაცვის ობიექტს, მაგრამ არა იმ ხარისხით, როგორც ადამიანი. ემბრიონის სამართლებრივი დაცვა მართლზომიერად წყდება დედის მიერ აბორტზე თანხმობის და აბორტის განხორციელების დაწყების მომენტიდან. უარის თქმა (თანხმობა აბორტზე) წარმოადგენს ნების გამოვლენას და სანამ არ მოხდება მისი მოქმედებით რეალიზება, თუ მოვიხმობთ სამოქალაქო სამართლის ტერმინს იგი შეიძლება “გამოთხოვილ” იქნეს. ეს სწორი მიდგომაა, რადგანაც დედას ბოლო წუთამდე უნდა დარჩეს შესაძლებლობა გადაიფიქროს და შეცვალოს გადაწყვეტილება, რომლის სისწორეშიც, თუნდაც ერთი წამის წინ დარწმუნებული იყო. თუკი ამის შემდეგ ექიმი მაინც განახორციელებს აბორტს, მაშინ უდაოდ სახეზე იქნება 109-ე მუხლის (2პ.ა) დამამძიმებელი გარემოება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი).

ორსული ქალის წინასწარი შეცნობით მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებას ქმნის სწორედ იმიტომ, რომ ასეთ დროს ემბრიონი ჯერ ისევ წარმოადგენს დაცვის ობიექტს. სახეზე არ არის დედის უარი და შესაბამისად თანხმობა ბავშვის მკვლელობაზე. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვერპლის ოჯახის წევრებისათვის ეს უფრო დიდი ტრავმა და ფსიქოლოგიურად მძიმედ გადასატანია, ვიდრე შემთხვევა, როცა დედა უარს ამბობს ბავშვზე და აბორტის შედეგად

იღუპება. მართალია, სამართლიანობის პრინციპი სისხლის სამართალში არ დაიყვანება მხოლოდ სამაგიეროს მიზლის პრინციპზე, მაგრამ ყველას ხომ დამსახურებულად უნდა მიეზღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი თავის ერთერთ მიზანს, (სამართლიანობის აღდგენა) ვერ შეასრულებს (სსსკ-ს 39მ.1.პ). აბორტის გაკეთების გზით ქალის მკვლელობისას 108-ე მუხლით დასაკვალიფიცირებლად გადამწყვეტია ის, რომ დანაშაულებრივი შედეგის დადგომამდე (მკვლელობამდე) ქალმა გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და უარი თქვა ბავშვზე. ამასთან აბორტი დაიწყო, რაც დასტურია, რომ დედა ვეღარ შეცვლის გასაწყვეტილებას და დედის სიკვდილი დადგა უკვე ამის შემდეგ. შესაბამისად ემბრიონი სამართლებრივი თვალსაზრისით აღარ არსებობს და ამდენად, არც დამამძიმებელი გარემოება იქმნება.

*ნათია ქააძე*  
**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი;**

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) კრიმინოლოგია – ავტორთა კრებული.
- 2) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და კომენტარები.
- 3) საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ .
- 4) [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)
- 5) [www.larussophobe.wordpress.com](http://www.larussophobe.wordpress.com)

*ნათია ქააძე*

### **”აბორტი” როგორც ქალთა დანაშაული**

#### **რეზიუმე**

ჩემს მიერ განხილული თემა მეტად შემაშფოთებელია, ვფიქრობ, რომ აუცილებელია, მოსახლეობა გავანათლოთ, ვასწავლოთ, რომ აბორტი ცუდია და კონტრაცეპტივების მოხმარებისა და ოჯახის დაგეგმვის კულტურა უნდა ავწიოთ. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ კანონმდებლობასაც. ამაში კი სწორედ მედიის დახმარება გვჭირდება. რაც შეეხება აბორტების ასაკის გაახალგაზრდავებას, რესპონდენტი აღნიშნულ პრობლემასაც გაუნათლებლობას უკავშირებს და ამბობს, რომ ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ სქესობრივად ინვალიდია: “აბორტები ძალიან გაახალგაზრდავდა და თითქმის 14 წელს მიაღწია. ძალიან გაიზარდა აბორტის შემთხვევები 15 წლის ასაკში. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოში სქესობრივი განათლება საერთოდ არ არსებობს. არადა, მაგალითად, დანიაში დღობირებულ, შემოწმებულ, ფრთხილ სქესობრივ აღზრდას თითქმის მეორე კლასიდან ასწავლიან. ჩვენთან კი თითქმის არაფერი იციან სქესობრივი ცხოვრების შესახებ არა მარტო ქალებმა, არამედ მამაკაცებმაც. ჩვენი საზოგადოება ამ მხრივ სქესობრივი ინვალიდია. მიმაჩნია, ამ ყველაფერს თუ გავიზრებთ და ცხოვრებაში გამოვიყენებთ აუცილებლად მივალწევთ სასურველ შედეგს.

## **Аборт как женское преступление**

### **Резюме**

Моя тема касается очень важного вопроса . Я считаю, что мы должны повысить уровень образования населения, объяснить что аборт худшее решение, также важно распространить информацию и повысить культуру использования контрацептивов и планирования семьи, кроме этого надо уделять большое внимание законодательству. В этом вопросе важную роль играет масс-медиа.

Что касается уменьшения возраста женщин, которые выбирают аборт, автор, данную проблему приписывает низкому уровню образования и считает, что наше общество инвалид в половых вопросах: “возраст женщин выбирающих аборт крайне уменьшился и почти приблизился к 14 лет, также очень часто встречаются 15 летние пациенты. Одна из причин является тот факт, что в Грузии не существует половое образование. Нужно отметить, что в Дании постепенно, в рамках допустимого дети получают информацию о половом воспитании со второго класса. У нас же половое образование отсутствует как среди женщин, также среди мужчин. Наше общество в этом смысле половой инвалид .

*Natia Kaadze*

## **“ABORT”- as a crime committed by woman**

### **Abstract**

Subject of this article concerns very important question. Author considers, that we should raise the level of education in the population, explain that abortion is the worst decision, also is important to distribute information and raise culture about using of contraceptives and about scheduling of family, along with it, it is necessary to give much attention to the legislation. In this question key role plays mass-media.

As to reduction of an age of women which choose abortion, the author, attributes the given problem to a low educational level and considers, that our society is invalid in sexual questions: “the age of women choosing abortion has extremely decreased and almost came nearer to 14 years, also very often there are 15 years old patients. One of the reasons is the fact that in The Georgia there is no sexual education. It is necessary to note, that in Denmark gradually, within the admissible limits children receive the information on sexual education from the second class. In Georgia sexual formation is totally absent as among women, also among men. Our society in this sense is sexually invalid.

### სიუციდი მოზარდ გოგონებში

მოზარდობის ასაკი, პრობლემები თუ რეალობა ?

ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლა ძალზე ხშირად კრიტიკულ ელფერს იღებს, ამიტომაც მოზარდობის ასაკ- გარდამავალსაც უწოდებენ. რამდენად მკვეთრი და ყოვლისმომცველი ცვლილებებია პიროვნებაში? ფსიქიკური თვისებები ზოგიერთი მოზარდისათვის მისი ცხოვრების ეს ხანა მიმდინარეობს დუნედ და მდორედ, მეორისათვის კი არეულად და ძალზედ მტკივნეულად. ეს დამოკიდებულია, როგორც გარემოსა და აღზრდაზე, ისე ორგანიზმის მემკვიდრულ თვისებებზე. გასათვალისწინებელია, რომ მოზარდთა ასაკში ფიზიოლოგიური ნორმები ძალზე ვარიაციულია და ხშირად შეიძლება ავადმყოფურ გამოვლინებად ჩავთვალოთ.

მოზარდობის პერიოდში გაზრდილია ინტერესი საკუთარი თავის მიმართ, იგი მუდამ ადარებს თავის თავს, საქციელს თანატოლებს, ასევე მოზრდილებსაც.. იგი ცდილობს გამოიმუშაოს საკუთარ თავში ისეთი თვისებები, რომლებიც დაეხმარება მას წარმატების მიღწევასა და სხვებთან ურთიერთობის გაადვილებაში. მოზარდს სოციალურ ექვემდებარება შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი პიროვნული თვისებები, დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში და სრულყოფილებას მიაღწიოს. სამყარო მოზარდისათვის მნიშვნელოვან წილად მოზრდილი ადამიანის მეშვეობით აღიქმება. მოზარდი მათგან ვაგებასა და ნდობას მოელის. თუ ამ მისწრაფებებზე მოზარდი ტყუვდება, ცდება, მას საპასუხოდ გამოუმუშავდება პროტესტის სხვადასხვა ფორმები: უხეშია, გამოსატყუია ნეგატივიზმი, სიჯიუტე, თავის თავში ჩაკეტვა, აგრესიულობა. ეს თვისებები და ნიშნები არ არის მოზარდობისათვის აუცილებლად დამახასიათებელი, ისინი უხშირესად მოზარდის მიმართ არასწორი მიდგომის, არასწორი აღზრდის შედეგებია. მოზარდი ისწრაფის, რომ იგი სრულფასოვან პიროვნებად ჩათვალოს, გაითვალისწინონ მისი მისწრაფებები. იგი ცდილობს საზოგადოებამ მიიღოს როგორც მოზრდილი, ამ მოსაზრებას ზრდასრული ადამიანის მსგავსი ფიზიკური განვითარება უდევს საფუძვლად.

ფსიქიკური ჯანმრთელობა და დეპრესია

მოზარდები ძალიან მგრძობიარენი არიან სხვადასხვა სახის სტრესის მიმართ, რაც განაპირობებს მენტალურ დესტაბილიზაციას. მოზარდები არა მარტო ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღები უნდა გაიზარდონ და განვითარდნენ, არამედ კიდევ უნდა გაუმკლავდნენ იმ ვითარებებს, რომლებსაც თანამედროვე საზოგადოება ქმნის. ეს საზოგადოება დღეს ხასიათდება ოჯახური სტრუქტურების დასუსტებით, სწრაფი ურბანიზაციით, უკიდურესი კონკურენციით ცხოვრების ყველა უბანზე და ყველა ასპექტში, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ნარკოტიკული საშუალებების შემოჭრით ყოველდღიურ ცხოვრებაში, დეპრესიული მდგომარეობების სიუხვით.

მენტალური პრობლემების უმრავლესობა სწორედ მოზარდობის პერიოდში ვლინდება. მოზარდის ასოციალური ქცევა როგორცაა – თვითმკვლელობა, ალკოჰოლისადმი ან ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება – ხშირად არაჯანსაღი მენტალური სტატუსის გამოვლინებაა, სოციალურ გარემოსთან არაადეკვატური ადაპტაციის ნიშანია.

დეპრესია ხშირია მოზარდთა ასაკში, 6-11 წლის ასაკობრივ ჯგუფში 0,4-დან 2,5%-მდე მერყეობს, ხოლო 12-დან 19 წლამდე ასაკში კი 0,4-დან 6,4%-ია (Fleming and Offord, 1990). ზოგადად, მოზარდის ასაკის მატებასთან ერთად დეპრესიით დაავადებულობის მაჩვენებელი იზრდება.

მოზარდებში დეპრესია ისეთივე სიმპტომებით ხასიათდება, როგორც მოზრდილებში, თუმცა დომინირებს გუნება-განწყობის დაქვეითება (რაც, სულ მცირე, ორი კვირა გრძელდება), დაღლილობა, ცხოვრების ხალისისა და ინტერესის დაკარგვა. ამას შესაძლოა თან ახლდეს ისეთი სიმპტომები, როგორცაა ძილის დარღვევა, მადის დაკარგვა, კონცენტრაციის უნარის გაუარესება, დანაშაულის შეგრძნება, საკუთარ თავში რწმენის დაკარგვა, გაღიზიანებადობა, სომატური ჩივილები, სოციალური გაუცხოება, სუიციდალური აზრები ან ფიქრი სიკვდილზე.

### სარისკო ქცევა, თვითმკვლელობის მცდელობა და სუიციდი

მოზარდისათვის დამახასიათებელი სარისკო ქცევა თვითდამკვიდრების ერთ-ერთი მეთოდია, რომელსაც მოზარდები, განსაკუთრებით ვაჟები მიმართავენ, საკუთარი თავის ზრდასრულ ადამიანად და უშიშარ პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე.

მოზარდებში განსაკუთრებით ხშირია შეგნებულ თვითდაზიანება. სასკოლო გამოკითხვებით გამოვლინდა, რომ დიდი ბრიტანეთის სკოლებში მოზარდების მეოთხედი ფიქრობდა სუიციდზე, მათ ნახევარს ჰქონდა ამისათვის მოფიქრებული რაღაც გეგმა, 8%-ს უკვე განხორციელებინა სუიციდის მცდელობა, 2% მოითხოვდა სამედიცინო დახმარებას ამის გამო. გოგონები ხშირად თავის მოწამვლას მიმართავენ, რათა სამედიცინო პერსონალის ყურადღება მიიპყრონ.

თვითდაზიანების ეპიზოდის შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს მოზარდის სოციალურ და ოჯახურ გარემოს. ასეთი მოზარდების უმრავლესობას აღენიშნება კომუნიკაციური სირთულეები, განსაკუთრებით დაძაბული ოჯახური ატმოსფერო. ისინი თვითდაზიანების ეპიზოდის შემდეგ მაინც აღნიშნავენ, რომ აქვთ სიკვდილის სურვილის გამომხატველი აზრები. თუმცა უმრავლესობა მიუთითებს, რომ კმაყოფილია რომ ცოცხალი გადარჩა.

ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელსაც თვითდაზიანების მცდელობა ჰქონია მიზანდასახულ სუიციდზე იშვიათად მიდის, თუმცა განხორციელებული სუიციდის შემთხვევაში ახალგაზრდების მესამედს ანამნეზში აღენიშნება არაფაქტალური თვითდაზიანების ეპიზოდი. ასე რომ, სუიციდის რისკი განსაკუთრებით მაღალია მოზარდ პაციენტებში, რომელთაც ანამნეზში თვითდაზიანების ეპიზოდი აღენიშნებათ. სუიციდი ათ წლამდე იშვიათია, ახალი შემთხვევების სიხშირე მოზარდობის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატებს და ეს ტენდენცია მოზრდილობის ხანამდე გრძელდება. (2, 4)

მნიშვნელოვანია მშობლების, პედაგოგების, ყველა იმ პირის ყურადღება გამახვილდეს ე.წ. საგანგაშო ნიშნებზე, როგორცაა: ჩივილები კვებისა და ძილის მხრივ, ამხანაგებთან და ოჯახის წევრებთან ჩამოშორების სურვილი, უინტერესობა, ინდიფერენტულობა, მეამბოხე განწყობილება, მოძალადის ხასიათი, წამლისა და ალკოჰოლის გამოყენება, საკუთარი გარეგნობის მიმართ ზედმეტად კრიტიკულობა, ხშირი ჩივილები თავისა და მუცლის ტკივილის შესახებ, საერთო სისუტე, ემოციური ლაბილობა, ქარაგმებით ლაპარაკი „მე ვფიქრობ, შენთვის პრობლემას წარმოვადგენ“, „მაღე განთავისუფლდები ჩემგან“, საკუთარი ნივთების გაჩუქება, დეპრესიულობის სწრაფი ცვლილება ხალისიანი განწყობით. (2,3,4)

სუიციდი და სქესობრივი განსხვავებანი

ყოველწლიურად 12.2 სუიციდის შემთხვევა ყოველ 100,000 მოზარდზე

ვაჟები თვითმკვლელობის მიზნით უპირატესად იყენებენ იარაღს და სუიციდის მცდელობა ხშირად სრულდება. თვითმკვლელობით გოგონებში თვითმკვლელობის მცდელობა უფრო ხშირია (200:1) და მიმართავენ თავის მოწამვლას.

5-14 წლის ასაკში სუიციდი საერთო სიკვდილიანობის 0,5%-ს შეადგენს. 15-19 წლის ასაკში სუიციდის მაჩვენებელი 7,6-ია 100000-ზე და საერთო სიკვდილობის 14%-ს შეადგენს. ისევე როგორც მოზრდილებში, მოზარდებშიც სუიციდი უფრო ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში. თუმცა გოგონებში სუიციდის მცდელობა უფრო ხშირია, ხოლო ვაჟები თვითმკვლელობის სურვილს რეალობად აქცევენ. (2,3)

2003.2004-ში, აშშ-ში განსაკუთრებით იმატა მოზარდ გოგონათა სუიციდმა. თვითმკვლელობის მცდელობისას თავის ჩამოხრჩობა შეცვალა იარაღის გამოყენებამ. სუიციდის სიხშირემ 8 % დან 28, 5 % მდე მოიმატა. განსაკუთრებით კრიტიკული პერიოდია 10-14 წელი, როცა თვითმკვლელობა მთელი ამ ასაკობრივი ჯგუფის გარდაცვალებაში 75,9%-ს შეადგენდა, მაშინ როცა ქალთა შორის თვითმკვლელობა გარდაცვალების 32,3 %-ს, ხოლო მამაკაცების 9 %-ს შეადგენდა.(2, 4)

სუიციდის შესახებ საქართველოში არსებული მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა 7,9% (9,5% გოგონები, 6,1% ვაჟები; 9,0% ქალაქის მცხოვრები, 6,2% სოფლის მცხოვრები) უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ფიქრობდა თვითმკვლელობაზე; თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა 3,3%-ს (3,7% გოგონები, 2,7% ვაჟები; 3,6% ქალაქის მცხოვრებელი, 2,7% სოფლის მცხოვრები). მთელი ცხოვრების განმავლობაში თვითმკვლელობის მცდელობა 5,1% (6,3% გოგონები, 3,5% ვაჟები; 5,8% ქალაქის მცხოვრებლები, 3,8% სოფლის მცხოვრებლები) (1)

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომები სუიციდის პრევენციის მიზნით

ვიდრე დადგება შედეგი, დანაშაული საკუთარი თავის მიმართ, მნიშვნელოვანია პრევენცია. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როცა სამედიცინო- ფსიქოლოგიურმა მიდგომებმა შეიძლება მოგვცეს დანაშაულის შემცირების ეფექტი. საფუხურებრივად უნდა გადაწყდეს მრავალკომპონენტური პრევენცია, რომელიც მოიცავს: პრობლემის, რისკებისა და პროტექტორული ფაქტორების განსაზღვრას, გადაწყვეტილების მიღებას, ანუ მოზარდზე ორიენტირებული ინტერვენციის მასშტაბის, მეთოდებისა და ფორმების შერჩევას და შემდგომი იმპლემენტაციისათვის საფუძვლების ჩამოყალიბებას. (3)

*ირმა მანჯავიძე*

**მედიცინის დოქტორი,  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის  
პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი,  
სამედიცინო ექსპერტი**

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Adolescent's health in Georgia: a national portrait; Pagava K, Michaud PA, Phagava H, Jeannin A, Abashidze G.; Georgian Med News. 2006 Jan;(130):71-5.
2. Berman, A. L., Jobes, D. A., & Silverman, M. M. (2006). Adolescent Suicide: Assessment and Intervention (2nd ed.). Washington, DC: American Psychological Association.
3. Jobes, D. A. (2006). Managing suicidal risk: A collaborative approach. New York: Guilford Press.
4. Williams, M. (2001). Suicide and attempted suicide. London: Penguin Books.

*ირმა მანჯავიძე*

## სუიციდი მოზარდ გოგონებში

### რეზიუმე

ყოველწლიურად 12.2 სუიციდის შემთხვევა ყოველ 100,000 მოზარდზე. გოგონებში თვითმკვლელობის მცდელობა უფრო ხშირია (200:1) და მიმართავენ თავის მოწამვლას.

თვითმკვლელობის პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მშობლების, პედაგოგების, ყველა იმ პირის ყურადღება გამახვილდეს ე.წ., „საგანგაშო ნიშნებზე“: როგორცაა: ჩვილები კვებისა და ძილის მხრივ, ამხანაგებთან და ოჯახის წევრებთან ჩამოშორების სურვილი, უინტერესობა, ინდიფერენტულობა, მუდმივად განწყობილება, მოძალადის ხასიათი, წამლისა და ალკოჰოლის გამოყენება, საკუთარი გარეგნობის მიმართ ზედმეტად კრიტიკულობა და სხვ.

სუიციდის შესახებ საქართველოში არსებული მონაცემების მიხედვით გამოკითხულთა 7,9% (9,5% გოგონები, 6,1% ვაჟები; 9,0%) უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ფიქრობდა თვითმკვლელობაზე; თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა 3,3%-ს (3,7% გოგონები, 2,7% ვაჟები; 3,6%), ხოლო მთელი ცხოვრების განმავლობაში თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა რამოდენიმეჯერ 5,1% (6,3% გოგონები, 3,5% ვაჟები).

ზემოაღნიშნული მონაცემები დღის წესრიგში აყენებს პრევენციული ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობას. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როცა სამედიცინო-ფსიქოლოგიურმა მიდგომებმა შეიძლება მოგვცეს დანაშაულის შემცირების ეფექტი. საფუძვრებრივად უნდა გადაწყდეს მრავალკომპონენტური პრევენცია, რომელიც მოიცავს: პრობლემის, რისკებისა და პროტექტორული ფაქტორების განსაზღვრას, გადაწყვეტილების მიღებას, ანუ მოზარდზე ორიენტირებული ინტერვენციის მასშტაბის, მეთოდებისა და ფორმების შერჩევას და შემდგომი იმპლემენტაციისათვის საფუძვლების ჩამოყალიბებას.

## **Суицид среди девочек-подростков**

### **Резюме**

Каждый год происходит 12.2 случая суицида на каждые 100,000 жителей. Среди девушек попытка самоубийства встречается чаще (200:1) и прибегают к самоотравлению.

С точки зрения превенции важно направить внимание родителей и педагогов на так называемые «тревожные знаки»: жалобы на аппетит и сон, желание отделиться от товарищей и семьи, потеря интереса, индифферентность, бунтовское настроение, склонность к насилию, употребление лекарств и алкоголя, чрезмерная критичность по отношению к своей внешности и др.

По существующим в Грузии данным 7.9% опрошенных (9,5% девушек, 6,1% девушек) по вопросам суицида на протяжении последнего года думали о самоубийстве; попытку самоубийства совершили 3,3% (3,7% девушек, 2,7% парней), на протяжении же всей жизни несколько попыток самоубийства совершили 5,1% (6,3% девушек, 3,5% парней).

Эти данные ставят задачу о необходимом внедрении превентивных мер. Это как раз тот случай когда, медицинско-психологический подход может дать эффект уменьшения преступности. Постепенно должна проводиться многокомпонентная превенция: определение проблем, рисков и протекторских факторов, принятие решения, т.е. выбор масштаба, методов и форм интервенции ориентированной на молодежь и создание основы для последующей имплементации

*Irma Manjavidze*

## **Suicide among juvenile girls**

### **Abstract**

Every year there are 12.2 cases of a suicide per 100,000 inhabitants. Among girls attempt of suicide meets more often (200:1) and they do it by self-poisoning.

From the point of view of prevention it is important to direct attention of parents and teachers on so-called “disturbing signs”: complaints to appetite and a dream, desire to be separated from comrades and family, loss of interest, indifference, anxious mood, propensity to violence, the use of medicines and alcohol, excessive criticality in relation to the appearance, etc.

On data existing in Georgia concerning a suicide, 7.9 % of interrogated (9,5 % of girls, 6,1 % of boys) during last year thought of suicide; attempt of suicide was made by 3,3 % (3,7 % of girls, 2,7 % of guys), during all their life some attempts of suicide have made 5,1 % (6,3 % of girls, 3,5 % of guys).

These data put a problem about necessary introduction of preventive measures. It is just the case when, medical-psychological approach can give effect of reduction of criminality. Gradually must be intruded multi-component prevention: definition of problems, risks and protective factors, decision-making, i.e. a choice of scale, methods and forms of intervention focused on youth and creation of a basis for the subsequent implementation.



## კონფლიქტი ქალის თავისუფლებასა და ფეტუსის სიცოცხლის უფლებას შორის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3-ე მუხლში ნათქვამია: “ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება”. ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვით სარგებლობს დებულება, რომელიც ფორმულირებულია 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6-ე მუხლში: “ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება”.

საერთაშორისო კანონმდებლობის პარალელურად, უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის უფლება აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15-ე მუხლით, რომლის თანახმად: “სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი”.

დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე ეჭვგარეშეა ამ უფლების პრიმატი საკანონმდებლო სფეროში. მთელი რიგი დეკლარაციები, საერთაშორისო პაქტები და ქვეყნის კონსტიტუციები ცდილობენ სიცოცხლის უფლების სამართლებრივი დაცვის მიზნით მის ფორმულირებასა და რეალიზაციას. თუმცა, როდესაც სიცოცხლეზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს ამ სიტყვის დეფინიციასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და დისკუსიების სიმრავლის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ ეჭვს არ ბადებს სიცოცხლის უფლების არსებობის აუცილებლობა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურასა და იურიდიულ პრაქტიკაში არცთუ ისე იშვიათად იბადება კითხვა: როდის იწყება სიცოცხლის უფლება და არის თუ არა ამ უფლების სუბიექტი ემბრიონი?

აღნიშნული საკითხი საკმაოდ პრობლემური თემაა და ამ კითხვებზე პასუხი დღესაც, მიუხედავად მრავალი სამეცნიერო და იურიდიული პრაქტიკისა, ამომწურავი არ არის. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქალის ჯანმრთელობისა და თავისუფლების კონფლიქტი დაუბადებელ არსებას – პოტენციურ ადამიანს შორის საჭიროა საკანონმდებლო სივრცის გაფართოვება და ისეთი აღმკვეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც შეძლებს ამ ორი უკიდურესობის დარეგულირებას. დღეს, როგორც ჯონ ტ. ნუნანი აღნიშნავს ხდება ისე, რომ “ერთი ადამიანის უფლება—გაიკეთოს აბორტი არის მეორე ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევა”.

მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ფეტუსის სიცოცხლის უფლება აღიარებული არ არის (ორსულობის პერიოდის 12 კვირამდე), მთელი რიგი ქვეყნებისა მას სამართლებრივი ბერკეტებით იცავს. 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო “ბავშვის უფლებათა კონვენცია”, რომლის პრეამბულის მე-9-ე აბზაცში ნათქვამია: “ვითვალისწინებთ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნულს ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, საჭიროებს სპეციალურ დაცვასა და ზრუნვას, როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდგომ პერიოდში”. აღნიშნულმა დეფინიციამ დიდი დებატები გამოიწვია დელეგატთა შორის. კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად “ბავშვი” გულისხმობს 18 წელს მიუღწევად პირს, აქედან გამომდინარე სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ ბავშვობის პერიოდი იწყება არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტიდან. თუმცა, როგორც

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დათქმაშია აღნიშნული, სახელმწიფოს არ შეუძლია ჩასახვის მომენტის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე არ შეუძლია დაიწყოს ფეტუსის სიცოცხლის დაცვა.

რაც შეეხება საქართველოს საკანონმდებლო ფორმულირებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი სამეცნიერო, სამედიცინო მუშაკებისა თუ პროფესიონალი იურისტების საწინააღმდეგო გამოსვლისა, მაინც ყველაზე ლოგიკურად ასახავს ქალთა პრობლემის გადასაჭრელ გზებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სამართალდამცავი სისტემა ითვალისწინებს რა ქალის უფლებას—“დამოუკიდებლად განსაზღვროს შეიღების რაოდენობა და დაბადების დრო” (საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ”, მუხლი 136-ე), სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს “კანონიერი” აბორტისათვის. ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ნაბადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, რომლისთვისაც დაწესებულია შემდეგი მოთხოვნები:

- ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას.
- ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან ოპერაციამდე გასულია სამი დღის მოსაფიქრებელი ვადა”.

აბორტი ასევე ნებადართულია თორმეტ კვირაზე მეტი ხნის ორსულობის პერიოდშიც, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ნაყოფის სიცოცხლის უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივი საფუძველი, რაც სამედიცინო ან სოციალურ ჩვენებებში აისახება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში ორსულობის შეწყვეტის დამატებით საფუძველად მიჩნეულია არამხოლოდ სამედიცინო და სოციალური, არამედ ეთიკური და ევგენური ჩვენებებიც. თუმცა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ამ უკანასკნელთა ლეგალიზაციას არ ითვალისწინებს. ეთიკური ჩვენება ნიშნავს იმას, როდესაც ორსულობა წარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის გზით – გაუპატიურებით, ხოლო ევგენური ჩვენების დროს არსებობს საშიშროება ავადმყოფი, ფიზიკური ნაკლის მქონე ახალშობილის დაბადებისა.

“არასრულფასოვანი ადამიანი” არ უნდა გახდეს მსხვერპლი კანონმდებლობისა არაადამიანური და ამორალური ქმედების ნიადაგზე. საკმაოდ მიზანშეწონილია ქართული საკანონმდებლო სივრცის როლი ამ კუთხით, სწორედ ამიტომ არანაირი პრივილეგიებით არ სარგებლობს ქალი, რომელიც შესაძლოა “არასრულფასოვანი ბავშვის” დედა გახდეს.

რაც შეეხება აბორტის კრიმინალურ ასპექტებს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 1955 წლიდან არის ლეგალიზებული, აქედან გამომდინარე, იგი დანაშაულად არ ითვლება და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, დასჯადია მხოლოდ “უკანონო აბორტი” (სსკ-ის 133-ე მუხლი), რაც გულისხმობს მის გაკეთებას არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფოს სერთიფიკატის გარეშე, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით და სხვა ნორმების უგულებელყოფით. აღსანიშნავია, რომ “უკანონო აბორტის” ცნება გაჩნდა არა ბავშვის, არამედ ქალის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად, ამ დანაშაულის ობიექტიც სწორედ ქალის ჯანმრთელობაა. თუმცა, საინტერესოა რატომ არაფერს ამბობს კანონმდებელი ქალზე – როგორც დანაშაულის სუბიექტზე ამ კუთხით? მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა საკანონმდებლო სფეროს მხრიდან ყურადღების შეჩერება ამ საკითხზე. რატომ უნდა იყოს მხოლოდ სამედიცინო მუშაკი ამ დანაშაულის ამსრულებელი, როდესაც ქალსაც

გაცნობიერებული აქვს ამ ქმედების არამართლზომიერი ხასიათი და სურს ამ შედეგის დადგომა. საინტერესოა ექვთიმე მთაწმინდელის მოსაზრება, იგი განზრახ ანუ ნებისთი მკვლელობად მიიჩნევს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას. იგი აღნიშნავს, “თუ მისცემენ წამალთა, ჩვილის მკვლელთა საშოსა შინა” მკვლელები არიან, როგორც წამლის მიმცემი, ისე წამლის მიმღები. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ორივე მათგანს შეგნებული აქვს, რომ ამ ქმედებას ჩვილის სიკვდილი მოჰყვება. დღევანდელი კანონმდებლობით პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული აბორტის გამკეთებელი დედისთვის როგორც კანონიერ, ისე უკანონო ფარგლებში, სსკ-ის სპეციალური სუბიექტია სამედიცინო მუშაკი ან პირი, რომელიც უკანონოდ აკეთებს აბორტს. ასევე საინტერესო ფაქტია, როგორ გადაწყვეტს კანონმდებელი “თვითაბორტის” საკითხს, როდესაც ქალი ცდილობს საკუთარი ხელით გაიკეთოს აბორტი. ამ შემთხვევაში იბადება კითხვა: განიხილება თუ არა ქალი, როგორც დანაშაულის სუბიექტი, თუ იგი რჩება ობიექტი. იმის გათვალისწინებით, რომ 133-ე მუხლის ხელყოფის საგანია ქალის ჯანმრთელობა და არა ნაყოფის სიცოცხლე, მაშინ გამოდის რომ ქალს უფლება აქვს თავად განკარგოს საკუთარი ჯანმრთელობის საკითხი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა მას უკანონო აბორტისათვის არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, აბორტის კრიმინალიზაციის საკითხი საკმაოდ შეზღუდულია ქართულ საკანონმდებლო სფეროში, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი სისხლისსამართლებრივი ნორმა მოიცავს ორსული ქალის მკვლელობას ან ჯანმრთელობის დაზიანებას, როგორც ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ამასთან კანონმდებელი არ აკონკრეტებს ორსულობის რომელი თვიდან იწყება ორსული ქალის პრივილეგირებული მდგომარეობა. ვინაიდან სახელმწიფოს არ შეუძლია ჩასახვის მომენტის განსაზღვრა, მას არ შეუძლია დაიწყოს ფეტუსის სიცოცხლის დაცვა, – ამ დებულების ძალით 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მიუთითებს, რომ სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს მიერ კი არ არის მინიჭებული, არამედ ადამიანის განუყოფელი ნაწილია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იბადება კითხვა: თუ კანონმდებლობა არ იცავს ემბრიონის სიცოცხლის უფლებას ორსულობის პერიოდის 12 კვირამდე, რატომ ითვლება დამამძიმებელ გარემოებად ორსული ქალის მკვლელობა და რატომ არ მიუთითებს სსკ-ი ამ თარიღთან დაკავშირებულ გარემოებას? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, ორსულობის რა პერიოდში იმყოფება დანაშაულის ობიექტი, ივარაუდება, რომ “ყველას აქვს სიცოცხლის უფლება” და დიდი შანსია ემბრიონი მომავალში დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდი გახდეს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს მონაცემებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვიხილოთ აბორტების აღრიცხული რაოდენობა:

| წელი      | აბორტების რაოდენობა |
|-----------|---------------------|
| 2006      | 21204               |
| 2007      | 20644               |
| 2008      | 22064               |
| 2009 3თვე | 5342                |

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა აბორტების რაოდენობა. რაც შეეხება 1989 წლის მონაცემებს, იგი საკმაოდ მაღალია ამ ბოლო პერიოდში აბორტების რიცხოვნებასთან და შეადგენს თითქმის 69 ათასს, რაც ყოველ 100 ჩასახულ

ბავშვზე 45-ია. 1998 წლიდან ამ რაოდენობამ შედარებით იკლო და 24 ათასამდე დაეცა.

როდესაც აბორტის კრიმინალიზაციასა და ქალის უფლებებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ საკითხთან მიმართებაში ერთმანეთს ებრძვის იურიდიული, რელიგიური და სამედიცინო ასპექტები. მაშინ, როდესაც კანონმდებლისათვის აბორტი ჩვეულებრივი მოვლენაა და არ განიხილება, როგორც სამართლებრივი რეგულირების ობიექტი. ქრისტიანული სარწმუნოება სასტიკ ცოდვად და უღირსობად მიიჩნევს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას. დიდი სჯულის კანონში აღნიშნულია, რომ აბორტის გამკეთებელი დედაკაცი უნდა განკანონდნენ. ეკლესია აბორტს ყოველთვის განიხილავდა მკვლელობად, ხოლო აბორტის გამკეთებელ ქალებს ანკირის კრების 21-ე წესი, მეექვსე მსოფლიო კრების 91-ე წესი, დიდი ვასილის მეორე წესი და მერვე წესი მკვლელებს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ბავშვს სული ეძლევა ჩასახვისთანავე, რასაც მოწმობს წმინდა წერილი, ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ბიბლიაში მოხსენებულ მამამთავრებს, წინასწარმეტყველებსა და სხვა წმინდანებს სახელი ჩასახვისთანავე ეძლეოდათ, როგორც წმინდანებს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიაში სიტყვა აბორტი და მისი სინონიმები არ მოიპოვება, წმინდა წერილის ტექსტის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ღვთისთვის ადამიანი არსებობს არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტიდან. ამას მოწმობს თუნდაც იერემია წინასწარმეტყველის სიტყვები: "... უფალმა მუცლიდან მომიწოდა, დედის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი... ახლა ამბობს უფალი, მუცლიდანვე ჩემი გამომსახველი თავის მორჩილად..."

იმ ფონზე, როცა სამართლებრივი და სარწმუნოებრივი ასპექტები ერთმანეთს ებრძვის, საინტერესოა მედიცინის გავლენა და მისი დამოკიდებულება აბორტისადმი. აღსანიშნავია, რომ აბორტს ეწინააღმდეგებიან მედიცინის წამყვანი მუშაკები, როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე საქართველოში. ბიოლოგიურად დადასტურებულია, რომ ბავშვი ცოცხალი არსებაა ჩასახვის მომენტიდან განურჩევლად იმისა, რამდენი ხნის და ფორმისაა. მას გააჩნია 46 ქრომოსომა და იგი ფლობს იმ თვისებებს, რომელსაც ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი. პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, უჯრედის გენეტიკის წამყვანი სპეციალისტი ჟერომ ლეჟენი აღნიშნავს: "ადამიანი არის ის, ვინც ეკუთვნის ჩვენს მოდგმას. მნიშვნელობა არა აქვს კილოგრამებისა და დიფერენციაციების რაოდენობას". აღსანიშნავია, ასევე ცნობილი ამერიკელი მეან-გინეკოლოგის, დოქტორი ბერნარდ ნატანსონის დამოკიდებულება აბორტისადმი, რაც მან თავის მიერ გადაღებულ ფილმში – "უხმო ყვირილი" დააფიქსირა, რომლის კადრებიც ადასტურებენ ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას.

ღვთისათვის სამედიცინო მუშაკების უმეტესობა მხარს უჭერს ემბრიონის სიცოცხლის უფლების სამართლებრივ დაცვასა და სახელმწიფოს მხრიდან მასზე რეაგირებას. საინტერესოა, როგორ აფასებს ამერიკელი ექიმი პაულ როკვალი 8 კვირიანი ჩანასახის აბორტის გაკეთების პროცესს: "14 წლის წინ პაციენტს გამოუწვერე საანესთეზიო საშუალება საშვილოსნოს გარეთა ორსულობის საწინააღმდეგოდ. ჩანასახი 2 თვეზე მეტის იყო. პლანცენტა ხელში ავიღე და დავინახე ყველაზე პატარა ადამიანური სხეული, როგორსაც ოდესმე შეხებია ადამიანი. ნუშტის სითხეში საკმაოდ სწრაფად დაცურავდა მიკროსკოპური ადამიანური არსება, მამაკაცის სქესი, 5 დიუმის სიგრძე. ეს მიკროსკოპული ადამიანი სრულიად ჩამოყალიბებული გახლდათ, გრძელი, კონუსისმაგვარი თითებით... ჩვილი აქტიურობდა, დაცურავდა ერთი წრე ერთ წამში სინქარით,

როგორც ნამდვილი მოცურავე. როგორც კი პლანცეტა გასკდა მიკროსკოპულმა ადამიანმა დაკარგა სიცოცხლე და მიიღო კარგად ნაცნობი ამ ასაკის ჩანასახის შესახედლობა გაქვავებული კიდურებით... ისეთი გრძნობა დამეფულა, რომ მკვდარ ზრდასრულ ადამიანს ვუყურებდი..”

როგორც აღვნიშნეთ, მედიცინა უპირატესობას ანიჭებს ნაყოფის სიცოცხლის უფლებას, შესაძლოა ეს იმითაც არის განპირობებული, რომ მათ უშუალოდ უწევთ იმ რთულ პროცესთან შეხება, რომელიც აბორტის გაკეთებას სჭირდება. ასეც რომ არ იყოს, საქართველოს კანონი “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” მიუთითებს, რომ სამედიცინო მუშაკი ვალდებულია უმთავრესი მნიშვნელობა მიანიჭოს ემბრიონის სიცოცხლის უფლებას და ყველანაირად ეცადოს დაარწმუნოს ქალი, შეინარჩუნოს ნაყოფი. აქედან გამომდინარე, ცხადია მედიცინის ასეთი დამოკიდებულება ვალდებულებაც არის, რომელიც მას სახელმწიფომ დააკისრა; თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ქალის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც ძალზე ლოგიკურად ანიჭებს მას აბორტის უფლებას. ასე რომ არ ყოფილიყო, მოხდებოდა, როგორც ქალის, ასევე კანონმდებლობის რთულ სიტუაციაში აღმოჩენა. იმატებს ლატენტური დანაშაულის რაოდენობა, ვინაიდან, მიუხედავად სამართლებრივი ბოჭვისა აბორტის გაკეთება მაინც გარდაუვალია. როდესაც რთული სოციალური და ეკონომიკური პირობების ფონზე ქალს უწევს შვილის გაჩენა ხშირად რეალიზაცია ხდება სსკ-ის 112-ე მუხლის, რის შედეგადაც ხდება დედის მიერ ახალშობილის მკვლელობა. დღესდღეისობით ძალზე აქტუალურია დედის მიერ შვილის მიტოვება ან სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მისი “გადაგდება”. ამიტომ, როდესაც მეცნიერები თუ სამედიცინო მუშაკები ცდილობენ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ აბორტის გამკეთებელი ქალები, მათ უნდა გაითვალისწინონ თუ რა რთულ და გამოუვალ შედეგებამდე მიგვიყვანს აბორტის კრიმინალიზაციის საკითხი...

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ პრობლემური თემაა ნაყოფის ხელოვნურად მოშორება. მას ისევე, როგორც მომხრეები ჰყავს მოწინააღმდეგეებიც. მათ შორის დღემდე დიდი პოლემიკა და დისკუსია მიმდინარეობს, თუმცა რთულია არ გაითვალისწინო და გვერდი აუარო უფლის სიტყვებს, რომელიც გვამცნობს: ”ვიდრე მუცელში გამოგსახავდი, გამოგარჩიე”...

ჩვენ ამ ცოდვილ ქვეყანაზე, რთულია ვიცხოვროთ ისე, როგორც სარწმუნოებრივად ამაღლებულ ადამიანებს შეეფერებათ, რადგან რეალური ცხოვრება ამის საშუალებას არ გვაძლევს; ვქმნით კანონებს, რომელიც უზრუნველყოფს ისე მოვიქცეთ, როგორც გამარტივებული ცხოვრების მოყვარულთ სწვევიათ, თუმცა ერთი რამ ცხადია ეკლესია სხვა “კანონებს” გვთავაზობს და ჩვენ არჩევანის წინაშე გვაყენებს—სარწმუნოება თუ “რთული რეალობა”...

*ლიკა გრიშიაშვილი*

**გრიგოლ .რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი**

**კონფლიქტი ქალის თავისუფლებასა და ფეტუსის  
სიცოცხლის უფლებას შორის  
რეზიუმე**

აღნიშნული ნაშრომი ეხება აბორტის დეკრიმინალიზაციის საკითხისა და ფეტუსის სიცოცხლის უფლებას შორის არსებულ შეუთავსებლობას. ის, თუ როდის იწყება სიცოცხლის უფლება და არის თუ არა ამ უფლების სუბიექტი ემბრიონი, სერიოზული დებატების საგანია. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა მას ნაწილობრივ იცავს და მიუთითებს ქალის თავისუფლების უპირატესობაზე. სსკ-ის 133-ე მუხლი განმარტავს “უკანონო აბორტის” პასუხისმგებლობის საკითხებს, სადაც დანაშაულის ობიექტია ქალის ჯანმრთელობა და არაფერია ნათქვამი ქალზე, როგორც ამ დანაშაულის ამსრულებელზე. ვფიქრობ, მიზნშეწონილი იქნება პასუხისმგებლობის დაწესება “უკანონო აბორტში” მონაწილე ქალისათვის. საინტერესოა, ასევე “თვითაბორტის” კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში ბუნდოვანია ქალის სამართლებრივი მდგომარეობა – განვიხილოთ, როგორც დანაშაულის სუბიექტი თუ კვლავ რჩება ხელყოფის საგნი მისი ჯანმრთელობა?

დასკვნისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ აბორტის კრიმინალიზაციის საკითხი გამოიწვევს რთულ სოციალურ-სამართლებრივ პრობლემებს, მოხდება სსკ-ის 112-ე მუხლის რეალიზაცია, რომელიც ”დედის მიერ ახალშობილის მკვლელობას” გულისხმობს, ამასთან აბორტს ლატენტური დანაშაულის სახე მიეცემა, აქედან გამომდინარე ვფიქრობ მისი ლეგალიზაცია სამართლიანია.

*ლიკა გრიშიკაშვილი*

**Конфликт между свободой женщины и правом фетуса на жизнь**

**Резюме**

Данная работа касается несовместимости декриминализации абортос и права плода на жизнь. Вопрос - когда начинается жизнь и имеет ли эмбрион право на жизнь, - предмет серьезных дебатов. Законодательство Грузии частично признает это право, оставляя свободу выбора за женщиной. В 133 статье уголовного кодекса Грузии говорится, что незаконный аборт преследуется в уголовном порядке. В данном составе преступления объектом является - здоровье женщины, но ничего не говорится о женщине как об исполнителе преступления. Я полагаю, что желательно установить ответственность и для женщины, которая участвует в процессе "незаконного аборта". Интересны также вопросы относительно самоаборта. В этом случае непонятно - женщина становится субъектом преступления, или попрежнему ее здоровье объект этого преступления?

Подводя итоги, необходимо отметить, что криминализация аборта создаст серьезную социально-юридическую проблему, количество убийств новорожденных матерью (данное преступление учитывается 112 статьей уголовного кодекса), увеличится. Кроме того, есть вероятность, что аборт станет скрытым преступлением, по этой причине легализация аборта - правильное решение.

**The conflict between liberty of woman and fruits right of life**

**Abstract**

The given work concerns incompatibility of decriminalization of abortions and the right of a fruit to a life. The question - when begins a life and whether an embryo has the right to a life is a subject of a serious debate. However the legislation of Georgia considers this right and leaves to the woman a freedom in choosing. In 133 article of the criminal code of Georgia it is said that are illegal abortion it is pursued by the legislation. In given article the object of a crime is health of woman, but is not discussed the woman - as the subject of a crime. I consider that it is desirable to establish punishment for the woman who participates in process of "illegal abortion". Interesting are also questions concerning self-abortion. In this case there is a following question - the woman becomes a subject of crime or former remains object of this crime?

Summing up, it is necessary to note that criminalization of abortion will create serious social-legal problem, the murder quantity of the newborn by mother (the given crime is considered in 112 article of the criminal code) will increase. Besides there is a probability that abortion becomes a latent crime, for this reason legalization of abortion is the correct decision.

**დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობის და მიტოვების  
კრიმინოლოგიური ასპექტები**

დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობა და მიტოვება უკანასკნელ პერიოდში მეტად აქტუალური თემები გახდა ჩვენი სოციუმისათვის, რაც სავარაუდოდ ასეთი ქმედებების ხშირი გამოვლინებით არის გამოწვეული და შესაბამისად საზოგადოებაში ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

სამწუხაროდ ახალშობილის მიტოვების საკითხს არ ეთმობა ყურადღება ჩვენი ქვეყნის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. ეს ფაქტი გამოსასწორებელია კანონმდებლების მხრიდან.

რაც შეეხება დედის მიერ ახალშობილის მკვლელობას, ამ საკითხს კანონმდებლების მხრიდან მეტი ყურადღება ეთმობა ძველი სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით. ახალ, ამდროისათვის მოქმედ კოდექსში შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ცალკე მუხლი არსებობს “დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა” ეს საკითხი ჩამოყალიბებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლში, რომლის შინაარსიც შემდეგია : დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. ეს ქმედება ისჯება ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

რომ დაეფიქრდეთ უცნაურია ის ფაქტი, რომ ქალის მიერ ჩადენილ საშინელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე არსებობს შედავათები და აღნიშნული ქმედება განხილულია შემამსუბუქებელ გარემოებაში. ეს ყოველივე განპირობებულია ბუნებრივი მოვლენებით; ანუ ფეხმძიმობა, ბავშვის დაბადების მოლოდინი, და უშუალოდ დაბადება, ძალიან ძლიერ და რთულ ფსიქიკურ ცვლილებებს ახდენს დედის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ამ დროს ხშირად იწყება მშობიარობასთან დაკავშირებით შიშის განცდა, ბავშვის დაბადება კატასტროფულ მოვლენად იქცევა დედის ორგანიზმისათვის. საერთოდ ამ დროს ქალი მკვეთრ ფიზიკურ და ფსიქიკურ მოშლილობას განიცდის. სამწუხაროდ ბოლო წლების მანძილზე აღნიშნული დანაშაულის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის მოტივები და ზოგადად მიზეზები ძალიან მნიშვნელოვანია, ისინი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ძალიან ხშირი მიზეზია ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულება და მისი მხრიდან ისეთი დედის გაკიცხვა, რომელიც ბავშვს დაოჯახების გარეშე აჩენს, აქდან გამომდინარე აღნიშნული დანაშაული საზოგადოებისადმი სირცხვილის მიზეზით ხდება. ამ ქმედების ჩადენის ხელისშემწყობ გარემოებას ძირითადად წარმოადგენს, ქორწინების გარეშე ორსულობის გახმაურების დიდი შიში, ამასთან დაკავშირებით ორსულობის და მშობიარობის დამალვა. ასევე ერთერთი ხელშემწყობი გარემოებაა ბავშვის მამის, დედის ნათესავების და სხვა პირთა მხრიდან წაქეზება ახალშობილის თავიდან მოშორებისაკენ, კერძოდ, ამ შემთხვევაში მკვლელობისაკენ. ორსული ქალი სავალალო და გამოუსწორებელ შედეგებამდე მიყავს აუცილებელი და საჭირო სამედიცინო-სანიტარული ცოდნის არქონას, რომელიც გულისხმობს ორსულობის თავიდან აცილებას და კიდევ ერთ საშუალებას კერძოდ აბორტს, რომელიც არცთუ მისაღები მეთოდია. ასევე მნიშვნელოვანი მიზეზია აუცილებელი სამართლებრივი ცოდნის არქონა, ორსული ქალებისა და მარტოხელა დედების მიერ სოციალურ-სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ. კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს



მოსახლეობის სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის საგრძნობლად დაბალი დონე და ბოლოს მშობიარე ქალის ის ბუნებრივი და ბიოლოგიური თავისებურებები, რომლებიც არის გამოწვეული მშობიარობით და განაპირობებს ქალის ქცევას მშობიარობის წინ, მშობიარობის მომენტში და მშობიარობის შემდეგ.

საერთოდ ქალისათვის, მითუმეტეს ორსულობის და მშობიარობის პერიოდში დამახასიათებელია, მომეტებული ემოციურობა, მგრძნობიარობა, რაც დიდ გავლენას ახდენს დედის მიერ ახალშობილის მკვლევლობის მოტივაციაზე. ქალის მიერ ამ ქმედების ჩადენა შეიძლება მოხდეს ფსიქიური აშლილობის დროსაც, რაც მშობიარობისაგან მიღებული შოკის და ტკივილების შედეგად ხდება. ასევე დიდი ზემოქმედება შეიძლება იქონიოს აღნიშნულ ქმედებაზე ბიოლოგიურმა ფაქტორებმაც. ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური ფაქტორები, რომლებიც მშობიარე ქალს ანტისოციალურ ან ასოციალურ განწყობას უყალიბებს. მართალია ზემოთხამოთვილი გარემოებები შესაძლოა ჩაითვალოს ამ სასტიკი ქმედების შემამსუბუქებელ გარემოებებად, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ყველა ცოცხალ ორგანიზმს და ამ შემთხვევაში ახალშობილს აქვს სისცოცხლის უფლება. ეს მნიშვნელოვანი გარემოება აღნიშნული და ხაზგასმულია როგორც საქართველოს კანონმდებლობაში ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ დეკლარაციებში, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ “ბავშვის უფლებათა კონვენციაში”. ამ კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით: “1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება. 2. მონაწილე სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებას და განვითარებას.”

დასაწყისშიც აღვნიშნე და კვლავ გავიმეორებ რომ, სამწუხაროდ დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლევლობისა და მკვლევლობის მცდელობის ფაქტები საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს არსებული რეალობის ბოლო პერიოდში. მიუხედავად, მსგავსი დანაშაულების ლატენტური ხასიათისა, მაინც მრავალი შემთხვევა არის დაფიქსირებული ჩვენს სახელმწიფოში., რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და მიიქცია როგორც სამართალდამცავთა, ასევე მედიის დიდი ყურადღება. შესაბამისად მეტი იმფორმირებულობის ხარჯზე ამ პრობლემამ საზოგადოებაშიც წინა პლანზე წამოიწია. ახალშობილთა მკვლევლობის და მკვლევლობის მცდელობის მცდელობასთან დაკავშირებით მეტად გახმაურებული მაგალითების მოყვანა ჩემი აზრით არ იქნება ურიგო.

დავიწყოთ პირველი გახმაურებული შემთხვევით, რომელიც 2002 წელს დაფიქსირდა. ნაგავსაყრელზე აღმოჩენილი იქნა ახალშობილი ბავშვი რომელიც სასტიკად იყო დაკბენილი ღორების მიერ. პატარა გიორგის განგრენის თავიდან ასაცილებლად თითების ამპუტაცია გაუკეთდა. სამი წლის შემდეგ ანუ 2005 წელს ბოგდან ხმელისსკის ქუჩაზე კიდევ ერთი ახალშობილი ბავშვი იქნა ნაპოვნი, რომელიც დედამ ჯერ საპირფარეოს ურნაში ჩააგდო და შემდეგ ცეცხლი წაუკიდა. ამავე 2005 წელს აჭარაში კერძოდ, ბათუმის სანაპიროზე ახალშობილის გვამი იქნა ნაპოვნი. ასევე 2005 წელს იპოვეს გარდაცვლილი ჩვილის ცხედარი, გორის ნაგავსაყრელზე. კიდევ ერთი ამაზრზენი შემთხვევა მოხდა წყალტუბოს სამშობიაროს ეზოში, სადაც სამართალდამცავებმა დამარხული ჩვილი იპოვეს, რომელიც მთავარი ექიმის დავალებით სამშობიაროს მრეცხავმა ოცი ლარის სანაცვლოდ, ეზოში არსებულ ჭაში ჩამარხა და ბოლოს, სულ ცოტა ხნის წინ, 2009 წლის თერთმეტ მაისს კიდევ ერთი სამწუხარო შემთხვევა დაფიქსირდა,

ბუნების კუნაზე ქალაქის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებმა ნაგვის ბუნკერში აღმოაჩინეს ახალშობილის ცხედარი. სავარაუდოდ, დედამ ჩვილი მშობიარობისთანავე მიატოვა. ბავშვს გარეგნული დაზიანებები არ აღენიშნებოდა. რა თქმა უნდა აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს თუ როგორ დიდ ყურადღებას ითხოვს მსგავსი ქმედებები როგორც სამართალდამცავთა მხრიდან ასევე საზოგადოების მხრიდანაც.

ახლა რაც შეეხება დედის მიერ ახალშობილის მიტოვების საკითხს, ამაზეც დიდი ყურადღება არის გასამახვილებელი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა არ არის საკმარისად წამოწეული წინა პლანზე. საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის ჩამოყალიბებული ცალკე ნორმა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც დღევანდელი საზოგადოების ნამდვილად დიდი პრობლემაა. ახალშობილთა მიტოვების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობებია. მისი ნათელი მაგალითია თუნდაც ცოტა ხნის წინ გახსნილი საქმე, რომლის მიხედვითაც დამნაშავეთა ჯგუფი დედებისაგან დებულობდნენ ჩვილ ბავშვებს გარკვეული თანხის სანაცვლოდ და შემდგომ მათ ყიდდნენ სხვადასხვა ოჯახებში. ყველა ქალის თვითგამართლება და არგუმენტი თავიანთ საქციელთან დაკავშირებით იყო არსებული ეკონომიკური და სოციალური პირობები, რომლებიც აიძულებდნენ მათ გაეცვალებათ შვილები ფულზე.

პირადად ჩემთვის და ალბათ ბევრიც დამეთანხმება რომ ზემოთ განხილული ქმედებები, განსაკუთრებით ახალშობილი ბავშვის მკვლელობა, მიუღებელი და ამაზრზენია მიუხედავად გასამართლებელი საბუთების რეალური არსებობისა. უბრალოდ მიუღებელია მსგავსი საქციელის ჩადენა და პრინციპში ასეთი დედების გამართლება.

ახალშობილთა მიტოვებისა და მკვლელობის პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დედათა და ბავშვთა დაცვის რეალური ღონისძიებების შემუშავება და მათი ცხოვრებაში გატარება. ასევე არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩენილ ახალშობილთა დედებს, ბავშვთა სწორის აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დაუწესდეს ყველა შესაძლო ხასიათის შედავათები და დახმარებები. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მიუხედავად ამ საკითხის ასეთი აქტუალურობისა, მას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაც ნამდვილად სასწრაფოდ არის გამოსასწორებელი სახელმწიფოს მხრიდან. ჩემი აზრით აუცილებელია ამ საკითხთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზებული მოქმედება.

ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული მასალა ძალიან მწირია. არ მოიპოვება საჭირო და შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ხელისაწვდომი იქნება მოცემული თემით დაინტერესებული ნებისმიერი მოქალაქისათვის. ალბათ დამეთანხმებით რომ ესეც გამოსასწორებელია. ამისათვის უნდა ჩატარდეს ხშირი და ორგანიზებული კვლევები როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სოციალური ორგანიზაციების მხრიდან. ამის აუცილებლობა მკაფიოდ ჩანს, ბოლო წლებში დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობებიდან გამომდინარე.

ჩემი აზრით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ახალშობილთა მკვლელობის და მიტოვების ლატენტური ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა სერიოზული

კონტროლი შესაბამის ქმედებებზე. ასეთი ღონისძიებები საგრძნობლად შეამცირებს მსგავ დანაშაულებებს.

ახალშობილთა მიტოვების შემთხვევაში, კიდევ უფრო სავალალო შედეგებია როგორც მასალებთან, ასევე კონტროლთან დაკავშირებით, არ მოიპოვება არანაირი მნიშვნელოვანი და ხელმოსაჭიდი ინფორმაცია, სტატისტიკაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. როგორც ზემოთ აღვნიშნე ეს საკითხი არ რეგულირდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რაც ჩემი აზრით ასევე დიდი და სასწრაფოდ გამოსასწორებელი პრობლემაა. მინდა აღვნიშნო, რომ არსებული სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს მხრიდან მკვეთრად შეამცირებს ჩემს მიერ განხილული ქმედებების რაოდენობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად გააუმჯობესებს როგორც ოჯახების, ასევე რაც მთავარია ჩვილი ბავშვების მდგომარეობას. კიდევ ერთი, როგორც ვიცით უმეტესად დედის მიერ ახალშობილი ბავშვების მკვლელობა პროვოცირებულია სოციუმის-საზოგადოების მხრიდან დაუოჯახებელი დედებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, მათი საშინელი გაკიცხვით და შეიძლება ითქვას ნაწილობრივ სოციუმიდან გარიყვით. ეს ფაქტორები ნამდვილად ხშირად უბიძგებს დედებს საკუთარი პატარების მკვლელობისა და მიტოვებისაკენ, ამიტომ ჩემი აზრით საზოგადოება უფრო გაგებით უნდა მოეკიდოს და ნაკლებად კრიტიკული უნდა იყოს მარტოხელა დედების მიმართ, რომლებიც დაუოჯახებლად აჩენენ ბავშვებს, ყოველივე ეს საგრძნობლად შეამცირებს ამ უკანასკნელი მიზეზის შედეგად ახალშობილი ბავშვების მკვლელობის რაოდენობას. ბოლოს მინდა ვიქონიო იმის იმედი, რომ სულ ახლო მომავალში ამ პრობლემებს მეტი გამომხაურება ექნება, მიექცევა მეტი ყურადღება, გატარდება შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიებები, შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში მეტი ინფორმაციის მოპოვება და იარსებებს შესაბამისი სტატისტიკები რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ამ პრობლემების განხილვას ფართო მასშტაბებით და დაეხმარება საზოგადოებას, უფრომეტად კი სახელმწიფოს მისი რაოდენობის შემცირებაში.

*რუსუდან მეფარიშვილი*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი*

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზაურ წულაია- კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი) თბილისი 2005 წელი
2. ზაურ წულაია- სისხლის სამართალი კერძო ნაწილი ( I ტომი ) თბილისი 2002 წელი
3. ავტორთა კოლექტივი- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი I თბილისი 2008 წელი
4. ზაურ მუავანაძე –სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (კომენტარები)
5. ბავშვის უფლებათა კონვენცია
6. [www.rustavi2.com](http://www.rustavi2.com)

**დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მკვლელობის და  
მიტოვების კრიმინოლოგიური ასპექტები  
რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში განხილულია, დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მიტოვება და მკვლელობა, რომელიც სამწუხაროდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსში. ბოლო პერიოდში ჩვენს სახელმწიფოში საგრძნობლად გახშირდა დედის მიერ ახალშობილთა მკვლელობის და მიტოვების ფაქტები. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად უკეთ უნდა მოხდეს მათი სამართლებრივი რეგულირება. უნდა მოხდეს საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების შემსუბუქება და უოჯახებელი დედების მიერ, ბავშვების გაჩენასთან დაკავშირებით. ასევე უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან დედათა და ბავშვთა დაცვის რეალური ღონისძიებების შემუშავება, მათი ცხოვრებაში გატარება და ბოლოს ქორწინების გარეშე გაჩენილ ახალშობილთა დედებს, უნდა დაუწესდეთ ყველა შესაძლო ხასიათის შეღავათები და დახმარებები.

*Русудан Мепаришвили*

**Криминологические аспекты убийства и оставления новорожденного матерью**

**Резюме**

Тема данной статьи касается убийство и оставление новорожденного матерью. Эти вопросы к сожалению частично рассматривает уголовный кодекс. В последнее время количество такого рода преступления резко возросло. Для решения данной проблемы важно усовершенствовать правовое регулирование. Мы должны повлиять на общество, чтобы изменилось отрицательное отношение к матерям одиночкам. Со стороны государства важно разработать реальные меры для помощи матерям одиночкам, также очень важно назначить какую нибудь помощь и льготы для матерей одиночек.

*Rusudan Mefarishvili*

**Criminal aspects of murder and rejection of newborn by the mother**

**Abstract**

The theme of the given article concerns murder and rejection of the newborn by the mother. These questions to a regret only partially are considered in the Criminal Code. Recently the quantity of a such crime has sharply increased. For the decision of the given problem it is important to improve legal regulation. We should influence a society in order to change the negative attitude to singlemothers. It is important to develop, by the government, real measures for the help to singlemothers, also it is very important to establish any possible assistance and privileges for singlemothers.

**აბორტი – დანაშაული თუ თავიდან აცილებული პრობლემა**

“დასჯა სიკეთეა დამნაშავისთვის, რომელსაც შეუძლია აღადგინოს ჰარმონია მის სულში” (პლატონი).

კრიმინოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებად XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, რომელიც გერმანელი მეცნიერის შნაიდერის აზრით ოთხი ძირითადი პუნქტისაგან შედგება: კრიმინოლოგია არის დანაშაულის სოციოლოგია, იურიდიული მეცნიერება, სადაც დანაშაულის საზღვრებს ადგენს კანონი და კვლევის პროცესი, სადაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გარკვეული შედეგის მისაღწევაში მონაწილეობენ. ეს არის მეთოდების სისტემა, რაც ქმნის სპეციფიკურ მთლიანობას და მიმართულია დანაშაულის შესასწავლად. კრიმინოლოგიის მთავარი ამოცანაა თვალყური ადევნოს საზოგადოებაში წარმოშობილ დანაშაულებს, შეისწავლოს მისი გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები და დასახოს მისი გადაჭრის გზები ანუ შეიმუშავოს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები.

დანაშაულობას როგორც სამართლებრივი, ისე სოციალური ხასიათი გააჩნია. პირველ შემთხვევაში მის სტრუქტურასა და დასჯის მეთოდებს სისხლის სამართალი და საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რაც შეეხება სოციალურს, აქ შემდეგი გარემოებები იკვეთება: ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური ორგანიზაციული, მმართველობითი და სხვა, რომლებიც ძირითადად სოციალურ ხასიათს ატარებენ. ხშირია შემთხვევა, როცა საზოგადოება თავად ბადებს დამნაშავეებს, რადგან მცდარი შეხედულებები და ჩვეულებითი სტერეოტიპები ხშირად დანაშაულობას დანაშაულად აქცევენ. მისასაღმებელია და გასათვალისწინებელია ჩეზარე ლამბროზოს პოზიცია, სადაც ის აღნიშნავს, რომ უმჯობესია გაფრთხილდეს დანაშაული ვიდრე დაისაჯოს დამნაშავე - ეს არის კანონმდებლობის მთავარი მიზანი. საუკუნეების წინ შექმნილ ფრაზას დღეს ალბათ სრულად ვერ დავეთანხმებით მაგრამ ერთი კი უდაოა, რომ პრევენციული ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვა და მისი შემდგომი განხორციელება დანაშაულთა რიცხვს შეამცირებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეებია: პროსტიტუცია, ტრეფიკინგი და ოჯახური ძალადობა, რასაც შედეგად გენდერული ბალანსის რღვევა მოჰყვება. დარღვეული ბალანსი კი მომავალ თაობაზე ახდენს გავლენას.

ზემოაღნიშნული დანაშაულობების სუბიექტად ყველაზე ხშირად ქალი გვევლინება. ქალი ხშირად გვევლინება სხვადასხვა დანაშაულის სუბიექტად და ობიექტად: საქმე გვაქვს ქალთან როგორც დამნაშავესთან და როგორც მსხვერპლთან.

სსკ-ის მიხედვით დანაშაულის სუბიექტია ფიზიკური შერაცხადი პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში შესრულებული აქვს 12 წელი (სსკ-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ასაკი).

ქალი-დედა ხშირად ხდება დამნაშავე, როდესაც ის ახალშობილის ან მცირეწლოვანის წინააღმდეგ ჩადის ისეთ ქმედებას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ ჯანმრთელობასა და სოცოცხლეს. ხშირია შემთხვევა, როდესაც დედა ასეთი დანაშაულის სპეციალურ სუბიექტად გვევლინება.

მკვლელობის მრავალ სახეთა შორის დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა ლატენტურ ანუ ფარულ დანაშაულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რაც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებით გამოირჩევა, რომელსაც ხშირად თან სდევს დედის ფსიქიკური მდგომარეობა მაგ: აფექტი. მკვლელობის ობიექტური მხარე გამოიხატება აფექტურ მოქმედებაში: მაგ: ნაყოფის მოკვლა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შვილზე ხელყოფის დროს, რაც შემდგომ ამ დანაშაულის კვალიფიკაციას განსაზღვრავს. იმ შემთხვევაში თუ მკვლელობა ან არ ვერ განხორციელდა მშობიარობისას ან უმალვე მშობიარობის შემდგომ მოკლე დროში სპეციალური სუბიექტი თავისუფლდება შემამსუბუქებელი გარემოებებისაგან და სახეზეა განზრახ მკვლელობა დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით მცირეწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

ხემოაღნიშნული ფაქტი განსხვავდება ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტისაგან (სამედიცინო ენაზე “აბორტი”), რაც დანაშაულისაგან განსხვავებით, ლატენტურ დანაშაულებათა რიცხვს მიეკუთვნება.

მეცნიერთა შორის დიდ ინტერესს იწვევს პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტის განსაზღვრა, მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე არის თუ არა ემბრიონი დედის მუცლად ყოფნისას სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი და არის თუ არა ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა იგივე “აბორტი” მკვლელობის იდენტური დანაშაული თავისი სიმძიმითა და ხასიოთით მასში მონაწილე სუბიექტების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სამართლებრივი აქტები, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე ადამიანის სიცოცხლის უფლებას იცავენ. განისაზღვრება სიცოცხლის სუბიექტი და მისი უფლებაუნარიანობის წარმოშობის საფუძველი. საერთაშორისო აქტებით ზოგადად ფორმულირებული სიცოცხლის უფლების დაცვის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი თითოეული ქვეყნის მაგალითზე ინდივიდუალურად იქმნება.

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად:

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების შემდეგ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისა.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ მოქმედებად, თუ იგი ისეთი აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგია, როგორცაა:

- ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დაცვა;
- უკანონო დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისთვის ხელის შეშლა;
- აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისათვის კანონიერად განხორციელებული მოქმედება.

სიცოცხლის უფლება არის კონვენციაში განსაზღვრულ უფლებათაგან და თავისუფლებათაგან «ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური

ღირებულება დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელსაც ემყარება თვით ევროპის საბჭო».<sup>43</sup> სიცოცხლის უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ამ მუხლით დაცული უფლება აბსოლუტური ხასიათისაა და, კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია მისგან გადახვევა ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის არსებობისას.

მე-2 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებმა არ უნდა წაართვან არავის სიცოცხლე, გარდა კონკრეტული, ამავე მუხლში მოცემული გამონაკლისი შემთხვევებისა. თუმცა, დღევანდელ ეტაპზე იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება,<sup>44</sup> ეკრძალებათ სიკვდილით დასჯა მშვიდობიან პერიოდში. კონვენციის მე-13 დამატებითმა ოქმმა კიდევ უფრო აბსოლუტური გახადა სიცოცხლის უფლება და აკრძალა სიკვდილით დასჯა ომიანობის პერიოდშიც კი. რაც შეეხება სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას, იგი გულისხმობს სიცოცხლის დაცვას და ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს წარმართონ ადეკვატური და ჯეროვანი გამოძიება ფატალური შემთხვევების არსებობისას.

მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სიცოცხლის უფლება გარანტიას აძლევს ნებისმიერ პირს, დაცული იყოს სიკვდილის ყველა საფრთხისაგან. როგორც ამას ევროპის კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოჩენილი მკვლევარი აცხადებდა: «კანონით დაცული უნდა იქნეს არა თვით სიცოცხლე, არამედ სიცოცხლის უფლება»<sup>45</sup>

უფრო მეტიც, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში – *W. v. the United Kingdom*<sup>46</sup> – განაცხადა, რომ კონკრეტული სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების პოზიტიური ვალდებულება – დაიცვან სიცოცხლე, რა თქმა უნდა, იმას კი არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ყველა ადამიანი უზრუნველყოს პირადი მცველით, არამედ გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას, აღძრან სამართალწარმოება, ჯეროვნად გამოიძიონ კონკრეტული შემთხვევები და მოიძიონ პირი, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, რათა წარუდგინონ იგი მართლმსაჯულებას.

<sup>43</sup> იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე – *McCann and others v. the United Kingdom* (განაცხადი 118984/91) J.E.C. Fawcett, *The Application of the European Convention on Human Rights*, მე-2 გამოცემა Oxford, 1987, გვ. 37.

იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 1983 წლის გადაწყვეტილება (განაცხადი 9348/81) და *X. v. the United Kingdom and Ireland* (განაცხადი 19829/82)

<sup>44</sup> ევროპის საბჭოს წევრი 46 სახელმწიფოდან მხოლოდ 2 სახელმწიფოს (რუსეთსა და მონაკოს) არ მოუხდენია კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება. მონაკოს შემთხვევაში ეს აიხსნება იმით, რომ იგი ევროპის საბჭოს წევრი გახდა სულ ახლახან – 2004 წლის 5 ოქტომბერს და ამავე წელს მოაწერა ხელი ოქმს. რუსეთმა კი მე-6 ოქმს ხელი მოაწერა 1997 წლის 16 აპრილს, მაგრამ დღემდე არ მოუხდენია რატიფიცირება, თუმცა, 1996 წლიდან რუსეთის ფედერაციაში გამოცხადებულია მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე.

<sup>45</sup> J.E.C. Fawcett, *The Application of the European Convention on Human Rights*, მე-2 გამოცემა Oxford, 1987, გვ. 37.

<sup>46</sup> იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 1983 წლის გადაწყვეტილება (განაცხადი 9348/81) და *X. v. the United Kingdom and Ireland* (განაცხადი 19829/82).

გარკვეულწილად ბუნდოვანია მე-2 მუხლში მოცემული დებულება «ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია». ვინ მოიაზრება სიტყვა ყველაში? გულისხმობს თუ არა ეს სიტყვა ნაყოფს, ანუ დაუბადებელ ბავშვს? არის თუ არა აბორტი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა? მაგალითად, საქმეში – . ვ. ორწაყ – სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად მიიჩნია ნორვეგიის კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ქალს უფლება აქვს გაიკეთოს აბორტი ფეხმძიმობის პირველი 12 კვირის განმავლობაში. 12-18 კვირის ფეხმძიმესათვის აბორტის გაკეთება შესაძლებელია ექიმების კოლეგიის ნებართვით, ხოლო 18 კვირის შემდეგ აბორტი ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია დედის ჯანმრთელობისათვის.

საფრანგეთის კანონმდებლობის მაგალითზე სისხლის სამართლის მიხედვით დაუბადებელი ბავშვის გაუფრთხილებლობით გამოწვეული დაზიანება, რაც ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის საფუძველი ხდება არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას. მის დასტურია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უახლეს მაგალითი – *Vo. J. რანცქ*<sup>47</sup> – სასამართლომ განაცხადა, რომ დაუბადებელი ბავშვი არ არის «პირი», რომელიც პირდაპირ სარგებლობს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის დაცვით და, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაუბადებელ ნაყოფს აქვს «სიცოცხლის უფლება», ეს უფლება შეზღუდულია დედის უფლებებითა და ინტერესებით. თუმცა, კონვენციის ზედამხედველ ორგანოებს არ გამოურიცხავთ იმის შესაძლებლობა, რომ ცალკეულ ვითარებაში და კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მე-2 მუხლით გარანტირებული უფლება შესაძლოა გავრცელდეს დაუბადებელ ბავშვზეც. ზემოაღნიშნულ საქმეში აბორტის გაკეთება საჭირო გახდა ექიმის დაუდევრობის გამო, რომელიც შეცდა პაციენტების ერთი და იმავე სახელისა და გვარის არევის გამო. აღნიშნული პაციენტებიდან ერთ-ერთი საავადმყოფოში მისული იყო ფეხმძიმობასთან დაკავშირებული გასინჯვისათვის, ხოლო მეორე პაციენტს სურდა კონტრაცეპტივის (ე.წ. სპირალის) მოშორება სხეულიდან. ექიმის მიერ პაციენტ გუამოძახების შემდეგ, ფეხმძიმე პაციენტი შევიდა კაბინეტში. ექიმი გაეცნო პაციენტის სამედიცინო ისტორიას და დაუსვა რამდენიმე შეკითხვა, რაზეც პაციენტმა პასუხი ვერ გასცა, რადგან ფრანგული ენა არ ესმოდა (ვიეტნამელი იყო). ექიმმა, სამედიცინო ისტორიიდან გამომდინარე, ივარაუდა, რომ პაციენტს სურდა კონტრაცეპტივისაგან გათავისუფლება და ასეც მოიქცა. აღნიშნული სამედიცინო ჩარევის შედეგად განმცხადებელს დაუზიანდა სანაყოფე წყლების ბუშტი და აუცილებელი გახდა ნაყოფის მოშორება. ექიმი მოგვიანებით მიხვდა დაშვებულ შეცდომას, რაც ერთი და იმავე გვარის პაციენტების მიღებამ გამოიწვია. ამის საფუძველზე, განმცხადებელმა სარჩელით მიმართა კომპეტენტურ ორგანოებს ექიმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოტივით გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის. რამდენიმე ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების შედეგად საკასაციო სასამართლო დაეყრდნო იმ პრინციპს, რომ სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობა განმარტებული უნდა იყოს ძალიან ვიწროდ და დაადგინა, რომ ნაყოფი არ შეიძლება მიჩნეულიყო გაუფრთხილებელი მკვლელობის მსხვერპლად. შესაბამისად, განმცხადებელი სტრასბურგის სასამართლოში ასაჩივრებდა იმას, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სასჯელს ნაყოფის გაუფრთხილებლად დაზიანებისათვის და არ ჰქონდა ეფექტიანი საშუალება ხელი მიეწვდინა მისი შვილის გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის წარმოებულ გამოძიებაზე. ევროპის

<sup>47</sup> იხ. 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე – *Vo. v. France*, პუნქტი 80.



სასამართლომ, რომელმაც განიხილა საქმის გარემოებანი, კონვენციის მე-2 მუხლთან შეუსაბამოდ არ მიიჩნია ის გარემოება, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა სისხლის სამართლებრივად დასჯადად არ აცხადებდა ნაყოფის გაუფრთხილებელ დაზიანებას და არ აძლევდა ამას პიროვნების წინააღმდეგ მიმართული გაუფრთხილებელი მკვლელობის კვალიფიკაციას. სასამართლომ განმარტა, რომ გარდა სისხლის სამართალწარმოებისა, რომელიც აღიძრა ექიმის წინააღმდეგ (მაგრამ მოგვიანებით შეწყდა, რადგან დამტკიცდა, რომ ექიმის განზრახვა არ იყო ნაყოფის დაზიანება, ხოლო გაუფრთხილებლად ნაყოფის დაზიანება არ წარმოადგენდა დანაშაულს საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად), განმცხადებელს ასევე შეეძლო აღედრა სამოქალაქო სამართალწარმოება მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. აღნიშნული სამართლებრივი საშუალება ევროპის სასამართლომ მიიჩნია საკმარისად და კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ამის მიხედვით, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-2 მუხლის როგორც არსებითი, ისე პროცედურული მხარე საფრანგეთის ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან არ დარღვეულა.

დაუბადებელი (ჩასახული) ბავშვის (ემბრიონის) მკვლელობას გაზეთ “მადლის” 2004 წლის თებერვალ- მარტის ნომერში ვრცელი სტატია მიექდგნა, სადაც ფენხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა განხილული იყო იურიდიული, სამედიცინო და რელიგიური კუთხით.

აბორტი მართლმადიდებელი სარწმუნოების მიხედვით განიხილება ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვად. დიდი სჯულისკანონში მითითებულია, რომ აბორტის გამკეთებელი დედაკაცი უნდა განკანონდნენ (დაისაჯონ) „კანონითა კაცისმკლველთაითა“. წმიდა წერილიდან ირკვევა, რომ ბავშვს სული ეძლევა ჩასახვისთანავე. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ის, რომ ბიბლიაში მოხსენებულ მამამთავრებს, წინასწარმეტყველებს და სხვა წმინდანებს სახელი ჩასახვისთანავე ეძლეოდათ, როგორც ცოცხალ არსებებს. ეკლესია ცალკე აღნიშნავს წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების დღეს (6 ოქტ. ახ. სტილით). წმ. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: „შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“. ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ ეკლესია ჩასახულ ბავშვს აღიქვამს ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც აქვს სული, ბოძებული ღმრთისაგან და არის ცოცხალი არსება. მცირე კურთხევანში არსებობს საგანგებო ღოცვა იმ შემთხვევაში, როცა ორსულობა ნაადრევად შეწყდება (ცხადია, ბუნებრივად). ამ ღოცვის საკითხავები სინანულის შემცველია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან შვილიერება ღმრთის წყალობად ითვლებოდა და ითვლება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ეკლესიაში. ამიტომაც ღმრთის წყალობის განშორება, ცხადია, სამწუხარო იყო ყოველი მორწმუნისათვის. წმიდა პავლე მოციქული პირდაპირ მიუთითებს ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლეში (2;14), რომ დედაკაცი ცხონდებიან „შვილთსხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა“.

სტატისტიკის მეხედით 1989 წლისთვის საქართველოში გაკეთებულ აბორტთა რიცხვი შეადგენდა 69 ათასს, ანუ ყოველი 100 ჩასახული ბავშვიდან 45 ე.წ. “აბორტის” მსხვერპლი ხდებოდა, ხოლო 1998 წლისთვის ამ რიცხვმა 24 ათასამდე, რაც უდავოდ ჩვენი ბრძენი მამამთავრის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II, წმიდა სინოდის მღვდელმთავრების და მთლიანად საქართველოს ეკლესიის დამსახურებაა.

აუცილებელია ითქვას, რომ აბორტს ეწინააღმდეგებიან მედიცინის წამყვანი მუშაკები როგორც საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპაში. ბიოლოგიურად დადასტურდა, რომ ბავშვი ცოცხალი არსებაა ჩასახვის მომენტიდან, განურჩევლად იმისა თუ რამდენი ხნისაა იგი ან რა ფორმის. რაც მთავარია, მას გააჩნია 46 ქრომოსომა, რომელშიც გადმოცემულია კონკრეტული ადამიანის უნიკალური თვისებები და მხოლოდ ის, რომ იგი ჯერ „სათანადო“ ზომის არაა, არანაირ უფლებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩასახული ბავშვი არ არის ადამიანი. მართებულად შენიშნავს პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, უჯრედის გენეტიკის წამყვანი სპეციალისტი ჟერომ ლეჟენი: „ადამიანი არის ის, ვინც ეკუთვნის ჩვენს (ადამიანურ) მოდელს. მნიშვნელობა არ აქვს კილოგრამებისა და დიფერენციაციების რაოდენობას“<sup>48</sup>. სხვათაშორის, მრავალი მეცნიერი, რომლებიც თავდაპირველად აბორტის მომხრენი იყვნენ, თანდათანობით, ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩასახული ბავშვი არის ცოცხალი არსება, ჩვეულებრივი ადამიანი, ხოლო აბორტი - ადამიანის მკვლელობა. ასეთ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ამერიკელი მეან-გინეკოლოგი, დოქტორი ბერნარდ ნატანსონი. სწორედ მან გადაიღო მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ფილმი „უხმო ყვირილი“, სადაც დაფიქსირებულია კადრები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ ემბრიონის სიცოცხლისუნარიანობას. დღესდღეობით მედიცინას ძალუძს 25-კვირიან ნაადრევად დაბადებულ ბავშვს შეუნარჩუნოს სიცოცხლე. ეს ციფრი არცთუ დიდხნის წინ 30 კვირა იყო. მედიცინა ნახტომისებური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ხვალ შეიძლება ეს ციფრი უფრო შემცირდეს. ამის დასტურია ისიც, რომ მოხერხდა 19-კვირიანი კენი კინგის გადარჩენა (დაიბადა 1985 წ. აშშ-ში), რომელიც მხოლოდ 510 გრ წონისა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საერთაშორისო აქტი სიცოცხლის უფლებას იცავს და ზოგადად ამ უფლების სუბიექტში ჩანასახიც მოიაზრება, მაინც არსებობს სამართლებრივი ნონსენსი მის უფლებებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი რიგი კანონები და საერთაშორისო შეთანხმებები იცავენ ჩანასახის, როგორც სამართლის სუბიექტის უფლებებს და უფლებათა შორის უპირველეს - სიცოცხლის უფლებას, ხოლო მეორეს მხრივ სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად უშვებს ჩანასახის ხელოვნურ მოცილებას, ე.ი. ნაყოფის მკვლელობას, ანუ აბორტს. დასჯადია მხოლოდ ე.წ. „უკანონო აბორტი“ (სსკ, მუხ.133), რაც გულისხმობს აბორტის გაკეთებას არალიცენზირებული და არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაშიც კი, თავისთავად ცხადია, რომ სამართლებრივი დაცვის ობიექტი არაა ბავშვის (ანუ ნაყოფის) სიცოცხლე. სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება აღნიშნული ქმედება, როგორც დანაშაული ქალის ჯანმრთელობის წინააღმდეგ და შესაბამისად, 133-ე მუხლი შედის სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავში, სადაც მოცემულია დანაშაულები, რომელიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამის პარალელურად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1307-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, შესაძლებლად აცხადებს ჩასახული, მაგრამ ჯერაც დაუბადებელი ბავშვის პირის მემკვიდრედ გამოცხადებას. მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ ანდერძით მემკვიდრეობისას: „პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლების ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.“ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩასახულ ბავშვს, მართალია არასრულად (ვინაიდან კანონით

48

ობ . Davis v. Davis, No. E-14496, Blount County, Tennessee Circuit Court, 1989

მემკვიდრეობა მასზე არ ვრცელდება), მაგრამ მაინც აქვს უფლება მემკვიდრეობაზე, იგი გვევლინება სამართლის სუბიექტად. აქედან სრულიად გაუგებარია, თუ რატომ, რა საფუძვლით არ ისჯება მისი მკვლელობა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა ხნის უნდა იყოს ჩასახული ბავშვი, ეს უფლება რომ მოიპოვოს. ამიტომ, ნაყოფი უფლებებს შეიძენს იმ მომენტიდან, როდესაც სამედიცინო გამოკვლევით სავსებით და უტყუარად დადასტურდება ქალის ორსულობა. ეს კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ხდება.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მკვლელობა გამოცხადებულია დანაშაულად. საკუთრივ ნორმის დისპოზიციაში არაა განმარტებული, თუ რა არის მკვლელობა, ან როდის იწყება, ან მთავრდება ადამიანის სიცოცხლე. თუმცა, როგორც კომენტატორები და სისხლის სამართლის სპეციალისტები მიუთითებენ, ადამიანის სიცოცხლე იწყება იმ მომენტიდან, როცა ბავშვი გამოყოფას იწყებს დედის სხეულიდან, ანუ მშობიარობის დაწყების მომენტი (იხ. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ (სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი), თბ. 1980), ამგვარად ჩანასახის მოსპობა დანაშაულად არ კვალიფიცირდება. ჩასახული ბავშვის სიცოცხლეს იცავენ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. ბავშვის უფლებათა კონვენციის (1989.20.11) პრეამბულის მე-9 აბზაცში აღნიშნულია: „ვითვალისწინებთ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნულს, „ბავშვი, მისი ფიზიკური და მენტალური მოუმწიფებლობის მიზეზით საჭიროებს სპეციალურ დაცვასა და ზრუნვას, როგორც დაბადებამდე ასევე დაბადების შემდგომი პერიოდის შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით“. ხოლო ამავე შეთანხმების 1-ლი მუხლი განსაზღვრავს, რომ ბავშვში იგულისხმება თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანი. როგორც შერონ დეტრიქი ამ მუხლის კომენტირებისას აღნიშნავს, „ბავშვი ნიშნავს ყველა ადამიანს ჩასახვის მომენტიდან 18 წლის ასაკამდე“<sup>49</sup>.

ჩასახული ბავშვის სიცოცხლის უფლებას იცავს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია (მუხ.4) და ნაწილობრივ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხ.3).

საზოგადოების მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ არსებობს არგუმენტები რასაც შეუძლია ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტის გამართლება:

ქალი უფლებამოსილია განსაზღვროს სურს თუ არა ბავშვი;

თითოეული ქალისათვის დიდი ბედნიერებაა, როდესაც ხდება რომ ის ორსულია. შვილი ამ ქვეყნად ღვთის ყველაზე დიდი საჩუქარია. თუმცა ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს საჩუქარი შეუფასებელი რჩება და უფრო მეტიც ქალისავე ნებით ისპობა. ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტის მიზეზი მხოლოდ სოციალური პირობების არ არსებობას რომ დავაბრალოთ არამართებული იქნება. რეალურად მრავალი წინაპირობა არსებობს, რომ ქალმა საკუთარი სურვილით ძალიან მარტივად გადაწყვიტოს მომავალი შვილის ბედი. თუ ამას ჩვენი თობის მაგალითზე განვიხილავთ არ პროცესის ხელისშემწყობი შემდეგი მიზეზები იკვეთება:

<sup>49</sup> იხ. Detrick, Sheron, A Commentary on the UN Convention on the Rights of Child, Nijhoff Publishers, 1999

1. სრულყოფილად მის ვალდებულებას ოჯახის წინაშე. სიყვარულად მონათლული ლტოლვა და პირველივე გაუგებრობის შედეგად დანგრეული ოჯახი ხშირად არასასურველი მამაკაცისაგან გასაჩენი ბავშვის მიმართ დიდ აგრესიას იწვევს რაც ემბრიონისათვის ფატალური შედეგით მთავრდება.
2. სოციალური პირობების შეუსაბამობა მომავალი შვილის მოთხოვნილებებთან;

შვილის გაჩენა თუ სოციალური პირობების გაუარესების საფრთხეს ქმნის, ამ დილემის წინაშე უკვე მრავალშვილიანი დედაც შეიზლება დადგეს, თუმცა ამ შემთხვევაში დანახარჯების შემცირება რომელიმე შვილის მოკვლის ხარჯზე აზრადაც კი არ მოსდით. ა.შ.შ – ში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რეალურად აბორტის 93% შობადობის კონტროლისა და არასასურველი ბავშვის არსებობის მიზეზით ხორციელდება, მხოლოდ 7% -ს შეადგენს სისხლის აღრევის, დედის ჯანმრთეობის მკვეთრი გაუარესებისა და გაუპატიურების შემთხვევები.

ჩასახული ბავშვი არ არის პიროვნება

სამართლის ზოგადი ანალიზისას შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების უფლებაუნარიანობა მისი ჩასახვის მომენტიდან წარმოიშვება და ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ზომებს არ ენიჭება. ამიტომ მისი არსებობის უგუველყოფა დაუშვებელია.

სამართლებრივი ფორმულირების გარდა თითოეულმა ჩვენგანმა წმინდა ადამიანური თვალსაზრისით ჩასახული ემბრიონი ცოცხალ არსებად რომ ვაღიაროთ რთული არ იქნება დაიჯერო, რომ როდესაც ქალი აბორტის გასაკეთებლად სამედიცინო დაწესებულებაში მიდის მაშინ უკვე უფლებაუნარიანი პატარა არსება ფიქრობს:

აღრე გაგვეღვიძა, მალვიძარაზე აღრე....

ლოგინში სიგარეტი მოვწიეთ, მე არ მინდოდა მაგრამ მაინც ვეწეოდი.....

კარადიდან კაბა გამოიღე და ჩაიცვი..... სარკეში რომ ჩაიხედე ადელი, მეც ავლედი....

არ გვისადილია ისე გავედით სახლიდან.

გული ავიჩქარდა მეც ამიჩქარდა გული.... გეშინოდა, რომ იცოდე მე როგორ მეშინოდა....

თეთრ შენობაში შევედით.

გტკიოდა და ტიროდი .მტკიოდა მაგრამ ვერ ვიტყვი....

...სადამოს წამოხვედი,მე კი იქ დამტოვე; უსაფლაოდ, უსახელოდ, უსიცოცხლოდ და უდელოდ. მე კი ტირილი მინდოდა, სიცოცხლე მინდოდა დედა....

როგორც თემის დასაწყისში ავლიწმნეთ, ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტა ლატენტური ხასიათის დანაშაულობაა, რომლის უშუალო კრიმინალიზაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ჯერ-ჯერობით არ მომხდარა. ამ მოვლენის მხოლოდ სამართლებრივი აკრძალვა სასურველ შედეგამდე ვერ

მიგვიყვანს, თუმცა დააფქსირებს სახელმწიფოს მხრიდან მტკიცე პოზიციას მისი ნეგატიური ხასიათის არსებობის თაობაზე. აბორტის მძიმე სურათის დანახვა მხოლოდ წლების შემდეგ ხდება შესაძლებელი, როდესაც ქვეყანა დემოგრაფიული პრობლემების წინაშე დგება. ქალმა ფეხმძიმობის ხელოვნურ შეწყვეტაზე უარი მხოლოდ დაწესებული სასჯელის გამო არ უნდა თქვას. მთავარია მას არ ქონდეს აბორტის გაკეთების სურვილი. პრევენციული ხასიათის ღონისძიებების განხორციელებაში მთავარ სუბიექტებად მოიაზრება როგორც სალემწიფო, ისე ეკლესია და საზოგადოება. არსებული სტატისტიკის თანახმად აშკარაა რომ აბორტის რიცხვი შემცირდა, რაც ეკლესიის როლის ზრდას უნდა მივაწეროთ საზოგადოებაში.

აბორტის, როგორც დანაშაულობის კრიმინალიზაციამდე საჭიროა სამართალში ერთიანი პოზიციის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იწყება პირის სიცოცხლე და როდის წარმოეშევა მას უფლებაუნარიანობა. მიგვაჩნია რომ ემბრიონის ჩასახვის მომენტიდან მისი სამართლის სუბიექტად აღქმა მართებულია.

აბორტის გაკეთება ხელყოფს სიცოცხლეს და ეს დანაშაულია. ფეხმძიმობის ხელოვნურად შეწყვეტის კრიმინალიზაციისას მის დანაშაულად კვალიფიკაციამდე საჭიროა ამ მოვლენის სოციალური კუთხით განხილვა, რაზეც გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური და ორგანიზაციულ-მართველობითი. აბორტი ეს არის მოვლენა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ერის დემოგრაფიულ განვითარებას. იმისათვის, რომ კიდევ უფრო შემცირდეს აბორტის რიცხვი კანონმდებლობის გამკაცრებასთან ერთად საჭიროა დაიგეგმოს საინფორმაციო ხასიათის კამპანია, სადაც დეტალურად გაწერილი იქნება ფეხმძიმობის ხელოვნური შეწყვეტის როგორც საეკლესიო და სამედიცინო, ისე სამართლებრივი მიზეზები და შედეგები. საზოგადოების ინფორმირებულობა და აბორტის სწორი განმარტება კრიმინალიზირებულ დანაშაულობის ნებელობით აღსრულებას შეუწყობს ხელს, სადაც სამართლებრივი ნორმის გამოყენების შემთხვევები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

*სოფიო ბარნაბიშვილი*

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,  
იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაზეთი “მადლი” 2004 წლის თებერვალი - მარტი
2. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია მე-2 მუხლი
3. სისხლის სამართლის კოდექსი
4. სამოქალაქო კოდექსი
5. პეტრე დაუტაშვილი. სსკ-ის კერძო ნაწილი. გამომცემლობა იურიდიული აზრი. თბილისი 2003 წელი. გვ. 33
6. [www.kvirike.ge](http://www.kvirike.ge)
7. იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე *McCann and others v. the United Kingdom* (განაცხადი #18984/91). იხ. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე *McCann and others v. the United Kingdom* (განაცხადი #18984/91).

8. ევროპის საბჭოს წევრი 46 სახელმწიფოდან მხოლოდ 2 სახელმწიფოს (რუსეთსა და მონაკოს) არ მოუხდენია კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება. მონაკოს შემთხვევაში ეს აიხსნება იმით, რომ იგი ევროპის საბჭოს წევრი გახდა სულ ახლახან – 2004 წლის 5 ოქტომბერს და ამავე წელს მოაწერა ხელი ოქმს. რუსეთმა კი მე-6 ოქმს ხელი მოაწერა 1997 წლის 16 აპრილს, მაგრამ დღემდე არ მოუხდენია რატიფიცირება, თუმცა, 1996 წლიდან რუსეთის ფედერაციაში გამოცხადებულია მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე.
9. J.E.C. Fawcett, The Application of the European Convention on Human Rights, მე-2 გამოცემა, Oxford,, 1987, გვ. 37
10. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 1983 წლის გადაწყვეტილება (განაცხადი 9348/81) და X. v. the United Kingdom and Ireland (განაცხადი 9829/82).
11. იხ. 2004 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე – Vo. v. France, პუნქტი 80.

*სოფიო ბარნაბიშვილი*

**აბორტი – დანაშაული თუ თავიდან აცილებული პრობლემა  
რეზიუმე**

თემაში განხილულია აბორტთან დაკავშირებული მორალური და სამართლებრივი პრობლემები. განხილულია ნაყოფის სამართლებრივი და ბიოლოგიური რაობის საკითხები. გაკეთებულია დასკვნა რომ ფეხმძიმობის შეწყვეტა წარმოადგენს ლატენტური ხასიათის დანაშაულობას, რომლის კრიმინალიზაცია ჯერ არ მომხდარა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ამასთან აღნიშნულია რომ აღნიშნული მოვლენის მხოლოდ სამართლებრივი აკრძალვა სასურველ შედეგამდე ვერ მიგვიყვანს, თუმცა დააფიქსირებს სახელმწიფოს მხრიდან მტკიცე პოზიციას მის ნეგატიური დამოკიდებულების შესახებ.

*Софио Барнабишвили*

**Аборт – преступление или разрешенная проблема  
Резюме**

В теме рассмотрены моральные и социальные проблемы связанные с абортом. Рассмотрены правовые и биологические вопросы касающиеся плода. Сделан вывод, что прекращение беременности представляет собой латентное преступление, которое еще не криминализовано уголовным кодексом Грузии. Отмечено также и то, что только правовой запрет аборта не даст желаемых результатов, хотя и зафиксирует негативную позицию государства по отношению к этой проблеме.

*Sofio Barnabishvili*

**Abort – Crime or avoided problem**

**Abstract**

In the article author speaks about moral and legal problems regarding abortion. Here are discussed legal and biological grounds regarding fruit. And is concluded that abortion is a latent crime that is not yet punished by Georgian Criminal Code. Along with it, author says that the prohibition of abortion only by Law can not bring about desired results, but would stress negative position of government toward abortion.

**ქალი, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი და  
დანაშაულის სუბიექტი**

ქალს, როგორც მდებარეობითი სქესის ადამიანს საზოგადოებაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილი ეკავა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იგი დღესაც მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მდგომარეობაშია. ასე მაგალითად, ინდოეთში ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში ცოლ-ქმრის გაყრის ინიციატორი მხოლოდ მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. უშილო ცოლი ქორწინებიდან 8 წლის შემდეგ შეიძლებოდა გამოცვლილიყო, ხოლო, რომელიც მხოლოდ გოგონებს აჩენდა მეთერთმეტე წლისთავზე იცვლებოდა. თურქეთში შარიათის კანონის თანახმად, ქალი თუ მის სახეს უცხო მამაკაცს უჩვენებდა, მისი ქორწინება ანუღირდებოდა. ავსტრიელი აბორიგენი მამაკაცები ცოლს თუ ეტყოდნენ ერთ სიტყვას “წადი”-ეს განქორწინებისათვის საკმარისი იყო. ერაყში მცხოვრებ შიიტებს ორი სახის განქორწინება აქვთ, დროებითი და სამუდამო. შეცდომის გამოსწორების შემთხვევაში, დროებით განქორწინებულ ცოლს იბრუნებენ. იაპონიაში გაყრისათვის საკმარისია ქმარი თუ იტყვის, რომ მის ცოლს უღამაზო პოზაში სძინავს. მადაგასკარში ქმარი თუ ხანგრძლივ მივლინებაში მიდის, ეს დროებით განქორწინებას ნიშნავს. მის დაბრუნებამდე ცოლ-ქმარი ერთმანეთის ცხოვრებით არ უნდა დაინტერესდნენ. ქმრის მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ შეიძლება მოხდეს მათი ხელახალი დაქორწინება დიდი ზარზემით. იტალიაში მიღებული ქალბატონი შეეცადა ქმრისთვის ჭურჭელი გაერეცხინებია. ამისთვის იგი სასამართლომ კანონის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა და ქმარს დააშორა<sup>50</sup>.

ქალსა და მამაკაცს შორის უთანასწორობას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ საერთოდ ცნობილ საკითხებზე აქ საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ქალი უკვე დიდი ხანია, რაც ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა მრავალ ურთიერთობებში მამაკაცთან გათანასწორებულია და ამ ურთიერთობათა სრულფასოვან სუბიექტს წარმოადგენს. მიუხედავად ზემოთ თქმულისა და სხვა მრავალი საერთოდ ცნობილი გარემოებებისა, ქალსა და მამაკაცს შორის არის არსებითი სხვაობა, რაც გასათვალისწინებელია ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის სასამართლოში. ქალის მიმართ შეღავათიანი მიდგომაა საჭირო შრომის, საოჯახო, სოციალური უზრუნველყოფის და სამართლის სხვა დარგების მხრიდან. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, არც სისხლის სამართალი წარმოადგენს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ქალისა და მამაკაცის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უფლებას, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას იცავს ზუსტად ერთნაირად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანაშაული ჩადენილია ორსული ქალის მიმართ. ორსული ქალის მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელი უფრო მკაცრია, ვიდრე არაორსული ქალებისა და მამაკაცების მიმართ. რაც შეეხება არასრულწლოვანთა და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა მიმართ დანაშაულის ჩამდენთა დასჯადობას, ქმედების ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი ერთნაირად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, ქალის მიმართ იქნება დანაშაული ჩადენილი თუ მამაკაცის მიმართ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია ისეთი დანაშაული, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც ქალი ისე მამაკაცი. გასაგებია, რომ ქალი ვერ იქნება გაუპატიურების სუბიექტი (ამსრულებელი) და,

<sup>50</sup> ა. ჩიტაძე. თბილისი. ჟურნალი “სარკე” 2002. №12. გვ. 73

ამიტომ იგი ვერ გამოიყენებს ამ დანაშაულის ჩასადენად სსკ 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ვერც ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, მათ შორის ვერც ორსულობას, არასრულწლოვნობას, მცირეწლოვნობასა და უმწიფობას, მას ეს არც სჭირდება. არის ისეთი დანაშაულიც, რომლის ჩადენა მხოლოდ ქალს შეუძლია და მამაკაცს არ შეუძლია (მაგ: სსკ 112-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა), მაგრამ ეს სხვა საკითხია.

საქართველოს სსკ-ის 21-ე თავი (127-ე - 136-ე მუხლები), გარდა 133-ე მუხლისა (უკანონო აბორტი), ერთნაირად იცავს ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. რაც შეეხება უკანონო აბორტს, მისგან დაცვა მამაკაცთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს არ სჭირდება, რაც არავითარ კომენტარს, მიმაჩნია, რომ არ მოითხოვს.

ორსული ქალის მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, უკანონო აბორტის, შიდსის შეყრის, განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის შემთხვევებში სასჯელის გამკაცრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 117-ე, 131-ე - 133-ე მუხლების დისპოზიციურობიდან გამომდინარე, იცავს ორსული ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არა ნაყოფს, მის დაბადებამდე. ორსული ქალისა, 5-7 წლამდე ასაკის შვილის დედისა და 60 წლისა და მეტი ასაკის ქალის მიმართ არის დაწესებული მთელი რიგი სისხლისსამართლებრივი შეღავათებისა, რაც მისასაღმებელია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნორმის არაჯეროვნად, არაეფექტურად ჩამოყალიბების გამო კანონმდებლობის მიზანი ზიგჯერ მიუღწეველი რჩება, რადგანაც აღნიშნული მიზეზების გამო კანონგამოყენებით ორგანოებს კანონის ეფექტურად გამოყენების საშუალება არა აქვთ. მხედველობაში გვაქვს საქართველოს სსკ 172<sup>1</sup> მუხლი, რომელსაც განვიხილავთ დაბლა. რაც შეეხება ქალს, როგორც დანაშაულის სუბიექტს, მისი შერაცხადობის ასაკის განსაზღვრას, ერთნაირი დანაშაულის ერთნაირ პირობებში ჩადენისათვის მათი პასუხისმგებლობისა და სასჯელის გათანაბრებას მამაკაცების პასუხისმგებლობასა და სასჯელთან, ეს სწორია, რადგანაც დანაშაული ქალის მიერ იქნება ჩადენილი, თუ მამაკაცის მიერ ამას მნიშვნელობა არა აქვს. კაცს ქალი მოკლავს თუ მამაკაცი, ქურდობას, თაღლითობას ან სხვა დანაშაულს მდებარეობითი სქესის ადამიანი ჩაიდენს თუ მამრობითი, ამას სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს. მით უმეტეს მაშინ, როდესაც, როგორც კრიმინოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, ზოგჯერ ქალები თავიანთი ბოროტი განზრახვებითა და ქმედებებით მამაკაცებს არ ჩამორჩებიან. ქალთა სისასტიკის დასადასტურებლად მათ მიერ საკუთარ შვილთა მკვლელობის ფაქტების სიხშირეც საკმარისია, მაგრამ ისინი სხვა, არანაკლები სიმძიმის დანაშაულებსაც სჩადიან<sup>51</sup>.

მაგალითად, ბანკირის ცოლმა ქმრისაგან მალულად (შეუმჩნევლად) სახლში პოლიციელი შემოიტყუა თითქოსდა საშველად. შემოსვლისთანავე მოკლა იგი ქმრის პისტოლეტით. გასროლის ხმითა და ცოლის კივილით მიშველეთ! მიშველეთო! აღშფოთებული კაცი - ქმარი გამოვარდა ოთახიდან, რომელსაც იგი ბიბლიოთეკის სახით იყენებდა. ბიბლიოთეკიდან გამოსვლისთანავე, პოლიციელის პისტოლეტით ცოლმა მოკლა ქმარი და ორივე მოკლულთ თავ-თავისი პისტოლეტი

<sup>51</sup> ზ. წულაია. ოჯახში ჩადენილი დანაშაულები. კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი). იგივე ავტორი. თბილისი. ინტელექტი. 2005. გვ. 385-399



ჩაუდო ხელში<sup>52</sup>. ეს რომ გაეკეთებია, ქალმა ოჯახის ყველა წევრი და მოსამსახურე, გარდა ქმრისა, სხვადასხვა ადგილას გაგზავნა, რითაც წინასწარ შექმნა ამ დანაშაულთა ჩადენისათვის ხელსაყრელი პირობები. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ეფექტურად გამოყენების გზით ეს დანაშაული ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ გაიხსნა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ოდნავ მაინც დასაშვები იყოს ქალის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლების, თავისუფლების, ღირსებისა და ქალის, როგორც სოციალურ ურთიერთობათა სუბიექტის დაცვის შესუსტება. ამიტომ იგი ყოველმხრივ დაცულია საერთაშორისო ნორმატიული აქტებითა და ცივილიზებული ქვეყნების ეროვნული კანონებით. ქალის კულტის გაფეტიშება საქართველოს ისტორიული წარსულიდან მოყვება და იგი დღესაც ძალაშია. ამიტომ კანონი, რომელიც ქალს იცავს უნდა მოიცავდეს ქალის, როგორც მამაკაცთან შედარებით უფრო ფაქიზი არსების, დედის, მეუღლის, დის, შვილებისა და შვილიშვილების, ბებიას, შვილთაშვილების, ბაგა-ბაღების მასწავლებლებისა და სხვა ქალების გრძნობებსა და მათი დაცვის ინტერესებს. ქ-ბ თინათინ წერეთლისა და მასთან მოღვაწე იურისტების პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი მოთხოვნის დეფიციტი არ იგრძნობოდა.

ახლა ამ ფონზე მინდა მკითხველთან ერთად გავაანალიზო საქართველოს სსკ 172<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

**მუხლი 172<sup>1</sup> შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა**

- შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის წინასწარი შერჩევა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე.
- იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 9 წლამდე.

ეს ნორმა მიღებულია 2003 წლის 26 აგვისტოს კანონით. მიღების იდეა და მიზნები, ჩემი აზრით, კარგი და მისასალმებელია ამ ნორმის პრევენციული მნიშვნელობიდან გამომდინარე. იგი, ჩემი აზრით, მიღებულია იმ პირებზე პრევენციული ზემოქმედების მიზნით, რომლებიც ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებას სჩადიან და მათი დასჯის მიზნით. ამ ნორმას, მისი მიზნებიდან გამომდინარე, ზოგადპრევენციული მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს და ეს მას, ჩემი აზრით, შეიძლება ითქვას, რომ გააჩნია. მაგრამ მისი ეფექტურობის შესახებ მსჯელობისაგან თავშეკავების გარდა, ამჟამად არაფერი შემიძლია. შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ 2006 წლის 28 აპრილის კანონით ამ მუხლის პირველი ნაწილის სანქცია-თავისუფლების აღკვეთა ვადით 3-დან 8 წლამდე შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე. ამ მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციაში კი სიტყვა “განმეორებით” შეიცვალა სიტყვით “არაერთგზის” და სანქცია - თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 9 წლამდე. ამ მდგომარეობაშია ეს ნორმა

<sup>52</sup> ჰანს იორგ გარტონი. ორი მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ლევან იაშვილმა. გორი. ქართლი. 2008. გვ. 15

დღეს. მისი მიღების იდეა და მიზანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისასაღმებელია, მაგრამ პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობა არა მარტო ნაკლებად ხელმისაწვდომია, არამედ სს ნორმის გამოყენებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვით მისი გამოყენება შეუძლებლად მიმაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ამ მუხლისა და დანაშაულის დასახელება, ასევე ამ მუხლის ორივე ნაწილის დისპოზიცია ისეა ჩამოყალიბებული, რომ მისი მიზანი და შინაარსი ერთიმეორეს არ შეესაბამება, რის გამოც მუხლით გათვალისწინებულ ქმედებათა დანაშაულად დაკვალიფიცირების შესაძლებლობა არ არის. შეუძლებელია ისეთი ბავშვის გაშვილებაში ხელის შეწყობა, რომელიც არ დაბადებულა. მაგრამ, რაც მთავარია, კანონი მიუთითებს არა ახალშობილის შვილად აყვანაზე, რასაც გულისხმობს, არამედ ორსული ქალების შვილად აყვანის მიზნით საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნაზე და ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობაზე.
2. სისხლისსამართლებრივი ნორმა გარკვეულად უნდა მიუთითებდეს, ვინ უნდა დაისაჯოს, რატომ და რისთვის. (მხედველობაში გვაქვს კანონის მოთხოვნები სუბიექტის, ქმედებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებისადმი).
3. აღნიშნული მუხლის დასახელებიდან და დისპოზიციურობიდან გამომდინარე, ამ მუხლით უნდა დაისაჯოს საქართველოს ფარგლებს გარეთ იქ მშობიარობისა და ახალშობილის იქვე შვილად აყვანის მიზნით გასაყვანად ფეხმძიმე ქალის წინასწარ შემრჩევი, ამ ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნელი და ასეთი ქალის შემრჩევი, მისი საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნაში ან მშვილებლის მიერ შვილად აყვანაში ხელის შეშეწყობი. ამ სამი მოქმედებიდან ორი -ფეხმძიმე ქალის შერჩევა და მის საქართველოდან გაყვანის შესაძლებლობის შექმნა შეიძლება ჩაიდინოს ერთმა ან ორმა პირმა, ან პირთა მეტმა ჯგუფმა. შვილად აყვანაში ხელშეშეწყობი შეიძლება სულ არ მონაწილეობდეს ან შეიძლება იყოს ერთი და მეტიც. ეს დანაშაული ხელის შეწყობის გარეშე ერთმა პირმაც შეიძლება ჩაიდინოს. ვინ რასაც ჩაიდენს, იმაზე აგებს პასუხს, ჯგუფურად და არაერთგზის ქმედების ჩადენის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-2 ნაწილი. ამ მხრივ სირთულე არ იქმნება და ამიტომ ამაზე მსჯელობა საჭიროდ არ მიმაჩნია.

საქმეს ართულებს და ამ მუხლის გამოყენების შესაძლებლობა თითქმის ნულამდე დაჰყავს ამ მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ამ დანაშაულის ყველა ამსრულებელს უნდა ამოძრავებდეს მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანილი ან გასაყვანი ქალის მიერ შობილი ბავშვის შვილად აყვანის მიზანი. სხვა აზრი ამ მუხლის შინაარსში არ არსებობს. ამ მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თანამონაწილეობას, რაც სსკ ზოგადი ნორმით რეგულირდება) დაწესებულია მხოლოდ ამ მუხლში ჩამოთვლილი სამი მოქმედების შემსრულებელთა მიმართ.

ფაქტიურად შვილად აყვანა და ამ მუხლში აღნიშნული ქალის ამავე მუხლში მითითებული მოქმედება ამ მუხლის გამოყენების საფუძველს არ იძლევა.

4. ამ მუხლში ჩამოთვლილ მოქმედებათა შემსრულებელთ არ შეიძლება ამოძრავებდეთ შვილად აყვანისა და ამისთვის მუხლში ჩამოთვლილ,

დანაშაულებრივ მოქმედებათა ჩადენის მიზანი, როდესაც შვილად აყვანა მათ შეუძლიათ სრულიად კანონიერად, დანაშაულის ჩადენის, საკუთარი თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნისა და მუხლში ჩამოთვლილ მოქმედებათა ჩასადენად საჭირო ხარჯების გაწევის გარეშე.

5. რაც მთავარია, მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუნდაც შვილად აყვანის მიზნით, (ასეთი მიზნის არარსებობის გარეშე ამავე მუხლიდან გამომდინარე) არც ფეხმძიმე ქალის მშობიარობისთვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასაყვანად წინასწარ შერჩევა და არც მისი გაყვანის შესაძლებლობის შექმნა დანაშაულს არ წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში არც ამაში ხელშეწყობა შეიძლება იყოს დასჯადი.
6. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 ნაწილით მაკვალიფიცირებელ ნიშანს - ქმედების ჩადენას პირთა ჯგუფის მიერ, ეს გარკვევას მოითხოვს. მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია სამი მოქმედება, და ის დაყოფილია ორ დანაშაულად. კერძოდ, მუხლში ჩამოთვლილი პირობების შესაბამისად ქალის შერჩევა და მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ მშობიარობისათვის გაყვანის შესაძლებლობის შექმნა დამთავრებული დანაშაულია, ხოლო მათ შორის ერთი ან მეორე, ანდა ორივე მოქმედებაში ხელის შეწყობა მეორე დანაშაულია. ამიტომ იგივე ქმედება, რომელზეც მიუთითებს ამ მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია, ნიშნავს პირველი ან მეორე, ანდა ორივე დანაშაულის პირთა ჯგუფის მიერ ჩადენას. ეს ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ამავე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ ქმედებათა ჩამდენი პირებისაგან.
7. ამავე მუხლის მეორე ნაწილით ქმედების მაკვალიფიცირებელი მეორე ნიშანი - არაერთგზისობა უნდა იქნეს გამოყენებული ამ ნიშნისათვის კანონით გათვალისწინებული წესით ამ დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, რის შესახებაც ზემოთ, ჯგუფურობის ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით არის მსჯელობა.
8. აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობას ერთ ფეხმძიმე ქალის შერჩევის, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნისა და ამ ქმედებაში ხელის შეწყობისათვის, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ გამორიცხავს მუხლის დასახელებასა და დისპოზიციაში ქალებზე მითითება მაშინ, როდესაც მხოლოდ რიცხვში ქალზე მითითება იყო საჭირო და აუცილებელი.

სსკ 172<sup>1</sup> მუხლი მასში ჩამოთვლილ ქმედებათა ჩადენას დანაშაულად არ მიიჩნევს, თუ თითოეული ქალის შერჩევა, მისი გაყვანის შესაძლებლობის შექმნა და ამაში ხელის შეწყობა ხდება ცალკეულ ქალთა მიმართ. ეს დანაშაული კი, როგორც წესი, ხდება მალულად ან შენიღბულად, თითოეული ქალის მიმართ ცალ-ცალკე.

ამრიგად, ყველა მსურველი, გადაბირებული ან დაყოლიებული ქალის ამ მუხლში ჩამოთვლილი ქმედებებით, გზითა და ნებისმიერი მიზნით საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანა შესაძლებელია ისე, რომ ამ მუხლმა ვერ იმოქმედოს და მისი მიზნის განხორციელება ვერ მოხერხდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მუხლის მოთხოვნები ვერ უზრუნველყოფს მისი მიზნების მიღწევას, რის გამოც იგი უნდა შეიცვალოს.

ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ უკეთესია ერთ კანონში - სს კოდექსში (ჯობია ყველა კანონში) ადამიანის ერთი და იგივე მდგომარეობა ერთნაირად, ერთი და იგივე სიტყვებით აისახოს. სსკ 109-ე, 117-ე, 126-ე, 131-ე, 132-ე, 134-ე, 137-ე, 138-ე, 143-ე, 143<sup>1</sup>-ე, 144<sup>3</sup>-ე და 408-ე მუხლებში მითითებაა ორსულ ქალზე. მარტო 172<sup>1</sup>-ე მუხლშია მოხსენიებული ფესმძიმე ქალები. ფესმძიმობა და ორსულობა ერთი და იგივეა. ამიტომ ჯობდა ამ მუხლშიაც ორსულობაზე ყოფილიყო მითითება.

სიტყვა “ქალის” ნაცვლად სიტყვა “ქალების” 172<sup>1</sup> მუხლში გამოიყენება, როგორ ანადგურებას ამ მუხლის ეფექტიანობას, ეს ზემოთ ავლნიშნეთ. ამ და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია სსკ 172<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

**მუხლი 172<sup>1</sup>. ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და ახალშობილის გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ანდა ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა**

1. ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და იქ შობილი ბავშვის იქვე გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ანდა ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 9 წლამდე.

ამ მუხლის ასე ჩამოყალიბება მის დისპოზიციაში ჩამოთვლილ სამ მოქმედებას სამ დანაშაულად აქცევს და, რაც მთავარია, დანაშაულის შინაარსს სწორედ ასახავს, რადგანაც ორსული ქალის საზღვარგარეთ გამყვან პირებს აინტერესებთ აქედან გაყვანილი ორსული ქალის იქ მომშობიარება და ახალშობილის იქვე გაშვილება და არა შვილად აყვანა, როგორც მოქმედი მუხლი მიუთითებს. საზღვარგარეთელს თუ არ ექნა შვილად აყვანის მიზანი, არ აიყვანს. მაგრამ მისი მიზანი ორსული ქალის საზღვარგარეთ გამყვანთა პასუხისმგებლობაზე ვერ იმოქმედებს.

რაც შეეხება დისპოზიციაში სიტყვა “ქალების” სიტყვით “ქალის” შეცვლის მნიშვნელობას, ამის შესახებ ზემოთ ავლნიშნე.

*ალექსანდრე კვაშილავა*  
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი**

ქალი, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი

და დანაშაულის სუბიექტი

რეზიუმე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 172<sup>1</sup> მუხლის შეტანის იდეა მიზანშეწონილია. მაგრამ მისი ეფექტურად გამოყენებისათვის აუცილებელია ამ მუხლის დასახელებისა და პირველი ნაწილის დისპოზიციის ახლებურად ჩამოყალიბება, რადგანაც:

- ამ მუხლის ზუსტად ერთნაირად ჩამოყალიბებული დასახელება და პირველი ნაწილი დანაშაულად აცხადებენ შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალების წინასწარ შერჩევასა და მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნას (1 დანაშაული) ან ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობას (მეორე დანაშაული). არ სჩანს ვის (ქალის თუ ახალშობილის) გაშვილებაზე კანონის მითითება. რადგანაც ახალშობილი მუხლში საერთოდ არ არის მოხსენიებული, ფეხმძიმე ქალის გაშვილებაზე უნდა იყოს მიმართული კანონის მითითება, რაც აშკარად ეწინააღმდეგება ამ მუხლის მიზნებს და ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ ახალშობილის გაშვილება. მაგრამ არავის არავითარი ნაგულისხმევი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ იძლევა, რადგანაც სამართლებრივი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ კანონს.
- ეს მუხლი მეორე დანაშაულად აცხადებს “ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობას”. მუხლში არანაირი გაშვილება არ არის დასახელებული. ამიტომ გაურკვეველია თუ როგორი გაშვილებაა ამ მუხლით დანაშაულად გამოცხადებული.
- მუხლში მითითებულია მხოლოდ ქალებზე, ე.ი. ორზე ან მეტზე. ამიტომ თითო-თითოდ, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გარეშე, საქართველოს ფარგლებს გარეთ ყველა ფეხმძიმე ქალის ვთქვათ, რომ გადაყვანა მოხდეს, იგი ერთ დანაშაულადაც არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, ე.ი. დისპოზიციის ასეთი კონსტრუქცია სპობს ამ მუხლის ბრძოლისუნარიანობას, მისი გამოყენების საშუალებას.
- სისხლის სამართლის კოდექსის ყველა მუხლში, რომელშიაც ორსულებზეა მითითება, გამოყენებულია სიტყვა: “ორსულობა”. მხოლოდ 172<sup>1</sup> მუხლი მიუთითებს ფეხმძიმობაზე. ეს დარღვევა არ არის, მაგრამ სჯობია ადამიანის ერთი და იგივე მდგომარეობა ერთი და იგივე სიტყვით აისახოს მთელს კოდექსში.

ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო სსკ 172<sup>1</sup> მუხლის დასახელებისა და პირველი ნაწილის დისპოზიციის შეცვლა ამ სტატიის ტექსტში შემოთავაზებული რეკომენდაციით მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

## **Женщина, как защищенный уголовным правом объект и субъект преступления**

### **Резюме**

Идея внесения 172<sup>1</sup> статьи в уголовный кодекс Грузии целесообразна. Но для эффективного ее использования необходимо по-новому сформулировать название и диспозицию первой части этой статьи, так как:

- Абсолютно идентично сформулированное название и первая часть этой статьи объявляют преступлением создание возможностей для предварительного подбора беременных женщин и вывод их за границу с целью усыновления (удочерения) (1 преступление) или же содействие в таком усыновлении (удочерении). Не видно о чем усыновлении/удочерении (женщины или новорожденного) указано в законе. Так как новорожденный вообще не упоминается в статье, получается, что закон указывает на беременную женщину, однако это противоречит целям статьи и поэтому мы должны подразумевать новорожденного. Однако никто не имеет право принимать подразумевающие юридические решения, так как юридические решения должны соответствовать только закону.
- Это статья вторым преступлением объявляет «содействие в таком усыновлении/удочерении.» В статье не названо никакое усыновление/удочерение, поэтому не понятно какое усыновление/удочерение объявлено преступлением этой статьей.
- В статье дается указание только о женщинах, т.е. о двух и более. Поэтому вывоз за границу женщин поодиночке без нарушений условий этой статьи не будет квалифицироваться даже как одно преступление, т.е. такая конструкция диспозиции уменьшает боеспособность этой статьи, возможность ее использования.
- Во всех статьях уголовного кодекса, где есть указание на беременных, используется слова “беременность”. Только 172<sup>1</sup> статья использует слово “в положении”. Это не нарушение, но было бы лучше если одно и тоже положение человека отражалось бы одним и тем же термином.

Исходя из всего вышесказанного считаем целесообразным, чтобы название 172<sup>1</sup> статьи и ее первая часть были изменены согласно рекомендации данной в этой статье.

*Aleksandre Kvashilava*

## **The woman, as the object protected by criminal law and the subject of a crime**

### **Abstract**

The idea of adding article 172<sup>1</sup> in the criminal code of Georgia is expedient. But for its effective use it is necessary to formulate it in a new manner, namely the name and a disposition of the first part of the article must be as follows, because:

1. Absolutely identically formulated name and the first part of the article, declare as a crime preliminary selection of pregnant women and creation of opportunities for their conclusion abroad with the purpose of adoption of baby (1 crime) or assistance in such adoption. It is not visible about whose adoption (women or the newborn) is specified the law. As the newborn is

not mentioned at all in article, it turns out, that the law specifies the pregnant woman, however it contradicts the purposes of article and consequently we should mean the newborn. However nobody has the right to make implicit legal decisions as legal decisions should correspond only to the law.

2. The Article also declares as crime « assistance in such adoption ». Whereas in the clause no kind of adoption is named, therefore it is not clear what adoption is declared as a crime by this clause.

3. In the article the instruction is given only about women, i.e. about two or more. Therefore export abroad of women one by one without infringements of conditions of this clause will not be qualified even as one crime, i.e. such design of a disposition reduces fighting capacity of this clause, an opportunity of its use.

4. In all articles of the criminal code where there is an instruction on pregnant women, is used words "pregnancy". Only 172<sup>1</sup> clause uses a word "in position". It is not infringement, but would be better if same position of the person would be reflected by the same term.

According from all aforesaid it is considered expedient that the name of 172<sup>1</sup> article and its first part to be stated in following edition:

**ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ქალის სტატუსი**

ადამიანთ ვაჭრობასთან დაკავშირებით სტატისტიკური მასალების მოძიების ორი ძირითადი წყარო არსებობს, რომელთაგან ყველაზე დიდი და სანდოა ბუნებრივია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების ინფორმაციაა.

მათი ერთი ნაწილი არის სამართალდამცავთა სტრუქტურების მიერ ჩატარებული გამოძიებებისა და სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული მასალები.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ზუსტი სტატისტიკა აღარ გაგვანია. აღსანიშნავია, რომ 2005, 2006 და 2007 წლების ნაწილის უფრო ფართო სტატისტიკა არსებობს, რომელიც გვიჩვენებს, რომ იმ ორწელიწად ნახევრის განმავლობაში დაფიქსირებული იქნა ასზე მეტი ტრეფიკინგის მსხვერპლი; რომელთაგან ძირითადად იყვნენ ქალები და რამდენიმე არასრულწლოვანი გოგონა. ექსპლოატაციის ძირითადი სახე იყო სექსუალური ექსპლოატაცია, ხოლო ძირითადი დანიშნულების ქვეყანა - თურქეთი, რაც ჩვენი მონაცემების მიხედვით დღემდე არ შეცვლილა.

როდესაც ვსაუბრობთ დაფიქსირებული ტრეფიკინგის შემთხვევებზე, თურქეთი არის საქართველოს მოქალაქეებისთვის ძირითადი დანიშნულების ქვეყანა. მამაკაცების ტრეფიკინგის შემთხვევაში ძირითადად საუბარია (რაც თქვენთვის სურპრიზი არ იქნება) ე.წ. შრომის ექსპლოატაციაზე, როცა ისინი თავისი ნებითა და ინიციატივით მიდიან თურქეთში, ადგილზე დასასაქმებლად. მამაკაცები ძალიან ხშირ შემთხვევაში მომზადებულნი არ არიან და არ იციან რა სახის დასაქმება ელით მათ იქ, უბრალოდ ადგილზე ირკვევა თუ სად იმუშავენ. სამწუხაროდ, მათი არამომზადებული ხასიათის გამო იმის რისკი რომ, ისინი არაკეთილსინდისიერი დამსაქმებლების ხელში აღმოჩნდებიან, საკმაოდ მაღალია. არ შემიძლია ვთქვა არალეგალური მიგრანტების შემთხვევაში, (მათ შორის ტრეფიკინგის შემთხვევაში) პროცენტულად რა რაოდენობა ფიქსირდება, ვინაიდან, ეს შეუძლებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო).

მნიშვნელოვანია, რომ როცა საუბარი გვაქვს თურქეთისა და მითუმეტეს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონებზე ადგილზე მოხდეს იდენტიფიცირება არალეგალურ მიგრანტებს შორის, რომ გაირკვეს: ვინ გახდა ტრეფიკინგის მსხვერპლი და ვინ არა; ვის რა სახის დახმარება სჭირდება, ვიდრე მოხდეს



აქცენტის გაკეთება და ფოკუსირება (როგორც ხშირად ხდება) თურქეთის სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პირთა იძულებით დეპორტაციაზე, რათა მათ რაც შეიძლება მალე დატოვონ თურქეთის ტერიტორია. ეს რა თქმა უნდა ხელს უშლის ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირებას.

მეორე ფაქტორი, ჩემი აზრით, ის სამწუხარო ფაქტია რომელიც თქვენთვისაც ცნობილია: თვითცნობიერება და ზოგადად ცნობიერება იმიგრანტთა შორის მათი უფლებების შესახებ, უფლებების დაცვისა და შემდგომში დახმარების მოძიების შესახებ, ზოგ შემთხვევაში მათთვის პრიორიტეტული არ არის.

მესამე საკითხი კვლავ შეეხება თურქეთის შემთხვევასა და იქ ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აღმოჩნდებიან ხოლმე სხვა და სხვა პრობლემების წინაშე. ეს დადასტურდა როგორც თვითონ თურქეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა და თურქეთის სხვადასხვა მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ასევე სხვა და სხვა უცხო ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლების მიერაც. სამწუხაროა, რომ როცა საუბარია ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრციდან ჩამოსულ მიგრანტებზე, რატომღაც ყველაზე ნაკლებად საქართველოს მოქალაქეებს აქვთ თანამშრომლობის სურვილი.

როცა საუბარია ტრეფიკინგის სავარაუდო შემთხვევაზე, თანამშრომლობა თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან მითუმეტეს თურქეთის სამართალდამცავ სტრუქტურებთან მათ ძალიან ხშირ შემთხვევაში არა აქვთ. ამიტომაც არ ფიქსირდება იმდენი ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომლებიც ალბათ რეალობაში ხდებიან. რატომ არ აქვთ მათ თანამშრომლობის სურვილი?-ალბათ იმის გამო რომ საქართველოს მოქალაქესთვის შედარებით ადვილია დაბრუნება სამშობლოში და მათ შეიძლება არც სჭირდებოდეთ დახმარება საქართველოში დასაბრუნებლად, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი.

თურქეთის სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ ისევ აქვთ თურქეთში დაბრუნების სურვილი და რაც უფრო ნაკლები პრობლემები ექნებათ თურქეთის პოლიციასა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან მათთვის უკეთესი იქნება. ყოველ შემთხვევაში ისინი ასე ფიქრობენ. ამავე დროს, როცა ბრუნდებიან საქართველოში იმის გამო რომ მათ სურვილი არ გააჩნიათ ისაუბრონ თავიანთ გამოცდილებაზე, თუ რა გადახდათ საზღვარგარეთ, საზღვარზე და შემდგომში, ტრეფიკინგის მოვლენა საქართველოში (და არა მარტო საქართველოში,

მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს საქართველოზე) ძირითადად რჩება დამალულ მოვლენად. რაც არის ხელის შემშლელი პირობა იმის დასადგენად, თუ ტრეფიკინგის რა მასშტაბია საქართველოში და აგრეთვე დახმარების გასაწევად იმ პირებისათვის რომლებსაც სავარაუდოდ ნამდვილად სჭირდებათ სხვადასხვა სახის დახმარება.

მოგახსენებთ, რამდენიმე სიტყვას მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებაც, ხოლო რაც შეეხება მსხვერპლთა დახმარებას, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ შექმნილია საკმაოდ ფართო მექანიზმი ე.წ. სახელმწიფო ფონდის მეშვეობით და არსებობს რეალური მექანიზმები რათა ტრეფიკინგის მსხვერპლებმა, (როცა მათ აქვთ დადგენილი წესების მიხედვით მიღებული ოფიციალური სტატუსი), მიიღონ სხვადასხვა სახის დახმარება. ამისთვის გამოყოფილია თანხა სახელმწიფოდან ბიუჯეტიდან, რაც ჩვენის აზრით ძალიან კარგი მოვლენაა წინა წლებთან შედარებით.

2008 წლამდე ინდენტიფიცირებული მსხვერპლების სტატისტიკის მიხედვით, იდენტიფიცირებული მსხვერპლების რაოდენობამ შედარებით დაიკლო. ეს თქვენთვისაც გასაგები იქნება, რომ არ ნიშნავს იმას თითქოს ზოგადად ტრეფიკინგის შემთხვევებმა საქართველოში დაიკლო, ამ დასკვნას სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ გავაკეთებთ. ამავე დროს არც იმის თქმა შემიძლია რომ ნაკლებად აქტიურობს სახელმწიფო, უბრალოდ აქ ის ფაქტორია მნიშვნელოვანი რამდენად აქტიურობს სხვადასხვა სახელმწიფოს რელევანტური სტრუქტურები, მითუმეტეს საზღვარზე როცა საქართველოს მოქალაქეები ბრუნდებიან საზღვარგარეთიდან. მაგალითად, როცა თურქეთიდან სახმელეთო გზით ბრუნდებიან საქართველოს მოქალაქეები საქართველოში, იქ ალბათ საჭიროა უფრო სტრუქტურული მიდგომა, რათა საზღვრის კონტროლის ავტორიტეტები უფრო მზად იყვნენ გააკეთონ სწორი დასკვნა იდენტიფიკაციის სხვადასხვა ზომების საფუძველზე, თუ ვინ შეიძლება სავარაუდოდ იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი და თუ დადგინდა რომ დაბრუნდა სავარაუდო ტრეფიკინგის მსხვერპლი, ყოველგვარი შეფერხების გარეშე იმოქმედოს ადგილზე ე.წ. “გადამისამართების მექანიზმით”, რომელიც უკვე შექმნილია სახელმწიფოს მიერ და რომელშიც მონაწილეობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. ამან უფრო სტრუქტურული სახე უნდა მიიღოს.

საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დეპორტირებულ პირთა შორის ე.წ. სკრიმინგი, რომელიც ნიშნავს იდენტიფიცირებას. მათ შორის იმის, თუ ვის როგორი გამოცდილება ჰქონდა საზღვარგარეთ და მათ შორის ვინ შეიძლება იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი. ამის შემდეგ უნდა ამოქმედდეს ე.წ. გადამისამართების მექანიზმმა.

ჩვენ ვხედავთ, რომ იქ ადგილი აქვს გაუმჯობესებას. საუბარი მაქვს სამ გამშვებ პუნქტზე, ეს პირველ რიგში არის სარფი მაგრამ არანაკლებად, თურქეთთან საზღვარი - ვალე, რომელიც სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით შეიძლება დავასახელოთ, როგორც სუსტი წერტილი ამ ტრეფიკინგის სფეროში. ამავე დროს მნიშვნელოვანია თბილისის აეროპორტი, ძირითადად მაშინ როცა ადგილი აქვს სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტაციას და რაც უფრო მტკივნეული საკითხია, დაბრუნებას არაბეთის გაერთიანებული ემრატებიდან.

ორიოდე სიტყვით ჩვენი ორგანიზაციის მიერ მიწოდებული დახმარების შესახებ მოგახსენებთ. საქართველოში უკვე არსებობს ე.წ. გადამისამართების მექანიზმი და არსებობს სხვადასხვა მომსახურების ტიპები, რითიც ხდება ჩვენს მიერ გადამისამართება. ერთი საკითხია დაბრუნება სამშობლოში, (საუბარი არის საქართველოში იდენტიფიცირებული ტრეფიკინგის მსხვერპლების დაბრუნებაზე სამშობლოში) თუ მათ აქვთ ამის სურვილი, ჩვენს ორგანიზაციებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ და ეს ხშირად ხდება ამ სახელმწიფოს სტრუქტურებთან თანამშრომლობის სახით ან/და არასამთავრობო სტრუქტურების დახმარების სახით. 2004 წლის ივნისიდან დღემდე დაფიქსირებულია 31-მდე ასეთი შემთხვევა, მათ შორის იყო 8 საქართველოს მოქალაქე, რომლებიც დაბრუნდნენ თურქეთის I -ის იქაური ოფისის დახმარებით და ასევე დანარჩენი 23 იყო სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის ძირითადად იყვნენ უზბეკეთის მოქალაქეები, რამოდენიმე იყო ყირგიზეთის მოქალაქე, 4-5 იყო რუსეთის მოქალაქე; ძირითადად ეს სამი ქვეყანა არის წყარო ქვეყნები, საიდანაც მოხდა საქართველოში ჩამოსვლა ან თუნდაც საქართველო როგორც სატრანზიტო ქვეყანა სხვადასხვა მიმართულებებისკენ სადაც ის პიროვნებები გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხან სხვა ქვეყანაში და ხანაც საქართველოში. ამჟამად ველოდებით ერთი უზბეკეთის მოქალაქეს დაბრუნებას, რომელიც იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და ამის გარდა ველოდებით თურქეთიდან საქართველოს მოქალაქეს დაბრუნებას, რომელიც უნდა დაბრუნდეს ახლო მომავალში.

ჩვენთვის ყველაზე მტიკივრულ საკითხი, რომელიც ადამიანით ვაჭრობასა და ადამიანის ექსპლოატაციას შეეხება არის ე.წ. საშინაო მომსახურების სფერო. თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ადამიანები საქართველოდან და არა მარტო საქართველოდან სხვა ქვეყანაში დასაქმებულნი არიან ოჯახებში მომვლელად, ეს ძირითადად არის მოხუცებისა და ბავშვების მოვლა. ბოლო დროს გაიზარდა ქალების მოგზაურობა თურქეთში იმიტომ, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებზე მოთხოვნა თურქეთში გაიზარდა, რადგანაც ქართველი ქალები თურქეთში ცნობილი არიან როგორც სანდო მუშა ხელი. უკვე მრავალი წელია ეს საბერძნეთში ტრადიციული მოვლენაა, ასევე იტალიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს სამი ქვეყანა ძირითადი დანიშნულების ქვეყნებია, როცა საუბარი გვაქვს საქართველოდან საზღვარგარეთ გამავალ მომვლელ პირებზე. ბოლო დროს თურქეთში დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ქალბატონი მუშაობდა ოჯახში და მერე იქიდან მოხდა მისი გადაბირება და გახდა სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი სხვაგან. თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ საქართველოშიც და თურქეთშიც მოქმედებენ ე.წ. შუამავალი პირები ფირმისა თუ კერძო პირის სახით რომლებიც სთავაზობენ ზუსტად სამი თვით დასაქმებას თურქეთში მომვლელად. ეს ადგილები წინა წლების მიხედვით ძირითადად იყო თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვის სანაპიროებზე როგორცაა მაგალითად მერსინი და სხვადასხვა ქალაქები. სამ თვეს იმიტომ სთავაზობენ რომ საქართველოს მოქალაქეს თურქეთში წასასვლელად და იქ დასარჩენად არ სთხოვენ ვიზას, მაგრამ იქ მას არ აქვს მუშაობის უფლება, ეს მათთვის წინასწარ ცნობილია. უბრალოდ ისინი სამი თვის განმავლობაში მუშაობენ და მერე ცდილობენ საქართველოში დაბრუნებას და მერე ისევ თურქეთში იმავე ოჯახში დაბრუნებას სამუშაოდ იგივე საქმის გასაგრძელებლად. რა თქმა უნდა ეს ჯგუფები არიან ტრეფიკინგის რისკის ჯგუფი, როგორც დადგინდა ბოლო დროს.

საჭიროა იქაური სხვადასხვა ავტორიტეტების მხრიდან აქტიურობა, რათა მოხდეს მათი დაცვა თუნდაც არალეგალური მიგრანტის სახით და ასევე აუცილებელია მოქმედება საქართველოს მხრიდანაც, რომ მიგრანტები სხვა ქვეყანაში არ დარჩნენ.

*მარკ ჰულსტი*

**მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის  
საქართველოს მისიის პროგრამის ხელმძღვანელი**

**ადამიანთ ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ქალის სტატუსი**

**რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში საუბარია ტრეფიკინგის შემთხვევებზე თურქეთის ტერიტორიაზე. განხილულია მისი გამომწვევი მიზეზები და საქართველოს მოქალაქეების პრობლემები ამ კუთხით.

ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ძირითადად ტრეფიკინგის მსხვერპლნი არ არიან გათვითცნობიერებულნი საკუთარ უფლებებში და თავდაცვის მექანიზმები მათთვის არაა პრიორიტეტული. აღნიშნული დანაშაული საქართველოში ფარული ხასიათისაა, რაც უფრო მეტად ხელს უშლის პრობლემის აღმოფხვრას.

სტატიაში მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება საქართველოში საზღვრის კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებასა და ე.წ. გადამისამართების პრაქტიკის დანერგვას. ასევე სტატიაში საუბარია იმაზე, რომ შესაბამისი სტრუქტურების მიერ მოხდეს არალეგალური მიგრაციის პრობლემაზე ყურადღების გამახვილება.

*Mark Hulst*

**Торговля людьми (треффикинга) и статус женщин**

**Резюме**

В данной статье разговор идет о случаях трэффикинга на территории Турции. Рассмотрены их причины и проблемы граждан Грузии с этой точки зрения.

Особое внимание уделено тому факту, что в основном жертвы трэффикинга не осознают своих прав и механизмы защиты для них не приоритетны. Этот тип преступления носит скрытый характер в Грузии, что еще больше осложняет решение этой проблемы.

В статье даны рекомендации, которые касаются улучшения механизма пограничного контроля и внедрению т.н. практики переадресации. Статья призывает правоохранительные органы обеих стран обострить свое внимание на проблему нелегальной миграции.

*Mark Hulst*

**Trafficking and status of woman**

**Abstract**

In the article discussion goes about cases of trafficking in territory of Turkey. Are considered reasons of the event and problem of citizens of Georgia from this point of view.

The special attention is given to the fact, that basically victims of trafficking do not realize their rights and mechanisms of protection are not of main concern for them. This type of a crime carries hidden character in Georgia, what complicates the decision of this problem even more.

In the article are given recommendations which imply improvements of the mechanism of the boundary control and introduction of so-called practice of redirection. Clause calls law enforcement bodies of both countries to aggravate the attention to a problem of illegal migration.

**მშვიდობა და განვითარება საქართველოში**

არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალგაზრდები მშვიდობისა და განვითარებისათვის” აგვისტოს მოვლენების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობს “ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობ საზოგადოებასთან”.

“ტრეფიკინგზე“ ტრენინგის გავლის პროცესში გადაწყვეტილი იქნა ჩატარებულიყო საპრევენციო აქცია (ძირითადად ბავშვებისათვის), რომელსაც შემდგომში კვირეულის სახე მიეცა.

აღმოჩნდა, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლების ძირითადი ნაწილი ადრე ოჯახური ძალადობის მსხვერპლი იყო. აქედან გამომდინარე აქციის პირველი ეტაპი შეეხო ოჯახურ ძალადობას.

ფსიქოლოგებთან ერთად შედგა ანკეტა ოჯახური ძალადობის თემაზე გამოიკითხა თბილისის ყველა უბანი 14-16 წლის ასაკის სკოლის მოსწავლეებში.

მეორე ეტაპზე გამოცხადდა ფოტოკონკურსი თემაზე “ტრეფიკინგის პრევენცია“ და ასევე სიმღერის ტექსტის კონკურსი თემაზე“ ტრეფიკინგი“... გამარჯვებულ ტექსტზე დაიწერება მუსიკა და ჩაიწერება კლიპი, რომელიც აქტიურად გავრცელდება ტელეარხებსა და რადიოში.

ფოტოკონკურსის სამი გამარჯვებული დაჯილდოვდება იური მეჩითოვის სტუდიაში უფასო სწავლით. ასევე ფასეულ ჯილდოს მიიღებს სიმღერის ტექსტის კონკურსში გამარჯვებული პირიც.

მოლაპარაკების შემდგომ მოხდა შეთანხმება მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციასთან, რის შედეგადაც მივიღეთ აღნიშნულ ტერიტორიაზე თამაშის ჩატარების უფლება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მიუსაფარ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. (ანუ ძირითადი ნაწილი ოჯახური პრობლემების მსხვერპლებისა)

კვირეულს გახსნის კონფერენცია ბატონ სოზარ სუბართან, სადაც წარმოდგენილი იქნება სოციოლოგიური კვლევის შედეგები. კონფერენციას დაესწრება სოციალური პრობლემების სფეროში ჩართული მრავალი ორგანიზაცია. ამავედროულად მოეწყობა კლიპის პრეზენტაცია. შემდეგ დღეს ჩატარდება ფოტოგამოფენა. ხოლო კვირეულის დასასრულს, უსახლკარო ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ თამაშში რომელიც ირიბი ხერხით მიიყვანს მათ, და არა მხოლოდ მათ, ტრეფიკინგთან ბრძოლის გზებამდე.

“ჩვენი ორგანიზაციის მიზანია, რომ საქართველომ შეძლოს წინსვლა მშვიდობასა და ერთობაში, სწორედ ამიტომ, დასაწყისისთვის, მუშაობა სოციალური პრობლემების გადაჭრაზე დავიწყეთ. ჩვენ, ერთ მუშტად შეკრულნი, დავძლევთ ყველაფერს!“

**მშვიდობა და განვითარება საქართველოში**

**რეზიუმე**

გაკეთდა პრეზენტაცია ორგანიზაცია “ახალგაზრდები მშვიდობისა და განვითარებისათვის” მიერ წამოწყებული პროექტის შესახებ, რომელიც ეხება ტრეფიკინგის პრობლემას და მოიცავს ახალგაზრდა თაობაში აღნიშნული პრობლემის შესწავლას, გაცნობასა და გამოკვლევას.

*Гурам Бараташвили*

**Мир и развитие в Грузии**

**Резюме**

Была сделана презентация проекта запущенного организацией «Молодежь за мир и развитие», который касается проблем траффикинга и включает в себя изучение, ознакомление и исследование этой проблемы молодежью.

*Guram Baratashvili*

**Peace and development in Georgia**

**Abstract**

Here speaker had represented program elaborated by the organization –“youth for peace and development”, and aimed for study and research of the problem of trafficking among school pupil.

თანამედროვე ტიპის მონობა – ტრეფიკინგი

თანამედროვე პირობებში ტრეფიკინგის შინაარსმა განიცადა გარკვეული სახის ევოლუციური ცვლილებები, რაც ძირითადად მსხვერპლის დაუფლების ფორმების ცვლილებებიდან გამომდინარეობს. თანამედროვე პირობებიდან გამომდინარე, ძირითად შემთხვევებში, ექსპლუატატორი არ იხდის დამონებისთვის თითქმის არაფერს და იურიდიული პასუხისმგებლობის დადგომის საფრთხეც მას თითქმის არ ემუქრება. მსხვერპლის დამორჩილების უპირველეს სახეს ამ დროს მოტყუება და/ან იძულება წარმოადგენს, იმ დროს როდესაც წარსულ პერიოდებში მას მონის ბაზარზე ყიდვა უწევდა მონის ფიზიკური და გონებრივი მონაცემებიდან გამომდინარე გარკვეული სოლიდური საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე რაც მისი შემდგომი მოვლის და გაფრთხილების, როგორც ძვირადღირებული მატერიალური საკუთრების ობიექტის, სურვილს აღძრავდა, ანდა დამონების საშუალება იყო ომში გამარჯვება რაც ასევე სასიცოცხლო რისკთან იყო დაკავშირებული. ახალი ტიპის მონობა, ძველისგან განსხვავებით, მოიცავს დამონების შემდეგ ფორმებს, ესენია: ადამიანის ვალის გადახდის სანაცვლოდ დამონება, მოტყუებით კაბალური ხელშეკრულების გაფორმებით და ადამიანის მუდმივ სერვიტუდის პირობებში ყოლება. თანამედროვე პირობებში პრობლემას წარმოადგენს ტრეფიკინგის ის თვისება, რომ ჩადებული დანახარჯების სიმცირის ფაქტი არ წარმოშობს პიროვნების მოვლის ვალდებულებას, ამ სახის მონებისთვის კვინ ბეილსმა თავის ნაშრომში *“Disposable People: New Slavery in the Global Economy”* ჩამოაყალიბა ახალ დეფინიცია *“disposable people”* ანუ “ერთჯერადი გამოყენების ადამიანები” რომელთა უმოწყალოდ გამოყენებაც შეიძლება მათ სიკვდილამდე და გარდაცვალების დადგომის ფაქტს ექსპლუატატორის მხრიდან არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება, ინვესტირებული სახსრების სიმცირის და გარდაცვლილის სანაცვლოდ ახალი მსხვერპლის იოლი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეოცე საუკუნის დემოკრატიულმა ტრანსფორმაციამ – ადამიანის უფლებების, მათი თანასწორობის, შრომითი უფლებების და პირობების აღიარებამ მოახდინა აღნიშნული სახის ქმედებების დაგმობა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყება და ჩვეულებრივი მოვლენიდან კრიმინალის ჩარჩოებში მოქცევა.

ტრეფიკინგის ორგანიზებულ დანაშაულად ჩამოყალიბებას და საყოველთაო გავრცელებას ხელი შეუწყო ბოლო რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებმა, მათ შორის საბჭოთა კავშირის სივრცის დაშლამ და ახალი ცალკეული სახელმწიფოების წარმოშობამ და საზღვრების გახსნამ, მათი დაცულობის შესუსტებამ. რკინის ფარდის მოშლამ და პოსტ-საბჭოთა სივრცეში ეკონომიკის სტაგნაციამ გამოიწვია ის რომ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მიაწვდა აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი კარგად ანაზღაურებადი სამუშაოსა და ცხოვრების უკეთესი პირობების მოლოდინით, რამაც არნახული ბიძგი მისცა თითქოსდა „მივიწყებულ“ დანაშაულს ადამიანებით ვაჭრობას – ტრეფიკინგს. აღნიშნულმა დანაშაულმა გავრცელების მასშტაბითა და ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების საშიშროებით, აგრეთვე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების ოდენობით, საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მსოფლიოში მესამე ადგილი დაიკავა.



“არსებული სარწმუნო წყაროების მონაცემებით, ტრეფიკინგში ჩართული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ყოველწლიურად, ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარი ქვეყნების მიმართულებით მილიონამდე ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ.”(მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში, 2006წ).

აქვე უნდა აღვნიშნო რომ საზოგადოებაში არსებობს მრავალი მცდარი წარმოდგენა ტრეფიკინგთან დაკავშირებით, რასაც დევიდ ა. ფეინგოლდმა მიუძღვნა თავის ნაშრომი “ადამიანთა ტრეფიკინგი” სადაც იგი დაზუსტებით აღწერს და აკრიტიკებს ამ მცდარ წარმოდგენებს. კერძოდ იგი ამბობს, რომ:

- 1) მცდარია წარმოდგენა თითქოსდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმრავლესობა ჩაბმული ჰყავთ სექს ინდუსტრიაში. რასაც ადასტურებს “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის” 2005 წლის აზიის რეგიონის სტატისტიკა სადაც იძულებითი შრომის მსხვერპლ 9,5 მილიონი ადამიანიდან მხოლოდ 10 პროცენტი გახლდათ ჩაბმული კომერციულ სექს ინდუსტრიაში.
- 2) ასევე ვერ დავეთანხმებით ხშირად გაუღებულ მიდგომას, რომ საზღვრების კონტროლის გამკაცრება შეამცირებს ტრეფიკინგის ფაქტებს, პირიქით გამოცდილებამ აჩვენა რომ აღნიშნულმა ქმედებებმა გამოიწვია ტრეფიკინგის გაფართოება რადგან ხალხის მიმართულებით არალეგალურ ბიზნესებთან რომლებიც მათ პირდებოდნენ საზღვრებზე გადაყვანას, და სინამდვილეში კი უზრუნველყოფდნენ მათ ჩაბმას ტრეფიკინგში საგრძნობლად გაიზარდა, რადგან ადამიანებით თავისი ძალებით ვეღარ ახდენდნენ საძღვრების გადალახვას.
- 3) მცდარია წარმოდგენა, რომ ტრეფიკინგი არის დიდი ერთიანი ბიზნესი რომელიც მკაცრად კონტროლირდება ორგანიზებული დანაშაულობის მიერ, მიუხედავად იმისა რომ იგი არის დიდი ბიზნესი, რომელსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით მსოფლიო მაშტაბით მოაქვს 32 მილიარდი დოლარის ყოველწლიური არალეგალური შემოსავალი, ტრეფიკინგი მაინც წარმოადგენს დაქსაქსულ მრავალი სახის და ფორმის ქმედებებს და ჩამდენი ორგანიზაციების ერთობრიობას, რაც ახლოს ვერ მოვა ნარკოტიკების მსოფლიო ბაზართან რომლის მოცულობაც შეფასებულია 320 მილიარდით და სადაც არსებობდნენ ისეთი ცნობადი ლიდერები როგორიც იყო კოლუმბიელი პაბლო ესკობარი.
- 4) პროსტიტუციის ლეგალიზება წაახალისებს ტრეფიკინგს. ესეც ნაწილობრივ მცდარი აზრია რადგან ევროპის რიგ სახელმწიფოებში მაგალითად საკმარისია გერმანია და ჰოლანდია პროსტიტუცია ლეგალუ ჩარჩოებშია მოყვანილი რაც არ ქმნის ნეგატიურ გარემოს ტრეფიკინგისთვის.
- 5) ტრეფიკინგთა ფაქტების გამოძიება შეამცირებს მის გავრცელებას. სამართალდამცველების ბრძოლას ტრეფიკიორებთან აქვს მცირედი ეფექტი, რაც დასტურდება ა.შ.შ.-ს გამოცდილებით სადაც 2000 წელს მიიღეს სპეციალური სამართლებრივი აქტი ტრეფიკინგთან ბრძოლისთვის, რასაც სავარაუდოდ უნდა მოყოლოდა ფაქტების შემცირება, მაგრამ ამერიკის მთავრობის მონაცემებიდან ნავარაუდევია 200 000 ტრეფიკინგის მსხვერპლიდან, და იმ პირობებში როცა არსებობს სათანადო კანონმდებლობა და კარგად გაწვრთნილი კადრები მის აღსასრულებლად, მხოლოდ 500 მსხვერპლმა შეძლო ტ-ვიზის მიღება, სპეციალური ვიზისა რომელიც მიეცემა მსხვერპლთ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობისათვის. ფაქტიურად 2001-2003 წლებში აშშ-ში მხოლოდ 110 ტრეფიკიორი იქნა გასამართლებული საიდანაც

მხოლოდ 77 დაუდგინდა ბრალი. რაც ნათლად ადასტურებს, რომ სამართალდამცავების მოქმედებას აქვს მცირედი - უმნიშვნელო ეფექტი ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში.

- 6) სანქციები შეაჩერებს ტრეფიკორებს. აშშ-მ ზემოთხსენებული კანონით ასევე შექმნა სპეციალური წახალისებების და სანქციების სისტემა სადაც იგი ყოველწლიურად კონგრესში მოხსენების სახით აფასებს და რანგირებას უკეთებს სხვადასხვა სახელმწიფოების მოდერნიზაციას ტრეფიკინგთან ბრძოლის საქმეში და იმ სახელმწიფოებს რომელთა საქმიანობაც არასათანადოდ იქნება შეფასებული ემუქრება შესაბამის სანქციის დაწესებით, რაც საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით არის კონტრპროდუქტიული და იწვევს ამ სახელმწიფოების მხრიდან კარჩაკეტილობას, თანამშრომლობის შემცირებას. ხოლო ზოგიერთი სახელმწიფო ამერიკის მხრიდან მხარდაჭერის და ფინანსური სახსრების მიღების მიზნით ატარებს მოჩვენებით კომპანიებს რომლებსაც პრაქტიკული შედეგი თითქმის არ აქვთ, და მხოლოდ ქაღალდზე აისახებიან კონგრესის მოწონების მიღების მიზნით.
- 7) ტრეფიკინგის მსხვერპლნი უნდა დავაბრუნოთ თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში – არა ყოველთვის, რადგან იქ მათი ასე ერთი ხელის მოსმით დაბრუნება დააბრუნებს მათ იგივე გაუსაძლის მდგომარეობაში რამაც აიძულა ისინი წასულიყვნენ და გამხდარიყვნენ მსხვერპლნი. ასევე მათ ნაწილს სამშობლოში აღარ გააჩნიათ საარსებო პირობები და საცხოვრებელი, ასევე ის პირები რომლებიც ტრეფიკინგში ჩააბეს ორგანიზებული დანაშაულებრივ დაჯგუფებებმა, შეიძლება დიდი ალბათობით გახდნენ სასიცოცხლო საფრთხის ქვეშ და ხშირად ისევ გახდებიან განმეორებითი ტრეფიკინგის მსხვერპლნი. აქვე იჩენს თავს პიროვნების იდენტიფიკაციის პრობლემა, ტრეფიკინგის მსხვერპლთ არ გააჩნიათ საბუთები და ხშირ შემთხვევაში წარმოშობის სახელმწიფოში ისინი უუფლებო მდგომარეობაში ვარდებიან და უჭირთ თავიანთი თავის იდენტიფიცირება.
- 8) და ბოლოს მცდარია ის მიდგომა, რომ ტრეფიკინგის სული ჩამდგმელია სიღარიბე. ეს ვითარების ძალზედ გამარტივებაა, ტრეფიკინგი ძირითადად წარმოადგენს მიგრაციას რომელიც ძალიან არასწორად წარიმართა და რისი მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო როგორც სიღარიბე, ასევე პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა, ასევე დიდწილად მსხვერპლთა არასწორი წარმოდგენა სამყაროზე რომლებსაც როგორც პეპლებს იზიდავს დიდი ქალაქები თავის სიდიდითა და სინათლით, ესაა ძირითადი მიზეზი იმისა თუ რატომ ხდება აფრიკის პატარა ქალაქის საშუალო შესაძლებლობის მქონე ოჯახიდან გამოსული გოგონა ტრეფიკინგის უფრო ხშირი მსხვერპლი ვიდრე იგივე აფრიკის ღარიბი სოფლის ღარიბი მკვიდრი.
- 9) ასევე არასწორია ის მიდგომა რომ ტრეფიკინგი ქმნის გარკვეულ სიმდიდრეს იმ რეგიონებში სადაც ის ყვავის. მიუხედავად იმისა რომ რატქმაუნდა, არის გარკვეული მატერიალური შემოსავლები და შესაბამისად არსებობს მოთხოვნა იაფ მუშახელზე რომელსაც სხვაგვარად ვერ დააკმაყოფილებ, უნდა ითქვას რომ ისინი სამაგიეროდ იხდიან დიდ ფასს სოციალურ, ჯანდაცვის უსაფრთხოების და ხშირად პოლიტიკური არასტაბილურობის მხრივ. რაც ნიველირებას უკეთებს მიღებულ შემოსავლებს.

დასკვნისთვის ვიტყვდი, რომ როგორც ხედავთ არსებობს მრავალი ურთიერთგამომრიცხველი მიდგომა ტრეფიკინგის რაობასთან დაკავშირებით, ზოგისთვის ეს ბუნებრივი მოვლენაა რომელიც მათ ერების ტრადიციაში სულ მუდამ არსებობდა და ღრმადაა გამჯდარი და რის გარეშეც მათ ვერ

წარმოდგენიან არსებობა, ზოგისთვის ეს თანამედროვეობის მიერ მოტანილი დანაშაულია რომელსაც კანონის ძალით უნდა ებრძოლო, ხოლო ზოგისთვის ეს მითია რომელიც გამოგონილია მხოლოდ იმისთვის რომ შესაბამისმა არასამთავრობო, საერთაშორისო თუ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საერთაშორისო გრანტებზე მოითბონ ხელი.

*მიხეილ ბაძაგუა*

**გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,  
“საერთაშორისო იურიდიული ცენტრის” დირექტორი**

*მიხეილ ბაძაგუა*

**თანამედროვე ტიპის მონობა – ტრეფიკინგი.**

### **რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ახალი ტიპის მონობის –ტრეფიკინგის დამახასიათებელი ნიშნები, მისი განსხვავება ადრეულ პერიოდში არსებულ ტრეფიკინგის ნიშნების მქონე ქმედებებთან, ასევე განხილულია თანამედროვე სამყაროში არსებული ტრეფიკინგთან დაკავშირებული მცდარი წარმოდგენები.

*Михаил Бадагуа*

**Рабство современного типа – Трефикинг**

### **Резюме**

В статье рассмотрены этапы современного рабства – свойственные трафикингу черты, их различия с трафикингом раннего периода, а также ошибочные представления о трафикинге существующие в обществе в современном мире.

*Mikheil Badzagua*

**Modern type of slavery – Trafficking**

### **Abstract**

In the article is discussed modern type of slavery, e.g. trafficking of human beings, its features and differences from conducts that had features of trafficking in early times. Also here are discussed false understandings regarding the issue according David A. Feingold.

## **მრგვალი მაგიდის “ქალი და დანაშაულობა” დასკვნითი რეკომენდაციები**

- საკანონმდებლო ბაზის დაიხვეწა და მისი მოდერნიზაცია. ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ტრეფიკინგის პრობლემებთან საბრძოლველად.
- თანამშრომლობის გაუმჯობესება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და იმ სხვადასხვა სექტორებთან, რომელთაც ოჯახური ძალადობის სფეროში სოციალური მუშაკების მომზადების გამოცდილება აქვთ.
- სახელმწიფომ უნდა დაიწყოს დიალოგი საკუთარ მოსახლეობასთან ქალთა დანაშაულობის საკითხთან დაკავშირებით.
- საჭიროა სამოქმედო ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავება, მათ შორის პრევენციის მექანიზმების ჩამოყალიბება და მათი განხორციელება. აგრეთვე, შესწავლილ უნდა იქნეს ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები.
- საჭიროა საკანონმდებლო სივრცის გაფართოვება და ისეთი აღკვეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც შეძლებს ამ ხარვეზის დარეგულირებას.
- მნიშვნელოვანია, რომ აბორტის ლეგალიზაცია სამართლებრივ ჩარჩოებში მოხდეს.
- ქართულ რეალობაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულების აღმოფხვრა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ.
- დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებს, სადაც მოხდება სქესთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის ასპექტებზე მოსწავლეების ყურადღების გამახვილება. (განსაკუთრებით საპასუხისმგებლო უნდა იყოს ამ მხრივ რეგიონებსა და სოფლებში არსებული სკოლების მუშაობა.)
- ქალთა უფლებებზე ტრენინგებისა და მასტერკლასების ჩატარება შედარებით ნაკლებად განვითარებულ რაიონებში, საქართველოს მასშტაბით.

- ქალთა უფლებები და მათი პრობლემები სახელმწიფო დონეზე, სხვადასხვა სტრუქტურების მეშვეობით უნდა დარეგულირდეს. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება და მათ შესრულებაზე მუდმივი კონტროლი.
- მოხდეს მოსახლეობის გათვითცნობიერება. აბორტისა და კონტრაცეპტივების მოხმარებისა და ოჯახის დაგეგმვის კულტურისაწევის მიზნით. ასევე დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კანონმდებლობასაც.
- ოჯახური ძალადობის ფაქტის ფიქსირების შემთხვევაში აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტი ექიმი – ფსიქოლოგის თანხლება, რომელიც თავისი პროფესიული გამოცდილებით შეძლებს სიტუაციის მართვას და მოძალადის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან აცილებას.
- საკუთარი უფლებების შესახებ ქალთა განათლების გაუმჯობესება სასკოლო ასაკიდან, ხელშეწყობა მათი საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდისა და უფლებების დაცვისათვის.
- აუცილებელია კიბერდანაშაულობაზე საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სამართალდამცავი ორგანოების კვალიფიკაციის ამაღლება.
- დედის მიერ ახალშობილი ბავშვის მიტოვებისა და მკვლელობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, მოხდეს მათი სამართლებრივი რეგულირება. უნდა მოხდეს საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების შემსუბუქება დაუოჯახებელი დედების მიმართ. ასევე უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან დედათა და ბავშვთა დაცვის რეალური ღონისძიებების შემუშავება, მათი ცხოვრებაში გატარება ქორწინების გარეშე გაჩენილ ახალშობილთა დედებს, უნდა დაუწესდეთ ყველა შესაძლო ხასიათის შეღავათები და დახმარებები.
- ოჯახურ ძალადობასან ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნება:
  1. შემაკავებელი ორდერის დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება;
  2. სხვადასხვა სახის სემინარების, ტრენინგების, სარეკლამო აქციების და მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარება, რათა მოხდეს საგანმანათლებლო დონის ამაღლება ოჯახურ ძალადობასთან

დაკავშირებით; 3. ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად; 4. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში;

- ქალებთან მუშაობის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული კვლევის შედეგები პედაგოგიაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და კრიმინოლოგიაში.
- ოჯახი უნდა იყოს დაცული მატერიალურად. აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში და განათლებაში. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ქალურ თვისებებზე: ქალობა, სინაზე, ზრუნვა ახლობლებზე, კეთილგანწყობა.
- ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციების ეფექტური მუშაობა და სამართალდამცავი ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის გააქტივება და სრულყოფა.
- ქალის სამუშაო გრაფიკის მოწესრიგება, მამაკაცების მონაწილეობა ბავშვთა აღზრდაში.
- განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების სამართლებრივი პროცედურა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ჯვრისწერის შემდგომი რეგისტრაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.
- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში, რის საფუძველზეც დაქორწინების მსურველი პირების მიერ ჯვრისწერის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში გამარტივებული პროცედურით მოხდება მათი ქორწინების რეგისტრაცია. სახელმწიფომ, თავის მხრივ, საეკლესიო ფორმით ჩატარებულ ქორწინებაზე გაავრცელოს სამოქალაქო შედეგები ჯვრისწერის მომენტიდან (თუნდაც სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანომ რაიმე მიზეზის გამო ვერ განახორციელოს რეგისტრაცია მითითებულ ვადაში).

- შეიქმნას ოჯახის დახმარებისა და გადარჩენის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სახელმწიფო ცენტრები, სადაც შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა პიროვნებამ კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაციისათვის როგორც ოჯახში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე ოჯახის დარღვევის შემთხვევაში ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენის მიზნით. ხელი შეეწყოს ასეთ ცენტრებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეკლესიის წარმომადგენლის მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- ეკლესიისა და სახელმწიფო ორგანოების ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვა.
- ტელევიზიის როლის გაძლიერება, საზოგადოების პრობლემის მოგვარება; პრობლემის შესწავლა, ინფორმაციის მიწოდება თუ როგორ არის შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება – ეს შესაძლებელია განხორციელდეს ფილმებისა და გადაცემების ჩვენებით.
- რიგ საკითხებში აუცილებელია თანამშრომლობა, ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ სფეროს; უნივერსიტეტების წრის გაფართოება დისკუსიებში მონაწილეობისთვის;
- პროფესიონალური სისტემის შექმნა ქალაქის და სოფლის ახალგაზრდობის კავშირის გასადრმაველად;
- სკოლაში ფსიქოლოგის არსებობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა და თემატური მრგვალი მაგიდების ჩატარება;
- მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ;
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტისა და ბიბლიოთეკების საშუალებით;

- არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობა;
- დისკუსიების და მრგვალი მაგიდების ჩატარება;
- მოხალისეობრივი მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე
- სსსკ 172<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდგენაირად: მუხლი 172<sup>1</sup>. ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და ახალშობილის გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ანდა ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა

1. ორსული ქალის წინასწარი შერჩევა მშობიარობისათვის მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყვანისა და იქ შობილი ბავშვის იქვე გაშვილების მიზნით ან ასეთი ქალის საზღვარგარეთ გაყვანის შესაძლებლობის შექმნა ანდა ასეთ გაშვილებაში ხელის შეწყობა,

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 7 წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი არაერთგზის ან პირთა ჯგუფის მიერ,

- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-დან 9 წლამდე.

### **მრგვალი მაგიდის “ქალი და დანაშაულობა”**

#### **დასკვნითი რეკომენდაციები**

#### **რეზიუმე**

2009 წლის 28 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა, “ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების” დახმარებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული მრგვალი მაგიდის “ქალი და დანაშაულობა” მონაწილეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.



## **Рекомендации принятых в рамках круглого стола «Женщина и преступность»**

### **Резюме**

Участники круглого стола, проведенного 28 мая 2009 г. центром исследования и прогнозирования преступности при помощи «Общества содействия гармоническому развитию человека» и финансовой поддержке Евросоюза, разработали рекомендации, которые были позже представлены законодательной и исполнительной властям, а также неправительственным организациям.

## **Round Table “Woman and Criminality”**

### **Concluding Recommendations**

#### **Abstract**

On May 28 2009, The Centre of Study and Prediction of Crime and Grigol Robakidze University, with the support of People’s Harmonious Development Society and financial assistance of European Union, managed round table “Woman and Criminality.” Participants elaborated several recommendations, which were sent to executive and legislative branches of the Georgian Government, as well as to a numerous Non Governmental Organizations.

## *ჩ ვ ე ნ ი   ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი*

კარგი ტრადიცია ყოველთვის ადამიანურ და ამაღლებულ მისიას ასრულებს. ჩვენს ჟურნალში წლებმა არაერთი ღამაზი ტრადიცია დაამკვიდრა, რომელთა შორის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრთა იუბილეს აღნიშვნაა. ამჯერად ჩვენს ორ კოლეგას – თადარიგის პოლკოვნიკ ოთარ კვაჭაძეს 80, ხოლო სამართლის დოქტორს რამაზ ბერიძეს 50 წლის იუბილეა.

ძვირფასო მეგობრებო! თანამოსაქმენო, თანამოაზრენო, იღვებრძელებო, იბედნიერეთ! გახსოვდეთ – თქვენი წლები და ნამოღვაწარი ჩვენი და თქვენი სიმდიდრეა. მიიღეთ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის, თითოეული მკითხველის სიყვარული და კეთილი სურვილები.

პატივისცემით

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგია**

### *Н а ш и ю б и л я р ы*

Добрая традиция всегда выполняет большую человеческую и возвышенную миссию. В нашем журнале годы утвердили многие красивые традиции, среди которых чествование юбиларов - членов нашей редакционной коллегии - в настоящее время наши коллеги – полковник в отставке Отар Квачадзе (80 лет) и доктор права Рамаз Беридзе (50 лет) справляют юбилей.

Дорогие друзья! Сотрудники и единомышленники, будьте счастливы! Помните, что ваши года и все что вами создано являются нашим и вашим богатством.

Примите поздравления, любовь и наилучшие пожелания от каждого нашего читателя и члена редакционной коллегии.

С уважением,

**Редакционная коллегия**

### *Our Jubilees*

A good tradition always accomplishes a human and ascended mission. The years have established many good traditions in our journal and celebrating the jubilees of the members of our editorial board is one of them. At present our two colleagues – Colonel in retire Mr. Otar Kvachadze celebrates 80<sup>th</sup> and Doctor of law Mr. Ramaz Beridze celebrates his 50<sup>th</sup> birthday.

Dear Friends, coworkers, long and happy life to you! Remember, your years and deeds are our and your treasure. Accept love and the best wishes from each our reader and member of editorial board.

**Editorial board**

რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

| რეგიონი №№ | დანაშაულის სახეობა  | 2007 წლის 12 თვე    |           |                  | 2008 წლის 12 თვე    |           |                  | მატება<br>+<br>კლება<br>- | % პროცენტი |
|------------|---|---------------------|-----------|------------------|---------------------|-----------|------------------|---------------------------|------------|
|            |   | სულ რეგისტრირებულია | მათ შორის |                  | სულ რეგისტრირებულია | მათ შორის |                  |                           |            |
|            |   |                     | გახსნილია | გახსნის პროცენტი |                     | გახსნილია | გახსნის პროცენტი |                           |            |
| 1          | 2   | 3                   | 4         | 5                | 6                   | 7         | 8                | 9                         | 10         |
| 1.         | დანაშაულობათა საერთო რაოდენობა  | 54746               | 20746     | 37.9             | 44644               | 20934     | 46.9             | - 10102                   | 18.5       |
| 2.         | მათ შორის მძიმე   | 13158               | 5538      | 42.1             | 13028               | 6328      | 48.6             | - 130                     | 1.0        |
| 3.         | ტერორიზმი   |                     |           |                  | 3                   |           | 0.0              | + 3                       |            |
| 4.         | ბანდიტიზმი  |                     |           |                  |                     |           |                  |                           |            |
| 5.         | განზრახ მკვლელობა   | 330                 | 179       | 54.2             | 263                 | 132       | 50.2             | - 67                      | 20.3       |
| 6.         | მკვლელობის მცდელობა   | 411                 | 252       | 61.3             | 390                 | 254       | 65.1             | - 21                      | 5.1        |
| 7.         | ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება  | 157                 | 79        | 50.3             | 200                 | 124       | 62.0             | + 43                      | 27.4       |
| 8.         | მათ შორის განსაკუთრებით მძიმე   | 21                  | 11        | 52.4             | 27                  | 13        | 48.1             | + 6                       | 28.6       |
| 9.         | გაუპატურება   | 156                 | 101       | 64.7             | 100                 | 66        | 66.0             | - 56                      | 35.9       |
| 10.        | თავისუფლების უკანონო აღკვეთა  | 81                  | 49        | 60.5             | 59                  | 44        | 74.6             | - 22                      | 27.2       |
| 11.        | მათ შორის ანგარებით   | 11                  | 3         | 27.3             | 5                   | 2         | 40.0             | - 6                       | 54.5       |
| 12.        | მძევლად ხელში ჩაგდება   | 21                  | 9         | 42.9             | 7                   | 3         | 42.9             | - 14                      | 66.7       |
| 13.        | ქურდობა   | 18586               | 3868      | 20.8             | 14814               | 3675      | 24.8             | - 3772                    | 20.3       |
| 14.        | მათ შორის მძიმე   | 4739                | 1113      | 23.5             | 5314                | 1553      | 29.2             | + 575                     | 12.1       |
| 15.        | ბინებიდან   | 2684                | 499       | 18.6             | 2347                | 527       | 22.5             | - 337                     | 12.6       |
| 16.        | ავტომობილების   | 307                 | 63        | 20.5             | 267                 | 61        | 22.8             | - 40                      | 13.0       |
| 17.        | პირუტყვის   | 522                 | 140       | 26.8             | 544                 | 150       | 27.6             | + 22                      | 4.2        |
| 18.        | მობილური ტელეფონების  | 3094                | 226       | 7.3              | 938                 | 183       | 19.5             |                           |            |
| 19.        | ძარცვა  | 1615                | 532       | 32.9             | 1167                | 532       | 45.6             | - 448                     | 27.7       |
| 20.        | მათ შორის მძიმე   | 1148                | 411       | 35.8             | 849                 | 401       | 47.2             | - 299                     | 26.0       |
| 21.        | ავტომობილების   | 39                  | 17        | 43.6             | 29                  | 17        | 58.6             |                           |            |
| 22.        | მობილური ტელეფონების  | 385                 | 145       | 37.7             | 89                  | 56        | 62.9             |                           |            |
| 23.        | ყაჩაღობა  | 1208                | 493       | 40.8             | 1008                | 479       | 47.5             | - 200                     | 16.6       |
| 24.        | მათ შორის განსაკუთრებით მძიმე   | 995                 | 405       | 40.7             | 859                 | 394       | 45.9             | - 136                     | 13.7       |
| 25.        | ავტომანქანის  | 83                  | 37        | 44.6             | 127                 | 36        | 28.3             | + 44                      | 53.0       |
| 26.        | მობილური ტელეფონების  | 191                 | 89        | 46.6             | 67                  | 36        | 53.7             |                           |            |
| 27.        | თაღლითობა   | 2222                | 731       | 32.9             | 1844                | 791       | 42.9             | - 378                     | 17.0       |
| 28.        | გამოძალვა   | 162                 | 76        | 46.9             | 111                 | 46        | 41.4             | - 51                      | 31.5       |
| 29.        | მათ შორის მძიმე   | 73                  | 35        | 47.9             | 41                  | 16        | 39.0             | - 32                      | 43.8       |
| 30.        | ცვცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვა, ტარება, გადაზიდვა, გასაღება | 1280                | 943       | 73.7             | 1261                | 956       | 75.8             | - 19                      | 1.5        |
| 31.        | მათ შორის მძიმე   | 35                  | 21        | 60.0             | 34                  | 25        | 73.5             | - 1                       | 2.9        |
| 32.        | ხულიგნობა   | 858                 | 585       | 68.2             | 724                 | 551       | 76.1             | - 134                     | 15.6       |
| 33.        | მათ შორის მძიმე   | 284                 | 186       | 65.5             | 255                 | 185       | 72.5             | - 29                      | 10.2       |

|     |  |       |      |      |      |      |      |        |       |
|-----|--|-------|------|------|------|------|------|--------|-------|
| 34. | ნიეთის დაზიანება ან განადგურება  | 1272  | 453  | 35.6 | 1120 | 376  | 33.6 | - 152  | 11.9  |
| 35. | მათ შორის მძიმე  | 355   | 39   | 11.0 | 352  | 27   | 7.7  | - 3    | 0.8   |
| 36. | ავტომაქანის დაუფლება   | 43    | 30   | 69.8 |      |      |      | - 43   | 100.0 |
| 37. | ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა             | 2747  | 628  | 22.9 | 3072 | 849  | 27.6 | + 325  | 11.8  |
| 38. | მათ შორის მძიმე  | 533   | 284  | 53.3 | 607  | 364  | 60.0 | + 74   | 13.9  |
| 39. | შორის მათ შორის დაზარალებულის სიკვდილი   | 511   | 260  | 50.9 | 551  | 311  | 56.4 | + 40   | 7.8   |
| 40. | არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული                                       | 674   |      |      | 759  |      |      | + 85   | 12.6  |
| 41. | ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა                                       | 8493  | 7458 | 87.8 | 8699 | 8425 | 96.9 | + 206  | 2.4   |
| 42. | მათ შორის მძიმე  | 1970  | 1712 | 86.9 | 2103 | 1992 | 94.7 | + 133  | 6.8   |
| 43. | ნარკოტიკების კონტრაბანდა   | 71    | 61   | 85.9 | 102  | 100  | 98.0 | + 31   | 43.7  |
| 44. | ნარკოტიკების რეალიზაცია  | 151   | 106  | 70.2 | 79   | 73   | 92.4 | - 72   | 47.7  |
| 45. | ნარკოტიკების შუამ. მცენარ. უკანონო დათესვა                                     | 79    | 71   | 89.9 | 70   | 69   | 98.6 | - 9    | 11.4  |
| 46. | დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ | 410   | 227  | 55.4 | 274  | 84   | 30.7 | - 136  | 33.2  |
| 47. | მათ შორის ხე-ბუჩქნარის უკანონო გაჩეხვა   | 391   | 216  | 55.2 | 254  | 77   | 30.3 | - 137  | 35.0  |
| 48. | სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება                              | 316   | 89   | 28.2 | 145  | 29   | 20.0 | - 171  | 54.1  |
| 49. | სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაბეჭტვა                                      | 160   | 29   | 18.1 | 130  | 20   | 15.4 | - 30   | 18.8  |
| 50. | მექრთამეობა  | 109   | 50   | 45.9 | 50   | 30   | 60.0 | - 59   | 54.1  |
| 51. | მათ შორის მძიმე  | 78    | 36   | 46.2 | 37   | 20   | 54.1 | - 41   | 52.6  |
| 52. | სამსახურებრივი სიყალბე   | 80    | 28   | 35.0 | 43   | 8    | 18.6 | - 37   | 46.3  |
| 53. | სამსახურებრივი გულგრილობა  | 179   | 36   | 20.1 | 108  | 22   | 20.4 | - 71   | 39.7  |
| 54. | მითვისება ან გაფლანგვა   | 412   | 93   | 22.6 | 237  | 72   | 30.4 | - 175  | 42.5  |
| 55. | მათ შორის მძიმე  | 174   | 63   | 36.2 | 124  | 62   | 50.0 | - 50   | 28.7  |
| 56. | ფალსიფიკაცია   | 83    | 21   | 25.3 | 17   | 9    | 52.9 | - 66   | 79.5  |
| 57. | მათ შორის მძიმე  |       |      |      | 2    | 2    | 100  | + 2    |       |
| 58. | აქციზური მარკის გარეშე საქონლის გამოშვება შენახვა, რეალიზაცია, გადაზიდვა       | 31    | 21   | 67.7 | 21   | 18   | 85.7 | - 10   | 32.3  |
| 59. | მათ შორის მძიმე  | 14    | 11   | 78.6 | 11   | 10   | 90.9 | - 3    | 21.4  |
| 60. | ვალბი ფულის, ფასიანი ქაღალდის დამზადება, გასაღება                              | 82    | 12   | 14.6 | 68   | 14   | 20.6 | - 14   | 17.1  |
| 61. | მათ შორის მძიმე  | 81    | 12   | 14.8 | 66   | 12   | 18.2 | - 15   | 18.5  |
| 62. | საბაჟო წესის დარღვევა  | 58    | 25   | 43.1 | 31   | 17   | 54.8 | - 27   | 46.6  |
| 63. | მათ შორის მძიმე  | 27    | 12   | 44.4 | 13   | 10   | 76.9 | - 14   | 51.9  |
| 64. | გადასახადისათვის თავის არიდება   | 83    | 7    | 8.4  | 38   | 2    | 5.3  | - 45   | 54.2  |
| 65. | სასამართლოს უპატივცემულობა   | 4     | 3    | 75.0 |      |      |      | - 4    | 100.0 |
| 66. | მტკიცებულების განადგურება  | 2     |      | 0.0  | 4    | 3    | 75.0 | + 2    | 100.0 |
| 67. | დანაშაულის დაფარვა   | 49    | 40   | 81.6 | 39   | 34   | 87.2 | - 10   | 20.4  |
| 68. | დანაშაული სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ                                       | 478   | 331  | 69.2 | 643  | 424  | 65.9 | + 165  | 34.5  |
| 69. | მათ შორის დევზერტირობა   | 1     | 1    | 100  | 82   | 32   | 39.0 | + 81   | 8100  |
| 70. | სხვა დანარჩენი   | 12568 | 3268 | 26.0 | 7954 | 2845 | 35.8 | - 4614 | 36.7  |

| დაგნავსავეთა ძებნა | 2008 წლის 9 თვე | 2009 წლის 9 თვე | + მატება / - კლება | პროცენტი |
|--------------------|-----------------|-----------------|--------------------|----------|
| იძებნებოდა         | 5495            | 5016            | -479               | 8.7      |
| დაიძებნა           | 1821            | 1445            | -376               | 20.6     |
| ძებნის შედეგი %    | 33.1            | 28.8            | -4.3               |          |







დაიბეჭდა შპს „საარში“  
მის.: თევდორე მღვდლის №57  
ტელ.: 34 56 36; 35 12 23  
E-mail: saari\_ltd@yahoo.com